


925

270  
283



125

სახელმწიფო

№ 636.



პროლეტარებო მთელი ძვეყნისა, შეაერთდით!

# პროლეტარებო

პროლეტარებო : მშენებლობის : ასეული : ყველაფერი

# I



ორბანო კოლაქტივი  
პროლეტარების

ს. ს. ს. რ.  
ბვილისი

ქართული ზეპირთქცა



სტამბა გაზ. „ზარია  
ვოსტოკა“-სი შე-  
კვეთ. № 1105,  
ტირაჟი 3000  
შთავლიტი  
№ 224.

სტამბა  
ბიბლიოთეკა

ყდა: მიხეილ ჩხიკვაძისა.

## პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი.

რევოლუციონერ თანადროულობის განსაკუთრებული პირობები, პროლეტარულ მწერლობიდან ითხოვს განსაკუთრებულ ძიხვლას მიმდინარე ყოფასთან.

**პროლემავის** ამოცანები რამდენიმედ განისაზღვრება ლიტერატურულ სანგრების დაგებით ხელფენებაში პროლეტარულ მადლოებების დასაპყრობად. ს. ს. ს. რ-ის ტერიტორიაზე ლეგალურ ბურჟუაზიის იდეოლოგიით და ფორმალისმით დამძიმებული ლიტერატურა საჭიროებს რევოლუციონერ წინააღმდეგობას. საჭიროა გაწმენდა. პროლემავის თავდასხმითი მომენტი ჯერჯერობით გამართლდება, როგორც გადახალისება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გავლენით დაჩრდილულ პროლეტარულ იდეოლოგიის. დღემდე არსებულმა პროლეტარულ მწერლებმა ვერ შესძლეს რევოლუციონერ თანამიმდევრობის აღდგენა შენარჩუნება. გამთუვალად მოქცევენ მობინდაბირე კლასების ფორმალურ სკოლათა უმულოდ გავლენის ქვეშ. დაკარგეს ბრძოლის უნარი რევოლუციის იდეოლოგიურ მონაბოვართა დასაცავად. რევოლუციის პოეზია გაიგეს როგორც ბუკის ტრავარეტი. დიდ მანძილზე დაცილდენ მშრომელ მასების მშვიდ საადმენებლად ცხოვრობის შინაარსს. რაც მთავარია, მათ ვერ შესძლეს პროლეტარულ სახელმწიფოს ორბიტში მოქცეულ ადამიანის ასახვა. კვშიურ საკითხებზე გაყინვით, რიტორულ პლაკატით, ყალბი პათოლით და კაბინეტურ ხედვით, პროლეტარულ პოეზიის რევოლუციონერ დირებულება დასცეს. მათი ხუსტი შემოქმედება და ორგანიზაციული მარღვი მასის მღმმარების გარეშე დარჩა. თუმცა რევოლუციის პირველ დღეებში მიუძღვით დამსახურება. ეს იყო საქმის დაწყება—პლაკატის დაინშნულება.

პროლეტარულ ინტელიგენციის მიერ ახალ ლიტერატურულ პოეციების დაკავება გულისხმობს უმთავრესად თანამედროვეობასთან შემოქმედებით მიმავრეპას.

ბრძოლისა და შრომის იდეალიზაციის გარდა ყურადღების ცენტრშია მუშურ-კლესურ ყოფა-ცხოვრობის და ფსიქოლოგიურ მომენტების მსატერული ასახვა. პროლეტარულ სახელმწიფოს ადმენებლობით საფუძველზე, მხოლოდ ჩვენ გარდამავალ ხანაზე, ჭემმარტი და ძლიერი



ბრღვევარული ხელფენება უნდა განვითარდეს; ის იქნება იდეოლოგიური ორგანიზატორი მასხების.

დარსენილ ლიტერატურულ სკოლათა და სექტების ძილმღვიძარა არსებობას, ჰენორარით გაწუწკებულ „თანამგზავრების“ დამპყრობ გავლენას და რეაქციის ნარჩენებს ბრძოლას უცხადებთ რღვორც ლიტერატურულ კონტრევოლიუციას და გაღვიძებულ ბურჟუაზიულ ლიტერატურას. ბრღვემადის ლიტერატურული საქმიანობა მიმართულია, ანტიბოდი ბურჟუაზიულის რღვორც ბრღვევარულ გრძნობათა განსაზღვადღებრიობის მხატვრული დემონსტრაცია.

ქართულ ლიტერატურის გზები დახლართულია ქაღისით. ავსებულია ამმღრებულ ლეშებთ: უკვე მკვდარ მღმაკვდავ და მკვდრად დაბადებულ დაჯგუფებებით. ბრღვევარულ კულტურის განმტკიცების დრღხ უნდა მოიჭრას ბურჟუაზიულ კულტურის და იდეოლოგიის ყველა სორც-მეტი.

საქართველოს რეაქციონურმა წარსულმა დატოვა, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მხატვრული ნაშთები. საჭირთა მისი ნიადავის (და აუდიტორიის) გამღვლა. უნდა იყვე მოურიდებელი და ბირდაბირი, რღმ იბრძოლღ. ბრძოლა არ არის იდილია და დეე გვაბატიღხ „ხელფენების უზენაესმა“, თუ ჩვენი თავდასხმა მწარე იქნება.

ქართული სიმვლიზმი დამსხვრეულ რღმანტიულ ყანწებით უფსკრულთან გაჩენდა. უნდა დაიდუბღს ბებერ ვერღბიდან გადმღტანილი ლიტერატურა. პატრიღტისმის ქურქში გასგველ აზიურ მოდერნიზმის დაბრუნებული ფეოდალური რღმანტიკა, მმრღმელი ხალხის იდეოლოგიური მტერია. ცხვრება არ არის სახათლად და მზე-ჩაქრღბილ რა მისტიკა.

ნებმა წარმღმვა ანარქიულ შინაარსის და ფღრმის ქართული ფუტურნიზმი ( $H_2SO_4$ ). ეს არის ბურჟუაზიულ ფსიხავის ლუმენ ბრღვევარულ ბღგემის მიმართულება. ბრღვევარიატი ვერ მიიდღებს ეკლექტიურ დღმსალს და ბრღვემადი იბრძვის მღწინაადმღგეე ფრღრტზე. თავიდანვე შემცდარია ექსბრესიონიზმის, იმაყენიზმის, დადაიზმის, კღნსტრუქტივიზმის და სხვა ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ხულში ამღტივივებულ დღგენერატულ იზმების გასადება ბრღვევარიატურულ სახელმწიფღში.

დემოკრატიულ პოეზიის, ობიექტულის პესიმიზმის საფეხური და-  
უბრუნებლად განვლილია. მის შემდეგ პროლეტარული პოეზია არსებობს  
როგორც ფაქტი.

ს. გ. ბ. და ს. ა. ლ. კ. კ. პროლეტარულ კულტურის გამტარებელია.  
ჩვენი სახით გამოხული მწერლობის ახალი კადრი გრძნობს პასუხის-  
მგებლობას პარალელურ მიმართულებით. საჭიროა პროლეტარულ ხე-  
ლოვნების ქმედით საგუშაგოზე დგომა და ლენინური ბრძოლა ლიტერა-  
ტურულ კონტრევოლუციასთან.

ბრძოლა უნდა გამოეცხადოს უნდა გაუკაფოს ხანგრები კედელს გაზე-  
თიდან მომავალ შემდგომედს. აქედან—საწყისი და დანიშნულება პრო-  
ლეტარულ ინტელიგენციის.

ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ხელოვნების ბურჟუაზიულ პროფანა-  
ციას, მის „საზღვრულ სახიამოვნო ლიმონათად“ ქცევას.

ხელოვნება მასებზე ზეგავლენის და აღზრდის საშუალებაა, ამი-  
ტომ საჭიროა გადახვლა რიტორიულ პლაკატის აგიტაციიდან (რომელიც  
ვკრ აკმაყოფილებს მასსას!) დრმა ფსიქოლოგიურ პრობაგანდაზე (ლო-  
უნგი ცხვრების სხვა ხელოვნებში გატარებული პარტიის და სახელ-  
მწიფოს მიერ).

აუცილებელია ჩვენი ყოფა-ცხოვრებასთან ლირიული, ეპიური და  
დრამატიული მისვლა. ლიტერატურამ უნდა გააცნოს ცხოვრების  
სადი სიუჟეტი. შინაარსი—პრიმატი ფორმასთან. მაგრამ არ უნდა დავი-  
ვიწყოთ: ვემსახურებით პროლეტარიატს მხოლოდ ხელოვნებით. ლ-  
უნგი: ფორმის სრულყოფა. ამიტომ ფორმა არა როგორც მიბამვა რ-  
მელიმე ბურჟუაზიულ სკოლის, არამედ არსებულ ფორმების სინთეტური  
დაძლევა, საკუთარ სინთეტიურ ფორმის გამომუშავებით.

პროლეტარული გაიშლება მასიურ ორგანიზაციით როგორც მშრომელ  
კლასების ნამდვილი შემომქმედი და ფსიხიკის ორგანიზატორი. ორგანი-  
ზაცია, როგორც საშუალება ფართო აუდიტორიის დასაბეზრებად და მას-  
სიურ შემომქმედის გამოსაჩენათ.

ეს არ არის მანიფესტის რეპანტიკა, არამედ დაჯერება და საქმე.



საქართველოს სასჯელთვან კომპლექსის  
პროკურატორის ეს პირველი შრომა;

კარლო კალაძე,  
კონსტანტინე ლორთქიფანიძე,  
კალე ფეოდოსიშვილი,  
ბენიტო ბუაჩიძე,  
ვ. ბესოშვილი,  
ელიზბარ გუგუნაძე,  
უ. მდივანი,  
თამარ ჩქარეული,  
დავით რონდელი,  
შალვა რადიანი,  
პლატონ ქიქოძე.





კარლო კალაძე.

## სოფელი დილაგდე.

■  
სოფლემენ შარები.  
დარჩა რიონის ხმა ატეხილი.  
სოფლემენ შარები  
არბენილი  
სერზე წარბებათ.  
უკანასკნელად აატირა მგზავრმა ბოგირი.  
უკანასკნელად გადავიდა შუკა ალაგეს.  
სიჩუმე მუნჯი.  
სოფელი ბლუ  
ბუოლებს აყრუოლებს...  
და დოლაბიდან უძილო სხივი გამოძურწული  
ღელიდან ღარში გადაჭრილი  
დაეძებს ლანდებს.  
ყანები სამარგლი,  
ყანები სამოროდო, —  
უცდიან დილამდე მოპირულ თოხებს.  
გადმოარღვია ქარმა ფშიარი  
გადმოუქროლა ქორივით ქოხებს  
და ორღობეში ხმა ჩახლენილი  
ბორგავს დათევივით;  
მუხის ფოტროდან  
გადმოალაგა ყველა ზღაპარი,  
მუხის ფოტროდან  
გადმოფრინდა ხატის ნახევი...  
ქარი: მწევარი, — დაგეშილი  
ხატი: კურდღელი  
და საჯირითოთ გაშლილი ველი!

■  
მინდორი ნაცეკვი,  
მინდორი ნაბურთალი,  
ლამისთევეებით გადამწვარი  
როგორც არული.  
მოსჩანს:

ცაცხეებში ზარი გაბზარული  
და საყდრის ჯვარზე გაკრული დროშა!  
უეცრად:

ცხენი გაოფლილი და ულაგამო,  
შადრევეანივით,  
მოზიდული  
გადმოხტა ტყიდან! --  
დარჩა:

გზა ცეცხლის ნაპერწკლები,  
ხიდი გამხტნარი  
და ხანჯალივით დაესო კიშკარს!  
საყდრის რიკულზე .  
აღვირებით გადამბორკილი  
გავარდნა მერნის!  
მხედარი კართან.

შერბის ძახილი, --  
სადაც სიტყვები სქედენ მომავალს,  
სადაც ორატორმა ვერ მოითმინა უშნო რეპლიკა  
და სანუგეშოდ მოღუზა წყალი.  
მოსული: ნდობა.

მოსული: გრძნობა, -- ნაალერსალი...

სდგას განაბული,  
ჩაფიქრებით, --  
სოფელი ჩემი  
და გულზე იბნეეს:  
ქალაქიდან ჩამოსულ ნიშნებს.



ანთია კრება,  
 ღიმილიდან მოტეხილ ხმებად  
 და ჰგუნდავს გულებს  
 დაპირება წლებით ნასურვი:

როინის ტალღა  
 ქარქაშიდან ამოვარდნილი  
 გამოენთება  
 როგორც ბოღმა  
 ნაპირს გადაჭრილს! —  
 იკივლებს მანქანა მაგარი დარტყმით  
 და ჟრუანტელად გაეკიდება  
 მავთულებს ცეცხლი! —  
 ცეცხლი: ღამის მზე,  
 სოფელის ქრაქი.

ყრუედება სმენა  
 უკანასკნელი ამოძახილი შერჩება კუნჭულს.  
 სიტყვებს ალესილს,  
 მღელვარებას, —  
 დასწურავს ტაში! —  
 ჩოჩქოლი კარებს.  
 სიცოცხლე მოსკდა  
 როგორც გუბე გადმოხეთქილი  
 ედება მინდორს...  
 ცა: ქუდი,  
 მიწა: ქალამანი, —  
 და ღამე: სივრცე ..  
 დარჩა კედელზე: ბორის ძნელაძე,  
 ლენინი ტროცკი.  
 ტრაპეზზე ოქმად უჯრედის კრება  
 და ღმერთის ცხვირზე მირტყმული კვერცხი,  
 ვერხვის ფოთლებში გაცრილი სხივი  
 გამოეკიდა  
 ღანდებს მორბენალს,  
 გამოეკიდა  
 ღანდებს დაგეშილს.  
 გადიხარხარებს გზა საცალფეხო  
 და თხრილის პირზე  
 გადიარს ანწლებს.

კომკავშირული  
სული გავსილი,  
კომკავშირული მღერა უჯებირო:  
აღვიძებს: ღამეს,  
აღვიძებს: ქოხებს,—  
და დედაბერი წამოჩოქილი  
ისახავს პირჯვარს.

---

შარა ურიგებს ქიშკრებს სიცოცხლეს.  
შარა იშორებს შარიან მგზავრებს...  
და სძინავს სოფელს  
დაქრილ ვეფხივით დაეცა ღამე.

---

დილამდე ზეცა უნდა დაბერდეს,  
გაქალარავდა გორა მზის კუბო  
გორა მზის კუბო გადიწვა უცებ,—  
მზეს გაეცინა!—  
და მამლის ნისკარტში მორთო ყივილი.  
გათენებამდე, როგორც სიმბოლო,  
ღამიან დილით, როგორც ნიშანი!—  
მთებს გამობურღავს,  
ულრანს მოარღვევს  
მატარებელი,  
მატარებელი რკინის ნადირი,—  
მოღლილი სუნთქვით  
და ეპილოგად:  
მოსჩანს მემანქანის  
მკერდი გაღვლილი,  
გული ელწერი  
გამუღმებით რომ სწერს: **ს. ა. ლ. ძ. ძ.**

---

25 წელი.  
15 თებერვალი.  
თემა: 22000.

## კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

### თემა მეორე

ყველაზედ უფრო სასაცილოა  
სარდაფებიდან ამოფრინდე.  
სადაც იმედებს ცრემლით ათბობდი:  
გაშალო ბრძოლა  
ქუჩის კბილებით, ბარიკადებით.  
რომ დაიფრვო მიწა,  
მობურთო.

გადმოანგრიო ყველა თავანი  
ცივი, უგულო ვით ქანდაკება:  
შემდეგ:  
სიმშვიდის ტკბილმა სავანემ  
ნიაგარული ცეცხლის დინება  
სულში გაგიქროს,  
თუ კი სიცოცხლე  
ხეთქავს შემბორკველ ყველა კიდევს  
და ყოველ წუთის გამოქროლებას  
ძღვეის ნაკადებს გამოაკიდებს.

უნდა მობრუნდეს პოეზია ეი, მეგობრებო!  
ბრძოლისთვის ხალისს ისევ მოვსჭრით მიწის გულიდან:  
მიწაზე ვდგევართ: არასოდეს არ მოვედებით  
აღტაცებისთვის ჰერკულესს ან ქალებს ლუფრიდან.

#### **რაც შეეხება დანარჩენებს:**

მე ფეხებზედაც არ მკიდია მათთან ზრდილობა,  
ვინც დაწრეტილი სიცოცხლიდან  
ლანდებს გარს უვლის:  
რა დროს ეგ არის თუ ვინმე გწამთ,  
მოსწყდით თავიდან  
თქვენი სინაზით, დედოფლებით და თქვენი სულით.





ვხედავ:

ბურღები ნადირივით კბილებ ალესილს,  
ასობენ მიწას ვერაგულ ბრუნვით:

გლეჯენ და გლეჯენ ცეცხლის ხალისით  
ნახშირის, რკინის, ხრეშის და მორგვებს:

როცა კუნთები ფლირტებივით ბრკყვილა მადანს,  
გადაუსვრიან ზრდილობიან მხლებლებს, რონოდებს:

როცა თვალეები თან სიყვარულს ისეთს გაატანს,  
თითქოს სინედლე დედამიწის თითონ ჰქონოდეს;

მე ვგრძნობ მშრომელის უენო ჩურჩულს,  
მის ყოველ რხევას.

მაშინ მის სულში სიდიადის

შეგნება თრთოლავს:

აბრუნებს ხელში რკინას, როგორც ჩქერი ნაფოტებს:

მასში ღვივდება ხალისი და გრძნობს

კიდევ მოვა,

აქ ვით მებრძოლი,

რომ სიცოცხლეს მშვენება ჰქონდეს.

და იგი სწურავს ყველა გრძნობებს ალტაცებისთვის:

რომლის წინაშე ადამიანს დასაბამიდან

დაუცვეთია დაგეშილი ძალლივით წლები,

დღეს ილუნება შეტევისგან ძირს დასაცემათ.

და ხევენ ქვეშეთს.

მიწის შიგანს მშრომელთ რაზმები,

როგორც ბავშვები

კლუბებს პლაკატს, თუ არ შეუშვებს:

რამდენი ცრემლი ოჯახებში გაიგზავნება,  
რამდენი ხელებს სამოწყალოთ  
ქუჩას გაუშვერს,  
რამდენს სიცოცხლე მოაკლდება,  
როს ნაპრალიდან,  
ბრმა რაინდივით  
გადმოხეთქავს რისხვით მალარო  
მოგუდულ აირს.  
მაგრამ ვინ უთხრას შეჩერება  
მზის—ფერ ალიონს,  
ვინ ამოაშროს ანთებისგან ვრცელი უდაბნო:  
ქინაქინივით ეს ცხოვრება  
არ გვსურს დავლიოთ...  
მაშ ისევ ბრძოლა ბუნებასთან დაუსაბამო.

როს ძირს ებმება ორი სტიქია:  
მესმის მიწიდან გუგუნი ნგრევის,  
მე ვფიქრობ მაშინ,  
რომ ბრმაც ვიყო  
და მხოლოდ თრთოლვა,  
მაინც ვიტყოდი  
საქიროა ასეთი ბრძოლა.



## ნ ე კ მ ა ნ

ო მოქალაქევ!

რომ მცალოდეს სარომანტიკოთ  
ან ჩემში მუზას ერთი ლამეც რომ გაეთია  
ავატირებდი უთუოდ მკითხველს:  
შენზე ამბავი ისე კარგია...  
მაგრამ რა უყო<sup>1)</sup>

### დილიდან საღამომდე

როგორც სიზმარი,  
ყინვების დოლი აწვევა ქუჩას:  
ლოკონებათ დაილაგა მათხოვრის ბედი,  
ზამთარი არის,  
ქუჩას შერჩა მხოლოდ ლოკონი,  
გამოაკიდა ტრამვის და მგზავრების პორთფელს,  
ზამთარი არის:  
ყინვების დოლით იფშენება ქუჩა,  
ნანგრევებიდან აირბინა პარფიუმერიის  
ერთმა საყელომ;  
ყალიონივით მოქონდა ზურგი;  
უშვებდა რგოლებს ხმელი კისერი,  
ყალიონი თვით იყო ალბათ,  
დეკემბრის პროსპექტს მიათრევდა რაღაც საძაგლათ:  
დაიწყო შუბლზე ყველა ვიტრინა:  
სარჩვევლა უბერავს ნესტოს;

1) მოდი ეს საქმე დაუტოვოთ ჩვენ ნადირაძეს.  
მოაქვს სიუხვე დიფირამბებში  
პოეტობა მას ვალათ აძევს  
და უყვარს თემა ასეთ ამბებზე.



—კინო ლენტეხით გადარბის ციფრი  
გადალაგოს ცალკე მოგება,  
ორმაგი ბრუნვა ნარჩენ კაპიტალს  
დასდგამს ბირჟაზე მაკლერს ბაიყუმს  
და აქციები გუნდებით ქანდაკს,—  
შარვლის ფოტოებს აწვევა ქარი,  
ქარი შალაშინ მოგონილ ამბის:  
გადააშორებს ცხვირს საყელოდან,  
ტკივა ცხოვრება კიდევ სახლამდის,  
უნდა მოწოვოს სითბო სამოვარს;  
და იმედების ცოლის, ნუგეშებს  
ან რუსთაველში დაკოდილ დრამას,  
სადაც ექვ გარეშეა;  
დაბმული რევოლუცია,  
რომ გადმოუშვან პარტერში მორფი.

---

დილა აღვიძებს ოთახს ბალაგანს,  
გადმოკიდებულს ვალიუტის ძაფზე;  
მოდის ცხოვრება როგორც მერძევე,  
დილა აღვიძებს ოთახს ბალაგანს  
რომ გადაყლაპოს თვალეებით სევდა  
მაიმუნეხით სარკის წინაშე  
ჯანზე მოსაყვან  
თბილ გოგლი მოგლის სამაგიეროთ.

---

## არსენა

ცხენის ბეჭებზე უზანგები,  
როგორც ქედებზე მიბჯენილი ბურღების კბენა  
აკრავს კამარას ნაპურალ ველებს:  
ქალი შოლტივით მოზნეკილი და თავსაფარი  
ველების დროშა;  
არსენა გარბის.

არაგვი;  
ბორცვის ჩრდილები სალამურს უკრავს  
ჟვერ შამბებიდან ეჟენები მუხის.  
შარები გარბის.

უკან დარჩა ურმის კოფოდან  
მოძახილი და ოროველა;

ტყე წიფლნარები  
და საფარი ყმა: ყაჩაღების  
აქ ვინ შებედავს!  
ბილიკები ისვრის ხაფანგებს  
და მდევენელები დათვებივით ჩარჩა უნაგირს.

ბ შ ე

ვინ გაიგონა შუალამით აქ ხეტიალი,  
ლამის ტოტები ღრუბლების დგიმი  
ლამის ტოტები  
მომაკვდავი ხელების გრება.  
სურო და ხავსი  
უთელელი ქართული შალი,  
აბედის ძუძუს მოხვევია როგორც შეცდომას..  
ეს ქართველია, ძუძუები გახდა მაზოლი  
ქართველი გლახი—წიგნების ზურგი.  
ჩემო დედიკო!  
შენც მაწოვე მაზოლის ძუძუ  
თითქოს ხრიოკი ვერანა და მჟავე უგემო:  
დედის მუცელში დაიღალე როგორც სირბილი  
დაბადებამდე გირწევდენ აკვანს,  
როს გორაობდა მათრახებით მუცელი დედის.



ღამეს, ვიწრო კაცს  
აშირებენ გათენებამდე მეჯოგეები.  
გათენებამდე მოხრიან თავებს,  
გათენებამდე ხომ სამარცა...  
მაშ ჩაუჯექით როგორც ტკივილი  
რას გახდები!

ერთხელ გაიქეც და ორღობეზე  
გადაგეხა ჩოხების კალთა...  
ნაფლეთ არსენას დაულოცე მაინც მარჯვენა:  
გული კოცონთან რომ არ ვადახმეს  
ხომ გინდათ სითბო:  
უამბე ბიჭებს და გოგოებს  
რატომ გავარდა არსენა ტყეში  
გსურს დააჯერო?  
შეადარე არაგვის ზვირთებს.

სადაც კუნძები წაჩოქილი  
აგორებენ თითქოს კამათელს,  
სადაც ხევია გამოხედვა ძველი კრილობის,  
ნაბადი ქორი დაეცემა გზას საცალფეხოს.  
გამხტნარი მგზავრი ნამგალივით მოიღუნება:  
ქორმა კიდევაც შეიძლება ის გადაკოცნოს,  
შემოახვიოს ალერსის ბამბა:  
სახლამდი მაინც მივიდეს თბილათ  
სახლამდი მაინც ქონდეს ღიმილი.  
შენ ძმობილო!

უნდა ხშირათ ჩამოდიოდე,  
ნახე სათავე თავისუფლების:  
ტყეში ბელტივით აგდია გული  
წვიმა და ქარი ხეთქავს როზგვიით.  
როცა ცრემლებით დააღბობ გუთანს  
გულს ეტკინება,  
გულს ბელტივით დაგდებულს ტყეში.

მაგრამ ხშირი ბილიკები ამოაგორებს  
თამასუქების, ასანთების, ჩითის გვირაბებს  
წუბრბელებათ მოკიდებულს ბელლებს და მარნებს.  
ო მაშინ წუთი ჩახმახივით უნდა წამოდგეს:  
ბიკო არსენავ! გახსოვდეს გლეხი  
გული ქვა,  
შიგ ხმელი ჩხირი ძარღვის მაგიერ.  
გამოცოცდება რკინის გველი ხის ფულფუროდან:  
შეხედავს მგზავრს,  
როგორც გვირგვინი სამარის და შავი სათვალე:  
შეჩერდი!  
სასთუმალი გამოაძრე სოფელს ძილის დროს,  
თავი ჩაქინდრა, ცოდო არის  
არ გებრალევა?  
ხომ მოწვა სისხლი,  
გადმოხეთქავს  
დაიკვეთება მზესავით ტუჩზე  
შენ უნდა ხელი მიუშვირო  
შენ უნდა გათბე...  
ვინ შეგარჩენს!  
ქორი არსენა დარაჯობს ბილიკს.  
ხვალ გლეხის ქოხში შეიქმნება ხალისის ბრუნვა  
და არსენაზე გადაწვავენ მთვარის ხეტიალს.  
ნუღარ აყოვნებ, ეხლავე გასწი!  
მგზავრო უჩქარე,  
ყაჩაღს ნუ მისცემ საშვალებას ფიქრი გაშალოს  
საკმარისია ფრთები აუბას მივიწყებულ დღეების ხროვას  
და ერთი ცრემლიც რომ გადმოვარდეს  
ფრთებს დაგაჯახებს.  
გასწი!

## არსენას სიმღერა

გადმომდგარა აივნებიდან  
ხუჭუჭ თმება ხავერდაო,  
გოგოვ შენი ცქერა მინდა  
ისე გული დაბერდაო.

გამოიქეც ჩემთან მთაში  
რიყეო და ბურბუშელავ,  
მე გამიტყდა გული გზაში  
ეხლა იმას უნდა შეველა

აქ კალთები ორბებია  
კალთებს თავი შევფაროთ  
შენით ცეცხლი მომდებია  
გადმოფრინდი ზღვის ფაფარო

მთები ბროლის კბილებია  
აფრენილი ცის კიდემდე  
ეხლა ჟანგით ილევინან  
ყაჩაღივით გადმოკიდეს

გადმოკიდეს წკეპლის ძელზე  
ღვედებივით ლამეებმა  
ხევი ხევებს მისდევს ეძებს  
ხევი წკეპლებს არ დანებდა

ხუჭუჭ თმებზე გვირგვინივით  
რომ გადგია მძიმე ქოში  
თუ კი აქეთ გადმოივლი  
ჩრდილებიდან დადგმულ ქოხში

ტყვია გულში დაგიდნება  
ზეირთებივით გაივსები,  
თუ შენ ჩემი არ იქნები  
მოგიკვდეს ბიჭი არსენა

მთის ქოჩორის ჟრუანტელი  
იცის იცის სევდის ბარმა  
იწვის ეხლა სანთელივით  
დაუქროლა მთიდან ქარმა

ხევი წკეპლებს არ ნებდება  
გადმოფრინდი ზღვის ფაფარო  
სანამ ცეცხლი მოედება  
ბარს, მთებს თავი შევფაროთ.



ჰეი არაგვო!  
რომ გაშლილხარ სიცილივით,  
შემობურთე ნაპირები  
ჩამოჯექი, უფრო ახლო:  
რომ მორბიხარ არ გრცხვენია?  
მოუსმინე!

მეწისქვილევ მობელილო ჩირგვო  
სიმიდს რძე უშრება  
სიმიდი ქვიშაა ..  
ბავშვები ჩამოხმენ მამებივით.  
ბავშვებს მამების ბედი აღარ უნდათ  
ამოიღე მაშ ეგ გული და შიგ ლარში გადაუშვი  
დაფქვით დაფქვით ქვის ბორბლებო  
პატარა ქვას მოერევით  
ეხლა მარტო შენ გუგუნებ  
მოასწარი!

სადაც ქოლგას გავს ციცაბო  
აღმართივით მძიმე,  
მოკლეს შენებრ მოგუგუნე:  
მოასწარი!

მეწისქვილევ, შენ მოხრილო თავთაველავ  
შვილებს შვილებს გადახედე  
ამოიღე მაშ ეგ გული და შიგ ლარში გადაუშვი  
დაფქვი დაფქვი...

ნატეხ კეცზე როგორც ქადი ჩააკარი  
მიეც შვილებს

ხომ ხედავ რომ იფიტება  
ნუ დაზოგავ  
ძვლებში ტვინათ ჩაუკვეთე.  
ავარდება ღმუილივით  
უძირო თეთრ ქალამანებს შერჩენიათ კიდევ თასმა  
და მაგ თასმით გადმოკიდებს ბნელ მონობის ღრუებს  
ბორბლებო მოასწარით!

თქვენთან ერთად მომავალში მეწისქვილევ იგუგუნებს.  
არაგვო,  
უსმენ?

შარტი—1925 წ.

## კალე ფოდოსიოვილი

### ელექტროფიკაცია.

საუკუნეებს ჯერ არ ახსოვთ

საქმე ასეთი,

საუკუნეებს არ სჩვევიათ

შრომის დიდება –

– ელექტროფიკაცია საქმე კეთილი

წყლის ექსპლოატაციით

სითბო-სინათლის უხვად მიღება.

რევოლიუციამ დააყენა ის

დღის წესრიგში;

შრომის ლაშქარმა ამისათვის

გაიღო ოფლი.

შრომობენ მედგრად;

და გამარჯვებით რომ დამთავრდეს

ეს დიდი საქმე,

ძარღვებს სჭიმავენ

მუშები ქალაქის, გლეხები

სოფლის.

ხელი ჩასჰიდა საქართველომ

ამ საქმეს ძვირფასს

და მკვიდრ დასავით

შეიყვარა თეთრი ნახშირი,

რომ მოუფრიხოს მთლად კისერი

ბნელეთის ტირანს,

ელექტროსადგურს იქ აშენებს,

სადაც ძველ დროში მწვანე ბალახს

სძოვდა ნახირი.

აბაშა ცდილობს სამეგრელოს  
გაჩირაღდნებას  
მტკვარის გეგმები მთლად  
დიდია და საამაყო,  
რიონი იწყებს ასანთებად  
უკვე მზადებას  
და ჩვენ ვიხილავთ მომავალში  
ამ საქმის ნაყოფს.  
ელვისოს ჩქერი მიღებული  
წყლის ჩანჩქერებით  
სულ გაანათებს და გაათობს  
შრომის მიდამოს,  
ბუნების ძალებს დასწურავენ  
რკინის ხელები,  
სიკვდილი იმას, მომავალი  
ვინც არ იწამოს.  
ვინ იფიქრებდა, რომ მშიერი,  
შიშველი მასსა,  
რომელსაც თავზე,  
ქუდიც არ ხურავს,  
გამოიჩენდა ნებისყოფას და  
იმდენ ძალას,  
რომ მდინარესაც კი გახდიდა  
თავის მსახურად.  
ელექტროფიკაცია - საქმე  
კეთილი,  
წყლის ექსპლოატაციით  
განათება და გაათობა  
სოფელ-ქალაქის;  
ელექტროფიკაცია - ოცნება  
ლენინის,  
შრომის შეიღების რკინის  
ხელით გამოკვეთილი.



ბენიტო გუაჩიძე.

## სადელეგატო გარათი

I

ეს არის ამბავი  
პატარა უბრალო  
და ყოველ-დღიურ ნისლში  
გაზვეული,  
მოთხრობა სადა,  
სადელეგატო ფურცელზე წაკითხული.  
ასე დაჟინებით  
ფიქრი მიკარნახებს,  
რომ  
პატარა ნიშნები  
დიდ მიზანში სცემს  
და ცალკე ნომრები  
წიგნაკის ფურცლებზე,  
გლობუსს დაფარავს.  
მე მინდა ჯიუტად  
ყველა დაეჯერო  
პატარა ნიშნებით  
ბილეთის ფურცლებზე  
ცხადათ დავანახო,  
თუ როგორ იქცევა  
ოცნება ამბავად.

II

საექვო სიმაგრის სახლის დარბაზში  
ქრიაშულს ქრუანტელი  
ტალღებათ უვლის.  
ქალების კრებაა.  
დაუნდობ კამათით.  
ირჩევენ დელეგატებს.  
პატარა ქალი—  
თაქამი თვალებით  
თავ-გამოდებით რომ ალაგებს  
სიტყვებს ურიცხვოთ,  
როგორც ლამბაქებს თაროზე ბავშვი.  
ამბობენ:  
იყო უბინაო  
და უთვის-ტომო.  
კომუნარია დაწყებდანვე.  
როგორც იმედი  
თანშეზრდილია  
აღშფოთების მოძრაობასთან,  
მიტომ ამაყად  
დღეს უხვდება  
წარსულ დღეების  
რიცხვს აუტანელს,  
ასე ჯიუტად  
რომ იღვრება  
ხუნდებ-დაწყვეტილ  
გამარჯვების ბრწყინვალე მზეში.  
უთითებს კრებას:

— ამხანაგებო!

აუხსნელია

განზე გადგომა,  
მშრომელი ქალი

უნდა იდგეს  
მშრომელ მუშასთან.

გავყვეთ რისხვის გზას,  
შეექცემათ ჩვენი მზე,

მათ დაუტოვოთ  
წარსულზე მოთქმა,

ვინც ამ წარსულში  
ჩარჩა ციყვივით

და ვისაც მომავალი  
ართმევს განცხრომას.

შებედეთ ბავშვებს,  
პიონერებს!

მზით დარუჯული

ტიტველ კუნთებით

მზისვე სხივებში რომ ბანაობენ,

როგორ უჩქროლებსთ

გულებს.

ქუჩები

გადმოხეთქილი სიხარულის ნიაღვარებათ.

წითელ ვარსკვლავის ბრწყინვალეობა

ნიშანი ძლევის და ძლიერების!..

შინ დაბრუნებულთ

რას უამბობთ მათ სახალისოთ?

ბევრი:

გადუშლით წარსულის ზღაპრებს,

ლეგენდებს მეფეებზე

ლეგენდებს გვირგვინებზე

უფარგისია!

მომავლის ნება

სხვას გვიკარნახებს.





## III

მსჯელობენ.

ადგენენ.

ირჩევენ გზანიან  
ქალებს დელეგატებს  
საერთო საქმისთვის.

უარყვეს წარსული  
ხავსი და სიჩუმე.

დაგმეს უსიტყვო

გაქოტირილი,

შორეულ დღეების.

დასწყვიტეს ყურებს საყურეები

(და ახალ რწმენით

აღტაცებული მოედვენ ქალაქს.

## IV

ქოხის სიჩუმეს

ბზარავს ქალის ხმა,

რომელიც ფრთხილად

ამოთვლის სიტყვებს.

როგორც პოეტი

ტაეპებზე ზრუნვით დამდნარი

ხელის თითებზე ჩამოირიგებს

მარცვლებს ლექსისას.

„კო-მუ-ნი-სტურ-ად

უნდა აღ-ზარ-დოს

ქალმა დელე-გატ-მა

თა-ვისი შვი-ლი“...

ამოთვლის მცნებებს,

სადელეგატო ბარათზე დართულს,

წლების სიმძიმით

ობ მოკიდებულ კერის ჭვარტლთან

რომლის ბოლშიაც დახვეულია

ხავსის სიჩუმე.

## V

უბმოდ გავყევი  
სადღეღვატო ბარათის უჩინარ ჩანჩქერს,  
ქუჩის ლიანდაგს, ოთახის სიჩუმეს  
რომ გადასტყორცნა  
ცეცხლის ძარღვების შეხეთქება  
მძლე --უნაპირო.  
ფეიქრობ, რომ მეტად საკიროა დღეს ბარათები  
ვიდრე ოცნება ლურჯ ხავერდში გადაფერილი.  
მიწის ნაპირს გადაცილდა  
ცის სივრცეში აფრენილთა მზერა,  
ლექსებმა სიტყვები ველარ დაიტია  
და ეხლა როდესაც გადალაგების დღეებია მკაცრი  
რა საკიროა პოეზიით დატვირთული  
წლების ქრესტომატია  
და ვის რათ უნდა ლანდთა სიმღერა  
„ჩემს სულის გრძნობიერს ლექსებში გავცრი“

## VI

ამხანაგებო!  
მე ასე მჯერა სიხარულის აღესს,  
თეთრ ბარათებზე ნომრების წყება.  
ეს ატარებს ნიშანს რომ გააღნობს ყინვას  
ხუნდების უღეველ რგოლების დამხსნელი  
მზის გზნების მზერა.  
ყველა ფარდულს მოედება  
კითხვები ელვად გატყორცნილი  
და ზღვარ-დაღეულ რიგით აშლილი.  
ჩვენ გადავარღვევთ ხავსიან ყოფას.  
რა დაუმაგრდება რისხვას აუტანელს?  
პატარა ნიშანი ბებერ მსოფლიოს მიზანში იღებს  
და ჩვენ თამამ გადაძახილს უსწორებს ბიჯებს.  
მოველით-მოველით მსოფლიო აღიონს  
აღბათ ყველამ კარგად იცის  
კომკავშირი მუზეუმში  
ხსნის ღმერთების ბაკალიონს.  
ეი! მიწის ბებერო ფენავ!  
საიქიოსთვის მანდატს ვიძლევი.

### მ. ბესოზვილი.

## მქსოველი ქალი.

დაკერილ კაბით ზის ცეცხლის ახლოს.  
ხშირათ იგონებს გაფრენილ დღეებს  
ითვლის პარასკევს, მოელის კვირას  
და ახვევს დღიმში საქსოვათ ძაფებს.

ბრაზდება ხშირად ეშმაკ ვანოზე  
როცა წიწილებს აურევს ფეხებს.  
მოელის ილოს მორიგ კრებიდან  
და ახვევს დღიმში საქსოვათ ძაფებს.

თავსაფრის ყურში ინახავს აბაზს  
რ. ს. ფ. ს. რ. რომ აწერია  
მაქო გადარბის და ძაფებს აბამს  
იწვის შრომაში და უხარია.

დაკერილ კაბით ზის ცეცხლის ახლოს.  
იგონებს დღეებს მოპარულს ძილში  
მაქო გადარბის და ძაფებს ახვევს.  
ძაფები ძაფებს ექსოვა დღიმში.





## ელიზბარ გუგუნიძე.

### კედლების შიგნით.

ამხანაგებო!..

თუ გსურთ ჩემთან ძმობაში ფიცი  
დასტოვებთ ქუჩა, —  
მე ხომ თქვენთვის ბევრი რამ მომაქვს...

მოდით ერთგულად,  
ჩამომხედეთ კედლების შიგნით,  
სადაც

გრდემლია ჩემი მკერდი  
და სუნთქვა შრომა...

ჩემი მკლავები დაძაგრული  
ჩემი თითები,

თავს დასტრიალებს გამთბარ რკინებს  
მუდამ ჟანგისფრად

და ვიდრე  
უხეშ გამეტებით არ აინთები,  
კედლების შიგნით

არაფერი გულს არ ჩაგიკრავს...

მე ვიცი სიტყვა

ყრუ, ჩაკლული, ისევე უხმო,  
როგორც რკინას აღმოჰხდება

გადალუნვის დროს,

მაგრამ მზათა ვარ სიმტკიცისთვის

ძალას მოუხმო,

როგორც კი სევდა შეეცდება

დამისაკუთროს...

ჩემში ფოლადი გაამაყდა  
კუნთებთან ერთად  
და ელექტრონმაც მძლავრი მუხლებით  
გადამირბინა,—  
დამცქერის ქვარტლი,  
რომ ფილტვებში სუნთქვა შეწყვიტოს,  
მე კი ცეცხლებით  
მომავალის ანთება მინდა.  
აქ სულ ერთია—  
სუნთქვა ქალის და მამაკაცის,  
ერთია შრომა  
და სიცოცხლე აღარ გვაფიქრებს,  
გვალხენს სიმღერა  
მუშაობით გამონატაცი,  
ვიდრე დაღალვა  
ჩვენს სახეებს არ გააფითრებს...  
თქვენ კი  
გარეთ ხართ და მზის სხივი  
თვალებს გიკაწრავთ,  
გაკვირვებთ ბედი საუკუნის  
ახალ მატორზე;—  
გჯეროდეთ მუდამ,  
რომ წარსული გადაინაცრა,  
რომ სიახლისთვის  
უზოგველოდ ხელებს ვიკორძებთ...  
ამხანაგებო!..  
თუ გსურთ ჩემთან ძმობაში ფიცი  
დასტოვეთ ქუჩა,—  
მე ხომ თქვენთვის ბევრი რამ მომაქვს—  
მოდით ერთგულად  
ჩამომხედეთ კედლების შიგნით,  
სადაც  
გრდემლია ჩემი მკერდი  
და სუნთქვა შრომა...

## ქ. მღივანი.

### სადარაჯო.

1.

სადარაჯო და გაშლილი ველი,  
ველი თხრილებით გაფრენილი...  
თხრილები ხურდა შუბის წვერებით,  
შუბი შერეული  
სისხლის მოგუდვა.  
ჯარი სადარაჯოს  
დროს და სიმაგრეს,  
გადაათეთრებს ღამეს დათოშინოს  
და არწივივით მოველება  
დილა ფხიზელი,—  
აცოცხლებს კარვებს,  
კარვებს მინდვრათ,  
კარვებს გაშლილს,  
არმიელს ნათევარს,  
არმიელს დაღლილს —  
შემოატრიალებს მზე და ყუმბარა  
გადავარდება მინდორს უსისხლოს  
ტყვია გაფრენა და უნდობელი  
ცეცხლის მფრქვეველი  
ურცხვათ ხარხარებს.  
ხავერდალ ველებს  
გავარდნილი კეცავს ცხენები  
ცხენების მარულა  
და გადაჭრილ გზა ტკეცილებზე  
ასწევენ ხელებს  
კონტრაბანდათ გაპარული ბედაურები.  
— დადექით!!!



2.

სადარაჯოს შუადღე,  
სადარაჯო ისვენებს,  
არმიელი ჩეროში,  
არმიელი წიგნებით,  
წამოწოლილი -  
თვალებიდან ყლაპავს ლოზუნგებს.  
დაუზარელი-დალაგებს  
აზრებს მოვარდნილს  
და გადასერილ ფურცლებიდან  
ხაზავს ციტატებს  
ტერიტორია...  
ბრძოლა...  
კომინტერნ...

3.

შუა ღამე და ცა ლურჯი ცხრილი.  
მთვარე გაკრული,  
როგორც ფაცხაში  
თეთრებთან მოკლულ შვილის სურათი.  
კარავს ხუმრობა.  
კარავს თამაში.  
კარავს ზღაპრები  
და შემდეგ ძილი.  
სერზე არმიელს  
თოფზე დაბჯენილს,  
დარაჯი ღამის —  
ლონდება გული და ახსენდება  
— როცა სოფელში ყორვებთან  
გაშლილ გალავანს  
გამალებული გულის ცემა  
უცდიდა იმედს  
და გადმოველო ღობეს მაღალს  
ქრელ ჩითა ნაზი.

მზეთ მოზიდული  
ღელვა ხუთავს ყანას მოთელილს.  
გათეთრებულა ღამეები ბევრჯერ სიამით.  
უსმენს სიმღერას მინდორი გრილი  
და მორგვებივით  
დაგორავენ ველზე ცხენები.  
— მთვარე ველებს დაკაშკაშებს  
ციცინათელა...  
ღამე მდაგავს ღამე მახსოვს  
ყანის გათელვა—  
ღობეებზე გადაფრენილს  
ჩითის ნაჭერა.  
რძე და ღვინო ღელე ღელე  
შენი დაჭერა.  
ვარ საზღვარზე ვარ ვდარაჯობ,  
უნდა ვიმღერო.  
ორი ზღუდის კედელი ვარ  
მახსენეთ ძმებო.  
მტრის ლახვარი წინა ტყვია—  
პირველს მერგება.  
დედავ შვილმა გასახელა,  
იმღერე ქება.  
გადავაღლებთ კიდით კიდე—  
ძღვევა მოსილ ხმებს.  
ყველგან ვშველით ყველგან ვიხსნით  
ჩვენ დატანჯულ ძმებს.  
მთვარე ველებს დაკაშკაშებს  
ციცინათელა...  
ღამე მდაგავს ღამე მახსოვს  
ყანის გათელვა.  
ღობეებზე გადაფრენოლს  
ჩითის ნაჭერა...  
რძე და ღვინო ღელე ღელე  
შენი დაჭერა.

---

## თამარ ჩხარუული.

### სოფლის კიონერი.

ათოვს სახლებს — ხეებს,  
ათოვს გაშლილ ველებს  
ქარი ქალაღს, ნახევს  
აფრენს ფრინველივით.

არხევს ქოხზე ისლებს,  
ჩაღის ზვინებს მალაღს;  
შემობურღოს ნისლით  
არ ემჩნევა დაღლა.

გადარბენს შარას  
გამოხვეულს თოვღში,  
იქვე სოფღის პირას  
შეიქრება ქოხში,  
სადაც ბუღტავს კიღვე  
ქრახი კერიასთან.

ცეცხღთან, სკამ-ლოღინზე  
სდგას პატარა ვანო,  
დიღდეღის ბოღინზე  
გული მოსღის, ავობს.



დღეს უსმენდა პაწა  
მოხსენებას კლუბში,  
ეხლა იმას ბაძავს  
სიხარულით გულში.

არვის აძლევს ნებას  
ვინმემ დაიძინოს,  
ან როგორ იქნება  
რომ არ მოუსმინონ!

მაგრამ ეს მოხუცი  
ყოველთვის მას არევს,  
ჰყვება გატაცებით  
ის კი დაამთქნარებს.

დასაწყისში ყველას  
უთხრა ფეხზე დგოიით,  
მშრომელების ბელადს  
ლენინს მოვიგონებთ.

მოხსენებას იწყებს,  
მოგონება ათოვს...  
და დიდდელას იწვევს  
მასთან საკამათოდ.

დღეს უსმენდა პაწა  
მოხსენებას კლუბში,  
ეხლა იმას ბაძავს  
სიხარულით გულში.

---



## დავით რონდელი.

### ჭიათურა.

მოვდივართ ამხანაგო სიჩქარით  
ამდენი ხალისით დაღვსილი  
გვედება ჭიათურის სიშავე  
მშრომელი კუნთების ალერსით.  
დაფშენილი ქარხანის არხებში  
შანდაკი ქვაშრიალ ორმოდან,  
შავი ქვა გამშრალი დახრეშე  
გაშლილებს გაიტანს რონოდა.  
მბრუნავი დინამოს ბორბალი  
ღვედის ხმა: შინი შავ შანა შარ  
ითხრება მაღარო ორგანათ  
ორმაგათ ზვინები განაშალ.  
წყალშავა ყვირილა უგეში  
აშავებს ურმების ქარავანს,  
მოვდივართ ამხანაგო!  
გადაუშვი  
ლალუმი დანგრევის ფალავნად

ქუჩების მდინარე: ღრუბლები, მუშები  
ამტან ხერხემლებით  
თეთრი ზანგები.  
გალანძულ ტყავებიდან ამბობენ:  
გვიხსნიან გვირაბები  
მოგების ანგარების გარეშე.  
ჩაროხვილი ბურჟუა  
შეშინებული იკეცება მზიდარულ ბრბოში  
ფოლადის კაცთა ავ მოკარებით  
ტანჯიან ყოფას გადაიტანს უკედავ კუბოში  
ბებერ ქალივით რომელიც წარსულს  
დასტირის იმედებით  
თავდადებული ამბოკარები  
ნახშირის სისხლით ღებავენ დროშებს  
რევოლიუციის წითელ დარებით  
მზის ენერგიით ავარდნილი  
ცეცხლათ ღუმელში.  
ტრიალებს ქიათურა  
საქართველოს გულიდან  
გამძლეა განივთება მსოფლიოს ძმობაში.  
ხურდება რადიოს თარეში  
შავზღვაზე შავი ქვის ტრანსპორტით  
ატანს მუშების ქარავანს  
როგორ მღერის ღინამოს კლავიში:  
შორი. შენი. შრომა. შარან. შარავანდ.

---

ქიათურა.



## ქალაქის და სოფლის შესახებ

მეზარე, გლეხები და პროფესორი.

...როგორც ქივიჯავი მქლე დარებში გაქცეულ დღეზე,  
იხვევს ქრილობას დაქერილი სოველ ფოთლებში;  
ისე მეფარნე მწყემსის დარდით უყვება ქუჩებს  
შავ ნაღველს აქცევს და ხველებით ადის კიბეზე.  
დასისხლავს ფარნებს დროშებივით წითელ სინათლით  
მერე სიმღერით გაანათებს ლენინის ძეგლებს.  
მას ხომ პროსპექტზე ცილინდრები აბუჩად ივდებს.  
თვითონ კი ავდრის მეთულუხე დახარჯავს შრომას.  
ვით მგზავრის ღამე მამაცური, ცხენისკენ იწევს,  
მეფარნე ისმენს ალიონზე ეყენების ჟონას.  
წითელ ლოყებზე გარიჟრაჟი ცრემლებს შეიშრობს,  
ქალაქის ბოლოს სანთელს აქრობს მეფარნე რუხი.  
შეხვდება გლეხებს

ცისფერ გლეხებს დილის ცვარივით.

ბალნის ტყავებით გლეხები ტვირთით  
ენებიან ქალაქის ტალღებს.

უბედურ ტალღებს ჩაბარდება გლეხების ბედი.

როცა ქალაქი იღებება სახლების თავზე,

მზე ამოსული კედლებს ესვრის

წყლის ნავთის ფერებს.

ბედნიერება ვის შეხვდება

ვის კარებს აღებს?

გედის სიმღერით ვინ წაიქცა ნარვალთან ტვირთით!

სამკურნალოში პროფესორი ამართავს დანას

უპატრონო მკვდარს, მეცნიერი გადაჭრის ყელში.

მაშინ გლეხებმა მოინდომეს სისხლის აღება,

ქალაქის ქუჩებს დააბარეს ბრაზით ტირილი:

როცა თქვენ მოკლულს გავასვენებთ ხევსურის მთებში.

**ტყე, მუშა და ბუნარი.**

როგორც სიმწვანე ნაძვებიდან  
თოვლის უცნობი,  
ველება თვალებს  
გაყინული თითების ხაზით.  
ქალაქის ორთქლის თავსაძრობი  
აწვება თვალებს,  
ქალაქის ნისლში თოვლის ბავშვებს  
ებნევათ აზრი.  
ღრუბელთ ბლოკადა გაირღვევა  
სინათლის ბურღით,  
ყომარალი ნისლი გამოაჩენს  
ღრუბლის ალიონს.  
პირახვეული მზე,  
ბუხრის მილებს გარბის ტყვესავით.  
მზე ჩასული ემსგავსება  
ყორეზე ყორანს,  
გლეხი, მაგარი, ტყაოსანი  
ტყეში ქრის შეშას.  
ნაჯახის ხმაზე  
უბრუნდება ბოლი ყალიონს.  
ეს იყო ღამე ზღაპრული  
და სამთვარიო.  
მოვიდა მუშა წერაქვებით  
წყლის წასაყვანათ:  
მოვიდა მუშა  
შეშის ღარზე გადასაყვანათ.  
ეს იყო ღამე უგზო-უკვლო  
გადათოვილი.  
მუშა მდინარის მოტანილი  
ათბობდა ბუხარს.



გლახი, წითელარმიელი და „მაკრატელი“

როგორც ოსტატი ტროტუარზე  
ქვების ჩამყენი,  
გაფატრავს ღამეს ელექტრონის  
სხივების კბილი.

ფიცრებს გაწოლილს ცამწვდენების იტანს ალერსი,  
როცა სარდაფებს ესიზმრება ენგელსის ფერფლი.

ტრამევის ყბები გატენილი

ცეცხლიან ბამბით,

ქალაქზე ბღავის

როგორც ძროხა ძალზე მწყურვალი.

სადაც ურმები გაურბიან ხარების ცურვას.

კოფოდან გლეხი გადასძახის წითელ არმიელს.

შეიცნო შვილი, გარბენილი ძაბრის ქუდებში

და ძაბრის ქუდებს გამოეყო ვაჟკაცი წარბა.

გულის ფანქალო, გასწრაფული როგორც საფანტი.

ქალაქის ამბავს მოუყობა, სიძვირის მიზეზს,

მაგრატლის ამბავს გადახატულს წიგნებში ცნობათ.

თუ მაკრატელი გაუსწორდა ფეხებით კისერს,

მაშინ უთუოთ მოისპობა სიძვირე სოფლათ.

როგორც სანგრებში ჩამალული თვალი მომიზნე,

გლეხი მშობელი უყურებდა წითელარმიელს

და როცა კიდევ ჩაიარეს ძაბრის ქუდებმა

კრემლის თვალებით ჩამოცილდა გარბენილ მხედარს

როგორც ლითონებს გამზადებულს ნივთების ტონით,

ელის ინჟინერს ამოხსნისთვის ხრახნების შიფრი.

მიმაგრებული კოჰკავშირი სოფელზე შეფათ

გააფენს სოფლის შარავგზაზე სტვენას და დრომას.



2

## კარლო კალაძე.

# ჩ ვ ე ნ

## კინო-რომანი საპატრვალოს ისტორიიდან.

### პირველი სერიის ნატეხი.

## სურათი სხვათაშორის.

მამლების ყვილმა ააგორა მზე მთის მწვერვალზე.

დამშეულ ტურას საქათმეში შემოათენდა და შეშინებული ღამეს გაეკიდა.

განთიადისას: წამოდგება მგზავრი უბინაო, ღონე მიღეული წყაროსთან რო იწვა,  
და მთვარის სხივებით დასერილ ქუთუთოებს წყალს დააღვინებს...

სოფელი ამთქნარებს...

ისლის ქოხები დაზარებით ახელენ თვალებს.

— ჭრრ... ჭრრ...

სტირიან კარები.

ლაფარეში: ახალგაზრდა ქალი ქათმებს ეძახის:

— აჯი, ჯიე, ჯიე, ჯიე!..

მას: თვალეები აქვს შუალამის მსგავსი, — დაუწურავი და დაუშრეტი!

ლოყაზე უთამაშებს დაშლილი კულულა, შიშველი ფეხები ქოშებში უწყვია და  
ქანტოლივით თეთრი ხელებით ჭიჭოთ აპურებს...

შუკიდან ალაგეს ვიღაცა მოადგა,

— ვინ უნდა იყოს ამ იალონზე?

მოსულმა შალიდან ცხვირი გამოჰყო:

— მაინძელი!

— ვინ ბრძანდები?

— ეფროსინე, ერთი, სასხლავე მათხუე, აბრეშუმი მაქ დასაპურებელი...

სოფელი იღვიძებს შრომაზე ფიქრით.

სოფელი იღვიძებს და ცალიერდება...

გლეხები თოხებით შარას მიჰყებიან,

— გაძარჯობა!

— გაგიმარჯოს!

გაისმის ირგლივ და ძილით დაბოხებულ ხმით აბამენ საუბარს;—

- გაჩერდი კუტა, გაჩერდი!—მაი რუმ კაი კაცი არაა ქე ატყვია შუბში!
- ქე, ქე, შენ ნუ მომიკტები...
- არ გახსობთ კაცო?! ბურღლუია კუდალას რა უქნა ნაელიობებს.
- ა, ტა! ტა! ტა! ტა! ტა! რაც მაშინ მაგას დედა უსტიქინეს,—თლა გადმოაბრუნეს ძირიან ბუდიანად!..
- იმე, რავა გეკადრება ვაჟო!?
- აპა, რავა გგონია შენ?!.

ფერდობი გადაირეს, მტკივნეული საუბარი ყანას მიეფარა.

სოველი წამოდგა,  
სოფელი ამღერდა,—  
და მაგარი კუნთები  
სამუშაოდ მომართა.

მაღე: შარა გზით „შაფათე“ ჩამოივლის და გააბამს ძახილს:  
— საწვრიმალო! საწვრიმალო!  
სოფლის ქალები შეხვდებიან მას ხმაურობით...

## სამი მეზობელი.

ნაწილი პირველი—პირველი წელი.

**1.** ლარივით პირდაპირი გზატკეცილი უეცრად უხვევდა,—და თხრილის პირზე ლობესთან ატუხული კითხვის ნიშანი ყოველთვის ჩურჩულებდა:—რისთვის?

ამ ადგილს სოფლელები „კუნძს“ ეძახოდენ. ეს იყო: მალალი თხრილით და ეკლიან ლობით შემოკვალთული ეზო, რომელიც ეკუთვნოდა თავად ვამეჰიას...

ვფიქრობ:  
წარსულში ათეულ ვერსიდან გამოქანებულმა გზამ ვერ გაბედა გაერღვია და მარჯვნივ გაილუნა,—  
ვინ იცის?—  
ეხლა:

ქვეის ბაჯგებზე ჩამომჯდარი ოდა ამაყად გასცქერის ჰორიზონტს და მზეს უცინის, როგორც ბებერი არშიყი,—წვერ გაპარსული...

მარცხნივ:

მამა ბართლომეს მალალი სახლია, რომელიც ხშირად ზენა-ქარის დროს, აკვანივით ირწყევა...

შუაში:  
სოლივით შექრილია: ვიწრო ეზო, დაბალი ქოხით.  
წელ გატეხილი და მოკუნტული დასაჯერებელია: იქნებ თავში ჩააფარეს,—რა ვიცი?!— ეს

კია: მეზობლები ერთმანეთს იზიდავენ, და საშინლად აწვეებიან, ლამობენ გასრისონ

ქილარა ქვრივი, რომელსაც ასულდგმულებს 13 წლის მწყემსი შვილი: ბარნაბა...

სოფელს ვარდისფერად თავზე დაათენდა. თავად ვამეჰიას ჯერ კიდევ სძინავს, საბან გადაძრობილი, გაწოლილი ტახტზე ტყლაპივით დასდევს უკანასკნელ სიზმრების სერიას...



ბიჭები დადიან ოთახში ცერებზე. ბარნაბამ ქართიდან ხვალაგი გამორეკა და გოგოს მიმართა:

- რავა დაგიკუსია ქაჯივით თვალები, ჩანთა მეიტანე!..
- დედიას მუაქ.
- ძღაბო!
- ?!..
- გაგიჩდა ძღაბის ჭირი!
- ცუხო!
- ყვაჰიქა!..

ბავში ატირდა, გაეკიდა დედის ნაკვალევს,—და მეზობელი აივანზე წვერს რო ივარცხნის, ორ კაპიციან ტარანივით რათ ილრიჭება? სიცხე მინდორში გაწოლილი ზანტად იზმორება...

ჩრდილოეთს ღრუბლები კვამლივით დააწვა, და მე მგონია ღმერთა ყალიონს ეწეოდა ლამიან დილით...

## 2. ეს იყო ერთხელ...

კაბა აკარწახებული გადათელილ ღობეს ასწორებდა.

მზის ალესილი სხივები ესობოდენ მხურვალე მკერდს და ოვლად დაღვრილი, მლაშე ნაკადულებათ ჩარბოდენ ძუძუებს... ქალიც შეისვენებდა ხშირად და წითელ წინწკლებიან თავსაფრით აშრობდა მოვარდნილ მღვრიე გუბებებს.

ის მაშინ სარს აწვევებდა როცა მოესმა:

— ქალო, რას აკეთებ,—  
ასე დანასტიერებული?!.

შეკრთა, არავის მოელოდა.

შუბლი შეიკრა და წარბებიდან შეხედა მოსულს;—

- ბართლომე!
- რა, არ გიამა?
- ჩემი ოჯახის მოსისხლე მტერი!
- არ გიამება?
- გამშორდი!
- აქ რას აკეთებ?
- რასაც ხედავ
- ვხედავ რომ მიწა მოგიპარავს.
- ქურდის წინ ვდგევარ!
- ღობე წინ წამოგიწევია.
- პირიქით.
- ციდა ნახევარი მიწა წამართვი!
- სტუჟი!
- ღობეს დაგირღვევ!

— ნებას არ მოგცემ!

— ვნახოთ...

და მან გარდატეხა ღობის ხერხემალი.

ატირდა ქალი, უილაჯო ძლიერის წინაშე:

— ჩემი ორი ღლის ქაპან-  
წვევტას წყალში ნუ მიყრი!

იგი კი: ხარხარებს. ღობერი იშლება.

— მოგკლავ!

დაცინვა.

ქალი შეტოკდა, გამწარებით იკბინა ცერზე! და ალეწილი, დაკოდილი ვეფხის ნახტომით ეცა წვერებში! — მაგრამ წინასწარ გამიჯნული სარი ელოდა...

კიდევ წუთები...

და შუბლ შეღებილი თხრილში გადავარდა! —

იქ სადაც ეყარენ:

ღობის ნამტვრევები, — როგორც: შრომით დაოფლილ ღღეების მწარე მოგონება...

### 3. მიზნედილ ჭრაქს ეყვინთება...

კერიასთან ჯრიკოზე ზის ბარნაბა და ცეცხლს მისჩერებია, —

ზარმაცი კვამლი გველივით იგრიხება, ხანდახან სახეზედაც შემოეხვევა, ისედაც სეფდიან თვალებს ცრემლებით დაჰბანს და შემდეგ დისკენ გადიღუნება, რომელიც გაფიცებულ ღომს ნახალში ყველით გემრიელად მიირთმევს, მაგრამ, შეწუხებული კვამლის ალერსით, ხელებს იქნევს და თან ტიტინებს:

— იქეთ კვამლი, აქეთ თაფლი, —

იქეთ კვამლი, აქეთ თაფლი!

კვამლიც ჯერ ნაჭას ეტმასნება, შემდეგ ოჯინჯალას და ბოლოს მეგრელივით გაძვრება ცხვენში...

ბარნაბას ფიქრით დამძიმებული თავი ხელებში უკავია, — აგონდება: ზაფრანის ფერი იღვა სასამართლოს კარებთან, დედასთან, ერთად, — რომელიც ფეხზე ძლიეს მაგრდებოდა...

ო, რა გძელი იყო მაშინ ყოველი წუთი!? როგორ სვამდა მოლოდინი მოთმინების წვეთებს?! როგორ დაბეჯითებით უყურებდა კარებს, რომელიც ბოლოს და ბოლოს როგორც იქნა გაიღო და ჯერ გამოჩნდა: ვიღაცის მუკელი ყვითლად ჩაფოლაქებული, შემდეგ: ფეხები, დასასრულ: თავი რომელზედაც ერთი ღერი ბალანი დაქანაობდა.

— ბარნაბა მეძინება, დევიძინო?

ეკითხება უცებ და.

— დევიძინე!

უგემურად უპასუხებს და ისევ ჩაქინდრავს თავს.

მაღე სტოვებს ოთახს, ალაგეს გადასული მოსწყდება სოფელს.

უეცრად: ფეხებთან ეთხრება უფსკრული, ქარია საშინელი, — რისხვით დაბერილი უნდა გადავარდეს, ფეხმა მიწა ჩახრილა, მაგრამ, იზრდება, კუნთები უმაგრდება,



უცებ უღვაშები ამოსდის და კოსტიას რო გრძელი ხანჯალი აქ ვილაცა იმას ჩამოჰკიდებს წელზე... ირგვლივ სიბნელეა უკუნი...

ირღვევა სივრცეები... მოჰქრიან ჯვრები, ყორანივით დათარსული შავი ჯვრები! ეპოლეტები, გვირგვინები, და პირღია კუმბოები...

შორს, საღდაც კნავის შავი კატა, ბრჭყალები სისხლით აქვს შეფერილი. ახლო-ვდება, იზრდება, იბერება,—და უცებ მის წინ: ბართლომე.

სიჩუმე. ჟრუანტელი...

ბარნაბა სდვას როგორც საშანელეა და ამბობს დინჯათ:

ბართლომე ცახცახებს...

დუმილი იდუმალი.

მწყემსის თვალბუბოში სისხლის ხაზები ელვარებენ, ლელავს,

და აჰა, იძრო ხანჯალი,—

მაგრამ მოესმა:

— რათ დააშავე სასიკვდილოთ მშრომელი ქალი. რისთვის გვიჩივლე, რათ წავგართვი ჩვენი ოფლით გადახნული მიწა?!

— შვილო... წყალი... წყალი!..

ხანჯალი უვარდება,

ბართლომე ქრება,—

და განაწამები დგება სინამდვილის წინაშე.

უსწორო ნაბიჯებით მივა ურდულთან,—კარი დაიკვნესებს...

#### 4. გარეთ:

სიმილით ზე კვანთი გაძეძვილი ფარღიანი ურმები უკვე აღარ ჰქრიალებენ... სიჩუმეა... მხოლოდ ვენახში ვილაც დახეტება და ფოთლების ხველი შრაალი ჟრუანტელად ედება გაძარცვულ ვაზებს,—უთუოდ გაიოზია, რადგან ყოველთვის დაღამებისას მთვარეულივით დაბროდილობს... — ის არის.

ვილაცას ელოდება...

იცნობდეთ:

სემინარიელი, რომელიც სამი დღის წინად ჩამოვიდა „ქალაქიდან“ და ეხლა გობის ნატეხივით ყვითელ მთვარეს შესცქერის,— სტკბება პოეზიით,—

მაშინ, როდესაც მისი ამხანაგები, ორი წვერის ჯამის კვადრატს ზუთხავენ...

ო, ო, მეგობარო მისი ისტორია უეჭველად ტრრრრადედიის ნატეხებია; მან ვერ აიტანა სასწავლებლის მძიმე კედლები, ვერ აიტანა რეჟამი!—კერძოდ: მასწავლებელი რომელსაც „ინდაურს“ ეძახდნენ და კლასი დასტოვა სრულიად უბრალოდ: ეხლა:

კარ გადარაზული, სოფლად,—

მტრედებზე ნადირობს.

იწვის სიყვარულის ჩაუქრობელ ცეცხლით,— თუმცა მართალია: მისი სატრფო, სოლომონ მეჯღანუაშვილის ცოლს უფრო ჩამოგავს ვინემ ცხონებულ ტარიელისას მაგრამ, ხუმრობის გარეშე უნდა ითქვას გაგიყვებით უყვარს და—

ერთხელ ფეხსადგილში: ჩერნიშევსკის «ЧТО ДЕЛАТЬ»-ს ფარულად კითხულობდა. გაიგეს, დაიჭირეს და ჟურნალში მის გვარს ხაზი გადაუსვეს...



უკაცრავი პასუხია პოეტი  
რომ იყოს, ლექსებით შეამ-  
კობდა...

ეხლაც მასზე ფიქრობს,  
ახსოვს:

დაძინებისას გადახურულ კიშკართან თამაშო-  
ბდენ „კოდლოობიას“ მან ხელი დაარტყა,—

დააკოდილა და მოჰკურცხლა!—

იგი დაედევნა, უნდა დაჰკენტოს,—ასეთია წესი თამაშობის. მირბის... მისდევს...  
დაეწევა,—

ხელი მოუქნია კიდევ, მაგრამ,— გეფიცებით:

სრულიად უტაბედათ ქალი მოტრიალდა და მოხდა მარცხი:

ხელი მოქნეული ათქვირებულ ძუძუზე მოხვდა... შეტოკდენ...

ქალი აიღეწა.

ვაჟი გაწითლდა...

შეხედეს ერთმანეთს და იგრძნეს შეყვარება...

ღამისთვის მშვენიერი სიზ-  
მარი მზადდებოდა...

მოგონება დასრულდა.

გაიოზის ლოყებზე ღიმილი ჩამოიწურა და  
დაფიქრებით მოავლო თვალი ჰორიზონტს.  
ლობზე გადახტა და შარას გაჰხედა.

ცის დასავალთან ვიღაცა გამოჩნდა.

აღარ სჩანს, იგვიანებს...

— კაცია თუ ქალი?—არ იცის ეშმაკმა.

დაეჭვდა, გაიქცა,—სიშორე შეამოკლა...

უცნობი: ტუჩ მოტეხილ ჩაფით,—წყაროსკენ მომავალი დადინჯებულ ნაბიჯებით...  
დაუახლოვდენ...

იგი შეჩერდა და სიბნელეში იცვნეს ერთმანეთი:

— ბარნაბა!?

იყო: გაკვირვება და საშინელებით დაწურუ-  
ლი წუთები...

— გაიოზ!?

ბარნაბას თვალებში სისხლი აუფარდა, ხელები

დაკუმშა და გამოექანა!..

გაიოზ იდგა შეურხველად...

მართლა დამავიწყდა, ადრე უნდა მეთქვა, იგი ხომ შვილი იყო  
ბართლომე ზადაძის...

## წითელი ჭინკები.

ნაწილი მორკა—მორკა წელი.

**1.** ხიკორამ გარდუვალი კანონი გადალახა; წაბლის ფერ უშობელს თვალი და-  
უჰაქუნა, მწყენსი გაბრაზებული სახით გაექანა,—  
რომ უცებ მოესმა:

— ბარნაბა!

შეჩერდა;—

- ლოდინით დავბერდი.
- მე ძებნით,—რა ვუყოთ...
- რათ დავაგვიანდა?
- მამაჩემს ხომ იცნობ რა შვილიც ბრძანდება?!.—დამიჯდა მომიყვა: ცისას და ბარისას...
- გეტყვოდა: ხელმწიფე მეორე ღმერთია...
- და ისე ძლიერი, ისე უწმინდესი...
- როგორც უფალის უცოდველი საკურთხეველი...

ჩამოჯდენ. მღუმარეთ შეხედეს ერთმანეთს...

— გახსოვს შარშანდელი?...

— ?! —  
— დანა რო ალესე სისხლის ასაღებად.

- და შეგხვდი შენ!...
- მაგრამ, შებრძოლების ნაცვლად გადავწყვიტეთ: ძმობა, დაწყვილება.
- რომ ნამდვილ მსახეზე მიგვეტანა მძლე იერიში.
- რომ გაგვექრო ნამდვილი მტერი!..
- ეხლაც მზადა ვარ!
- გამიგონე..

მეგობრის ხელი გადახვია მეგობრის კისერს, და დიდხანს იჩურჩულეს... შორიდან მოისმა ყრუ გამოძახილი...

— მგონი მეძახიან.  
— დროც არი წახვიდე.  
— ჭალაში შევხვდებით ერთმანეთს ნავახშმევს.

გაიქცა.  
ბარნაბა წამოდგა ღიმილით,  
სახრე გადუქნია ნიშას რომელიც ყანამ ჩააფიქრა, და გადაწყვიტა:  
— მიხვდება სოფელი, რომ გადაინგრევა მე-

ფის ტახტი,—ასე ადვილად...  
ღელიდან ბავშვების ჟრიამულს მოჰქონდა: მწვანე გაზაფხულის ძალა ჩანჩქერული...  
ვილაც გადახტა ბოვირიდან კისრით.  
ვლაცა მიაპობს ჩქერებს მხარულით...  
წისქვილთან ბავში კიბოებს იჭერს.  
ბაყაყი მოუკლავს. (უთუოდ წვიმა მოვა). შუაზე გაჩეხილს,—გადატყავებულს, გადაბმულ ჟღერით უშვებს მორევში, სადაც მუხის ფოტრო მესე გაზაფხულს ხვდება ავით მყოფი...  
ბარნაბამ შეხედა თვალზე დაყვლეფილ კიბოების ხაფანგს და როგორღაც ბართლომე მოაგონდა...

**2.** ისინი შეხვდენ ერთმანეთს ლანდებით,—დაყნოსეს სივრცე და გაჩდენ საყდართან. საჭმიან თვალებით გაზომეს კედელი და აჩურჩულდენ:

- ავიდეთ...
- ავიდეთ.

— მიპოჭკინე.  
 — აუჩქარდი!  
 აცოცდენ. მთვარეს გაეცინა და მიიმალა...  
 უკანასკნელ ღონეს იკრებდა ტრაპეზი, არ სურდა სიკვდილი და გადაგორება,  
 მაგრამ, მოსტეხეს გვერდი უმაგრესი და ავი ღრიალით იატაკს დაეცა!  
 კუთხეში იპოვეს ბოთლი საცოდავი და პეტრე  
 მოციქულს გადაასხეს ღვინო წვევებზე...  
 დიდხანს ისეირნეს აფორიაქებით.

უთუოდ წუხელი დიაკონს  
 დარჩებოდა:

დანებით დაუჭრეს წმინდანებს მუცლები!—და ბოლოს მონახეს ისევ ფანჯარა,  
 მაგრამ,—მოესმათ:  
 — მიყვარხარ.  
 — ვგიჟდები.  
 — გვრიტო,—  
 — მარგალიტო...

კედელს მიყრდნობოდენ მხურვალე ალერსით და ტუჩებს ალბობდენ კოცნისფერ  
 კოცნაში.

— დასწყევლის ღმერთი!  
 — თავის დატყვევებაც თუ გინდა,—ეს არის.  
 — აღარ მიდიან?!  
 — აღარც წავლენ.  
 ელამად ოდნავ გადაიხაოენ,—შეხედეს ერთმანეთს და გაეცინათ.  
 — ის ხომ ტასოა?!  
 — ჩემი თინათინი...  
 — შოლალატე ..

— უსინდისო, ტუჩზე ჩემი კოცნა არ აშრობია და ეხლა სხვას ჰკოცნის.  
 ჩაიჩურჩულა გაიოზმა. რომ აღარ უყვარს...  
 — მოდი!  
 — დაიცა...

წვალეებით მოიტანეს ხატი ფანჯარასთან, და უცებ მოხდა სასაცილო საშინელება:  
 ღვთისმშობელი დაეცა თავზე შეყვარებულებს,—  
 ლანდები გადახტენ და გაჰქრენ ღამეში...

**3.** მაღალი ღობიდან გადმოხტა ვილაცა და შარას გაეკიდა უსახო ლანდივით.  
 მთვარე გადაწოლილი ღრუბლების მკლავებზე, დაეკვდა, შეირხა და დაედევნა.  
 მიზანი იცდიდა დაკეტილ ჭიშკართან, ხმაური მისდევდა ნერვიულ ნაბიჯებს რომ  
 უცებ გაისმა ზარივით:

— ვინ მოდის?!  
 და თხილის ბუჩქებმა ლან-  
 დები გამოისხეს.

შეჩერდა;—  
 — ვინ არის?!  
 წავიდა.  
 — შეჩერდი!



მაღალი ნახტომით მავალთან დაესო,—ჯერ ერთი უეცრად და მერე მეოცე.

— სალამი!

— სალამი!

„ჭინკებმა“ უჩქმიტეს ერთმანეთს ფარულად.

— როგორ?

— მამაშენს მსურს შევატყობინო!

— ხომ არ გაგიუბუღებარ?!  
— ?

— ?

— შენ დაგაბრალებენ.

— სად მიეჩქარები?  
— გაიგეთ?  
— ?!  
— ჭინკებმა საყდარი აიკ-  
ლეს!

— მიცნობენ რომ ვარ მორწმუნე!—

— და მაინც...

— სოფელი უნდოა...

— სჯობს რომ დაბრუნდე.

დაშორდენ. ჩუროჩულით ორღობეს გადაჰყვენ. და ახალგაზრდა რომელმაც საყ-  
დართან ნერწყვი ვერ გადაყლაპა, დარჩა ადგილზე როგორც: იღუმალი გაკვი-  
რება კითხვის ნიშანით.

#### 4. მზის ამოსვლისას დარეკეს ზარები,—

უძილო სახით მოვარდა სოფელი და ინტერესად შემოირკალა. როგორც მწუხარება თეთრად დაპენტილი, მოფეული კარებში იღვა ბართლომე... და შეშინებული მნათე წმინდანობის დასამტკიცებლად მეასედ უამბობდა უწმინდეს სიც-  
რუეს:

— მეძინა. უეცრად მომესმა ძახილი. შევხედე: მიხმობდა მიქელ-გაბრიელი. მი-  
ბრძანა. მივეყვი უთქმელად ფეხდაფეხ! ზოგმა სასოებით პირჯვარი გაღიწერა.  
ვიღაცას უღვაშებში მორცხვად გაეცინა.

— ჰიშკრამდე მისულს თავზე დაგვათენდა. გაქრა მოჩვენება და გამომეღვიძა...  
ვიფიქრე ვინახულებ დილაში საყდარს. წამოვდექე. მოვედი. და ვნახე რასაც ხე-  
დავთ... ბართლომე აკანკალდა:

— ღმერთო დაგვიხსენი!

და მისი მწუხარება ხალხმა გაინაწილა...

— ეკლესიაში ავი სული დაბუდებულა!

ამბობს მოხუცი.

— საყდარი უნდა განიწმინდოს.

ადასტურებს ვიღაც.

ღვთისმშობლის ხატი მოიტანეს შუბლ გატეხილი...

იჩოქებს ბართლომე სასოებით, მოსუსტებულ ლოცვით.

უცებ: ლოყაზე დაგორდება მღვრიე ცრემლი როგორც ვერცხლის წყალი და წმი-  
ნდა მამა, ქურდულ გამოხედვით დაზვერავს ხალხის შთაბეჭდილებას, მაგრამ:—

სიჩუმე დინჯი, ჩაფიქრებულ-  
ლი.

ქალარა მუხის ქვეშ ქალები შეკრეფილან... და  
საბრალოა ის ახალგაზრდა, რომელსაც შეამ-  
ჩნევინ...

ერთი: ლოყაზე ხელის მიდებით თავს გადააქნევს, მოშლილ ტუჩებიდან გადმო-  
ხტება სიტყვა,—პატარა, ნიკის ოდენა და გაშლილ კალთაზე ლეკურს დაუვლის...  
მეორე: რალაცას ჩაიპუტუნებს (ალბად შელოცვას) წუთების შემდეგ: ცხვირ ჩა-  
მოგრძელებული, თვალებ დაბრეცილი მჯავე კიტრის ფერი არსება აიფუყება  
შუაში და ყოველ სიტყვაზე იბერება,—სივდება ტიკივით. იქნებ მას ვინმემ კუ-  
დი გამოაბას, მაშინ შეიძლება, ამ ცხოველს, ჩემის აზრით,—

ქორი დავარქვათ...

ჯგუფს ტასო მიუახლოვდა...  
ლოყა ახვეული...

— ძღაბო ვინ გიკბინა ლოყაზე?

— ეკალმა გამკაწრა გუშინ.

— სტყუი გაიოზი გაკოცებდა.

— დიახ, მანამდე დაწვეს და არ ადგეს.

— იქნებ ძილში დაგემართა, ამბობენ წუხელ ქინკები დადიოდენ სოფელში.

ტასო მოტრიალდა სირცხვილისფერი რომ ლაპარაკი ბანჯე აევლო;

— წრეულს მოსავალს კარგი პირი უჩანს...

მზემ თავი საყდრის ჯვარზე ჩამოიხრჩო...

თავად ვამეჭიას საათმა.

რომელიც ყოველ რვა საა-  
თზე არღანს უკრავდა ჩო-  
ჩვით მიაღწია შვიდამდე.

ჩემის გამოანგარიშებით:

წესიერად მავალი ისარი ცხრას გადასცილ-  
დებოდა მეოთხედით...

ყაყანი მიწელდა,—ხალხი დაიშალა...

თოხები უცდიდენ მშრომელებს მოპირული...

ყანები ბიბინებდენ: სამარგელი, სამოროდო.

ჯგუფებს მიჰქონდათ შარაზე საუბარი:

— ჩვენში დარჩეს და...

მღვდელი ცოდვილი გვყავს...

— ღმერთი სჯის უთუოდ.

ილარიონმა მხრები აიჩეჩა;

— ვერაფერს გაარკვევ.

— მე კი აღარ მწამს ანგელოსი და არც ეშმაკი!

ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ და როცა დაინახა არავინ უწყრება,—დაჟმატა:

— არც ღმერთი!—ღმერთ-  
მანი...

ალაგეს ნახევრად გადასული გლეხი მეტის და-  
ფიქრებით კიევას იფხანს, ახლად აბიბინებულ  
კოლინდარში შეამჩნია გროვა ჩონჩორიკის,—

ბრაზობს—დარწმუნდა: უთუოდ ბართლომეს ჯორი იქნებოდა... და სრულიად  
მოულოდნელად ჩონჩორიკისგან აშენდა საყდარი...

წარმოუდგა: დილით გაგონილი ამბავი.

ყალიონი მოსწია ხარბად, გააბოლა და მადიანათ გადააფურთხა... ნაფურთხმა  
დაჰფარა ეკლესია. ნაფურთხში დაიხრჩო ტამარი.

გლეხს გაეცინა და გულზე მოეშვა.

შუკიდან გამოჩნდნენ „წითელი ქინკები“ რომლებიც: დაძვრებოდენ ხალხში  
ხვლიკებივით და ჰკრეფდენ სოფლის შეხედულებას...



## შედეგი: წლის უამდეზ ლეგენდა საქდარზე.

ცეცხლის ხანჯლები ესობოდენ კვამლის ბალიშებს.  
ქალები ისხდენ ჩაწკაპულად და „საქნარობდენ“—  
ზამთრის ღამეში კერიასთან იწოდენ ზღაპრები და კარდალაში „სირის კული“  
იხარშებოდა...  
მაქსიმამ დაიწყო...

— იყო და არა იყო რა...  
— შენს უკეთესი რა იქნე-  
ბოდა?

— იყო ერთი პირშავი მღვდელი და დიაკონი,  
რომელიც „მამაო ჩვენო“—ში დედას ივინებო-  
და. ცხოვრობდენ ღვთის მადლით; დიაკონი  
ღიაკენობდა, მღვდელი მღვდლობდა, მაგრამ

ყოველ დაძინებისას, სად იყო სად არა,—მოკუნკულდებოდა გარუჯული ჭინკა,  
გულზე მაცდურად დააკუნცხდებოდა და სამჯერ ზედიზედ დააცხინკებდა!..  
ვიღაცამ დააცხინკვა...  
უმალ მიამახეს:

— თხის კული.

გაეცინათ.  
— შცშინებული ცოლს დაუძახებდა.  
— და ლოგინში სიამოვნებით შეუგორდებოდა...  
პელაგია მ პირზე ხელი მიათარა  
მაგრამ ისმოდა:

ცოლიც ეშმაკურად ჩაიცილებდა,

— უი მისპე!

— ვნებით გაღუწევდა აბურძგვნილ წვერებს და კოკობ ტუჩებს ანცად ჩაწუწ-  
ნიდა, შემდეგ მოჰყვებოდა ალესილ ალერსით: რომ მის გულისთვის როგორ ჩა-  
უყარა ლობიოში „სტრიხინა“ პირველ ქმარს და სული გააცხებინა.

— ეს ხომ ნამდვილია!  
— ზღაპარი მუდამ ნამდვილია,—თუმცა ლამაზი.  
— სოფელში წარსული ყოველთვის გაზღაპრდება.  
— დილით გავლილს, საღამოს ზღაპარს დაგახვედრებენ.  
— თავს ველარ იცნობ...  
— ან ანგელოსად გარდაგქმნიან და ან ეშმაკად,

— ის იყო უფალმა პირი დაიბანა და ცისარტყელით ხელებს იმშრალედა, რომ  
შეატყობიეს წმინდა მღვდლის ამბავი!—რისხვით აიშალა დარდი მწუხარება და  
იგი დასწყევლა!

— შემდეგ?  
— საყდარში დაბუდდენ წითელი ჭინკები.  
და ერთხელ როდესაც ცხრა წვერა დიაკონს საკურთხის წაღება ბედათ დაავი-  
წყდა,—ჭინკები ჩაუჯდენ გულეში წმინდანებს. უთუოდ დიდი იყო საქმელის  
წადილი როცა კედლებიდან სწრაფად აიშალენ და სუფრა გამართეს, დაიწყეს  
ქეიფი.  
დათვრენ სურვილებით,—ვნება აითაფრეს.



პეტრე მოციქული ღვინოში გაცურდა და წმინდა ნინოზე მოუხდათ შებრძოლება. დანებით დაუჭრეს ერთმანეთს მუცლები...

— ჩვენი ეკლესია!

— ჩვენი წმინდანები!..

ფატის ჩასძინებოდა, დაძახულ ძაფზე დაკიდული თითისტარი დამრჩევალ კაცივით ქანაობდა მუცელ გაბერილი.

მას გაღიმებული თვალები შემოეხვიენ ირგვლივ...

ელპიტე წამოხტა — „მოუსვენარი ტალღა!“

წუთების შემდეგ ლიტრიდან მოისმა წყლის სიცილი და ხერხემალზე დაგორდა ნაკადი, კისრიდან, — ცივი როგორც გურჯანელ ქალის გული...

ფატია შეკრთა!

წამოხტა შეშინებით!

— სირის კუდა!  
ძილის გუდა  
მა სირის კუდაო...

მოუმღერეს ქალებმა...

გამოფხიზლებულ თვალებიდან გადმოხტა სირცხვილი, ლოყები დაირბინა და შერჩა ყურებს. ყველამ ტუჩები გადირაზა. ფატიამ თავთავით

დახარა თავი.....

მაქსიმა კი ღერღავდა მოშლილ წისქვილივით:

— როდესაც ღვთისმშობლის ხატი აუჯანყდათ, გინებით ფანჯრიდან გარეთ გადაადგეს.

— მღვდელს რა დაემართა?

— ჩაკეტა მაშინვე თავისი სავანი, — არავის იკარებს მარადი მლოცველი...

კარები გაიღო...

ქარი შემოვარდა და ქრაქი ჩააქრო.

დაბნელდა. ფანრით შემოვიდა ვილაც. მიმართეს ხუმრობით:

— შენ ძმობილო, ზღაპართან ერთად სინათლეც ჩაგვიქრე.  
— მაგრამ მოვედი უკეთეს ნათელით და სინამდვილით, — იცით მე ვინ ვარ?  
— ?!  
— წითელი ჭინკაა! — მე კარებიდან მოვისმინე თქვენი ზღაპარი — უსმინეთ ჩემსას —

და მან გაღიმებით სახე გადაიხსნა, — ეს იყო ბარნაბა...



## მზის პირველი გაელვება დასავლეთის ცაზე.

ნაწილი მისამე—მისამე წელი.

### 1. სოფლად:

ჯერ კიდევ უცხო ცხოველი იყო „ცოციალა“ და რქებით დადიოდა, როცა ქალაქი: კვამლის ბალიშებით დაბურული მზად იყო აფეთქებისთვის და ვიწრო ქუჩებს, შუა ღამით დაჰყავდა სისხლით დაბერილი უკმაყოფილო თვალები...

უჩინარის ხელით გაკრული, ქალაქის ნახევრი,—რომელიმე კედელზე, ემუქრებოდა შთავრობას ბრძოლით....

მაგრამ,—საჭიროა დავსვა წერტილი...

(შენ შეგიძლია დალიო ცივი წყალი ამხანაგო!—თუ გაჯავრდები).

**დათავდა რომანის უმნიშვნელო ნაწილი და იწყება:**

**მზის პირველი გაელვება დასავლეთის ცაზე.**

ო, უსათუოდ,—მონაწილე ვარ შენი მწუხარების, ეხლაც მაგონდება: ნაღვლიანი სახე, მეთასჯერ რო ღეჭდი დაბერებულ ამბავს საყდარზე...

გადაწყდა კინო ლენტი.

ანონსი: დაუსრულებელი გაგრძელება რომანის.

1924 წელი.

შემოდგომა.

ელიზბარ გუგუნიანი. (პოლემორფიზმი).

## სიცოცხლე ცეცხლში

(მოთხრობა)

### მეი სოფელი.

მზესთან ერთად მაღალ მთიდან გადმოდის სანდრო. მწვანე ფერდობზე იშლება ცხვრის ფარა. ქვეით ნაკადია მხიარული, უფრო ქვეით კი მოწყენილი ბებერი მუხა. შეიძლება ცხვრები სადმე ხევში გადაიკარგენ; ეს თითქოს არაფერია... მუხის ძირში წვევა სანდრო, ხშირ ტოტებიდან შესცქერის მზეს, — ფიქრობს: რად ანათებს? რად ათბობს? რა არის იგი? მაგრამ ბავშია და ვერ ხედება...

ეს იყო ყოველთვის, როდესაც მუხა ხედავდა მზეს, როდესაც სანდრო მის ჩრდილში წვებოდა.

ერთხელ სანდრომ დედას ჰკითხა:

— დედა!. რა არის მზე?..

— ცეცხლია, შვილო, ცეცხლი...

დედამ უთხრა: მზე ცეცხლია, მასაც სჯერა, სჯერა იმიტომ, რომ დედამ უთხრა.

— რა კარგი ყოფილა ცეცხლი!.. ფიქრობს, სანდრო და განაგრძობს თავის სიცოცხლეს...

მან სრულიადაც არ იცის თუ რა ხდება სოფელს იქეთ, თუ რა ცეცხლია სოფლის მზის გარდა. მხოლოდ, როგორღაც გაუგონია ომის შესახებ, სადაც მისი ძმაც წასული არის. და ერთხელ მოვიდა ამბავი, რომ სანდროს ძმა ცოცხალი აღარა ჰყავს.

მისთვის ესეც არაფერია, რადგან: ომში ადამიანებმა გააჩინეს ცეცხლი და ამ ცეცხლში მოკვდა იგი. მერე რა რომ მოკვდა? მოკვდა იმიტომ, რომ ცეცხლს ვერ გაუძლო...

რა უყოთ რომ ასე ფიქრობს? ის ხომ ბავშია...

დროს კი ჩვეულებრივად ატარებს და ხშირად მზის ამოსვლისას, მუხის ტოტებიდან შესცქერის მზეს, სინჯავს და სჯერა, რომ მზე ცეცხლია...



ეს იყო მაშინ როდესაც წელიწადმა განვლო. სოფელი ჩვეულებრივად იღვიძებდა და იძინებდა მზესთან ერთად. გაღვიძებისას ავტომობილით შემოვიდნენ, თან წითელი ბაირალები შემოიტანეს. სანდროც აქ იყო. უცქეროდა უცნობ ხალხს და ხედავდა იმათ თვალებში ჩაუქრობ ნაპერწკლებს...

ერთი მათგანი ხმა მალლა გაჰკვივის:

— ამხანაგებო, ჩვენ მოგიტანეთ თავისუფლება!..

დიდებმა გაიგეს მისი ნათქვამი, ბავშვები ვერ მიხვდნენ, ვერ მიხვდნენ იმიტომ, რომ ბავშვები იყვნენ, მაგრამ მაინც უხაროდათ, იცინოდნენ, ხტოდნენ...

— ძია, კარგია თავისუფლება?.. არ არის შიგ, ცეცხლი?..

— არა ბავშო, ცეცხლის მაგიერ სიყვარულია..

— მე კი მეგონა ცეცხლია მეთქი...

— მერე რად გინდა იგი?

— მიყვარს, იმიტომ რომ მზეც ცეცხლია... მოსულს გაუყვირდა ბავშვის უცნაურება, დაეკითხა:

— შენი სახელი?..

— სანდრო...

ჩაჩუმდნენ. მებრძოლის მკლავებში განაბული, — ბავში ჩაფიქრდა.

— ძია, წამიყვანე თან. მე მინდა ვნახო თავისუფლება! —

იყო სურვილით დაქედილი ჩურჩული.

— და მერე დედა?..

— დედა აღარ მყავს.

— არც მამა?..

— არა...

— მაშ კარგი.

რამდენიმე წუთის შემდეგ სანდრო მიჰქროდა სოფლიდან სადღაც, შორს სხვა სიცოცხლეში. მიჰქროდა და შესცქეროდა სოფლის მზეს, შესცქეროდა ბებერ მუხას, შორდებოდა იმ ადგილებს სადაც აიზარდა...

### ცეცხლი ძალაქში.

ქალაქი სანდროსთვის ნამდვილი უცნაურება არის. ეს არ ჰგავს სოფლის სიმწვანეს, სოფლის სიცოცხლეს... ხედავს უამრავ ხალხს, ავტომობილების გიჟურ სისწრაფეს, ტრამვაის ლირიტს, ეტლების ხრიალს, ხედავს სიცოცხლეს ახმაურებულს და უხარია, უხარია და ფიქრობს:

ეს ხომ ცეცხლია, ნამდვილი ცეცხლი...

ესენი ხომ ცეცხლში სცოცხლობენ...

ელექტრო სადგურზე მიბარებულს მეტი სიხარული არ განუცდია მანქანე-ბი, რომ დაინახა... უცქერის ბორბლების ტრიალს, უსმენს მის ხმაურს, თითქოს

ქარხნის სუნთქვაც კი ესმის, სურს მანქანებთან ახლო მივიდეს, რომ დაუახლოვდეს, შეუერთდეს, მაგრამ მასთან სდგას ვიღაც შავი, საყულო გადახსნილი, მკერდზე ოფლის შავი წვეთებით და ეუბნება:

- ახლო ნუ მოხვალ!..
- რისთვის არის ეს მანქანები?
- ცეცხლის მაგიერობას სწევს. ვანათებთ ქალაქს ისე როგორც მზე.
- ცეცხლის მაგიერობას?.. რა კარგია აქ მუშაობა, აქ სიცოცხლე..
- კარგია და იმუშავე. უპასუხებს საყულო გადახსნილი გულში კი ფიქრობს: ჩამოგედინოს ასე ოფლი და მაშინ სთქვი კარგიაო.

რამდენიმე თვეში შეიჩვია ახალ ამხანაგებს, ახალ შრომას. და შეუყვარდა კიდევ. ის თავს ევლება მანქანებს და როგორც ყველა იწმენდავს მკერდზე ჩამონადენ ოფლს. გადის თვეები, გადის წელიწადი, დგება მაისი. ზემობს სანდრო ამ დღესასწაულს, ზემობს სიხარულით. მან უკვე იცის რა არის თავისუფლება, რა არის მაისი, იცის და ამყობს, რომ თვითონაც მონაწილეა ახმაურებულ სიცოცხლის. სწავლობს სიმღერებს და მღერის ყოველთვის, როდესაც მარტოა, მღერის როდესაც მუშაობს მანქანებთან, მღერის და თითქოს ბორბლების ხმაურს უხმატკბილებს თავის სიმღერებს, თითქოს ერთი ხმით, ერთი სიძლიერით, ერთი სიჩქარით გაჰკვივის მანქანასთან ერთად. და უხარია რომ სიცოცხლობს მანქანებში, სუნთქავს მის ატუგუნებულ გულში, უხარია რომ გაიჩინა ახალი მეგობრები, ახალი მიზანი...

## ბრძოლა და ცეცხლი.

დღეებს დღეებზე გადაჯაჭვულს მოაქვს ახალი სახეები. სანდროს მკლავში ძალა მიეცა თვალეებში ცეცხლი. იყო დილა, როდესაც უცნობი მოვიდა სანდროსთან და უთხრა:

- სანდრო, თეთრები მოდიან, ბრძოლა დაიწყო..
- ვინ არიან თეთრები?..
- ჩენი მტრებია, თავისუფლების წართმევა და სიცოცხლის ჩაქრობა უნდათ.

- ?!
- შეგიძლია ბრძოლა?
- შემიძლია სიკვდილიც.
- მაშ წამომყევი..

სანდრომ შეილუბრი სიყვარულით გადაჰხედა ქარხანას და ამხანაგებს ვადასძახა:

— მშვიდობით, მე მივიღივარ იქ, სადაც მეტი ცეცხლი აქვს სიცოცხლეს... და მიატოვა მანქანები, მიატოვა ამხანაგები, მიატოვა იმისთვის, რომ თავისუფლების სადარაჯოზე თავი გაეწირა...



ბრძოლის ველზეა. თოფით ხელში მიდის წინ და არ ზოგავს ტყვიებს. დულს ყველაფერი. ბრძოლაა, ბრძოლა... დაუზოგველი სისხლის ღვრა; ირგვლივ ცეცხლია გამეფებული, ცეცხლი სწვავს სიბნელეს, ცეცხლი სწვავს მიწას, ბალახებს, ადამიანებს... მიდის სანდრო წინ და ფიქრობს: ო, რა კარგია სიცოცხლე ცეცხლში, მაგრამ რა უნდა აქ სიცოცხლეს?

სად არის, სად არის?

მაშ რა არის ეს თუ არა სიცოცხლე? ზარბაზნები რომ ამოისუნთქავენ და კვამლში ახვევენ ჰაერს?... თოფები რომ ჭახუახებენ და ოხრავენ შავად... განა ის სიცოცხლე არ არის ტყვიისმფრქვევლები რომ ახმაურდებიან, მეომარი რომ მიდის წინ და სუნთქავენ ხარბად. განა ის კი სიცოცხლე არ არის, დაფეთებული ცხენები რომ ჭიხვინებენ და ვერ აღწევენ ტყვიის სიმწარეს, დაჭრილი რომ კენესის და ჭრილობას იწმენდავს ნაბდით... როგორ არა, ნამდვილად სიცოცხლეა, ფიქრობს სანდრო და მიდის წინ გამეტებულიად, იბრძვის, და...

იქ პატარა გორაკთან, რაღაც გადავარდა მიწაზე. თითქოს კენესის ხმაც გაისმა... იქ ვიღაც თითქოს მომაკვდავია... მაგრამ რა?—ბრძოლაა, ბრძოლა, დაუზოგველი სისხლის ღვრა; ირგვლივ ცეცხლია გამეფებული, ცეცხლი სწვავს სიბნელეს, ცეცხლი სწვავს მიწას, ხეებს, ბალახებს, ადამიანებს...

მომაკვდავი გორაკთან, როგორღაც ფიქრობს: ო, რა კარგია სიცოცხლე ცეცხლში... მაგრამ ეს სიკვდილი.

მაშინ ღამე იყო... ბროლის მთვარე თავებ მომტვრეულ შოთი პურივით გამოიყურებოდა და დასცქეროდა მთებცქენ მიმავლ ჯარსს. აქ იყო სანდროს ნაცნობი მთები, მიდამოები, აქ იყო ყველაფერი, რაც მის ბავშობას უნახია, მაგრამ დღეს კი ვერ ხედავდა, ვერ ხედავდა იმიტომ რომ მეურმეს მიჰქონდა კუბო და კუბოში კი სანდრო იწვა...

და იქ, სადაც ამართულია ბებერი მუხა, იქ სადაც უყვარდა წოლა, ეხლა სამარეა, რომელსაც მუხის ფოთლებიდან დასცქერის მზე, დასცქერის იმიტომ რომ უყვარდა მზე, უყვარდა ცეცხლი...



3

კარლო კალაძე.

ტრადელია

ფს!

სს  
1925 წ.

იანვარი.



# 1.

## ბარლევას რკალეგის.

- მოამადნი:**  
 კლმუნარი.  
 პლეტი.  
 ქალი.  
 გამგე.  
 ინჟინერი.  
 მდივანი.  
 მუშა.  
 მემანქანე.  
 დედა.  
 ბავში.  
 მუშეები.



ენერგიით დატენილ მანქანებთან სახეები მუშების.  
 გამალებული შრომა ოფლით განბანილი.  
 ელექტრო ჩაქუჩის გმინვა გამიჯნული.  
 მფრინავი ბორბლები,—  
 ღვედებით დაქსელილი.  
 ხმები: მსხვრევის:  
 ხმები: შენების...  
 —ეს ქარხანაში.  
 პროფილი კანტორის,  
 აუცილებელია:  
 მოქმედება რიტმზე აგებული,  
 მუდმივი მოძრაობა,—  
 მუსიკა მანქანების. —  
 იწყება ასე:  
 ხმები ჯგუფებათ:



1. მხარე: მარადი დუღილი,  
მარადი ხმაური,  
მარადი გუგუნი,—  
და ბედის წვალება!..
2. მხარე: უშრეტი ცეცხლი,  
უშრეტი სუნთქვა,  
უშრეტი ხანძარი,—  
და რწმენის ანთება!..
3. მხარე: ცეცხლი სიცოცხლისთვის,  
ცეცხლი ბრძოლისათვის,  
ცეცხლი დედა მიწის  
ძვლების გასათბობათ!..
1. მხარე: ჩვენ:  
ერთად: ლერძი ცხოვრების.
2. მხარე: ჩვენ:  
ერთად: მაჯა ეპოქის.
3. მხარე: ჩვენ:  
ერთად: სიტყვა პირველი,—  
და გარდულახავი...  
■ ელსმენი რეკავს.
- გამგე: ლენინის სახელობის ქარხანა,—მეცამეტე  
გამგე.  
ვინ არის?..  
რა საქმე?.. ჯერ.  
გჯეროდს:  
კვირიდან ქარხანა ჩაეიბარე.  
შეგიძლია თამამად მიწოდო მექარხნე,  
მესტუმრე.  
ბედი ამოვსწიე ყურით,  
იქნებ დარღებიდან დარჩეს გალიშება.  
კარგი.  
მე და შენ,  
იქ. თავის დროზე.  
იგიც იქნება.  
■ ქარხნის სიღრმიდან შემოდის მუშა.
- მუშა: მესხეთე დაზვა,  
რომელზედაც ვმუშაობ,—  
უნდა შეჩერდეს  
გამგე: რისთვის?



მუშა: მანქანა მოშლილია,  
ბორბალი ცალმეტობს.

მდივანი: გუშინ უნდა აეწყოთ.

გამგე: ააწყვეს?

მუშა: განა არ იცი?! — არა.

მდივანი: დაუდევრობა.

მუშა: მე არ ვიმუშავებ.

გამგე: მშიშარა ყოფილხარ.

მუშა: უმიზნო სიკვდილი სისულელეა.

გამგე: სამავისა არაფერი არ არის.  
■ მდივანს.  
შეაგნებიეთ.

მდივანი: წადი.

მუშა: ■ ჩაფიქრების შემდეგ.  
კარგი.  
■ გადის.

მდივანი: ადგილკომი ამას  
მხედველობაში მიიღებს.

გამგე: მე ხომ გადავსწყვიტე.

მდივანი: შესრულება?

გამგე: შესრულებისთვის ფულია საჭირო.

მდივანი: არ არის?

გამგე: სულს ვღაფავთ.

მეკარე: ■ ნახევრად შემოსული.  
მოვიდა.

გამგე: ვინ?

მეკარე: ქალი გუშინდელი.  
დილით რო იყო.

გამგე: მოვიდეს.

მეკარე: ნება.

ქალი: ■ შემოდის.  
ბატონო მიშელ.

გამგე: იყავით დღევრძელი.

ქალი: მესამეთ გაწუხებთ...

გამგე: რასა ბრძანებთ?!

ქალი: დრომდი მოვედი?

გამგე: დროზე. დაბრძანდით.

ქალი: ჯახი?

გამგე: საუცხოვო.



- ქალი: ვხარობ.
- გამგე: მე თქვენით.
- ქალი: ეს ძველი, მუდმივი.
- გამგე: ახალს რას მეტყვი?
- ქალი: მოსული თქვენ ხართ.
- გამგე: თუ გამოირკვა?
- ქალი: მთლიანად.
- გამგე: როგორ?
- ქალი: იგი აქ არის.
- გამგე: ხუმრობთ.
- ქალი: ხუმრობა არ მშვენის.
- გამგე: ■ ჩაფიქრებით:
- ქალი: მაშ მართალია.
- გამგე: აქ არის.
- ქალი: რა გზით?
- გამგე: კომკავშირიდან.
- ქალი: როგორ?
- გამგე: ორი წლის ვადით,
- ქალი: ქარხანაში ყოფნა გადაუწყვეტეს.
- გამგე: დასაჯეს.
- ქალი: მაგრამ კომკავშირში დასტოვეს მაინც.
- გამგე: რატომ?
- ქალი: გაითვალისწინეს მისი წარსული,
- გამგე: იგი ზომ უდრეკი მებრძოლი იყო,—
- ქალი: ნება განწირულის.
- გამგე: და დაატუსაღეს?!
- ქალი: რომ განთავისუფლებულიყო.
- გამგე: მეშხანურ წრის გავლენისაგან.
- ქალი: ■ ელსმენი რეკავს.
- მდივანი: სახელდობრ ჩემგან?!
- ქალი: ■ ელსმენტან.
- გამგე: **გისმენთ!..**
- ქალი: ■ ქალს.
- მდივანი: **ქარხანა „ლენინის“**
- ქალი: ვნახოთ!..
- მდივანი: **ვინ გინდათ?.. კარგი.**
- გამგე: საჭიროა მასზე მოქმედება..
- მდივანი: თქვენ გიხმობენ.



**გამგე:**     **ქალს.**  
ორი წუთი.

**ქალი:**     ინებეთ.

**გამგე:**     ვინ არის?.. ვისთან?  
კარგი... საჭიროა... უთუოდ... ყოჩად.  
რას ამბობ?!  
სახელმწიფო ტრესტი იღებს შეკვეთებს?..  
არასგზით!  
გასჭირით ფულით.  
არ დაზოგოთ.  
ოცდა ოთხ საათში უნდა გამოსწორდეს საქმე..  
გამარჯვებით.

**მდივანი:**   ჯანსახკომს რა მივწერო?

**გამგე:**     უარი.

**მდივანი:**   ექიმი?

**გამგე:**     ჩვენი გვყავს.  
**ქალს.**  
მაშ ასე...

**ქალი:**     ბატონო მიშელ...

**გამგე:**     საჭიროა მოლაპარაკება.

**ქალი:**     თქვენთან?

**გამგე:**     ვფიქრობ. უპირველესად...

**ქალი:**     **აწყვეტინებს. მდივანს გადახედავს.**  
მე მსურს ფარულად.

**გამგე:**     **უკან ფარდებთან.**  
გელით.  
**გადიან.**  
**ფარდებში ლანდებათ მოსჩანს მათი საუბარი.**  
**ხმები ჯგუფებით!**

1. **მხარე:**   მარადი დუღილი,  
მარადი ხმაური,  
მარადი გოგუნნი,—  
და ბედის წვალემა!..

2. **მხარე:**   უშრეტი ცეცხლი,  
უშრეტი სუნთქვა,  
უშრეტი ხანძარი,—  
და რწმენის ანთება!..

3. **მხარე:**   ცეცხლი სიცოცხლისთვის,  
ცეცხლი ბრძოლისათვის.  
ცეცხლი დედამიწის  
ძვლების გასათბობად.







- მემანქანე: ■ შემოდის.  
ისარი გვიჩვენებს 90+ით.
- ინჟინერი: დრო?
- მემანქანე: 7 წუთი.
- ინჟინერი: დაწოლა?
- მემანქანე: ნ.
- ინჟინერი: დაუშვი ნოლამდე.
- მემანქანე: თანდათანობით...  
■ გადის.
- ინჟინერი: შენ პოეტი ხარ,  
სუნთქავ ოცნებით.  
ჩვენ პოეტურად არ ვსჭრით საკითხებს..
- პოეტი: ჩვენ ვფქვავთ ყველაფერს.  
ჩვენ ვჭამთ ყველაფერს.  
მალე დედა მიწა ძვლებ გადახრული,  
ძუძუ დამშრალი,—  
დარჩება როგორც ნაცარი, ფერფლი!—  
და ჩვენ: ფიქრით დაბერილ თავებით.  
ფორმულებით, გეგმებით,  
სივრცეში დაიწყებთ ხეტიალს  
სიცოცხლისთვის!..
- ინჟინერი: ეს იქნება თავისთავად.  
მიჰქრის საუკუნე, ჩვენ უნდა მივყვეთ.
- პოეტი: რა არის საუკუნე?
- ინჟინერი: მას სიცოცხლეში იშვიათად იხილავს კაცი...
- პოეტი: სიცოცხლის საზღვარი.  
ნელი და დინჯი გზა..  
■ ფარდებიდან გამოდიან.ზაასი პარალელურად:
- ქალი: უპოველესად სამშობლოს გულისთვის.
- პოეტი: მეოცე საუკუნემ მოჰკლა საუკუნე,  
მეოცე საუკუნემ არ იცის საუკუნე.
- გამგე: უიჭვილია, გვაგალებს საქართველო.
- პოეტი: მან იცის წუთები მსხვერვის გარდატეხის!
- გამგე: ერს დიდი ნიჭი ეკარგება...
- ინჟინერი: ვხედავ: საღერღელი აგეშალა და არაკუნდი  
როგორც წისკვილი უპატრონო, დაუკოდავი.
- ქალი: იგი ჩივი უნდა გახდეს... ძე ასე მინდა
- ინჟინერი: გისმენ, განაგრძე.





**გამგე:**     **ქალს:**  
დაუძახებ...

**ქალი:**     **აჩერებს, ჩაფიქრდება,**  
დაიცა.

**პოეტი:**     მეოცე საუკუნე გიჟია ავარდნილი  
და ვერ გაუძლებს საუკუნის საზღვარს!

**ქალი:**     კარგი.

**გამგე:**     **კანტორის კარებიდან პოეტს:**  
თქვენთან.

**პოეტი:**     ვინ?

**გამგე:**     ვილაც.

**პოეტი:**     **ნაბიჯებით:**  
ვინ უნდა იყოს?  
**პაუზა. შეხედა, იცნო და გაუკვირდა:**  
ის...  
შენ აქ რა გინდა!?

**ქალი:**     უკეთ იცი.

**პოეტი:**     მე არაფერი აღარ ვიცი.

**ქალი:**     იქნებ!

**პოეტი:**     მე დამავიწყეს ლამეები  
ვნებით დაყურსული. არ გიცნობ. ვინა ხარ?!

**ქალი:**     ყალბია შეკითხვა.

**პოეტი:**     ყალბი ხარ შენც.

**ქალი:**     მე ხომ შენში ვარ...

**პოეტი:**     არაოდეს.  
მომწონდი ოდესღაც,—ვიყავი შენთან;  
მათრობდი ვნებით ჩანისლულ თვალებით!—  
ეხლა აღარ ვარ!

**ქალი:**     სხვაგან ხარ მაგრამ შენში ვარ მაინც.

**პოეტი:**     **გამშორდი ნუ დამდეგ,—**  
როგორც აღანდული სახე მოგონების.  
როგორც დაგეშილი.  
როგორც ყორანი ფრთა მოტეხილი!..

**ქალი:**     **მივარდება.**  
რას ამბობ!

**ქარხანაში უეცარი ხმაური. გარდატეხა.**  
სიღრმეში ბნელდება. შემობრუნება  
მანქანებისკენ.



- მუშა:** ■ შემოიჭრება:  
შეაჩერეთ მანქანები!  
შეაჩერეთ მანქანები!—  
დენა გადასჭერით.
- ინჟინერი:** როგორ, რა მოხდა?!  
■ შეჩერება შრომის. სრული დაბინდება.  
ფანჯრებიდან: ნაცრის ფერი სვეტები  
სხივების. ყველა: მოსულის ირგვლივ.  
■ უეცარი სიჩუმე.
- მოსული:** მანქანამ კაცი მოიტაცა!
- პოეტი:** როგორ?!
- ხმები:** რას ამბობ?!?
- მდივანი:** ხომ არ მომკვდარა?!
- მოსული:** ღვედი გადიჭრა,  
და ბორბალი უცებ გაგიყდა!—  
ნაკადი ნაკადს დაეჯახა როგორც ყუმბარა!  
მანქანამ მუშა...
- ვილაც:** აგერ...
- ჯგუფს შემოჰყავს ცოცხალ მკვდარი.  
ძირს დაასვენებენ.
- გამგე:** საკაცე!
- პოეტი:** საკაცე!
- ინჟინერი:** საშინელება!
- ქალი:** Ужас!  
■ ღუმილი. კენესა დაჭრილის.  
■ უეცრად შორიდან კივილი გაბმული,—  
და ქარხანაში დედა თმა გაშლილი, მასთან  
ბავში. კარებში: ხალხი. მასსაში: ჟრუანტელი.  
■ პაუზის შემდეგ,—განწირულად:
- დედა:** ვინ მოჰკლა ჩემი შვილი!  
■ შვილთან.  
■ შვილო!
- ბავში:** ■ მამასთან.  
■ მამა!  
■ შემოაქვთ საკაცე.
- დედა:** ვინ დასჭრა სასიკვდილოთ ჩემი შვილი?!
- ბავში:** მამა!
- ხმები:** მანქანებმა!  
■ დაჭრილს აწვევენ საკაცეზე, იგი წამოიწვეს.



**დაჭრილი:** ბიჭებო... ბიჭებო...  
ხელს იშვერს გამგისკენ.  
დედა!...  
ეხვევა დედას ღონე მიღებული.  
მასის თვალები ესობა გამგეს.  
საკაცე გააქვთ,—დედა მიჰყვება. ბავში  
განუძრევლად სდგას ადგილზე, ჩაფიქრე-  
ბული... ბოლოს გადაწყვეტით გადასდგამს  
ნაბიჯებს.

**ბავში:** გამგის წინ.  
მუშტი ეკუმშება სურს უთხრას რალაც,  
მაგრამ, გული უჩვილდება და ატირებულ  
გაეკიდება მამის ნაკვალევს სიჩუმე. გამგე  
ნაცრის ფერი. მასსა: უძრავი.

**პოეტი:** შეირხევა.  
ვინ დასცალა თქვენი ენერჯია,  
ვინ დაადუნა ეგ მკლავები,  
ვინ ამოაშრო ეგ თვალები,  
ვინ ჩამოგახმოთ ჩალის ლერებათ?..  
—ქარხანამ ქარხნებმა!  
ყველასთან.  
აბა დაუკვირდით:  
გადმომკვირალი წითელ ქურქიდან  
გული გაბზარული,  
შრომას გიასებს.  
ჯანი გაქურდული,  
კუნთი მოთენთილი,  
მონაა მანქანის.

**ხმა:** როდემდის.

**პოეტი:** თქვენი სიცოცხლე, უფერული და დაღესილი,  
მარალი შრომით,—  
მათ გაამასხრეს.

**ინჟინერი:** სტყუი.

**მღივანი:** სიმართლე:  
საათის წინად; ესლა მომაკვდავი  
გამგეს უცხადებდა უარს შრომაზე!—  
რადგან მანქანა წინა დღით მოშლილი  
სიკვდილს ჰპირდებოდა...  
ისინი ითხოვენ შრომას უზოგველს.



**ხმა:** მათ სურთ განახლონ წარსული გადამტყდარი.

**პოეტი:** მე ვიმეორებ გარდუვალ კითხვას: ვინ იყო მომაკვდავი?

**ხმა:** ყოველი ჩვენგანი.

**ხმა:** ბედი ჩვენი.

**ხმები:** ბედი ერთია ყველასათვის ვით შრომა ჩვენი.

**პოეტი:** ვისაც სიცოცხლე სწყურია ნდომით, ვისაც მომავალი უნდა კიდევ სქედოს, ვისაც დარჩენია ძალა გადალახვის, — ამხანაგებო! ჩემთან...  
გავარღვიოთ რკალბა!  
დავსტოვოთ ქარხანა!

**ხმები:** სიკვდილი სიკვდილს!  
ზიზღი მკვლელს.  
■ მასის ნაწილი კარებთან.

**ხმა:** შეჩერდით სად მიხვალთ

**ინჟინერი:** შეჩერდით.  
სად მიხვალთ?!

**გამგე:** ადგილკომო ყურადღება!

**ქალი:** შრომას გაურბით?!

**ხმები:** სიკვილილს!

**კომუნარი:** ■ გაჩნდება მანქანებთან  
თქვენ;  
ვისაც გაზენებთ ბედი ალესილი,  
თქვენ; ვინც გაურბით დღესაც მანქანებს.—  
თუ შეგიძლიათ ცხოვრება უქარხნოდ.  
მე ველი პასუხს!

**ხმა:** ქარხანა დედაა აღმზრდელი ათასების.

**ხმები:** ქარხანა სიცოცხლეა.

**ხმები:** ქარხანა: მექარხნ ს.

**ხმები:** მოგვაშორეთ ძველის ალანდება.

**ხმა:** ქარხანა დღეს არ არის ჩვენი.

**კომუნარი:** ■ პოეტს.  
შენ, მოსულო მუშებთან, შორიდან.  
მრავალი წლების თა ამგზავრო,  
რას გეუბრება პარტილეთი,—  
გმირს ამხედრობულს?!  
შენ; ცხოვრებაზე აჯანყებულო,  
შენ; გარდუჩეხო მებრძოლო მუღამ.  
სადაც არ უნდა ..  
არა ხარ ჩვენი! — გაგვშორდი!...



- ხმა:** მუშებს რად აცდენ.
- ინჟინერი:** მუშა ვერ დაჰკმობს შრომას.
- კომუნარი:** გამგეს. ქალს. ინჟინერს.  
თქვენ კი  
მოდინხართ ჩვენთან ხვალემდი,—  
გახარებთ ცხოვრების მარწუხი მოშვებული,  
ვიყურებთ ნები საიმედო როგორც ღიმილი.  
მაგრამ ეს არის გაღიმება სიკვდილის კართან.
- მუშა:** მაშ გვემსახურეთ,  
გაშალეთ შუბლი,—წიგნებით დატენილი...
- მუშა:** ხვალ მოვალ ნასწავლი,  
გატოლებული ცოდნით ყველასთან.  
მუშა—შემოქმედი,  
და გახარებით დავსძახებ: ჩამოდექით!
- ხმა:** მე: ვსწავლობ შრომაში.
- ხმა:** მე: შრომა მასწავლის.
- ხმები:** ქარხანა: წიგნი.
- ერთი:** მე: ყოველ საყვირის დაძახილზე  
ახლად ვიბადები.
- მეორე:** მე: ყოველ მანქანის აგუგუნებაზე  
სული მიკაჟდება.
- ხმები:** ქარხანა აკვანია ჩვენი!
- პოეტი:** ვისაც სიცოცხლე სწყურია ნდომით,  
ვისაც მომავალი უნდა კიდევ სჭედოს,  
ვისაც დარჩენია ძალა გადალახვის,—  
ჩემთან!..
- ხმები:** თქვენ უჩვენოთ ვერ იცოცხლებთ,  
თქვენ მოხვალთ ჩვენთან.
- ხმები:** სიკვდილი სიკვდილს!  
ზიზღი მკვლელს!..  
პოეტის მომხრე ნაწილი კარებშია,—გადის;  
ზოგი მიხვდა სინამდვილეს და სდგას,  
თავ ჩალუნული.
- გამგე:** ღმერთო!
- ქალი:** თავბრუ დახვეული კედელს მიეყრდნობა.  
მიირბენს მასთან.  
ახ! ბატონო მიშველ!..



# 2.

## მასსა და კოასი.

### მოკმეღნი:

- კომუნარი.
- ბოგტი.
- ქალი.
- მდივანი.
- უფროსი.
- უბეროსი.
- შუათანა.
- შავგვრემანი.
- ბობრი.
- ქერა.
- გამხდარი.
- მხუქანი.
- ახალგაზრდა.
- მღწაფე.
- მუშა.
- ანკორი.
- მუშკორი.
- უპარტი.
- პარტიული.
- ვიდაც.
- მცხული.
- და მასსა კომკავშირელების.



კლუბი კომკავშირის.

მთავარი დარბაზი:

კედლის გაზეთებით, სურათებით შეჩიბული.

ხვეული კიბე, —სართულზე ასასვლელი.

პირდაპირ: კარები წარწერით: რაიკომი.

მასსა ჯგუფებათ.

თამაში: ჭადრაკის, დამკის, ზღვის ბრძოლის.

როიალთან: სიმღერა, ცეკვა, ოხუნჯობა.

მთავარი ხაზი: მხიარულება.



**ერთი ჯგუფი:**

**შავგვრემანი:** გარდე!  
**ქერა:** მე ვიცავ.  
**შავგვრემანი:** ცხენი ვერ წამოვა.  
**ბობრი:** შახის კარები გახსნილია.  
**ქერა:** შახ!  
**შავგვრემანი:** ტურა მიმყავს.  
**ბობრი:** საჩმე ჭადრაკულად.  
**ქერა:** შავი ოფიცერი.  
**ბობრი:** მათი ორი გზით.  
**შავგვრემანი:** ?!  
**ბობრი:** მათი დედოფლიდან.  
**ქერა:** დაჩუმდი!  
**შავგვრემანი:** ენა გისწრებს.  
**ბობრი:** ფიქრი ზედმეტია.

**მეორე ჯგუფი:**

**უფროსი:** სად არის სიცოცხლე?  
**უმცროსი:** აქ.  
**შუათანა:** მეგობარო...  
**უფროსი:** ეს არის: პროზა.  
**უმცროსი:** ასე გგონია.  
**უფროსი:** მე კარგად ვხედავ;  
 ჯგუფიდან ჯგუფში  
 დამერება მხოლოდ:  
 თვალზე დამსკდარი „პოლიტიკა“  
 და წყველა ბურჟუის.  
**უმცროსი:** სხვა არაფერი?  
**შუათანა:** შეხედე:  
 მუშა ქარხნიდან მოსული,  
 როიალის კბილებზე თვალებით დაბჯენილი...  
**უმცროსი:** და უხერხულად გაწვედილი თითი  
 როგორც ნისკარტი რო კენკავს კლავიშებს...  
**შუათანა:** სილამაზეა.  
**უმცროსი:** უდიდესი.  
**უფროსი:** ბოდვაა!...  
**უმცროსი:** რას ამბობ!—  
 მე გუშინ ბიჭების კამათს წავესწარი,  
 ერთმანეთს ჯიუტად ატეხდენ თავებს,  
 და კითხვას არკვევდენ; უჩუმრათ ულიმილოთ  
 ერთი ამტკიცებდა: იენისში მოხდება,  
 მეორე: დეკემბერში,—  
 მსოფლიო ოქტომბერი!..



**შუათანა:** ხომ სასაცილოა.  
**უმცროსი:** მაგრამ სილამაზე.  
**შუათანა:** პოეზია.  
**უმცროსი:** უბრალოება.  
**■** ჯგუფს უახლოვდება: გამხდარი, მსუქანი.  
**გამხდარი:** შეხედეთ.  
**მსუქანი** ყოველთვის.  
**უმცროსი:** სუხარს ახმოებენ.  
**■** ავლები—კუთხეში მოსაღბრე ქალ ვაჟს.  
**უფროსი:** ლამაზი წყვილია, ვამბობ.  
**შუათანა:** ლამაზი ქალია მარო.  
**უმცროსი:** ეშმაკი, გამოქნილი.  
**მსუქანი:** მგონი გაარღვიოს მალე  
 შაქროს დაგებულ ბადე...  
**გამხდარი:** უნდა შევეჩხირო!—  
**მსუქანი:** აბა რა სიტყვაა.  
**უფროსი:** წამო,  
**უმცროსი:** კადრაკს ჩაუფიქროთ შუბლი.  
**■** იშლებიან. უფროსი, უმცროსი,  
**■** შუათანა—პირველ ჯგუფთან.

**პირველი ჯგუფი:**

**უმცროსი:** გოგოებს სალამი!  
**ხმები:** ბარო შე ძველო.  
**შუათანა:** იცნობდეთ მეგობარი.  
**უფროსი:** პეტრე ცეცხლადე.  
**უმცროსი:** მწერლობაში: ღელისპირელი  
**შუათანა:** კანდიდატი კომკავშირის.  
 კანდიდატი საშეფო კომისიის...  
**ქერა:** ბოდიში, სხვათა ზორის „ხაშული“  
 ხომ არ გიჭერთ?!  
**უფროსი:** მაღლობთ, ნუ სწუხდებით,  
 არ ღირს ყურადღებათ  
**შავგვრემანი:** თქვენ, უკაცრავი პასუხია:  
 პოეტი ხომ არ ბრძანდებით?  
**შუათანა:** ხუმრობის გარეშე.  
**ქერა:** წინასწარ ვიცოდი.  
**უფროსი:** როგორ მეთყობა?  
**ქერა:** გარკვეულად...  
**შავგვრემანი** ჩაფიქრებული შუბლი.



ბობრი: მიუწვდომელის პოზა.  
 ქერა: ამღვრეული თვალები.  
 შავგვრემანი: და გასათხოვარ ქალივით  
 ბუჩქად გაშვებული თმები.  
 ქერა: კომ--პოტათ თუ ითვლებით.  
 უფროსი: ვაპირებ.  
 უმცროსი: ჩაეწერა.  
 შავგვრემანი: ალბათ რამდენ პოეტს გული გადესერა.  
 უმცროსი: მგონი აგამღერა!  
 შავგვრემანი: შესაძლებელია.  
 ამღვრეული თვალები. მომწონს,—საშინლად  
 უფროსი: შენც ხომ გაბითურდი.  
 უმცროსი: ჩემი მეგობრის ბედნიერება უფრო მახარებს.  
 შავგვრემანი: ჭადრაკი იცი—თ?  
 უფროსი: დაუძლევი.  
 ქერა: მაშ...  
 უმცროსი: ყველავერში არ არის კანდიდატი.  
 ■ თამაშობენ.  
 ■ კიბზე ჩამორბის ახალგაზრდა—ყვირილით—  
 ახალგაზრდა: მსახიობები,  
 მხატვრები,  
 მუსიკოსები,—იზო'ში!..  
 გილატ: წავიდეთ?  
 პახუხი: წავიდეთ.  
 ხმა: თარი წამოიღე.  
 ვრთი: წინ ადგილებს დაიჭერენ.  
 მეორე: უჩქარეთ ბიჭებო!  
 ■ სიმღერა-ხმაურობა. ვინც უნდა  
 ■ წასულიყო წავიდა.

**მესამე ჯგუფი:**

მოწაფე: ამბობენ:  
 ქარხანაში მუშები გაფიცულან.  
 მუშა: ისინი დასტირიან დალუპულ ამხანაგს—  
 ახკორი: მათ აშინებთ ბედი გარდაცვლილის.  
 მუშკორი: მათ აშინებთ რისხვა მანქანების.  
 უპარტიო: ამბობენ:  
 მუშებმა მიმართეს პარტიას.  
 მუშა: ისინი ითხოვენ უკეთეს პირობებს.  
 ახკორი: მათ სურთ ქარხნიდან განდევნონ გამგე...



- მუშკორი:** მათ სურთ ქარხანა იყოს სახელმწიფო...  
 ■ ალტაცებით.
- მოწაფე:** ო, რა მტკიცეა,  
 და დიადი, გაფიცვა ჯიუტი,  
 მე მიყვარს იგი სულზე უფრო;  
 მაგიყებს, მათრობს,—  
 როცა დადგება ჯიბებში ხელ ჩაწყობილი  
 ღია კარებთან  
 და მთავრობის რისხვას!..  
 ღიმილით იგერიებს.
- პარტიული:** რას ამბობ!
- მუშა:** სულელი.
- მუშკორი:** ჩვენ უკვე დავკეცეთ დანა ალესილი,  
 არხივებს ჩავაბარეთ ეპოქა გაფიცვების.
- ახკორი:** დღეს: ჩვენ ვართ უკვე ცხოვრების ღერძი.  
 დღეს: ჩვენ ვართ უკვე ეპოქის მაჯა.
- პარტიული:** გაფიცვა ეხლა; არის თვითმკვლელობა.
- მუშკორი:** უნდა გვესმოდეს,—  
 დროე'ითია ყოფა არსებული.
- უპარტიო:** ეს არის სვლა უკან.
- ახკორი:** უკან დახევა თავის დროზე;  
 სარდლის ღირსება.
- მუშკორი:** შეხედეთ,  
 იგი ასე გვასწავლიდა.  
 ■ თვალები ლენინს.  
 შეხედეთ,  
 იგი ასე ამბობდა...
- პარტიული:** ყოველი ჩვენგანი სიკვდილამდე იყო ლენინში.
- მუშა:** ყოველ ჩვენგანში უნდა იყოს რწმენად ლენინი.
- ახკორი:** ჩვენ ლენინელები ვართ.
- მუშკორი:** ჩვენ კომუნარები ვართ.  
 ■ სიჩუმე.
- უპარტიო:** ამბობენ მათში  
 კომუნარებიც არიან.
- მოწაფე:** კომკავშირელებიც, ასე სთქვა ბელამ.
- ახკორი:** საშინელება.
- პარტიული:** ვინ არის მოთავე?
- მუშკორი:** არ იცით?—პოეტი.
- მუშა:** ძველი კომკავშირელი.
- უპარტიო:** ოფოფივით აშლილი ქოჩორი რომა აქვს?
- ახკორი:** „ხამუდით“ რომ დადის.



**მუშკორი:** დღეს მასზე არის კრება რაიკომში.  
**პარტიული:** მე მას ვიცნობდი.  
**უპარტიო:** მე მას ვიცნობ.  
**პარტიული:** და ერთხელ მახსოვს:  
ყანების შრიალს  
მივყვებოდით ჭალისკენ ულანდოთ.  
მიგვექონდა უბით, აჯანყების გეგმა.—გულიდან.  
რძინი ჰქუხდა  
ქარქაშიდან ამოვარდნილი.  
რიონის ზვირთებს ვაჩუქეთ ბედი  
და გადავეშვიტ ნაგებათ მდინარეში!  
ჩქერებში დარჩა საამაყოდ ღონე მოზიდული.  
იყო ნუგეში: აქოჩრილი ნაპირი შორი,—  
და მიგვაკრენდა გადაკვეთილი ტალღა,  
მხარულით...  
■ პაუზა.  
ნასროლ ბადესავით დავეციტ ნაპირს.  
სილას გავაკარით როგორც სიჩუმე.  
კუნთი მოთენთილი,  
ღონე გაქურდული,—  
აივსო წუთებით.  
დარჩა გასასვლელი ღელე და ბოგირი  
ჩავიცვით ღამე.  
დავიხურეთ ცა თმაგაშლილი.  
ფეხის თითები: ქურდი სიჩუმე.  
ფეხის თითები: ქორული ქარი  
და ორი სუნთქვა გაერთებული  
დასხლტა ჭალიდან!  
სირბილი ტყისკენ!  
ტყე: უტეხი,—შეუბედავი.  
ტყე: დედის კალთა!  
მაგრამ უეცრად გვესროლეს ძახილი:  
„შეჩერდი, ვინ მოდის!!-შეჩერდი!-ვინა ხარ!“  
და თხმელის ბურქებმა ლანდები გამოისხეს.  
ჩავჯიქით. ვჩურჩულვით:  
დავ-ჩეთ,—დაჭერა. წავეიდეთ,—ძებნა.  
უეცრად წამოდგა. მომესმა: წადი.  
ბალახში გავსრიალდი დასიცხულ ხვლიკივით.  
**მოწაფე:** თვითონ?  
**პარტიული:** პასუხად სიტყვა მიაგება:  
„მგზავრი უბინაო იქნებ შემიფაროთ?!“



- ახკორი:** როგორი იყო შეხვედრა?
- პარტიული:** არ ვიცი.  
მესმოდა შორიდან დარდათ საუბარი.  
მე კი მივდიოდი სოფლისკენ დამრეცათ  
და მთაზე გადასული შემაკრთო თოფის ხმამ.  
შევხედე: გადავარდა ლანდი მდინარეში!—  
როგორც მოწყვეტილი ფოთოლი ქარიდან!  
დავლონდი ბიჭებო, გული ამიტირდა!—  
ვფიქრობდი: აჯანყებას გმირულად შეეწირა.  
მაგრამ როდესაც სოფელში ჩავედი  
იგი განთიადით მისული დამიხვდა.
- მუშკორი:** ბრძოლის დროს (ვეცხლი,  
მულამ უტეხი.  
მრავალჯერ შეხვედრია პირისპირ სიკვდილს.
- ახკორი:** ბრძოლის დროს ჰქნიდა გეგმებს გარდუვალს,  
იყო ტრიბუნი. სული მებრძოლთა.
- პარტიული:** მაგრამ მეგობრებში,  
მიზნის მიღწევისას,—  
იღვა ყოველთვის მღუშარებით გადარაზული.  
აგერ...
- მუშა:** **პოეტი, მასთან ახალგაზრდა.**
- პოეტი:** ბიჭებს გაუმარჯოს.
- ხმები:** იყავი კარგად.
- მუშა:** სიტყვებთან დაიბადე.
- ახკორი:** ჩვენ შენზე ვამბობდით.
- პოეტი:** მეც თქვენ დაგეძებდით.
- ახალგაზრდა:** **პირველ ჯგუბთან.**  
**«ხვები სად აოიან?»**
- მოწაფე:** მოხდა შეხვედრა განზომილი.
- ქერა:** **ახალგაზრდას.**  
კრებიბზე.
- შავგვრემანი:** ლიტოში კლუბგამის მოხსენება:  
პროლემაფზე.
- ახალგაზრდა:** თქვენ რათ არ მიხვალთ?
- უფროხი:** დავგავიანდა.
- უმცროხი:** საცაა გათავდებდა.
- ახალგაზრდა:** **პოეტს.**  
შენც ხომ პოეტი ხარ.
- პოეტი:** სამწუხაროდ.



**ახალგაზრდა:** რათ არ დაესწარი?

**პოეტი:** იქ ახალგაზრდობაა  
ბებრებს რა უნდა!

**ახალგაზრდა:** და შენ?

**პოეტი:** ბებერი.

**უფროსი:** საიდან?

**უმცროსი:** როგორ?

**პოეტი:** პროლემადის განკარგულებით.

**შავგვრემანი:** სასაცილოა.

**პოეტი:** მიმტკიცებენ:  
არა ვარ თქვენთვის.  
მიმტკიცებენ:  
ბუში ვარ საუკუნის.

**ახკორი:** ეგ მართალია.

**მუშა:** მე არასდროს არ მინახავს შენი ლექსი.

**მუშკორი:** მე არას დროს არ მიმხედარვარ შენ ლექსს.

**მოწაფე:** რას ამბობთ!  
მისი ლექსი ასახვავა ცეცხლის!

**უფროსი:** ცეცხლი თავის თავად  
ბრძოლით დაწურული!

**ჯგუფები ერთდებიან.—**

**მოწაფე:** ყოველი სტრიქონი, სიტყვაა თქვენი.

**უფროსი:** აბა მომისმინეთ...  
მე მუდამ მახსოვს  
„აფეთქებული ბარრიკადები“.

**პოეტი:** ნატეხი პოემიდან „რეგოლიუცია“  
რომელსაც ვაპირებ დავასრულო  
მარტის დამღვეს.

**უფროსი:** ბჭრხგრო... ბჭრხგრო...  
ტრახ! ტყეში  
ტყდება ტოტები ტირიფის.  
გრივალის გრიალი, გრგვინვა.  
და გრავანი.  
მარტივით მარტივ  
მოტივს მიტირის  
ურწმუნო მიწა წამებით წივა  
მუშამ  
შამფური  
ფაშვებში ჰუუშა!



გადაბურღული ღრენა იღვრლება,  
 შიშით დაშოშდეს.  
 შრომას რა უშავს.  
 ელვა და მეხი.  
 ქარი და წვიმა.  
 ბრაზიან აზრებით  
 უმზერენ აზიას  
 ბჭობგრო... ბჭობგრო  
 ბიმ!

ბამ!

ბრუხ!

სიკვდილი, რძეში ჩაბუყუყუებულ ბურჯუაზიას!

■ სიჩუყე: გაკვირვებით.

უმცროსი: მართლაც ბიმ, ბამ, ბრუხ!

შუათანა: ■ ამოსუნთქვით:  
 გადავრჩით.  
 ■ სიცილი.

ახკორი: აბა რა გაიგეთ?

ვილაც: ■ დაბალი ხმით:  
 ბჭობგრო... ბიმ, ბამ, ბრუხ!

ახკორი: ჩვენ მოგვწყინდა ყუმბარები.  
 ჩვენ მოგვწყინდა ქაოსი სიტყვების

მუშკორი: ჩვენ მოგვწყინდა მარადი ყვირილი!  
 ■ ხმები მასილიდან:

ერთი: გვითხარით გასაგებათ: აზრი დახვეწილი.

მეორე: ჩვენც შეგვიძლია: ვიგრძნოთ.

მესამე: ჩვენც შეგვიძლია: განვიცადოთ.

მეოთხე: ჩვენცა, გვაქვს გული.

მეხუთე: ლექსები უნდა ესობოდეს გულს.

მეექვსე: ჩვენც გგენატრება უნაზესი ჟრუანტელი.

პოეტი: თქვენი ნერვები დასწყვიტა ბრძოლამ.  
 თქვენი სინაზე გადასწვა ცეცხლმა.  
 თქვენ არ იცით რა არის სინაზე.  
 თქვენ არ იცით რა არის ცრემლი!—

უფროსი: თქვენი თვალეზ დაშრეტილია.

პოეტი: თქვენ ძმის სიკვდილზე  
 გული არ აგიჩვილდებათ.  
 თქვენ შეგიძლიათ გაგება მხოლოდ:  
 ტრიბუნებიდან ნასროლ სიტყვების:  
 ამხანაგებო!  
 სიკვდილი ბურჯუაზიას!  
 მეც ამაზე ვსწერ.





**მოწაფე:** მეც ამას ვკითხულობ.  
**ხმა:** სცდები!  
**ხმა:** შენ არა ხარ გასაგები.  
**ხმა:** შენ ბიმიბაბრუხი ხარ.  
**უფროსი:** თქვენ ვერ მიხვდებით  
 ჭეშმარიტ 'მემოქ'ედს.  
**მოწაფე:** თქვენ დაგჭარდებათ ჯერ ისევ ანბანი!..  
**პოეტი:** თქვენ ვერ გაიგებთ ახალ იდეას.  
**პარტიული:** ჩვენ გვესმოდა ლენინის.  
**მუშკორი:** ის იყო უბრალო და დიდი.  
**ახკორი:** დიადი აზრი გასაგებია ყველასთვის  
 მას არ სჭირდება სიტყვების კორიანტელი...  
**მუშა:** იგი სადაა.  
**ხმები:** ლ ე ნ ი ნ ი.  
**პოეტი:** ლენინი ვეტო.  
 წერტილი ყველაფერის.  
**კომუნარი:** კიბეებიდან.  
 დიახ ლენინი!  
**პოეტი:** შემკრთალი.  
 კიდევ ის...  
 ყველგან.  
 ყოველთვის.  
 ყოველ გარდატეხისას.  
 შენ აწვალე ჩემ სულს.  
**კომუნარი:** შენ დაბერდი ასე ახალგაზრდა,  
 შენ ცბოვრებას ჩამოშორდი,  
 შენ დაგწვა საკუთარ ცეცხლმა!  
 შენი სიტყვები კვნესაა მომაკვდავის...  
**პოეტი:** არაოდეს.  
**ვილაც:** რაკომიდან.  
 შენ გ ხმობენ.  
**პოეტი:** დახანების შემდეგ.  
 ალბად გადაწყდება...  
 ნაბიჯები.  
 შეჩერდება კომუნარის პირდაპირ  
 მებნდაეს ზანტად და შევა რ ა ი კ მ შ ი.  
**კომუნარი:** — ო, რა მწარეა  
 ალესილი სინამდვილე, —  
 მე გიყურებ და ვიციანი:  
 ხა! ხა! ხა!



მასას.  
 რას ჩაფიქრებულხართ ასწიეთ თვალები,  
 გაშალეთ წარბები,  
 გააპეთ ტუჩები ღიმილით  
 და ასიმღერდით...  
 კომკავშირი ვერ აიტანს ღუმელს,  
 ახალხაზრობამ არ იცის სევდა!..  
 მღერა. სიცილი თამაში.

**ქალი:** დაბრუნებული მხიარულება.  
 დახანება.  
 შემოდის. დაზვერავს დარბაზს. მივა  
 ელსმენთან.  
 2—12...  
 ვინ არის?..  
 მიზანთან.  
 ვიყავი ქარხანაში...  
 მე შევასრულე.  
 გიცდით...  
 ღინჯათ ადის კიბეზე.

### მართი ჯგუფი:

**უმცროსი:** რა ხმაურია მხიარულებაში.  
**უფროსი:** ქალაქში ყველაფერი ხმაურია...  
**შუათანა:** დაწყებული პოეზიიდან...  
**უმცროსი:** მე შეიყვარდა სოფელი  
 მისი დანახვის შემდეგ.  
**უფროსი:** სიჩუმით?  
**უმცროსი:** სიწმინდით.  
**შუათანა:** სიცოცხლით.  
**შავგვრემანი:** და პოეზიით.  
**უმცროსი:** სოფლიდან მოდის  
 შემოქმედება ხალხის.  
**ქერა:** გახსოვთ თამაში,  
 სოფელელებმა რომ დაგვასწავლეს.  
**შავგვრემანი:** გამობტება წრეში. ამბობს სხაპასხუპით:  
 ელა,  
 მელა,  
 ჩიკორტელა,  
 ჩიტო მყავდა შევარდენა.



გაუშვი და წკიპი ვკარი,—ძინ  
ეს თათარი, მისი მისი  
მე მოვკალი. მისი მისი  
შენ რა გინდა თათარო!  
**შუათანა:** როგორც თათარი.  
ქალი მინდა ღვთიანი!  
ქრისტიანო კოკობიანი....  
**ახლად**  
**შემოსული:** ხელს სტაცებს. აწყვეტინებს.  
მოდი.  
**ქერა:** მივიარდება.  
ჩვენ ვთამაშობდით!  
**ახლად**  
**შემოსული:** დაითესე!  
ქერა ჯგუფს უახლოვდება.  
შავგვრემანი და უმცროსი მოვლენ  
მოსულთან.  
**შუათანა:** რა იყო?  
**მოსული:** გაიგეთ, ამბები სოფლიდან?  
**შავგვრემანი:** არა.  
**უმცროსი:** რა ამბები?  
**მოსული:** ეხლა მოვედი ქიათურიდან.  
იქ აჯანყება.  
**ხამივე:** როგორ!?  
**მოსული:** უფრო ხმა დაბლა.  
გზა გადაჭრილია,  
მავთულები დაწყვეტილი.  
ცეკამ უკვე იცის ალბად.  
სოფელში აჯანყდენ.  
მენშევიკებმა ხალხი მოიმხრეს.  
იყო შეტაკებაც.  
ღავკარგეთ რამდენიმე კომკავშირის  
როგორც.  
**შავგვრემანი:** რას ამბობ!  
**უმცროსი:** შევატყობინოთ ბიჭებს!  
**მოსული:** დაიცათ, გახმიანება არ არის საჭირო.  
არ ვარგა იცოდეს თავიდან უველამ.



**შუათანა:** რაიკომს ვუთხრათ.  
 ოთხივე სიჩქარით მივა რაიკომთან.  
 არ შეუშვებენ.  
 არბიან კიბეზე.

**მოწაფე:** გაკვირვებული.  
 ნეტავ სად მივბიან?

**უფროსი:** რამ დააფეთა?

**ქერა:** რა ვიცი!  
 დარბაზში მხიარულება ისევ.

**ჯგუფები:**

**ერთი:** იზოდან ხმაური. სწავლა დასრულდა.

**მეორე:** ალბად აგვიკლებენ.  
 კიბეზე ჩამოდიან.  
 ზოგი სახლში მიდის ზოგი ჯგუფს ერევა.  
 ჭიანურით დადის და მღერის.

**ვამხდარი:** მასსა: მის ირგვლივ.  
 სიცილი.  
 შევკარ შემოვკარ ჭაკუნი  
 შევარბენინე ოსეთი.  
 ოსეთს შეიქნა ხრიალი,  
 კატა გამოხტა რქიანი.  
 გამოვარდა პატარძალი,  
 მიუბრუნდი ბზიკივითა,  
 შვილი შევექენ გვრიტივითა.  
 მენახირეს მივაბარე  
 არ მომიკლა სიცივითა!..  
 ფურსა გვერდსა  
 წიხლი ეკრა  
 გაეხადა ტიკივითა.  
 ეს რომ ბიჭებო გავიგე,  
 ჩამოვყვირთლდი კიტრივითა.  
 იმ შობელძალს მიუბრუნდი  
 აქუჭყურდა ტრიკივითა!..  
 ოღრო ჩოღროიანი სიცილი.  
 რაიკომიდან გამოდის პოეტი.  
 უეცრად სიჩუმე.  
 მიიბზნს, მასთან — მოწაფე და უფროსი.

**უფროსი:** როგორაა საქმე?



- პოეტი:** ცუდათ.
- მოწაფე:** კომკავშირში დარჩენა?
- პოეტი:** არ ვიცი როგორ გადაწყდება.  
 ■ შეხედავს ქალს რომელიც ჩამოდის კიბეზე.  
 ის!..
- ქალი:** ■ რაიკომის კარებთან მდგომს.  
 ■ საქმე რაიკომთან
- უფროსი:** ■ პოეტს.  
 ვინ?
- მდგომი:** ■ შესვლა აკრძალეს.
- პოეტი:** ის...
- ქალი:** ■ მამ გადაეცოთ ..
- პოეტი:** ღმერთო!
- კომუნარი:** ■ მასთან: შევეგრემანი, უმცროსი,  
 ■ შუათანა, მოსული.  
 ვინ არის ის ქალი?  
 ■ სიჩუმე ჩურჩული.

#### რაიკომი:

- აიხდება დარბაზის უკანა კედელი.—  
 ოთახი რაიკომის. მასსა: ოთახისკენ.  
 პოეტი ადგილზე.
- რაიკომის მდივანი:** ■ წამოდგება.  
 ჩვენ გავასამართლეთ  
 სნეული პარტიბილეთი  
 და რაიკომის დადგენილებით:  
 № 609  
 გაუქმებულია...
- პოეტი:** ■ შეიჭრება.  
 როგორ!
- რაიკომის მდივანი:** შემდეგი მიზეზებით...
- პოეტი:** ■ აწყვეტინებს.  
 კმარა...  
 ■ სიჩუმე, პაუზა.  
 მაშინ როდესაც,  
 მოღუნულმა ოთხად,  
 იატაკის ქვეშ  
 მე გავხსენი კრება პირველი  
 ნასახი კომკავშირის,

მაშინ როდესაც მე დავღვარე  
პირველი სისხლი  
კომკავშირისათვის...  
თქვენ სად იყავით?!—  
— არსად.  
სად არის გონება,  
სად არის რწმენა,  
როცა ხაზს უსობთ:  
საკუთარ სისხლით,  
ყველაზე უწინ  
შექმნილ პარტილეთს!  
დღევანდელგებო  
ვინ ხართ თქვენ!  
დღევანდელგებო  
რა გინდათ ჩემგან  
მე თქვენთვის ვიბრძოდი ყოველთვის  
ყველგან.

**კომუნარი:** შენ იყავი ჩვენთან,  
შენ იბრძოდი ჩვენთვის!—  
ეხლა ჩვენ გვებრძვი  
არახარ ჩვენთან...

**პოეტი:** მე ვიბრძვი რწმენით.  
მე ვიბრძვი თქვენთვის.  
ვერ იცნობთ თავის თავს,  
ვერ მოიხმარეთ ოქტომბერის მონაპოვარი  
დაამახინჯეთ.

**კომუნარი:** შენ მუდამ ბრძოლა გსურს.

**პოეტი:** ცხოვრება ბრძოლაა.

**კომუნარი:** ბრძოლა თავის თავთან.  
ბრძოლა დღევანდელთან.  
იღეა მომავლის  
დღეს გინდა გაგქონდეს.  
სჯობია დავშორდე.  
სჯობია გაგვშორდე  
შენ უნდა დაჩუმდე ჩვენთვის,—  
მომავლისთვის.  
შენ ვერ მოდიხარ წინ ფეხ აწყობით  
უნდა დასცილდე ჩვენ წმინდა დროშას.





**პოეტი:** არა!  
 არა დროს!  
 მე მინდა სიცოცხლე,  
 მე ვცოცხლობ დროშაში  
 მე ვსუნთქავ დროშით.  
 ■ დროშასთან.  
 მე მუდამ ვიქნები შეომარ სულთან.

**შავგვრემანი;** მაშ მომისმინეთ!  
 ■ ხმა შეცვლით.  
 ალბად არავის გაუგია.  
 მსურს, ვიყო დეპეშა;  
 ძმებო!—  
 სოფლებიდან, აჯანყების ამბავი  
 მოვიდა.

**ხმები:** როგორ?!

**შავგვრემანი:** ასეა.  
 აი მოსული.

**მოსული:** დილით ჩამოვედი.  
 სოფლები აჯანყდნენ.  
 გზები გადაჭრილი.  
 მავთულები დაწყვეტილი.  
 ცეკამ ეს იცის ალბად.  
 მენშევიკური ავანტიურა მოდის ქალაქისკენ.

**უმცროსი:** ყოფილა შეტაკებაც.

**მოსული:** დავკარგეთ რამდენიმე  
 კომკავშირის რიგიდან.

**ხმები:** საშინელება!

**ხმები:** სისხლი!

**შავგვრემანი:** ■ შეიჭრება რაიკომში.  
 მე მინდა ბრძოლა!

**ხმები:** ჩვენ წავალთ იქ.

**შავგვრემანი:** ■ პოეტს.  
 გაგვიძეხი.

**რაიკომის მდივანი:** მას ასამართლებენ.

**შავგვრემანი:** არ არის დრო.

**ქერა:** შემდეგ.

**ხმები:** ჩვენ იგი გვჭირდება.

**ხმები:** გაგვიძეხი.

**უმცროსი:** იყავი ბელადი, როგორც წარსულში.

- მასხა:** ■ პოეტისკენ.  
ჩვენთან.
- პოეტი:** ■ მოწყვეტი.  
მზათა ვარ.
- მასხა:** ერთად.  
■ მასხა პოეტთან.  
■ ნაბიჯი კარებისკენ.
- კომუნარი:** ამხანაგებო!  
■ უეცარი შეჩერება.  
მას არ შეუძლია იყოს ბელადი.
- მასხა:** ■ მობრუნებით.  
როგორ?
- კომუნარი:** ის დიდი ხანია დაგშორდათ თქვენ.  
ის გარდატეხა გამარჯვებამ.  
უკანასკნელად.  
ვერ შეაერთებს თქვენ გულებს  
ერთ გულად.  
ვერ შეაერთებს სურვილებს  
სურვილად.  
ვერ გაგიძღვებათ!
- პოეტი:** მე კიდევ ის ვარ.
- მასხა:** ვინ გადალახავს ჩვენს ნებას დაუძღვეს.
- პოეტი:** წინ!  
■ შემობრუნება კარებისკენ.  
■ ფიქრი ნაბიჯებზე.
- ვილაც:** ■ შემოდის უეცრად, მიმართავს პოეტს შეჩერება  
ბოდიში.  
თქვენთან.
- პოეტი:** რა?
- ვილაც:** განკარგულება.
- პოეტი:** რა განკარგულბა?!
- ვილაც:** წუხელ თქვენ უბანში,  
გასტეხეს ქარხანა,  
დალეწეს მანქანები
- პოეტი:** ?!
- ვილაც:** მტკიცდება თქვენ ყოფილხართ.



- ხმები:** რას ამბობს!
- პოეტი:** მიქარვა.  
■ კარებში გაიღვებებს პროფილი ქალის.
- ვილაც:** მაგას გაარკვევენ.  
გიბარებთ სასამართლო.  
როგორც ბოროტ მოქმედს.
- კომუნარი.** ამაზე რაღას იტყვი!?  
■ სიჩუმე. დახანება.
- პოეტი:** ■ მოტეხილად:  
შენ მართალი ხარ,  
უცნაურო თანამგზავრო;  
შენ მართალი ხარ.  
ცხოვრება დამზდეფს ალესილ კბილებით!  
არ ვიცი:  
დავბერდი ასე ადრე,  
ასე ქაბუკი  
თუ ისტორიამ გარდუხვია ლიანდაგს მარჯვნივ-  
შენ მართალი ხარ,  
უცნაურო თანამგზავრო,—  
ვიცი:  
რომ არ ვიყო თქვენთან მოგკედები,  
მაგრამ მოსული მკედარი ვარ მინც...



# 3.

## დროშა შარიშვიძის.

**მოკმედი:**

I მხედარი—ბოქტი.

II მხედარი—შავგვრემანი.

აჯანყებულები.

ჯგუფი სოფლიდან.

წითელი ჯარი.



ტყე გაბურღული,—ბილიკით გადაჭრილი.

სალამო ნაწვიმარი.

შორს ხაზი მდინარის.

მთიდან მზის შუბლი ხეებით დამესრილი.

სიჩუმე.

სიღრმეში ბუჩქი აშრიალდა

და მაღალ ნახტომით ჭაბუკის ლანდი

დაესო თხილნარს, გაისმა სტენა.

ბუჩქებიდან წამოიშალენ.

**მოხული:** ბიჭებო!.. ბიჭებო!..

**ხმები:** რა ამბავი?

**მოხული:** მდინარის პირას ჯარი ჩამოდგა.

■ ყველა: მის ირგვლივ.

საფრთხე მოგველის.

1. ეგ არაფერი.

2. აქ რომ ვართ ხომ იციან.

3. არა, და მერე რა?

4. ტყეს ვინ შემობედავს

5. ხეები: შიში.

6. ჩირგვები: ხაფანგი.



- მოხული:** ჩუმათ...
5. ფეხის ხმა!
  4. ბილიკი მორბის...
  2. ორი მხედარი.
  1. ალბად ჯარიდან.
  4. დაეხვდეთ;
- ხმები:** დავეცეთ!
1. არაოდეს.  
აბა მისმინეთ:  
ეს უდავოა, — მიდიან სოფლისკენ.  
მიზანი: კავშირი, გზა: ეს ბილიკი.  
დაბრუნდებიან მოგვიანებით  
მაშინ დავეცეთ!
  4. უხმოდ, ქურდულათ.
  5. გამოგვადგება.
  3. ექნებათ საბუთებიც.
  2. მაშ მივიმალოთ.
  6. დროა, ფშარი გადმოლახეს.  
იმალებიან.  
ორი მხედარი გადირბენს ბილიკს.  
აჯანყებულები მისდევენ თვალებით.
  5. ქართველებია.
  3. ?
  5. ვიცანი წამსვე.
  1. მივლენ ჭენებით  
ძმების სასიკვდილოთ დანებ დაღესილი.
- მოხული:** მივდივარ.
1. 3. 5. 4. დილამდე.
- მოხული:** მზის ამოსვლისას,  
მოვიტან ამბავათ.  
ლამეს მოზიდულს  
უძილობით გადათეთრებულს.
1. ფრთხილად.
  5. გამარჯვებით!
  6. ■ ბილიკზე გადასული:  
ლელე გადირბინეს.  
შამბები გადასჭრეს.
  2. შამბები გადასჭრეს.
  3. ხიდი აყვირდა თოხარიკით, როგორც აფთარი.
  5. ხიდი გამხტნარი,  
უნაგირიკით დადგმული მდინარეზე.

7. ■ ეხლა მოსული.  
სხვები სად არიან?
1. გარშემო დარაჯებათ.
- 7: მუხნარი უდარაჯოთ.
4. იქედან მოსულს ვერაფერს დააკავენს.
7. რატომ?
4. ასე ვფიქრობ.
7. მე რომ ვსტკევი იმიტომ.
3. სიფრთხილე მაინც მოითხოვს წასვლას.
7. მანამდე: სოფელში თუ იყო ვინმე.
4. არავინ.
7. წახვალ.
1. მოგველის სიმშვილი.
4. ■ ანთებული.  
...და როდის იყო დავდიოდი მე სამათხოვროთ  
ვინ გეუბნება.
4. შენ წადი თვითონ!
7. რა, მე ნაკლები?  
დრო იყო ყმად მყავდი!
4. რას ამბობ, ვის უბედავ!
7. ■ გადამხტნარი:  
ხანჯალზე აგაგებ!
4. ■ გვერდზე, მოზიდული.  
გადმოდი თუ ბიჭინარ.  
■ გადიკურება.  
დამიხვდი!
3. 1. 6. 2. რას შევებით.
3. რა დროს!
1. მტერი კართან.  
■ აშველებენ.
7. გამიშვით...
4. გამიშვით...
7. ■ ერთ მხარეზე:  
დედას გიტრებ!
4. ■ მეორე მხარეზე:  
დაგიფრთხობ ლმერთებს!
7. ■ გაჰყავთ.  
ეს მესამეჯერ...
4. ■ სცენის სიღრმიდან.  
გიშოვი დროს!



5. ■ მარტო.  
...და ამით უნდა, **იხილეთ**  
ხალხის გულზე როგორც სიხარული,—  
დასდგან გამარჯვება?! **იხილეთ**  
მაჩქვებს. მაფიქრებს.  
ვხედავ: ხანჯალი მოპირული,  
გული დადაღული, ჩექმის ქუსლებით,  
ბრმა ცინდალივით დატირის ტყეში.  
და როგორც ძვირი სახსოვარი საუკუნეების—  
საკუთარ ბედს, სურვილს, ატარებს უბით...  
■ პაუზა. უცებ.  
ბიკოს!—  
ფეხის ხმა.  
ეი!

2. 3 4. ■ მოვარდებიან.  
რა იყო?  
5. მოდიან.  
4. მაშ...  
2. საჭიროა მახე.  
4. წუთები აღარ იცდის.  
3. დავარდი ძირს როგორც ნაცემი—  
ხერხი გუშინდელი.  
2. ჩვენ დავიმალებით.  
5. მაინც ასე ადრე როგორ დაბრუნდენ?!  
ეფარებიან ბუჩქებს.  
„მეხუთე“ აგდია როგორც გალახული.  
მხედრების საუბარს მოსდევს სიმშვიდე.

I მხედარი: ეს ცუდი: სოფელი ვერ ვინახულეთ.

II მხედარი: მე მგონი ისინი გაღმოდან გვიცდიან.

I მხედარი: კი მაგრამ...

■ შენიშნავენ.

ეს რა?!

II მხედარი: გლეხი მოუკლავთ.

■ ჩამოხტებიან ცხენებიდან.

I მხედარი: სუნთქავს...

II მხედარი: ცოცხალია.

I მხედარი: დაიცა. წყალი.

■ უვლიან.

■ ფოთლებიდან გამოსრიალდება თოფის ლულები.

- II მხედარი: ■ შეშინებული.  
შეხედე!
- I მხედარი: ხაფანგი!
- ხმა: დაგვებდით უხმოთ.
- ხმა: სიტყვას თოფის ხმას მივაგებებთ...  
■ სიჩუმე. ბუჩქებიდან წამოიმართებიან.  
■ „მეხუთე“ წამოდგება, დაჭერილებს აცლის იარაღს.  
■ თოფებს დაუშვებენ.
3. ■ პირველ მხედარს.  
მოდი, მეგობარო.
2. კარგი რომ თავი არ შეგვწირე.
3. წამოდი მეთაურთან.  
■ გაჰყავთ.
5. ნუ გეშინია.
- II მხედარი: როგორ მოგვატყუეს.
4. შენც მოგვატყუე.
5. ქალი ყოფილხარ.
- II მხედარი: თვალები რომ გქონდეს მიცნობდი ბოლომდე.
5. როგორ?
4. გვეძახიან.
- II მხედარი: მე და ქალაქი.
5. ■ მარტო.  
იგი და ქალაქი...  
იგი და ქალაქი...  
მე მას ვიცნობ!  
რამდენი დღე დასწვა,  
რამდენი ღამე გადაათეთრა  
მან ჩემ საწოლთან.  
■ მახსოვს ვკენესოდი,  
კენესა ხმალი იყო,—  
იგი დაიჭრა სიბრალულით  
და როგორც საჩუქრებს  
თავსაფრის ყურში აგროვებდა ცრემლებს.  
მკერდი ნატყვიარი, მკერდი მომაკვდავი  
მან გამიცოცხლა!—  
და ეხლა: ჩემთან.  
და ეხლა: ტყვე.  
ვალათ წვალება!—არაოდეს!—  
მე მას დავიხსნი...  
■ ნაბიჯები. დაფიქრდება.





მაგრამ სამშობლო? **||** არიდან **||**

**||** პაუზა.

იგი ხომ მტერი ჩემი. **||** არიდან **||**

მე ხომ მტერი მისი. **||** არიდან **||**

ვინ არის მართალი, **||** არიდან **||**

ვინ?—მე თუ ის? **||** არიდან **||**

ორივეს გულში: ხალხის სიყვარული.

ორივეს მიზანი: ბედნიერება.

ის: გლეხი და მუშა.

მე: ტყეში. მე ვისთან?

**||** გადაწყვეტით:

უნდა დავიხსნა

**||** ნაბიჯები გასავლელად.

**||** მოისმის სტვენა, მოტრიალდება. **||**

**ბმა:** ძმობილო! ძმობილო!

**წ.** ვინ არის?

**||** თხილნარში ჯგუფი გამოქცეულების.

**ერთი:** მოგვხედე.

**მეორე:** შორიდან მოსულებს გვჭირდება საფარი.

**||** გადმოდიან. პაუზა.

**მესამე:** მზე შუბის ტარზე იყო გორიდან  
როცა სოფელი წამოხტა გიყვივით!—  
და როგორც პირობა

გალიმებული მოვარდნილ ამბით  
გამოეკიდა შარებს ჭალისკენ...

**მეოთხე:** შემდეგ ვავიგეთ ჯარი გაშლილი მდინარის რიყეზე.

**მეხუთე:** ჩვენ დავრჩით მარტო, ღია კარებში

**პირველი:** და იმედებით თქვენ მოგაშურეთ.

**წ.** ჩვენი ოჯახი ზეიმს გამართავს, ძმებს გამარჯვება!

**მესამე:** დიდხანს ვიარკო.

ძებნაში ტყიდან მზე დაგვეკარგა  
ღამე გადაგვესხა როგორც მელანი...

**წ.** ესენი ვინ?

**წ.** მოსულები.

**ერთი:** სოფლიდან საკავშიროდ.

**წ.** ძმებს გამარჯვება!

**||** მოსულები თუსფუსებენ გვერდზე-

**წ.** მივდივარ.

3. დაიცადე.  
დაგაინტერესებ,—  
პირველი მხედარი თითქმის შეგვეერთლა.
5. ბასრია სიტყვა ჩვენი მეთაურის.
3. მეორე უარზე.
5. საჭიროა მაგარი დარაჯი.
3. უდარაჯე.  
თუმცა პირველი ხომ ნებით რჩება.
5. როგორ?
3. ოცნებობს შერიგებაზე.  
■ მოსულებს.  
გაინაწილეთ ჩვენი სახელ კარი,  
როგორმე მოეწყვეთ.
- ერთი:** არაფერია,  
ჩვენც გვხურებია ზეცა საბანათ.
- მეორე:** სასთუმლად ხის ძირი მკლავებთ გაშლილი.  
■ მილაგდებიან.
3. მაშ შენ დარაჯობ.
5. ■ მიმავალი.  
როგორც ხედავ...  
■ უეცრად დაბრუნდება.  
გეუბნები წინასწარ.  
არ მიიღო შიშათ,—  
მე ვსტოვებ ტყეს  
როგორ, არ მესმის?!
3. ხარ მეგობარი,  
დამიჯერე თქმა პირდაპირი:  
მე ძლიერ მეჭვვებს ჩვენი შემადგენლობა.
3. რა მხრივ!—  
შენ ალბად ჯარი გაფიქრებს.
5. რას ამბობ!  
ერთი შევეხები ათასს.  
ჩემში კიდევ სჩქეტს სისხლი მამაპაპის.  
მე ქართველი ვარ!
3. მაშ...
5. დაუკვირდი:  
ვინ არის ჩვენს ირგვლივ,  
ვინ გვყავს იმედათ,—  
და მოიგონე რომ გლეხები ვართ.
3. ამით რა გინდა?



5. ისინი თუ იბრძვიან მხოლოდ თავისთვის,  
სურთ გაანახლონ წარსული გადამწვარი!  
■ პაუზა სიჩუმე.  
გათენებისას მე აქ არ ვიქნები.
3. როგორც გინდოდეს...  
მე ვუცდი გამარჯვებას,
5. ■ ნაბიჯები.  
შენი სისხლით სხვა გამარჯვებს.
3. ■ სდგას ჩაფიქრებული. დახანება.  
უცებ გასძახებს:  
მოდი!
5. ■ მოვა.  
რა იყო?
3. შენ მართალი ხარ.  
მიცადე ბოგირთან.  
■ გადის.
5. ველოდი.  
■ შეირხევა. დაზვერავს სივრცეს  
დროც არის...  
გარბის ფეხ აკრეფით.  
პაუზა. ტყე თანდათან იძინებს.  
დარჩება: შორი მდინარის ხმაური  
და ხის ტოტებში გაცრილი მთვარე.  
სიღრმეში სამი ლანდი  
ჩურჩულით უახლოვდებიან ცენტრს.
5. მარჯვნივ ჩირგვებიდან  
ლეღვა მდორე.  
იქამდე მოდით,  
ბოგირთან ვიქნებით.
- II მხედარი: ადვილი საქმეა.
5. თუ ვინმემ ჩვენამდე გზა გადაგიჭრათ,  
პასუხად ტყვია
- II მხედარი: სიკვდილი უბოდიშოდ.
5. თავს მაინც დავახწევთ.  
■ გადასაცემს რევოლვერს. მიიმალება.
- II მხედარი: აბა როგორ ხარ?
- I მხედარი: დროს კარგავ, წადი.
- II მხედარი: შენ ისევ შენსას...  
I მხედარი: დაჯერებით...

- II მხედარი: მართალი იყო სიტყვა წამოსვლისას,—  
შენ ჩვენი აღარ ხარ!
- I მხედარი: არ მინდა დაიღვაროს სისხლი ზედმეტი,  
ჩემი მიზანია მტრების შერიგება,  
მე გულით ვაფასებ ორივე სიტყვას.
- II მხედარი: შენ მაგვიანებ.
- I მხედარი: წადი ნუ მიცდი!
- II მხედარი: რას გეუბნება პარტილეთი.
- I მხედარი: მე ფუსმენ ამას.
- II მხედარი: შენც ბანდიტი ხარ!
- I მხედარი: დაჩუმდი!
- II მხედარი: მოგკლავ!
- I მხედარი: ხელი!
- II მხედარი: შეარცხვინე მთელი პარტია! —  
წაბილწე რწმენა,  
და აგვიჯანყდი?  
პირველ ტყვიას შენზე დავხარჯავ!  
■ ესერის რევოლვერს, გაობის.
- I მხედარი: მიშველეთ მომკლა!.. არ შეგარჩენ.  
■ ეცემა. ხმაურზე გროვდებიან აჯანყებულები.
- ხმა: ტყვე მოუკლავთ.
- ხმა: ტყვე გაქცეულა!
4. წამალი, სუნთქავს,  
2. მკლავშია დაჭრილი.  
1. ქალი გაიქცა, —დაეღვენეთ.  
6. ვილაკამ გვილალატა...  
7. ღალატი, —მოემზადეთ!..  
■ შორიდან თოფის ხმა.  
1. ბიჭებო ფეხზე!..  
■ მზადება.
- ერთი: ცხენებით წასულან.
- მეორე: ცხენები აღარ არის.  
4. დავხვდეთ ჯარისკენ წავილოდენ.  
1. აღბად მივიდენ. გვიან ღა არის!  
2. ყოფნა შეიტყეს, ჯარი წამოვა.  
6. ჯარი წამოვა.  
■ მდინარის ხაზიდან ხშირი თოფის სროლა.
- II მხედარი: ისინი: მრავალი თქვენ დაგამარცხებენ.  
1. არათყერია ხეები გვიშველის.



4. ჩვენც გავცემთ პასუხს!
1. ბევრს აუღუღლებს ტყვია საფეთქელში.  
თოფის სროლა ახლოვდება.  
ტყის სიღრმიდან შემორბიან დარაჯები!
- ერთი:** მოდიან!
- მეორე:** მოდიან!
- მესამე:** თოფის სროლით გზას მოიკვლევენ.  
■ არეულობა.
- ვილაც:** გავიქცეთ, მივიმალოთ,
- ხმა:** ვერ გაუმკლავდებით...
- ხმა:** ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.
- ხმა:** თავის გაწირვა...
- ხმა:** თავს ვუშველოთ!
- ხმა:** თავს ვუშველოთ!
- ხმა:** დარჩენა: სიკვდილი!..
1. სმენა!  
■ უცარი სიჩუმე.  
მოემზადეთ!  
■ ყველა საფარში, —  
ბუჩქებიდან თოფის ლულები ელიან მტრებს.  
მეთაური სდგას მოშორებით—გასცქერის  
ცეცხლის რკალს რომელიც ტყეს მოჰყვება.  
სროლა მატულობს. სროლა ახლოვდება.



# 4.

## ბარდასხსა.

**მოკმადნი:**

კომუნარი.

ბეტი.

ქალი.

ჯაშუმი.

დარაჯი.

უფრესი.

მღწაფე.

გამომძიებელი.

თანაშემწე.

ციხის უფრესი

ტუსადები.



შემოდგომა.

მთვარე.

ქარი.

გამომძიებლის კაბინეტი

და სატუსალო.

მუსიკა: შუა ღამის სუნთქვა მოქანცული.

შიშით გაბზარული ჩურჩული ტუსადების.

1. უფუ... რა ქარია.
2. რა სიცივი...
3. გესმით: სარკმელში ქარი ატირდა!
4. ქარი ატირდა. ქარი დაუმდგარი.
5. ხედავთ: ღრუბლებიდან ქარმა გამოდგნა მთვარე საცოდავი.
6. შეცივებული.
7. გამსკდარ მუწუკივით ჩაყვითლებული.



8. მთვარე: ჩერჩეტი დედაბერი  
9. მთვარე: ძულუ დაშრეტილი.  
1. მთვარე: უგულო.  
3. გამიგონია:  
მასზე სიცოცხლე სდულდა...  
5. ოდესღაც.  
7. მასაც მიწასავით მაჯა უფეთქავდა.  
9. მაგრამ დაჰკარგა სიყვარული,  
გული გაუჩერდა,—  
და გაიყინა.  
2. ამბობენ:  
მიწა ჰკარგავს სიყვარულს.  
4. მიწას გული უჩერდება.  
6. აღამიანი გაბოროტდა.  
8. უუუ... რა ქარია!  
1. რა სიცივი.  
2. გესმით: სარკმელში ფოთლების ჩურჩული?!  
3. ფოთლები სტირიან, გამზმარი ფოთლები...  
4. შეხედეთ: ერთი მინას ეტმასნება,  
5. სიცოცხლე უნდა...  
6. მაგრამ გადავარდა!—  
7. ვილაცა მიათრევს, მიათრევს...  
8. ძლიერია, ქარის ნება.  
9. ღმერთო.  
■ სიჩუმე.  
1. მე, გამზმარ ფოთოლს  
თავს ვადარებ ყოველთვის.  
3. მე, მეგობრები შემოდგომის  
ფოთოლს მეძახდენ.  
2. 4. 6. 8. ჩვენ: შემოდგომის განწირული ფოთლები.  
1. 3. 5. 7. ციხე: უკანასკნელი ყორე სიცოცხლის.  
9. სსსს... ქარი! ქარი!..  
■ ავტომობილის ხმა.  
ტუსალები: შეშინებული ჩურჩულით  
სიბნელეში იფანტებიან,—  
როგორც ფოთლები ქარით დაბერილი.  
ხმები: ღმერთო! ღმერთო!..

სიჩუმე.

კაბინეტში: ქალღმერთებში ჩაფლული.  
პროფილი გამოძიებლის. შემოდის  
თანაშემწე.

- თანაშემწე:** ციხის უფროსი?  
**გამომძიებ:** ვაკეზეა.  
**თანაშემწე:** მაშ...  
**გამომძიებ:** მე მითხარი.  
**თანაშემწე:** ახალი პატიმარი.  
**გამომძიებ:** მეხუთე კამერა.  
**თანაშემწე:** სავსე.  
**გამომძიებ:** მესამე.  
**თანაშემწე:** უფრო.  
**გამომძიებ:** მაშ აქ.  
**თანაშემწე:** ვასრულებ.

გადის.

დახანება. იღება სატუსალოს კარები.  
დაქანებულ ვიწრო კიბიდან ფანრიტ  
ჩამოდის დარაჯი. ჩამოჰყავს პატიმარი  
სატუსალოში გადაჰკეტს.

**ტუსალი:**

შემკრთალი.

რა სიბნელეა.

9. დილამდის მეგობარო.  
**ტუსალი:** ვინა ხარ?  
9. შენი ბედის.  
**ტუსალი:** ვერ გხედავ, ლამია.  
9. თვალს მიაჩვევ, გათენდება.  
3. ჩვენთვის შუა დღეა.  
**ტუსალი:** ამბობდენ:  
სავსეა ყოველი კამერა,  
სწვები სად არიან?  
9. ხმაურზე მიიმაღენ.  
3. კუთხეებში დარჩენილ ლამეს ეფარებიან.  
**ტუსალი:** რისთვის?  
7. ასეა ძმაო, დღე გვძინავს  
ღამით ვყარაულობთ.  
**ტუსალი:** რას?!  
9. 3. 7. 5. სიცოცხლეს.



**ტუსალები თანდათან იკრიბებიან  
კუთხეებიდან.**

5. ღამით ქარივით მოგუგუნდება ავტომობილი.  
7. გვარჩვენ... გვარჩვენ...  
9. და გვშორდებიან ათეულები...  
1. შენ კი, ვილა ხარ?

**ტუსალი:** ჩემი ვინაობა ვერ გაამართლებს სატუსალოს.  
2. რათ დაგიჭირეს?

**ტუსალი:** მეც არ ვიცი.

3. ალბად იქურდე.

**ტუსალი:** რა არის ქურდობა?!

4. ალბად აჯანყებას მიემხარი.

5. მენშევიკი ხარ?!

**ტუსალი:** მე მიყვარს საქართველო,  
მე მიყვარს ხალხი!

ბავში ხომ არ ვიყავ მეთამაშა.

6. მაშ მოლაღატეს თავი გაუბე,—  
როცა ღამაშ ცოლს გიკოცნიდა გახელებით.

7. ან და შეაცდინე,  
ჯერ დაუმწიფებელი

პაწაწინა გოგონა,—თაფლისფერ თვალებიანი.

**ტუსალი:** თქვენ ვატყობ მიყვებით საკუთარ ცოდვეს.  
■ ფეხის ხმა.

სსსს... კიდევ.

ეს მეათეჯერ.

**ყველა:** კაბინეტის მოსაზღვრე კედელთან.  
ახალი ტუსალი ადგილზე.

**დარაჯი:** კაბინეტში;  
ერთი მათგანი.

**გამომძიებ.:** მოვიდეს.

**შემოსული:** ხომ შემიძლია დაფარულად.

**ტუსალები:** ჯა შუში!..

**გამომძიებ.:** ახალი?

**ჯა შუში:** საბუთები.

**გამომძიებ.:** აბა?!—

**ჯა შუში:** აჯანყების გეგმის მეორე ვარიანტი.

**გამომძიებ.:** მაჩვენე.

■ შინჯავენ.

იგივეა.

**ჯაშუში:** ერთის გამოკლებით.  
**გამომძიებ:** ხაზები ტყეებიდან?  
**ჯაშუში:** მეთაურებით.  
**გამომძიებ:** უცხოა შრიტტი.  
**ჯაშუში:** სამი ღამის გათენებით მე გამოვიცანი.  
 3. საძაგელმა გამცა!

**გამომძიებ:** დაჭერილია.  
 7. არც მე დამტოვებდა.

**გამომძიებ:** კიდევ?!...  
 9. არაფერი ისმის...

**ჯაშუში:** რაც მთავარია;  
 პარიტეტული კომიტეტის ბინა, წერილები...

**გამომძიებ:** შემადგენლობა?  
**ჯაშუში:** სავსებით ვერა.  
**გამომძიებ:** სამწუხაროა.

**ჯაშუში:** დაჭერილებში მოიკითხეთ,—  
 იცის ზოგიერთმა.  
 ■ შინჯავენ ქალაღღებს.  
 წუთების შემდეგ ჯაშუში გაღღს.

7. ღმერთო! ღმერთო!  
 8. რა საშინეღღებაა.  
 3. მე მისი ხმა მეცნაურება.  
 5. აღბათ ბევრჯერ დასწრებაი  
 ფარულ შეთქმულღღებას.  
 ■ პაუზა სიჩუმის გაყოღღებით.

1. შეხეღღეთ: სარკმელი ფითრღღება შიშიღღით.  
 2. ცის ბნელ სიწორღღეს თვაღღები გაუთეთრღღა.  
 3. რომელი საათი?  
 4. ექვსი უნახვეროთ.  
 5. ხომ არ გადასწიე!  
 6. სტყუი.

4. რაა საეჭვო.  
 7. კიღღევ წუთები და გადავერღღებით!  
 ■ მზიარულღღება.

8. გაჰკრება: ჟრუანტელი, შიში.  
 7. ბეღი დაისვენებს,—ბეწვზე რომ ეკიღღა  
 5. და მზიარულღღება, ნეტარღღება დაღღამეღღამღღე.  
 9. ღღამე ყოვეღღეთვის სიკვღღიღღია და ბოროტღღება.



1. ჩვენ სიცოცხლეს კიდევ ერთი დღე მოგმატა.  
2. მხიარულება, გადავრჩით!
- დარაჯი:** ■ შემოდის.  
ტუსალი № 121.  
■ ჩამქრალი სიცილი. უეცარი სიჩუმე.  
ტუსალი № 121.
9. მე ვარ.
- დარაჯი:** ციხის უფროსთან.
9. მოვალ.
- ტუსალები:** ■ მიცვივდებიან არ უშვებენ.  
რას შვები!
3. ნუ წახვალ!..
5. ნუ წახვალ...
7. დაიცადე.
9. ხომ სულ ერთია!
- დარაჯი:** ციხის უფროსი იცდის.
- ხმები:** დაგვიჯერე.
1. დრო გავა. გათენდება.
7. სიკვდილს გადარჩები.
9. ძალით გამათრევენ.  
სჯობს თვითონ წავალ.
- ხმები:** რას შვები!
9. მშვიდობით.  
■ გადის. ტუსალები სდგანან უძრავათ.  
■ მივარდება მათთან „ახალი ტუსალი“.
- ტუსალი:** სად წაიყვანეს?!
7. ღმერთმა იცის.
- ტუსალი:** ხომ დაბრუნდება?
3. წასული არ ბრუნდება.
5. მას დააყენებენ გზაჯვარედინზე.
6. მას ჩააბარებენ საკუთარ ბედს.
7. არსებობს სამი გადაწყვეტა:  
სიკვდილი. ღალატი. თავისუფლება.
8. არჩევანი მის ხელშია.
1. ■ კაბინეტის მოსაზღვრე კედელთან.  
მოღით.  
■ პაუზის შემდეგ ნაწილი: მასთან.
- ციხის უფროსი:** კაბინეტში შემოდის ციხის უფროსი.  
ტუსალით—9. მიმართავს გამომძიებელს.  
ის არის.  
■ გადის.

- გამომძიებ.: თქვენი სახელი?
9. განა არ მიცნობ.
- გამომძიებ.: გიცნობთ.
9. ოდესღაც ერთად ვიბრძოდით.
- გამომძიებ.: ოდესღაც, ეხლა ვებრძვით ერთმანეთს.
9. ეჭვი.
- გამომძიებ.: სიმართლე.
9. ჭალარა მიმტკიცებს.
- გამომძიებ.: ნახეთ საბუთები.
9. ■ გადაშინჯავს.  
ლმერთო!
- გამომძიებ.: თქვენმა მეგობარმა მოგვეტანა თავისი ნებით.
9. იქნებ...
- გამომძიებ.: ასეა.
9. გაიხრწნა ცხოვრება.
- გამომძიებ.: არა, პარტია.
9. უფრო: პარტიები.
- გამომძიებ.: კამათი შორს გავგრიყავს.
9. ცნობა, რას იტყვით.
9. სიყალბეა.
- გამომძიებ.: მჯერა.
9. მე მათ ყოველთვის ვეძახდი ზოლალატეს.
- გამომძიებ.: ამიტომ მინდა,  
შევადარო ცნობა სიმართლეს,—  
რომლის მიხედვით შეიძლება ბევრი დაიღუპოს.
9. და შენ არ გინდა?
- გამომძიებ.: ჭეშმარიტად.
9. ■ პაუზა. ჩაფიქრებით.  
მე მაშინებს მოლალატის სახელი.
- გამომძიებ.: რატომ,  
გავარკვიოთ სინამდვილე მხოლოდ  
ესეც რომ არა;  
ხალხის მოლალატის ღალატი წმინდაა...
3. ჯერ კიდევ მტკიცეთ არის.
9. რომ დაგეთანხმო ენა ვერ გაბედავს...
7. მალე გარდატეხავს
9. სიტყვა გაშრება ტუჩზე შემომდგარი.
- გამომძიებ.: ნახეთ. წაიკითხეთ.
9. ■ აჩეჩებს ქალღმერთებს.



1. ძნელია დგომა გზა ჯვარედანზე,  
როცა გზა არ იცი.
  2. ყველაზე მძიმეა საკუთარ ბედის  
ხელში დაკალება.
  3. მე მეცოდება მომაკვლავ პარტიის  
უკანასკნელი სინდისი.  
■ სიჩუმე.
  4. შეხედეთ, შეხედეთ. გათენდა! გათენდა!..
  5. დათოვილ ჰორიზონტზე მზის სხივი ათამაშდა.
  6. მზის სხივი ათამაშდა!
- ტუსალები:** მზე! მზე! მზე.
3. ■ ტუსაღს.  
მოდო მეგობარო დაინახე მზე.
- ტუსაღი:** შემოდგომის ყვითლად გაღიმებული მზე?
3. შეხედე, სულს გაგიბობს.
- ტუსაღი:** ის უფრო ცივია.  
მაგონებს ზღმურდლიან შეცივებულ კატას  
ღრუბლების ბალიშებში ზმორებით იმალება...  
შენი ხმა მოგონებას მიშლის წარსულიდან.
- 5. **ტუსაღი:** შესაძლებელია...  
■ ახედავს.
- 5. ნუ თუ.
- 7. შენ აქ რა გინდა!
- 3. შენ აქ რა გინდა!
- 5. შენ ხომ კომუნისტი.
- 7. კომკავშირელი.
- 3. 5. 7. საკვირველება!
- 5. არაა საკვირველი.
- 1. სსსს... ამბავია.
- 2. ხმა აუმაღლეს.  
■ კედელთან; 1, 2. სარკმელთან: 4, 6, 8.  
ადგილზე: 3, 5, 7.
- 7. მე მახსოვს,  
პოეტი იყავი კომკავშირის.

**პოეტი:** ეხლა ვარ ტუსაღი პოეტობი! თვის.

  7. პოეტობისთვის ვის დაიქერენ?!

**პოეტი:** შენც პოეტი ხარ.

  7. როგორ?

**პოეტი:** დაუკვირდი.

  3. 5. 7. სასაცილოა.

7. ვაცხადებ გულახდილად:  
ჩემ სიცოცხლეში  
არც ერთი ლექსი არ განმიზრახავს დამეწერა,  
და შემოდლია ვიამაყო:  
ვარ ერთად ერთი ქართველი  
რომელსაც არ სწვევია შუა ლამისას  
ქალბატონი მუზა.  
■ კოჭლი ღიმილი.

**პოეტი:** მუზაა ყოველი ნაბიჯი შენი,  
აღმა-ფრენაა ყოველი სიტყვა ..

1. მან ყველაფერი სთქვა თავის თავზე  
2. მან არ დაჰფარა არც ერთი ნაბიჯი...  
1. ეხლა სხვებზე ჰკითხავს,  
2. არ უნდა უთხრას...  
1. მაღავს, დამაღავს?..  
2. მაგრამ...  
■ ამათ უერთდება: 4, 6, 8. და პოეტი.

**გამომძიებ.:** თქვენ უნდა მითხრათ...

9. არაოდეს.

**გამომძიებ.:** თუ გიყვართ „სამშობლო“.

9. ისინი არიან შვილები ერის.

**გამომძიებ.:** „ერს“ უღალატეს.

9. იყო შეცდომა.

**გამომძიებ.:** და მერე...

■ ჩაფიქრებით.

ქარგი!—

■ მიიჭრება ფანჯარასთან. აღებს.

დაუგდეთ ყური,

გადახედეთ ხალხს,

თუ გაქვთ გული მაგარი.

■ ქუჩიდან ხმაური. ბავშვების ტირილი.

წყევლა. გინება.

■ წამოვარდება.

9.

ეს რა!?

■ ფანჯარასთან, ქუჩაში ხმაური მატულობს.

■ ირჩევა ხმები: „შვილო“ „მამა“

ღმერთო!





- ჩემი შვილი!  
 ჩემი ბიჭუნია.  
 ჩემი გოგონა...  
 ცოლი.. ცოლი..  
 დაავადებული დედა... დედა!
- გამომძიებ.: ■ იმავრებს გრძნობას.  
 კმარა!  
 ■ მიუხუროვს ფანჯარას.  
 ■ ხმაური თანდათან ყუჩდება.  
 ხომ ნახეთ.  
 ■ სიჩუმე. დანახება.
9. ენახე საქართველო,— ქ. რისუვალი.  
 გამომძიებ.: ■ პაუზის შემდეგ.  
 ეს კიდევ ცოტაა...  
 ისინი მოდიან გათენებისას.  
 გულის კანკალით, მოლოდინით  
 და ციხის კარებს შემოჰყურებს ათასი თვალი...  
 ოი, რამდენის ტუჩი  
 გალურჯდება საშინელებით,  
 როცა მისი შვილი, ან ქმარი, ძმა, მამა  
 წარწერილია  
 გულგრილი შრიფტით: წუხელ დახვრიტეს!  
 დაჩუმდი, ნუ ამბობ.
9. გამომძიებ.: უკეთესია ხალხის დაჩუმება.  
 9. სიტყვები განზრახ.  
 გამომძიებ.: ვინ არის დამნაშავე?  
 9. ვინ არის მიზეზი?  
 გამომძიებ.: ერთი, და ის შენ.  
 ■ პაუზა.  
 ვინ აატირა „საქართველო“?—  
 შენ.  
 ვინ დაარღვია მყუდროება?!—  
 შენ!  
 მოისპოს ტირილი,  
 მოისპოს ხვრეტა.  
 დამეხმარე.
9. ამიტომ...  
 გამომძიებ.: საჭიროა შეპყრობა კომიტეტის.  
 9. შენ ისევ შენსას ასაბუთებ.  
 გამომძიებ.: მოვალე ვარ ამის.

9. არ გიყვარს საქართველო,  
გამომძიებ.: მე მიყვარს ხალხი!  
ჩვენთვის ერთია: ყოველი მოდგმა.  
მოესკდებით რისხვათ  
როცა დაბრკოლება გვაშორებს მიზანს.  
ჩვენა ვართ ნიაღვარი,  
არ ვიციტ ჯებირი!
9. ასეთი უღმობელი არ ყოფილა  
არც ერთი თაობა...  
გამომძიებ.: ასეთია ნება რევოლუციის  
დიქტატურა პროლეტარების.  
■ სიჩუმე. დახანება.  
აი ჩამოსწერე.  
უღებს საწერ კალამს.  
ტუხალი-9 სდგას ჩაფიქრებით,—გაღუწული.  
უცებ გადაწყვეტით მივარდება მაგიდას,  
ნერვიულ თრთოლვით  
ჩამოსწერს გვარებს.
9. დაბალი ხმით:  
ხომ ჩვენში დარჩება?!
- გამომძიებ.: თავისუფალი ხართ
9. ■ ნაბიჯებით.  
თავისუფალი... თავისუფალი...  
თავისუფლება!  
■ გადის.
- გამომძიებ.: ოჰ! დავიღალე!  
■ მოწყვეტით ეცემა სკამზე.  
ძნელია ყოფნა ათნაირ ნილაბში.  
როგორ დავემციროე თავი!—  
რა ხერხს არ მივმართე!—  
სინდისი!—  
მაგრამ, მოითხოვს სინამდვილე,  
მიზანი ამას და მე მიზნად ვარ.
9. ■ ჯერ შემოუსვლელი.  
მოლალატე... მოლალატე...  
შეუძლებელია... გამცემი!...  
■ შემოიჭრება.  
ეს არაოდეს!..  
■ პაუზა. გამოძიებელთან ხმა შეცვლით:



შენ გინდა გადამსცე  
ხალხს მოლაღატის სახელით?!  
კარების იქეთ სიკვდილი სდგას ჩემთვის...  
ვერ წავალ.  
მე: ისევ ციხე მინდა.  
ჩემთვის დახვრეტა მეტი სიცოცხლეა.  
დამხვრიტეთ!

**გამომძიებ:** ჩვენ ზედმეტ ტყვიას არ გავაფუჭებთ,  
გვინდოდა მხოლოდ გარდატეხა შენი,  
შენ ჩემთვის ახალი არაფერი გითქვამს.  
დანარჩენები  
თავის ნებით მოდიან მახარობლად.  
აი, არ მინახავს, მე ვხევ შენ ცნობებს.  
წადი.

თავისუფალი.  
შენ უკვე მკვდარი ხარ.

9. იცოდე წასული, ხალხს ავაჯანყებ.

**გამომძიებ:** შემცდარხარ. მოლაღატეს არვინ დაგენდობა.

■ მივარდება.

რა სთქვი!

■ მოტეხილად.

მო... ღა... ღა... ტე!...

■ ლასლასით გადის.

1. საშინელია: სიკვდილი სიცოცხლეში!

2. საბრალოა: შეგნებული მოლაღატე.

**პოეტი:** ■ მოწყვეტით.

მორჩა!

3. რა დაემართა ტუსაღს?

**პოეტი:** გადატყდა.

8. მოკვდა.

**პოეტი:** ღმერთო!

7. 3. 8. 6. და მერე შენ რა?!

5. რას ამბობდა იგი?

7. რა გაწუხებს შენ?

**პოეტი:** მე მოვისმინე საკუთარი სიტყვები.

მე შევხედე საკუთარ თავს.

■ ტკივილებით.

მე დაჭრილი ვარ.



- 4.           ო, დავიდალე ღამის თევით, მეძინება.
- 8.           თვალის ქუთუთოები ზანტად მერაზება.
- 7.           წამოდი მეგობარო...

**პოეტი:** ვერ წამოვალ.  
 იქნებ დამანებოთ თავი სამუდამოთ!  
 მე არ შემიძლია სულის გაერთება თქვენთან.  
 მე არ შემიძლია სიცოცხლე თქვენთან.  
 მე: მარტო! მე: ერთი.  
 რა გულცივია ბედი დაუნდობი.  
 ჩვენ: ერთად.  
 ერთ ჰერ ჰევეშ.  
 მტერი თუ მოყვარე?!  
 როგორ!.. როგორ?.. როგორ...

- 7.           ბრალია პოეტობის შენივე სიტყვით..

შორდებიან.  
 4, 8, 6, კუთხეში მიწვებიან.  
 1, 2, ცალკე, ბასობენ.  
 კაბინეტში შემოდის „უფროსი“ ღ „მოწაფე“  
 მიმართავენ გამომძიებელს.  
 ემუსაიფებიან.

- 3.           ვე.. მეგობარო რამდენი საშინელება  
დაგროვდა გულში.
- 5.           ის დრო მაინც სჯობდა...
- 7.           საკატორლო ციხეში მოსვენებით რო ვიტანჯებოდი...
- 5.           ვილეოდით თანდათანობით...
- 3.           ეხლა: მოელი ყოველ წუთში კარების გაღებას...
- 7.           სიკვდილი გელანდება!
- 3.           მე მათრთოლებს ხსენება.
- 7.           ვინ გაუჩერდება წარბ შეუხრებლად ტყვიას!
- 5.           მე, ძმაო სიკვდილზე აღარ ვფიქრობ უკვე.
- 7.           მეც შეურიგდი.
- 3.           სხვა რა გზა არის.

**უფროსი:** დარჩა უნებურად.

- 7.           უუუ... ამ სიცივეში. ტილები რამ გაამრავლა მაინც.

**მოწაფე:** სურდა შერიგება, აღესილ მხარეების.

- 3.           ორი კვირეა საცვალი არ გამომიცვლია.

**უფროსი:** მაგრამ ეს იყო ოცნება პოეტის.





5. ჩემი პერანგი გაცილებით უფრო შავია ვინემ რომელიმე მუშის ბლუზა გაზინზღლული.

გამომძიებ.: **ეს კარგი თუ გინდ, ქარხნის დარბევა?**

7. ვახსოვთ: კატორღიელებთან ტილებით თამაში ტილების დოღი.

უფროსი: **დამტკიცდა: საქმეში ჩალოა დამნაშავე!**

7. მე ერთხელ დოღში ყველას ვაჯობე. ბევრი ფული მოვიგე.

მოწაფე: **ამბობენ: ჩაიდინა პირადი ძტრობით!**

3. მაგრამ, იქ იყო ერთი ნაყაჩაღარი

უფროსი: **სურდა პოეტი მოიწყვიტა პარტიას!**

7. უღვაშში ჰყავდა შენახული ტილი უსწრაფესი და თამაშობისას გამოიყვანდა. იყო დაუძღვე!

უფროსი: **უთუოდ. შეცდომით... აი ძოწერილობა!**

3. შენც მან დაგცარა მაშინ.

გამომძიებ.: **კარგი. გამოვიკვლეე. ზომებს მივიღებ...**

პაუზა... „უფროსი“ „მოწაფე“ გადის. გამომძიებელი სინჯავს ქალაღებს.

7. მეზობელ ანარქისტმა, მუდამ რო აგებდა ორმოცი ვერცხლი აძლია მახსოვს.

5. ?!

7. მაშ. თუ არ ვცდები არც სურდა მიეყიდა. მე რომ არ შეთქვა:...

3. იუღამ ქრისტე ოცდაათად გ.ჰყავდა შენ კი ორმოცად არ ყიდი.—შეგრცხვესო.

7. მაშინ ჩაფიქრდა პატრონი საუნჯის...

3. და სინდისიერმა გაჰყიდა ოცდა ცხრათ...

გამომძიებ.: **დარეკავს ზარს. შემოდის თანაშემწე.**

**განკარგულება.**

**გადსცემს ქალაღს.**

**მე კი, მივდივარ.**

**უნდა დავისვენო,**

**ლამე გავათენე თეთრად.**

**მოვალ თორმეტზე,**

- გადის. თანაშემწე სდგას ერთ ადგილზე, შინჯავს ქალაღდს, წუთების შემდეგ გაჰყვება აჩქარებით.
- იღება სატუსაღოს კარები, დარაჯი, მასთან: „თანაშემწე“.
- თანაშემწე:** ტუსაღი № 129.
- პოეტი:** ■ თავისთვის.  
ჩემზე თუ ამბობს.
- თანაშემწე:** ტუსაღი № 129.  
წუხელ გადმოგზავნიღი.
- პოეტი:** მე ვარ.
- თანაშემწე:** მობღანღით.  
■ გაღიან კაბინეტში.
- პოეტი:** რა გსურღათ?.
- თანაშემწე:** დამტკიცღა თქვენი უღანაშაულღობა.  
ჩვენ გაგანთავისუფღეთ.  
გზა ცარიეღია.  
■ გაღასცემს მოწერიღობას. გაღის.
- 
- პოეტი:** ■ მარტო.  
უღანაშაულღობა.  
■ ნაბიჯები.  
გზა ცარიეღია!..  
■ კარებთან.  
გზა ცარიეღია!
- კომუნარი:** ■ უცებ აიღართება კარებში—  
მოხურული აქ შავი მანტია.  
მაგრამ საღ მიღიხარ!?
- გაურკვევეღად;
- პოეტი:** გზა დამიცაღე!
- კომუნარი:** შენ იქ რა გინღა!
- პოეტი:** მითხარ ვინა ხარ?!—ყოღანიღვით მოფუყუღელი?
- კომუნარი:** დარაჯი.
- პოეტი:** ვისი?
- კომუნარი:** ცხოვერების.
- პოეტი:** ყოღანი ხარ.
- კომუნარი:** ვგრე, და მომაკვღავს სიკვდიღს დავსჩხავი!
- პოეტი:** გზა დამიცაღე!
- კომუნარი:** არაოღეს.
- პოეტი:** იცი, მე ვინ ვარ?



- კომუნარი: ვიცი; — დაჭრილი.
- პოეტი: იცი მე რა მსურს?
- კომუნარი: ვიცი: სიკვდილი.
- პოეტი: ვისი?
- კომუნარი: თვით თავის.
- პოეტი: არა.
- კომუნარი: ასეა.
- პოეტი: შენ ეს ვინ გითხრა?
- კომუნარი: შენმა თვალებმა.
- პოეტი: გზა დამიცალე!
- კომუნარი: არ შეიძლება.
- პოეტი: მე მინდა ცხოვრება.
- კომუნარი: სიცოცხლე მკვდრის.
- პოეტი: გახსენი გზა!  
■ ამართავს მუშტებს.
- კომუნარი: რას შეები!  
■ ხელებს იფარებს.
- პოეტი: ხედავ შეშინდი.  
■ მოშვებულად.  
ხედავ, შენ ხელები ასწიე;  
შენ გინდა სიცოცხლე.  
რათ გიკვირს როცა ვიფარებ სიტყვებს...  
მეც მინდა სიცოცხლე!  
მეც მინდა სიცოცხლე!..
- თავბრუ დახვეული მაგიდას მიეყრდნობა.  
თვალი უჭრელდება.  
კედლები მოძრაობენ; ადიან ჩამოდიან.  
კუთხეებში დროშებს ცეცხლი ეკიდებათ.  
მოდის მალლიდან ქალღმრთლის თოვლი—  
ლექსების ნახევები.  
ლენინის სურათს თვალები აენთება,—  
პროექტორული შუქი,  
■ ეცემა ლექსებით დათოვილ პოეტს.  
მე არა ვარ დამნაშავე...  
მე არა ვარ დამნაშავე!  
გული... გული... ვაიმე!..  
■ გადასდგამს ნაბიჯებს—  
ვერ აღწევს ეცენა.  
ლექსებიდან ამოდის ქალი ყვითელი,  
დახავსული.



კომუნარი: აი დამნაშავე!..

ქალი: ■ უახლოვდება პოეტს.  
შენ: ჩემი სულის თანაზიარი.  
შენ: კიდევ ჩემთან.  
მე: კიდევ შენთან.  
წამოდექი. წამოდექი. გავსწოთ ერთად...

პოეტი: ■ დგება ქალის დახმარებით.  
ოჰ! როგორ მტკივა თავი!..  
სამუდამოთ, დაჭრილი სული!..  
მე მცივა!.. მცივა!..  
■ ეხვევა ქალს.  
მე: საკუთარ ლექსებით დათოვილი.  
მე: გადავარდნილი მიწიდან.  
გესმის: როგორ ნავიან ლექსები...  
რა საცოდავათ... მგონი მეძახიან...  
ჩემი ლექსები. ჩემი შვილები  
გესმის: მათი ხმა?!.  
მე: ისევ შენთან. მე: ისევ ის...  
მე; ერთად ერთი კენტი ძარღვი  
შენთან დარჩენილი!.. ღმერთო!  
მე არ შემოძლია სუნთქვა  
მე არ შემოძლია წამოსვლა!  
ათრთოლებული ფეხები  
მიმათრევენ კოჭლ რითმივით.  
ჩაყვითლებულ თვალებს ხავსი გადეფარა.  
შენ... შენ .. შენ...  
■ უეცრად თავზარ დაცემული გახტება განზე.  
ოოჰხ! ვინ არის!  
ვინ არის რომ მემოქრება სივრციდან!?  
ვინ მიღერებს ჩონჩხიან მუშტებს!  
ვინ დამცინის,— ვინ დამცინის?— ეგრე სასტიკად.  
ვინ იღრიჭება ჩაყვითლებულ კბილებით!..  
სიკვდილი! სიკვდილი!  
ჩაუმტვრიეთ მას კბილები! ჩაუმტვრიეთ მას კბილები!  
ნუ დამცინი!— ნუ დამცინი,—  
მე მეშინია შენი! მე მეზიზღები!  
მიშველეთ!— დედა!  
■ ეცემა ძირს. ქალი მასთან.  
დახანება, კომუნარი— გადიხსნის მანტიას,  
■ აცვია წითლად... ფარდა ■



**კომუნარი:** ■ ფარდის წინ.  
 იყო და არა იყო რა...  
 აბა თქვენზე უკეთესი ვინ იქნებოდა?  
 იყო: პოეტი.  
 სული: უკმარი.  
 სული: დაუმდგარი.  
 სული: მებრძოლი.  
 და მისი პროფილი მიწიდან აფრენილი.  
 იყო: ს. ს. ს. რ. ჭაბუკი განაჯაყი.  
 და ვიყავი მე.—  
 მიზანი და რწმენა, ნება გარდღევალი.  
 სახე: ათასების.  
 სახე: სინამდვილის.  
 სახე: მომავლის.  
 ვცხოვრობდით „ღვთის მაღლით“.  
 როგორც მდინარე, როგორც ნიაღვარი,—  
 მოვდიოდი წინ.  
 მიწის ტრიალთან ერთად, მიწაზე მდგომი.  
 მთები გამოვბურღე. მოვარღვეე ყალიბებს  
 და ყოველ უფარგისს ნაპირზე გარიყულს  
 ვტოვებ უღედოთ...  
 იყო; შებრძოლება და იყო: გარდატეხა!  
 მრავალი მტერი გავაქრე თოვლივით.  
 მოვდივარ ურავანად გრივალი უშრეტი,  
 მსოფლიო ოქტომბრით გადავსჭირი საზღვარს!..  
 და ძველი ქვეყანა შუბლ გადარღვეული  
 დარჩება როგორც:  
 ბებერ მსახიობის მივიწყებული გვარი  
 ხავსიან ქუჩაბანდში,—  
 წვიმით დატირებულ აფიშის ნახევზე...  
 მანამდი;—გჯეროდეთ:  
 ცხოვრებას ამცდარი, ხელის შემშლელი,  
 ყოველი მტერი,  
 ნებითი, უნებური—გადაიმსხვრევა!..  
 და იქნება დარდათ შიშით მოხეტქილი:  
**ტრალეღია ოხ!**  
 ■ პაუზა. ხმა შეცვლით.  
 იყო და არა იყო რა....



4





შალვა რადიანი—(შეწირული).

## მკვლრების საუბარი.

### ლიბერალთა და თანამედროვეობა.

ქართველი ხალხის თანამედროვეობის სახე ყოველთვის ჩვენი ლიტერატურის ცენტრში იყო, ამიტომ ყოველი შეგნებული ქართველი ახალგაზრდა ყოველთვის დიდი გულისყურით და სიყვარულით ეტანებოდა ქართველ მწერლების შემოქმედებას.

გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით: ჩვენი „საზოგადოება“ ლიტერატურით ცხოვრობდა, მისთვის იტანჯებოდა და იბრძოდა. ლიტერატურა არა თუ მარტო სახავდა ცხოვრებას, არამედ უმეტეს შემთხვევაში იყო მისი ხელძღვანელიც და მასულდგმულბელაიც. ქართული ლიტერატურის ასახვაში მუდამ მოსჩანდა სასიცოცხლო სხივი და ნაკადი, რომელიც ბრწყინვალე მომავლისაკენ მიისწრაფოდა.

### ახე იყო წარსულში.

რა არის დღეს? შეუძლია თუ არა ჩვენს თაობას სახელმძღვანელოთ გაიხადოს გრ. რობაქიძის, ი. გრიშაშვილის, სოლ. თავაძის, ს. აბაშელის, ს. შანშიაშვილის, კ. გამსახურდიას, ტ. გრანელის და სხვების პოეზია, მწერლობა? შესაძლოა თუ არა სიმწარით შობილი, რევოლიუციის ქარცელცხში გაპოწრთოილი საქართველოს ახალი თაობა დაეყრდნოს წყალ-წყალა პატრიოტების და მისტრკოსების შემოქმედებას? ვფიქრობ, რომ შეუძლებელია, ისინი ხომ დაფრთხენ თანამედროვეობის წინაშე; იმათ ხომ წარსულისაკენ იბრუნეს პირი, ისინი ხომ გოორბელიანის ანდერძს დაუბრუნდენ: „წასულთა დროთა, დიდების დროთა ყოველი კეთილი თანა წარიღეს“-ო. იქ, სადაც ერთ დროს გაისმოდა გებრძოლს წინამძღოლ ადამიანების ამაყი სიტყვები და ცეცხლით ანთებული გამოხედვანი-რომელიც ძველ ქვეყანას იწვევდა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში:

მეგობრებო წინ, წინ გასწით

ნუ შედრკება თქვენი გული...

და სხვა.

დღეს გამეფებულია ბნელი, სასიკვდილო ამოძახილები. მომაკედავ ადამიანებში კვლავ აღდგა მისტურ-რელიგიური იდეალიზმის სხვადასხვა ფორმები—ჰუმპარიტი ნიშანი მათი მორალურ და პოლიტიკურ დაცემის და გახრწნის.



### ჰიპოკრატული სახე.

ჩვენი თაობა კი მომავლის, პერსპექტივის, რწმენის და იმედის ხალხია- ჩვენი ახალთაობა წინ იყურება, რევოლუციისაკენ ილტვის, ისინი კი უკან, რეაქციისაკენ. ამიტომაც, რომ ჩვენსა და მათ შორის „ხილია ჩატეხილი“. შეიძლება დრამითა და ტრადედიით აღსავსე იყოს ჩვენი მდგომარეობა, რადგანაც წინ, განახლებისაკენ სვლა ბევრ მსხერპლს ითხოვს, მაგრამ ჩვენ მაინც მომავლის ორიენტაცია ავიღეთ, როგორც ახალი კლასის შეილება და შეუღრეკლათ მივყევებით ერთ დროს პუშკინის მიერ გამოთქმულ დევას:

«Но не хочу, о други, умирать!

Я жить хочу, чтоб мыслить и страдать.

და პუშკინის ამ «не хочу»-ს მსგავსად ჩვენც „არ გვინდა“ ვიკვებოთ ნხოლოდ წარსულით თუ გინდ დიდებულითაც. ლიტერატურის და ხელოვნების ბუნებას არ სჩვევია ერთ წერტილზე გაყვნა.

პროლეტარულმა რევოლუციამ თითქოს ჩააქრო ლიტერატურულ შემოქმედების ცეცხლი, როგორც სხოვრებზე ხელმძღვანელის. ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა ჩიხში მოქცა. ის გაიბზარა. მის პარნასზე აღარ მოსჩანს სასიცოცხლო აღტაცება, სწრაფვა მომავლისაკენ. თანამედროვე ქართული ლიტერატურის სახე იძლევა ჰიპოკრატულ განოხედვას. ბურჟუაზიულ ფეოდალურ კლასის ავონიის პოზაზე მოსჩანს სიკვდილის ნიშნები, მისი ფიზიკომია მოგვაგონებს ჰიპოკრატულ ნასკას, და მისი ლიტერატურაც დღეს იმ მდგომარეობაშია, რომელშიაც მოქცა ქალი ორასს ვერნეს ცნობილ სურათში და რომელიც ასე ნათლად არის აღწერილი მის მიერ:

...черная коса

Растрепана, полураскрыты губы,

И стиснуты немой и жгучей болью зубы,

И поступает пот на теле, что роса...

ქართული ლიტერატურის ნაფიცი ვეკილის ივანე გომართელის რეცეპტით, რომ ვსთქვათ: „ქართული ხელოვნება კრიზისის განიცდის, ქართული ხელოვნება ჩიხშია მოქცეული“. რამ დააფიქრა, რამ აანღერა ხსენებული კრიტიკოსი ასე პენიმისტურ ჰანგზე?

როგორც სხვა ისტორიულ ფენის, სხვა ფსიქოლოგიის ხალხი, ისანი ვერ შეეგუენ გამარჯვებულ პროლეტარიატს, დიად „ოქტომბერს“, როგორც წარსული საუკუნის მიცხრამეტე საუკუნის „მეორეოცე“ წლების „ძველი თაობა“, გრ. ორბელიანის მეთაურობით ვერ შეეგუა „მესამოცე“ წლების, ახალთაობას“, ახალი იდეებით მოსულს.

### შავი მინები.

ესარგებლობთ ბოლშევიკური ძველი გვარდიის ცნობილ წარმომადგენლის ანხ. ვარცელ გოროვსკის ნშვნიერ შედარებით: ყოველი მწრალი ქვეყნიერებას უცქერის ფერადი მინის საშუალებით, და დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ



საქართველოს თანამედროვე ბურჟუაზიულ ფეოდალური მწერლები ქვეყანას უც-  
ქერიან შავი მინების საშეალებით.

გადაშალეთ, თვალი გადაავლეთ, გაეცანიო მათ თანამედროვე ჟურნალ-გა-  
ზეთებს, წიგნებს და ცოტათი საღათ მოახროვნე ადამიანი ნათლად დაინახავს,  
იგრძნობს, რომ იქ არ არის არავითარი ახალი, სულის ამამაღლებელი, არამედ  
მის ფონზე გაისმის წარსულას მოთქმა-გოდება, დეგენერატული განწყობილება,  
მისტიციზმი, მწუხარება, იმ ქვეყნიური ხილვები და სხვ. აი რა ავსებს მათ ფურ-  
ცლებს. კითხულობთ მათ ლიტერატურულ შემოქმედებას ნიმუშება და ის შთა-  
ბეჭდილება გრჩება, რომ ეს იწერება არა დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში  
ხდება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენები, როდესაც მსოფლიოში „დაქარის კო-  
მუნიზმის აჩრდილი“ და ყველგან ძველ ღირებულებათა გადაუასება სწარმოებს.

თუმცა იმათ თავი მოაქვთ ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების  
და ლიტერატურის უღაო წარმომადგელებად, რომლებსაც ვერავენ შეედრება  
და მათ უმეტეს შეედავება, მაგრამ სინამდვილეში მათ დღევანდელ მეშაობას  
არაფერი საერთო არა აქვს ქართველი ხალხის თანამედროვეობასთან, იმასთან  
რასაც საქართველოს მუშები და გლეხები განიცდიან.

ოდესღაც გიორგი პლესნანოვი სწერდა: „როდესაც მწერლები ბრმები ხდე-  
ბიან თავის დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენებისადმი, მაშინ უძლიერესად კლე-  
ბულობს თავისი შინაგანი ღირებულებით იდეები, რომლებსაც ისინი ხატავენ თა-  
ვიანთ შემოქმედებაში“. და რომ სიტყვებ გაუშინჯოთ თანამედროვე ქართულ ლი-  
ტერატურას, დავინახავთ, რომ ყველა მათგანის შექმედებას აკლია სასიცოცხლო  
ტემპერატურა. მათ შეოქმედებაში მოსჩანს სასიკვდილოთ განწირული ხალხის  
აკონია. და არ ცდებოდა ბორის პილნიაკი, როდესაც ის მიმართავდა მწერალ  
ევგენი ზამიატინს და „ოსტროვიტიანებს“: «муравей не поймёт красоты на-  
менной бабы, ибо, перелезая по ней, не увидит ничего, кроме мелких вис-  
тупов и рытвин». და ეს სიტყვები საკმაოდ ზედგამოკვეთილია ისეთ ჯურის  
ლიტერატორათათვის, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი და რომლებიც  
მრავლად მოიპოვებინ საქართველოში. ისინი ქეშპარიტად ლევ ტროცკის თქმისა  
არ იყოს „დაჩრენ შექველათ შინაგან ემიგრანტებად.“ პროლეტარულ რევო-  
ლიუციამ, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში შევიდა, როგორც „უდი-  
დესათ გადამწყვეტი მოვლენა, რომელმაც თავისი აზრი და შეუახება მისცა  
ყოველივეს“, ჯერჯერობით ჭკუა ვერ ასწავლა ასეთი ჯურის ხალხს. ისინი ისე  
გრძნობენ თავს თითქო არ სცხოვრობდენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში.

ზოგიერთებიც (არ ვიცი ჩვენ გვატყუებენ, თუ უფრო თავის თავს), აქა—იქ  
რევოლიუციონერთათაც იმოსებიან, რევოლიუციონურ ფრაზებს და სიტყვებს ისე-  
რიან (გალ. ტაბიძე, ფუტურისტები), მაგრამ ეს მხოლოდ ყელს ზევით, რადგან  
რევოლიუციონერობა არ ენათესავება მათ ბუნებას, არ არის მათი გულას სი-  
ღრმის ამოძახილი. ამიტომ რაც არ უნდა გვარწმუნონ, ისინი ვერ დასდებენ მა-  
ლამოს ჩვენს წყლულს, ვერ გაიტაცებენ ჩვენ გრძნობებს. არც მომავალი აქვთ  
მათ, რადგან მათში არ არის წყარო პოეზიის და ხელოვნებისა. იქ, სადაც არ



არის გულწრფელი ტანჯვა, მთელი არსებით წვა, არ არის პოეზია. ხშირად პოეზიაში, ლიტერატურაში ისიც ხდება, რომ რევოლუციის სახელით რევოლუციასვე ებრძვიან.

რა სულიერი საზრდო უნდა მისცენ ამათ რევოლუციის ფერხულში ჩაბმულ ქართველ მუშას და გლეხს? ვისთვის სწერენ ისინი და რისთვის?..

ჩვენს მწერლობაში საზინელი ქარ-ბუქია აყენებული, ქაოსია შექმნილი. დაუჯდოთ ყური, თუ როგორ წკეპლავს თავის თავს და თავის კომპანიას კ. გამსახურდია: „ქართული ლიტერატურის ატმოსფერა ძლიერ მოწხამულია, ქართული ინტელექტუალურ სტომაქში დიდი ბალატია მოგროვილი. ერთსაც და მეორესაც გენერალური გაწმენდა ესაჭიროება“ („ილიონი“ № 4).

ჩაკვირვებული მკითხველია საჭირო, რომ გზა აიღოს, სანშვილობის გამოვიდეს. ფსევდო-პატრიოტიზმი და „რევოლუციონერობა“ მისტიციზმ-სიმბოლიზმი და „რევოლუციონერობა“, ფუტურისმი და „რევოლუციონერობა“, აი ჩვენი ლიტერატურის საერთო ფონი. ამ ორომეტრიულში, საერთო არე-დარევაში გასარკვევად გადაუდებელი ამოცანაა აქლოს მივიდეთ ამ ლევიონ ლიტერატორებთან, გავეცნოთ მათი შემოქმედების სტიმულებს, მათი პოეზიის წყაროს და საერთოდ მათი მწერლობის გენეზისს. ჩვენ ახალ თაობას ეკუთვნის სიტყვა, თუ რას უნდა ითხოვდეს იგი ლიტერატურისგან და ხელოვნებისგან.

**ცხადითი ბოღვა ანუ რას ხედავს ზოგიერთი მწერალი, როდესაც მას არ ხდინავს.**

ქართველი ხალხის ფსიხიკა მისტიციზმის საფარველში არას დროს არ ყოფილა გახვეწილი, პირიქით მისი მსოფლ-ნხედელობა მუდამ ატარებდა გარკვეულობის, ოპტიმიზმის და რეალობის სახეებს. მაგრამ მცოცე საუკუნეში ჩვენს ლიტერატურას მოველინენ მისტიკოსებიც, რომელნიც უგზო-უკვლოდ დაეხეტებინ ცხოვრების ლაბირინტში. მოდიან მკვდრები, რომლებიც მკვდრებსავე ელაპარაკებიან.

ცოცხალი ადამიანის საქმეა იცხოვროს ცოცხლებშივე, მათ ბრძოლაში და თანამშრომლობაში. ეს კანონიერი და ყველასთვის მისხვედრი ვალდებულებაა. ამბობენ, რომ არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ზოგჯერ მკვდარი იქერს ცოცხალს. ხდება კიდევ ისე, რომ ცოცხალი იწყებს ლაპარაკს მკვდრის შესახებ, და მაშინ „ცოცხლდება“ მკვდარი. მაგრამ როდესაც მკვდარი იწყებს საუბარს მკვდართან—ეს კი საშინელეა. მე „საშინელეებთ“ წარმომიდგა თვალწინ, როდესაც გავეცანი კ. გამსახურდიას „გარსი მარადი“-ს, „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“ და ტ. გრანელის „memento mori“-ს.

რა არის მიზეზი მათი ასეთი ამღერების?

„ბურჟუაზიის მატერიალური საფუძველი, კერძო საკუთრება და კერძო საშვალეობა საკუთრებისა განვითარდენ იპერი.ლიზმის ხანაში განსაზოგადებრივებული ფორმით, რომელმაც ბურჟუაზიულ საზოგადოების შიგნით შექმნა წინამდებობანი, რომლებიც უარყოფს კერძო საკუთრებას და მასთან შეკავშირებულ-



ყოველგვარ დამოკიდებულებას ადამიანებს და მის მთელ იდეოლოგიას შორის. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში არის მიზეზები გონების და მის ლოგიკის დაბნეულობის—ო სწერდა განსვენებული პროლეტარული კრიტიკოსი თეოდორე კალინინი და მართლაც, დღეს ქართულ ლიტერატურაში რა სახის და ხარისხის მისტიკას არ შეხვდებით.

ეს არის ის საერთო მიზეზები, რომელმაც წარმოშვა თანამედროვე მისტიციზმი.

ბურჟუაზიულ მწერლებისათვის სრულიად მიუღწეველია მსოფლ-მხედველობა აქტიურ ადამიანისა, რომელიც გრძნობს თავის საკუთარ ბედის პატრონად თავს, მკედლათ თავის ბედნიერების, თავის ცხოვრების ბატონად. ის ყველაზე უფრო ცოტათაა განწყობილი იმის სასარგებლოდ, რომ ბეზიმენსკის გამოთქმით „ВЗЯТЬСЯ ЗА ПОВОД ДНЕЙ“. წინამდევ ამისა, იმავე ბეზიმენსკის გამოთქმით, „ДНИ ВЛЕКУТ ЕГО ЗА СОБИЙ“. ის თავის თავს გრძნობს ფეხოსანათ რაღაც უშვალ და უხილავ ძლის, და მის გამომხმარ ტენში სრულებითაც არ წარმოიშვება აზრი ამ ძალის თავის ნებისადმი დამორჩილების შესახებ.. ეს სრულებით გასაკვირი არ არის. როდესაც რომელიმე კლასი არის ისტორიულ პროგრესის მატარებელი, როდესაც ის საზოგადოებრივ ცხოვრებას აგებს თავის ნებით, როდესაც მის წინაშე გადაშლილია მოწიბლავი მომავალი, მაშინ მათი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს მსჭვალავენ ძლიერი აქტივობით. როდესაც რომელიმე კლასი უახლოვდება დაღუპვას, როდესაც მისი არსებობა წინამდევობაშია საწარმოო ძალთა განვითარებასთან, როდესაც ეს კლასი იწყებს გახრწნას, მაშინ, მისახვედრია, მათი მხატვრები შეიძლება განსხვავდებოდნენ მხოლოდ იმით, რომ მათ არ აქვთ ნება, შეპყრობილი არიან პასივობით, ფატალიზმით მათი მსოფლ-მხედველობა,—ეს მსოფლ-მხედველობაა ნაუოტის, რომელსაც ტალები ყოველი მხრით ისვრის გააფრთხებულ ოკეანში“ (გ. ლელევიჩი).

ერთი ასეთი მკვდართავანი გახლავთ ტერენტი გრანელი, რომელიც თავის „memento mori“-ს წინასიტყვაობაში აცხადებს, რომ მის „წინ უფკრულია და შავი ნისლი ახვევია ირგვლივ“. მას არ მოსწონს ჩვენი წუთისოცლი, არ უნდა სიცოცხლე. მისთვის საპყარო დაშლილი და უფორმო ქაოსია, სადაც ადამიანები დადრან, როგორც მოჩვენებანი და ლანდები. პოეტს არ სჯერა სიკვდილიც, ის ეძებს „სადღაც და ვილაცას“, სწამს „მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმალების“. და ყოველ ლექსში დაეძებს ის ამ „მესამე გზას“, რომლის ძებნის დროსაც ფრთებს ისხამს მისტიციზმი პოეზიის რელიგიისთვის. იგი მისტიურად უყურებს სამყაროს, სიცოცხლეს და სიკვდილს.

თანამედროვე ადამიანი გაშიშვლებულია ცხოვრების წინაშე; გაშიშვლებულია მისი უაზრო მოწინააღმდეგე—სიკვდილის წინაშეც. შიშველი გულით ვხვდებით მტერს, რომელიც შეუბრალებლათ ანადგურებს ყველაფერს. ჩვენ ვცდილობთ შევებრძოლოთ მას ათასგვარი საშვლებებით, გამოვსტაცოთ ყველა ის შესაძლებლობანი, რომელიც ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელს შეუწყობს. წინამდევ ამისა ტ. გრანელი წინასწარ განზრახვით, განსაზღვრულათ განზე გა-



დის სასიცოცხლო საკითხების ასეთი დასმისაგან და ის ეძებს არა ამ ქვეყნიურ ცხოვრების გააანკრძალებას, არამედ „მესამე გზას,“ ე. ი. საიქიოს ცხოვრებას.

**ადამიანი, რომელსაც სურდა ბერათ წახულიყო, მაგრამ რევოლიუციამ შეუშალა ხელი.**

ჯერ კიდევ, როდესაც ტ. გრანელმა გამოაქვეყნა თავის შემოქმედების პირველი ნიმუშები უკვე ის შთაბეჭდილება რჩებოდა ადამიანს, რომ მისთვის არ არსებობს არაფერი გარდა თავის საკუთარ „მე“-ს და მისგან გამომდინარე განცდებისა, რასაც პოეტი მიყავს მთელი თავისი ფსიხიკით, ყოფით მისტრკამდე და რელიგიამდე. ეს თუ გნებავთ ინდივიდუალიზმიც არ არის. ინდივიდუალიზმი ხასიათდება პიროვნების როლის და ღირებულების გადაჭარბებით, მაგრამ სრულებით არ უარყოფს საზოგადოებრივ საერთო ინტერესებს (მაგ. იბსენის დრამები, მაიაკოვსკის ლექსები და მრავალი სხვ.), ხოლო ტ. გრანელის ინტერესები უფრო ვიწრო ფარგლებშია მოთავსებული, რომელიც ხასიათდება ფორმალური სოლიპისმით.

ტ. გრანელი მუდამ ლოცვა—ვედრების განწყობილებაში იმყოფება. მისთვის რელიგიური ხილვები წარმოადგენს ყოველივეს საფუძველს. ღმერთს მიმართავს იმისთვის, რომ გააფრინოს და ქრისტე აჩვენოს, გააგიჟოს და სხვა პლანეტაზე გააღვიძოს:

წამი აღმაფრენის,  
და ფიქრი ნაჩვევი.  
ღმერთო, გამაფრენე,  
და ქრისტე მჩვენე.  
ხელს მალლა ავიშვერს,  
ცოდვა ადამისა.  
ღმერთო გამაგიჟე,  
და შენვე დამიცავ.  
ნეტავ! ზღვის ძ ხილზე,  
გრივალს გავეტაცე.  
ღმერთო, გამაღვიძე  
მე სხვა პლანეტაზე.  
მიმაქვს პანაშვიდი,  
კარლია ბალისებრ.  
ღმერთო, დამამშვიდე  
და ძილი მაღირსე.

(„ლოცვა გაფრენისათვის“).

ამინ!..

ვინ არის ეს, მთავარ დიაკონივით, რომ გალობს?

ვინ მთავარი დიაკონი? ეს ტ. გრანელი ვახლავთ...



განა ეს ტიპიური განწყობილება არაა მოპაკედავ კლასის, ადამიანის, რომელსაც ორგანიულად არ შეუძლია იგრძნოს ცხოვრების მთელი სისრულე და ამიტომ დაბნეულად დგება ქვეყნიერების წინაშე და მწუხარებით ბოდავს.

ადამიანისათვის, რომელიც მუდმივად იმყოფება ლოცვის განწყობილებაში, ადამიანი, რომელიც ანაა ახმატოვას მსგავსად ამბობს: „იმ დროს, როდესაც სტუმრად ვიყავ დედა-მიწაზე“, არ არის უფრო ბუნებრივი არაფერი, როგორც მუდმივი ფიქრი, რაღაც მისტურ-საიდუმლოს, სასწაულთ მომქმედის მოახლოებისა. გრანელი უცდის „შორეულ იღბალს, როგორც უმზეო ამინდს“. მას იზიდავს სიშორე, მუდამ დადის „როგორც სიზმარეთიდან მოჩვენება“, „ხან სიკვდილს მისდევს გვერდით“, „ხან თანამგზავრია მკვდარი ფოთლების“, მაგრამ ის „მესამე გზა“ მაინც ვერ მოუწახავს, ვერ მისწვდომია „გლოვის, დუმილის და გაწვ ლების“ მიზეზს. და ამის შემდეგ რაღა დარჩენია ზას თუ არა ლოცვა, ლოცვა ზე კადევ ლოცვა „გაფრენისათვის“. თუ რამდენათ ძლიერია ეს მისწრაფება ტ. გრანელში ამას ამტკიცებს ის, რომ თითქმის ყველა მის ლექსებში ვხვდებით ასეთ სტრიქონებს:

- 1) შენ, წმინდაო მაცხოვარო ამინ!
- 2) შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ...
- 3) ამაირ ფიქრისაგან უფალო დამიცავ!..
- 4) წმინდაო ღმერთო, მე დიდხანს გელოდი.
- 5) შენ წმინდაო ღმერთო!
- 6) წმინდაო ღმერთო! ისევ ხარია ღმერთო! სადა ხარ მე შენ დაგეძებ
- 7) მე გაჭყვრებულს და საცოდავს ღმერთო შემინდე...
- 8) უკალი იყოს ჩემს ქალაქში ჩემი მფარველი.
- 9) წმინდაო ღმერთო! მე ვილუპები თანდათან.
- 10) წმინდაო ღმერთო! მე დავიღალე.

#### დასაფლავება „ციური საზოგადოების“ თანდასწრებით.

ეს კადევ ცოტაა. პოეტი იმდენ „დამსახურებას“ იჩენს „ყოვლის შემძლე“ ღმერთის წინაშე თავისი ლოცვებით, რომ გარდაცვალების შემდეგ მასი დასაფლავება მეტის-მეტად „გრანდიოზული“ იქნება სამკლოვიარო პროცესიაში მონაწილეობას მიიღებს მთელი „ციური საზოგადოება“.

კუბოსთან იდგენ სერაფიმები.  
და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა.  
მიმასვენებდენ ანგელოსები,  
და კუბოს ქრისტე წინ მიუძლოდა.

(„მიცვალებულის დღიურიდან“)

ტ. გრანელი რაზედაც არ უნდა ლაპარაკობდეს, აუცილებლათ ცხვირში საკმეველის სული გეცემათ. მორწმუნე ადამიანისათვის „არ არსებობს რევოლიუცია, სამაგიეროთ არც თითონ არსებობს რევოლიუციისათვის.“ (ი. გომართელი)



ტ. გრანელი ვერ გრძნობს, არ ესმის თავის გარშემო მომხდარი და გამეფებული მოვლენები. მსოფლიო მისთვის არ არსებობს, როგორც ცოცხალ ადამიანთა სობრძოლვილი ასპარეზი არსებობისათვის, პროგრესისათვის.

სრულიად მართალი იყო ანხ. ლევ. ტროცკი, როდესაც სწერდა: „თვით ვიწრო წრის პარადულ ლირიკასაც აქვს უდავო უფლება არსებობისა ახალ ხელოვნების ჩარჩოებში. კიდევ მეტი, ახალ ადამიანის ჩამოყალიბება არ შეიძლება ახალ ლირიკის გარეშე. მაგრამ, რომ შევქმნათ ის, ამისთვის პოეტმა თვით უნდა იგრძნოს ქვეყანა ახალი სახით. თუ მის ამეტყველებაში აუტოლებლათ მოხიზნის ქრისტე ან თვით სავაგოფი, მართო ეს ერთი ფაქტი ამტკიცებს ასეთ ლირიკის სიძველეს, მის საზოგადოებრივ და აქედან გამომდინარე ესტეტიურ უსარგებლობას. ახალი ადამიანისათვის—თვით იქაც, სადაც ეს ტერმინოლოგია ამოწმებს იმდენათ არა სიტყვიერ განცდებს, არამედ ფსიხიკის დაქვეითებას, ის უკვე ამით გამოდის წინამდევ ახალი ადამიანის შემეცნებისა. არავინ არ უყენებს და არც არავინ ფიქრობს პოეტებს დაუყენოს ტემატური დაკვეთები. ირებეთ, რაზედაც გასურდეთ სწერეთ! მაგრამ ნება მიეცით ახალ კლასს, რომელიც თავის თავს სთვლის ახალ ცხოვრების აშენებისთვის მოწოდებულს, გითხრას თქვენ ამა თუ იმ შემთხვევაში: თუ „დონოსტროის“ მსოფლგაგებას გადათარგმნით აკმეიზმის ენაზე, ეს არ გხდით თქვენ ახალ პოეტებათ“.

#### სიტალიერე ევროპიულ ფრაკში.

არის საქართველოში ერთი მწერალი, რომლის სახელწოდებაც კონსტანტინე გამსახურდია. მან არა ერთჯერ და ორჯერ საჯაროთ აღიარა: იგი მოწოდებულია ქართველ ხალხს, ქართულ კულტურას ეჭირისუფლოს. იგი ხედავს და აღიარებს, რომ საქართველოს ლიტერატურა წარმოადგენს ბალასტს, რომელიც გენერალურ წმენდას მოითხოვს. ამ გენერალურ წმენდის მოთხოვნა მისი აზრით უნდა იკისროს თვითონ მან, როგორც ამ საქმისთვის მოწოდებულმა და როგორც ქართველი პოეტების და მწერლების შტატ გარეშე დარჩენილმა გენერალურმა მდივანმა.

#### „ხმა მლალადებლისა უღაბნოსა შინა“,

წმენდისთვის განსაზღვრული პრინციპებია საჭირო, და აი იგი აცხადებს ასეთ პრინციპათ ქრისტიანულ მისტიციზმს, რომლის შესახებაც თვით ამბობს: „მე ქრისტიანული მისტიციზმის იდეოლოგიას ვადექი დღემდე საქართველოში... მე მისტიციზმის მერყევ ნიადაგზედაც თავს ვიმაგრებ“.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ კ. გამსახურდია დიდი პრეტენზიების მქონეა, უდიდესი „ნოვატორია“. აი, იგი იტყვის ხოლმე ხშირად თუ სად რამდენი წერილი დასტამბა, რამდენი სტრიქონი, რამდენი საზოგადო გამოსვლა მოუხდა, სად რა „ახალი“ იდეა იქადაგა:

- „მე პოეზიაში პირველმა მიუთითე უმანისტურ გზებზე“.
- „მე თავიდანვე დასავლეთის კულტურის აპოლოგეტი ვიყავი.“



— „მომავალი ისტორიკოსი ქართული ლიტერატურისა აღნიშნავს ალბათ, რომ მე სწორედ ქართული ლიტერატურის ამ აქილესის ქუსლს მივაღეკი“.

ასეთი „დიდი“ დამსახურება აქვს გამსახურდიას „მე“-ს და როდესაც აპას ვერ „გებულობენ“, არ აფასებენ უკვირს, სწუხს, ბრაზდება იმის გამო, რომ მისი ხმა რჩება „ხმად მლაღადებლისა ჯდაზნოსა შინა“, რომ მისმა ყიფნამ ვერაფერთარი გამოძახილი პოვა ქართულ მწერლობაში, ჩვენს სინამდვილეში:

— „საქართველო ჯერაც ისეთი უდაბნოა, ჯერაც ისეთი ქაობია ბანალობისა და რუტინის, რომელშიდაც მე და ჩემი ლიტერატურული მეგობრები ალბათ მრავალ დამარცხებას ვიგემებთ კიდევ, იმისთვის, რომ ერთხელ ძლიერად გავიმარჯვოთ (!) ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ საქართველოში არშინ მალ-ალანის კულტი იძლევა ჯერ სრულ რეზონანს, რომ საქართველოში სწორედ ის დიდი და მოსიყვარულე გული არ არის, რომელიც შორეული ციალით გაგათბობს და გაგამხნევებს, თუ გინდ იგი შენი იდეიური მოწინააღმდეგეც იყოს“. აქ იწყება გამსახურდიას „ტრადედია“. ქრისტიანული მისტიციზმი არ მიიღო ქართულმა მწერლობამ, ეს „ცხოველმყოფელი“ იდეა არ დაემყნა ქართულ კულტურას. ევროპიდან მოვიდა ეს მოძღვრება საქართველოში. მომტანი კ. გამსახურდიაა. მაგრამ არც ერთმა და არც მეორე გარემოებამ ე. ი. არც იმან, რომ ეს იდეა ავტორიტეტულ ევროპიდან მოვიდა და არც იმან, რომ მომტანი გახლავთ დიდი პრეტენზიების მწერალი კ. გამსახურდია—არ შეუწყო ხელი ამ მსოფლმხედველობის განმტკიცებას ჩვენში. შეიძლება მომტანი იყოს მიზეზი ამ იდეების უშედეგობის, შეიძლება გამსახურდია არ იყოს ნიჭიერი პოპულიარიზატორი ამ მოძღვრების, რომელმაც სრული კრაზი განიცადა, ან თვით ეს იდეა იყოს უნიადაგო და დრო მოჰმული? ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მალცხის მიზეზი ორივე მომენტია.

კ. გამსახურდიას გასტრალიორობა ევროპაში ვერ გაუმაგრებს ზურგს ასეთ მსოფლმხედველობას. და რა გასაკვირია, რომ ჩვენშიაც ვერ გაიდგა მან ფეხი და ძირი. კ. გამსახურდიამ იქადაგა, ცხოვრებამ არ უსმინა. და აი თითონ იკისრა დაეწერა, შეექმნა, ეჩვენებია სხვებისთვის პოეტური ნაწერები ამ იდეებით გაჟღენთილი.

### სიბნელის მოციქული.

კ. გამსახურდია ყველგან სიბნელეს ხედავს, ყველგან სიბნელეს ეძებს:

„ბნელა უსაზღვროა“

„ბნელა უკარსა“

ბნელა სრულყოფილია“

(„გარსი მარადი“).



სიბნელეში პოულობს იღუმალებს, ღამე მისთვის, როგორც „მხედალეთისთვის“ არის „ღუთაებრივი ატჰანა“. ამიტომ არის, რომ ის გზა აბნეული გამუდმებით დაიქმნება უფსკრულებს, სადაც ყოველთვის ღამის და სიბნელის ბატონობაა. მხოლოდ ამ უფსკრულების გზით არის მისი წარმოდგენით შესაძლებელი იმ სინათლის ხალვა, რომლისაკენაც ის მიისწრაფის. მაგრამ აქ ერთი წინამდევობა ხვდება, აწუხებს კ. გამაახურდიას: ხორცი, რომელიც ამჟამებს სულს, და ამიტომ ის იწყებს ასკეტურ მსოფლ მხედველობის ქადაგებას:

„სხეული ამჟამებს საგნებს. მიტომაც ეცემიან ხორციელნი. (პაუზა). ვინც ხორცს დასძლევს, მწვერვალებზე ის გასძლევს.. დასძლიე ხორცი და გამიტოლდი“.

(„გარსი მარადი“).

აქ მაგონდება სწორედ თვით გამსახურდიასვე სიტყვები:

„ლიტერატურა, რომელიც თანდროულობას ვერ გაუსწორებს ნაბიჯს, იგი უნაყოფო კალმის წრიბინია“ („ილიონი“ № 4). დიახ, სრული ჭეშმარიტებაა. ლიტერატურა თუ ცხოვრების ავანგარდი არ იქნება, მისი თანამზავრი მაინც უნდა იყოს. მაგრამ აგრეთვე თვით გამსახურდიას შემოქმედება? განა ის თანამედროვე ცხოვრების თანამზავრია? არა, არა და კიდევ არა, პირიქით ის ამ შემთხვევაში მოგვევლინა რეაქციონერათ, რომელიც შეგნებულად დაადგა ფეოდალურ მსოფლ-მხედველობის ფონზე, მიიღო რომანტიზმის და თავად აზნაურულ ლიტერატურის მახინჯი ტრადიციები. და ასეთი სიტყვების თქმის შემდეგ უკრძნობი უნდა იყო ადამიანი, როდესაც ერთ ადგილს ერთს ამბობდე, ხოლო მეორე ადგილს მის საწინააღმდეგოს სწერდე. ან შეიძლება გამსახურდია ფიქრობდეს, რომ რელიგიური მისტიციზმის აპოლოგია ნიშნავდეს თანდროულობის გასწორებას? უბადრუკია ასეთი ფიქრი, საბრალოა ის ადამიანი, რომელიც მართლაც ასე იფიქრებს მეოცე საუკუნეში.

### ორი დამსავამუშავი კიტრი და ნახევარი კერძი ხიზილალა.

გოგოლის „რევიზორი“-ს გმირის „გოროდნიჩი“-ს ცოლი კითხულობს თავის მეუღლის მიერ დაწერილ ტრაქტირის ანგარიშის წერილს: „ვისწრაფი გაცნობო შენ, რომ ჩემი მდგომარეობა იყო მეტად სამწუხარო, მაგრამ ღმერთის დახმარებით და განსაკუთრებით ორი დამყვებული კიტრის და ნახევარი კერძი ხიზილალის საშუალებით,—რაც შეადგენს ერთი მანეთი და ხუთი შაურის ანგარიშს,—საქმე მოგვარებულ იქნა“. „გოროდნიჩის“ ცოლი მეტისმეტად გაკვირვებული და გულწრფელად აცხადებს: „არაფერი არ ესმის: რა შუაშია აქ დამყვებული კიტრი და ხიზილალა“. და სწორედ ასეთ ტრაქტირულ ანგარიშების შემთხვევლ და გამსაღებლათ გვევლინება გამსახურდია. და მოიპოვება ისეთი ადამიანები, რომლებიც ზოგჯერ სერიოზული სახით კითხულობს სიტყვებს კ. გამსახურდიას უაზრო ხოხოლასი და თაყვანისცემით სწვდება ამ ბოღვაში, ეძებს მასში რაღაცას.

გავეცნოთ გამსახურდიას ტრაქტირის ანგარიშებს.



ანგარიში პირველი:

„სინამდვილე მტკნარი სიცრუე ყოფილა. კიდევ ყოფილა მეორე სინამდვილე. ხელო ნება კი მესამე სინამდვილეა მხატვარის მიკროსკოპში დანახული“ („პორცელანი“).

ანგარიში მეორე:

„ვეფიქრობ: ჩვენ ყველანი საგნების თოკზე ვკიდივართ. დღე და ღამ და გამვლელ-გამომვლელს ველრიჯებით: „ძირს ჩაჰომილე, დამასვენე შე ქოისტანო“ („შეხვედრა მკვირათან“).

ანგარიში მესამე:

„ფოტოგრაფი ახლა წიგნსა სწერს: „ქვეყანა, რომელიც სურათის გადაღებათ არა ღირს“ („ფოტოგრაფი“).

მეტის-მეტად პატარა თვალები გქონიათ გამსახურდიავე, რომ ამის მეტს ვერაფერს ხედავთ გარშემო. ასეთი „თეორიები“, შემოქმედება, მუშაობა და აზრები წარმოადგენს ბავშვის კარდონის სახლებს:—მშენებლობა უქიზნო, ადვილათ ასაშენებელი და კიდევ უფრო ადვილათ დასანგრევი, რომლის საფუძველიც ინგრევა ჯერ კიდევ მანამ, სანამ აშენდებოდას კედლები. მაგრამ ბავშვისთვის ეს მშენებლობა წარმოადგენს შეგნებულ ვარჯიშობას მომავალი საქმეებისთვის, მშენებლობის ინსტიქტის ხმას, რომელიც თანდათან ისახება და ძლიერდება. გამსახურდია კი მთელი თავის სამწერლო მოღვაწეობაში გვევლინება იდეექტიურ ბავშვთა, რომელიც აშენებს კარდონის სახლებს მშრალ, დამტვერულ, გაცვეთილ და უსიცოცხლო სიტყვებიდან: და აკი თვით აღიარებს: „ჩემი ტვინის უჯრედები სულ გამოღრღნილი ყოფილა“. „თავის ჭაობში ვერ დატეული და ბნელიანი“.



გ. პლენანოვმა უკვე დიდი ხანია მოგვცა ბრწყინვალე დახასიათება სოლიპსიზმის და მისტიციზმის განწყობილებაში მყოფ ბურჟუაზიულ—თავად-აზნაურულ მწერლების, მათი კლასის დაღუპვის ხანაში. განა მთლიანად არ შეეხება რუსეთის მარქსიზმის მანამთავრის სიტყვები, რომელიც არაკვედა ზინაიდა ჰიპიუსის „თეორიულ“ ბოდვას, გამსახურდია-გრანელებს:

„როდესაც ადამიანს ყველაფერი „დაენგრა“, გარდა მისი საკუთარი „მე“ ს, მაშინ არაფერი არ უშლის ხელს მას შეასრულოს მშვიდი მემატეანის როლი. მაგრამ არა! მაინც არის რაღაც, რომელიც ხელს უშლის შეასრულოს ეს როლი. ამ რაღაცათ იქნება სწორედ ყოველგვარ საზოგადოებრივ ინტერესის უქონლობა, რომელიც ნათლად ხასიათდება ჩემ მიერ მოყვანილ ბავშვის სიტყვებში. რისთვის გამოვა ადამიანის საზოგადოებრივ ბრძოლის მემატეანეთ ადამიანი, რომელიც მცირედ-თაც კი არ არის დაინტერესებული არც ბრძოლათ, არც საზოგადოებით? ყველაფერი რაც შეეხება ასეთ ბრძოლას მოგვრის მას განუაზღვრელ მწუხარებას. და თუ ის მხატვარია, მაშინ ის თავის ნაწარმოებში არ მიუთითებს მასზე. ის იქაც დაიწყებს მეცადინეობას „ერთად-ერთ რეალო-



ბაზე“, ესე იგი თავს „მე“-ზე. და რადგანაც მას არ აქვს სხვა საზოგადოება, გარდა თავისი თავისა, ის მოიგონებს იმ.სთვის ფანტასტიურ, „იმ მხრის“ ქვეყანას, რომელიც მალა სდგას დედამიწაზე და მიწიერ „საკითხებზე“. ასე სჩადის დღეს მრავალი თანამედროვე მხატვართაგანი“.

და მართლაც, გრანელ-გამსახურდიები წარმოშვა ჩვენმა მშფოთარე ცხოვრებამ, მაათი მისტიციზიმის და მოთქმის მიზეზი ჩვენი რევოლიუციონური ხანაა, რომელიც მრავალ ადამიანს აცლის ფეხ-ქვეშ ნიადაგს, უბნევს გზა-კვალს ცხოვრების სირთულეში, უკარგავს პირად ძალღონისადმი რწმენას და ამის შედეგ ისინი ქაოსში და მისტიურობაში, სპირიტუიზმში და რელიგიაში ეძიებენ განსასვენებელს.

გრანელ-გამსახურდიები წარმოადგენენ ქართულ ლიტერატურის „მკვდარ ადამიანებს. რომლებსაც ვერავითარი სულა ვეღარ აღადგენს.

#### და ასე:

დღეს, როდესაც კულტურის ფრონტი საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცხადებულია აუცილებელ დამკვრელ ფრონტათ, როდესაც ჩვენი ისედაც მცირე საშვალეებიდან ნნიშვნელოვან ნაწილს ვახმართ ამ ფრონტის გამაგრებას,—ჩვენ ამ დროს უფლება არა გვაქვს ყურადღება არ მივაქციოთ ყოველივე იმის, რაც ხდება ამ ფრონტზე. აქამდე ჩვენ მეტისმეტად სულგრძელობით ვეპყრობოდით ყოველივე იმას, რაც ხდებოდა ჩვენს ლიტერატურაში.

გრანელ გამსახურდიას ტიპის მწერლები ჯერ კიდევ მოუჭკვიანებელ რეაქციონური ინტელიგენტებია, რომლებიც „კულტურის“ საშვალეებით ებრძვიან რევოლიუციას.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ განგვიხორციელებია კ. გამსახურდიას სიტყვებით, რომ ვსთქვათ „კულტურული სააღყო წესები, კულტურული დიქტატურა“. ეს კი აუცილებელია საბჭოთა ხელისუფლების კეთილდღეობისათვის, მართალია ეს მუშაობა მეტის-მეტად ძნელია, უდიდეს კუნთების დაჭიმვას მოითხოვს, მაგრამ მით უფრო მეტი ყურადღებით, მეტი ენერჯიის დახარჯვით უნდა ვეკვეთოდ ამ ფრონტს.

ამას მოითხოვს საქართველოს მუშების' და გლეხების საარსებო ინტერესები.

გავიხსენოთ ამხ. კოლაროვის სიტყვები, როდესაც პარტიის მე-13 ყრილობაზე ამბობდა: „ამხანაგებო! ჩვენ იძულებული ვართ მივცეთ კონცესიები საერთაშორისო კაპიტალს; კონცესიები ეკონომიურ ხასიათისა. ამ კონცესიებს თქვენ აძლევთ კაპიტალიზმს იმდენათ, რამდენათაც ეს კონცესიები ამაგრებენ რევოლიუციის უმნიშვნელოვანეს პოზიციებს. მაგრამ ამხანაგებო, არავითარი პოლიტიკური კონცესიები კონტრ-რევოლიუციას და კაპიტალიზმს, მით უმეტეს არავითარი კონცესიები კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას იდეოლოგიის ფრონტზე.



## დავით რონდელი.

# დეკადანსის საზღვრებთან.

ოცნება ხომ ყოველთვის რომანტიზმია, სინამდვილიდან ძიოგავარდნილ საზოგადოებრივ კლასის დაქანებულ სიპტყის იდეოლოგია, ცინიკური სევდა და ნივთების მისტიკა. ამას დაამტკიცებს ფაქტები.

### I.

ბ. ს. ს. რ. ნეპი. ფუტუარიზმი. დაღაიზმი. ციკლის კონსტრუქტივიზმი.  $H_2SO_4$ -ის ლიტერატურა და სხვა წვრილგუბანული პოეზია.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ეკონომიურ-სოციალურ სიპტყეთა მოძრაობის ორგანიზატორი არის პროლეტარიატი. აგრეთვე მასზე აღმოცენებულ ყოფის და იდეოლოგიურ განფენილობათა ნიშნის მიმცემი პროლეტარული მასა ახდენს ბურჟუაზიულ იდეოლოგიურ ქაოსის დაძლევას. საბჭოთა ხელისუფლების რევოლუციონური იმპერატივით გრძელდება პროლეტარულ კულტურის ლიანდაგის დაგება. წერილი ეხება ატმოსფერას ხელოვნების ფრონტზე. კერძოდ საქართველოს ბურჟუაზიულ ფსიხიკის ნანგრევებზე გაცოცხლებულ ევროპის ლიტერატურულ ნარჩენების გამოფენას.  $H_2SO_4$ -ის ფირმა და ქართულ ფუტურიზმის სახელწოდებით.

საქართველოს გასაბჭოებიდან მხატვრულ აზროვნების სფეროში, მოხდა ბუნებრივი შერჩევა. ეს იყო ნამდვილი სახის გამოჩენა და სასიცოცხლო ძალების მობილიზაცია. მეჩანურ ყოფის ციტადელის დანგრევა, ახალი ყოფის დაწოლით პრინციპი: **მასხების ფსიხიკაზე მოქმედება.** შედეგი: პროლეტარულ პოეზიის ორგანიული განვითარება და მასიურ შემოქმედების გამოფენა.

საბჭოთა საქართველომ შესძლო ფეოდალურ ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია. ბურჟუაზიულ სხეულის გადაჭრა. გაბატონებულ იდეოლოგიის ჩაქოლვა.

თუმცა ჯერ არსებობენ და სულს დაფავენ „ცისფერი ყანწელები“. ქართველ. არისტოკრატიის, სამღვდლოების და მოზარდ ბურჟუაზიის იდეოლოგები. გამოწურულ ლიმონების საეჭვო სურნელება. ცხოვრების ქვიშაზე დაყრილ თევზების ამბოხი. ბევრი სხვა ბნელ ქუჩებში და ორლობებში მოტანტალე ნიამორები და სომნაბულები: პესიმიზმი, ბუხრის ქვარტლი.

ეს იყო სამხედრო კომუნიზმის ტაქტი. მოტრიალება მთელ: თებერვლიდან ოქტომბერზე. შემდეგ რევოლუციის ინერცია გადაიღუნა ლენინით. ახალი



ეკონომიური პოლიტიკა მოტრიალება მთელზე მეტი. (ფორმულა ოქტომბრის რევოლუციის განვითარების). კომუნისმის გზაზე, როგორც ეკონომიური მანევრი. ოქტომბერის სწორხაზება შეიცვალა ნების მრუდით. ნეპა რამოდენიმე გამოადვიდა ბურჟუაზიული ყოფა და იდეოლოგიის ძენდი.

ქართულ ლიტერატურაში უ დეგათ  $H_2SO_4$ -ის გამოსვლა. ევროპაში დრო-მოქმულ ფუტურისმის და სხვა დახურდავებულ იზმების უკბილო დეკლარაცია. ბურჟუაზიულ ხელოვნების ხარახურის გაკმოტივითა, პროლეტარიატის ხარჯზე: მორწმუნე ფუტურისში. ტვინნალრძობი დადა. ჯამბახის კონსტრუქტივიზმი.

ფუტურისში ინტერნაციონალური მოვლენა არ არის. პირვანდელ გაგებას ამცდარი გამოხზაურება ჰოვა ინდუსტრიალურათ ჩ მორჩენილ წკრილბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. ის მოექცა ძერყევ ინტელიგენციის ფალანგაში, როგორც ბრძოლის ფორმალურ მეთოდით გაბრუებული და ლიტერატურულ ტრიუკებით აისეზული მიმართულება. ფუტურისში ეთვისება ბურჟუაზიულ ინჟელიგენციის ნებადახსნალ ესეთეიურ თამაშს.  $H_2SO_4$  საქართველოს ბურჟუაზიულ მეცელში შექმნილი ლიტერატურული ფაქტია.

საჭიროა გაირკვეს ფუტურისში სოციალური ძირი, შეფასდეს მისი შინა-არსის ისტორიულ-პროგრესიული როლი, მისი ფორმალურ ექვივალენტის პარალელურათ. კლასიური ანალიზის მოდებით, ფუტურისმის უარყოფითი სოციალურ-ფორმალური ღირებულება დამტკიცდება.

თუ  $H_2SO_4$  ის გამოსვლით. „ხელოვნების არსებული პოზიციებო დაირღვა“, მოსახენარი მტკიცებით, პროლეტარიატის დიქტატურის გვერდით, ხელოვნებაში  $H_2SO_4$ -ის ბურჟუაზიულ დომხალს ეკუთვნის დიქტატურის უფლება, მაშინ  $H_2SO_4$ -ის შეკოწიწებული საბჭო, საბრალმდებლო ტაშტზე უნდა დავსვათ, როგორც ბრალდებული და ნილაბში ჩაღჯდარი საქართველოს წკრილ-ბურჟუაზიულ კლასის უდაო ფსიქოლოგია, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ფლავზე გაზოდილათ.

რომ სსსაქილო არ იყოს ქართველ ნუშა და გლენისთერს, ყალბი ლიტერატურის რეკლამით გამოფენა, როგორც გაწითლებულ ნეპმანის ეესტი, ექსპლორატაცია რევოლუციის ფენჯ. ნით.  $H_2SO_4$  ჯგუფის სოციალური გენეალოგია ფედერალისტობრდან და დემოკრატობრდან მოდის, როგორც თვითონ აღნიშნეს სხვაზე. (იხ.  $H_2SO_4$ -ის „სასწრაფო განმარტება“ „ენათობი“ № 4). პოლიტიკური რომანტიზმის დაშლილი დროგია, რომელიც ერთი ბორბალით ემიგრაციის ტალახს ზილავს, მეორე ქ-მელონის ერთგულებით, ვლინდება როგორც ფსიქოლოგიური რეაქცია და ევროპიულ კომფორტის ქართული გადამღერება.

გარდა იმისა რომ ფუტურისში ქართული ეტიმოლოგიური გაგებით, ფუტურის და შინაგან სიკალიერეს აღნიშნავს. ეს შეიცავს ნაწილობრივ ქეშაბრიტებას.  $H_2SO_4$  ის ერთი და იმავე დრო და სივრცეში მოთავსებულია სამი ერთმანეთის ლოკინკლავე ანარქო-ბურჟუაზიული ფორმა და შინაარსი.

$H_2SO_4$ —გოგირდის სიმეფე უნგბადიდან დაცლილია დადას „ტერორით“ დარჩენილ  $H_2SO_4$  ანტისანიტარული მასალით აშენებული ნივთების გოჯილა, ვერ უძლებს აკრობატის უსარგებლო სიმჩატეს.  $H_2SO_4$ -ის უღერძო აღმარულებელი აპ. რატი, ერთხელ და სამუდამოთ ამტკიცებს ქართული მასშტაბით, წკრილბურჟუაზიულ ფსიხიკის უძელო კონსტრუქციის და თავისთავს აქცევს დეკადანსის ფაოგალში.



## II.

**კაპიტალისტური წარმოება. ნივთების იდეალიზმი. სიტყვის ქანაღობა. აზროვნების პენიშიზმი. კონსტრუქტივიზმი. რევოლუციზი. ფუტურისტიკური როგორც მამარცხენი ხელოვნება.**

მეოცე საუკუნე, ტექნიკის მწვერვალები, ჰაეროტრანსპორტი, ელექტროფიკაცია, მეტალურგია, რადიო და ათასი გადამცემი აპარატი. უაღრესათ განვითარებული ინდუსტრიული წარმოება. ბუნების განივება. თითქმის 90 პროც. დაიღუპა ფეოდალური ყოფა და ნატურალური მეურნეობა. აქ საქმე ეხება იმ ტრანსფორმაციას სადაც სოკლის შუკების იდილია და რომანტიული სიმღერა „სამთვარიო“— შეიცვალა ქალაქის გრანდიოზულ შენობათა მანქანების დინამიკით. პროფეტორის სინათლეზე შეიქნა მოძრაობის კულტი.

ბუნების დანაწილებული ნედლი მასალა და საგნები, კაპიტალისტური მეურნეობის რეგულირებით ნივთებში გადადის. ნივთები გამოიტანეს ბაზარზე, როგორც საქონელი. აქედან იწყება ნივთების ათვისება.

წარმოება უდრის განივების პროცესს. წარმოება—მუშათა ენერჯის ხარჯვა და ზედმეტი ღირებულების კომბინაცია კაპიტალისტის ჯიბეში.

**განაწილების და მოხმარების პროცესი იტევს, ნივთების ასახვის და განცდის ფსიქოლოგიურ მომენტს.** ბუნებიდან შრომით დაძლეული ნივთი უდრის, ახალი სოციოლოგიურ ერის სუბსტანციას. ქარხნების ხმაური. ფაბრიკანტების ძვლების ტვინამდე გაჟღენთილი კერძო საკუთრების სიყვარული. კერძო საკუთრებითი მისვლა ნივთთან.

ბუნების დაძლევა პირდაპირი პროპორციით მიდის მასების მოძრაობასთან. შრომის კოლექტივიზაცია, მატერიალური საუნჯეთა ინდივიდუალურ მითვისებასთან კონფლიქტით, წარმოადგენს კლასთა ბრძოლის ძირითად მიზეზს. ბრძოლის მეთოდით ირახმება კაპიტალი იმპერიალიზმში—შრომა ინტერნაციონალში.

საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხელოვნების შორის, პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს. ცხოვრების განსაზღვრული შინაარსი, შესაბამ ფორმაში გვეძლევა როგორც მთლიანობა. ამით აიხსნება იტალიელ ფუტურისტების ინდუსტრიული მოტივი. (მარინეტი. პაოლო ბუცი და სხვ.). კაპიტალისტური ქალაქი ნივთების სისტემას წარმოადგენს. აქ მანქანების ინდივიდუალური დინამიკით, მარინეტის ურბანული გატაცება დაიწყო. მარინეტის იდეალი არის ნივთები. თანადროულ იტალიის სიძველეს და ნივთების სიღარიბეს უარს ეუბნებოდა მარინეტი, ტექნიკის ჰიპერბოლებით.

მარინეტი უმზერს ცამწვდენებს, ცამწვდენებით დაბრმავებული მარინეტი ვერ ხედავს, მრავალსართულების სიმძიმის ქვეშ, სარდაფის მცხოვრებთა სოციალურ ტანჯვას.

იტალიაში ფუტურისზმა, ახალგაზრდა აგრესიულ ბურჟუაზიის ნაციონალიზმი გამოამყვანა. მარინეტი ხელს ართმევს მუსოლინს. ის მსოფლიო ომის გრივალში ჯავშნიან ავტომობილების კაპიტანია და ფაშისტურ მოძრაობის მეთა-



ური. აქ ფუტურიზმის შინაარსი—ეთავსება იმპერიალიზმის გეგმას და მოქმედებას.

ფუტურიზმის სოციალური სტრუქტურა, განისაზღვრება ნივთების იდეალიზმით. აქედან—ფორმალური მეთოდი. ფორმა გამომსახველობის ძალაა, ნივთს ახასიათებს: სტატიკა, დინამიკა და თეორეტიულ მექანიკის ყველა კანონები. მანქანა, როგორც მოძრავი ნივთი, ხმას ბადებს, აქედან ქალაქის რიტმის ფუტურისტული ათვისება, როგორც ხმაურის კალიედოსკოპი. ფუტურისტებმა შექმნეს ხმაურის მუსიკა. იმპრესიონისტული გადმოცემა ნივთებიდან არეკილ ხმების ქალაქის შინაარსის ზედაპირული ასახვა აქ თავდება. იწყება სიტყვის ქმნადობა და სინტაქსის შეცვლა.

ახალი სიტყვების წარმოება ან ძირების სახეცვლილება. იტალიურ ფუტურიზმში გამოგონილი სიტყვები ეხება ტენიკის სფეროს, როგორც ახალი ნივთების სახელის დარქვევა. ხშირათ, გამოგონილი სიტყვა, ყოველგვარ ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ მოტივის გარეშე, რჩება უნივით. აქედან უშინაარსო სიტყვების აკუსტიური კავშირი. სიტყვების ფეტიშიზმი. სიტყვით ფორმალური გატაცება. ჟონგლიორობა კარდონის სიტყვებით.

აქ არის პოეზიის ფორმალურ ტენდენციით გაგება, როგორც სიტყვების ტონალური მიჯრა. (coremanue). აქედან შემოქმედების ჭაში სუბიექტივიზმი და ინდივიდუალურ ენის შექმნა. აქ ფუტურიზმი ცილდება მასის ესთეტიურ ალღოს. გამოდის ნივთების მეტაფიზიკური შემეცნება და ფსიქოლოგიზმის ნოლამდე დაყვანა. ცნობილია ფუტურიზმის გაუგებრობა.

რუსული ფუტურიზმი გაყვა მარინეტის ნაკვალევს (კუბოფუტურიზმი). დასავლეთის ურბანიზმი, რუსეთის გლეხის მიწაზე მოისუსტებს. თუმცა რუსი ფუტურისტები დეკლარატიულათ იღებდნენ ქალაქის კულტურას და ნივთების გარესკნელს. მათ განავითარეს მარინეტის ფორმალური მეთოდი. ფორმულა: პოეზია სიტყვების რაოდენობის კომბინაცია, ხმების და მარცვლების მიჯრათ შეიცვალა. აქედან დაიბადა ზაუმ-ის გაუგებარი ენა. სიტყვა შინაარსის გარეშე მიღებული, როგორც ფონეტიკური და მუსიკალური კომპოზიცია. კრუჩონინი სწურავს რუსული ენის პირველყოფილ საზღვრებს. მაგ.,

Дыр-бул-щыл  
убещур...

ამ დარგში ხლებნიკოვი ყველაზე შორს მიდის. ხლებნიკოვი სიტყვას აძლევს დამოუკიდებელ ძალას, რომლითაც გრძნობების და აზრების მასალა ორგანიზაციაში მოდის. ხლებნიკოვი სიტყვის ძირის ბრუნებით, ახალ სიტყვებს აწარმოებს. რამოდენიმეთ ეს შრომა ფილოლოგიის სფეროში შედის. ცნობილია ხლებნიკოვის მეთოდი, როგორც სიტყვის ქმნადობა. მაგ., ერთი სიტყვის გაწარმოებით ანვითარებს ლირიკულ თემას:



О, Засмейтесь смехами  
что смеются смехами  
что смеялись смеляльно  
О, иссмейся рассмеяльно смех  
усмеянных смеячей...

შენი შგნა ხლებნიკოვის პოეტიკასთან უმაღლეს მათემატიკის ანალიზის პარალელთ შეიძლება მივიდეთ. დიფერენციალურ აღრიცხვაში ცნობილია პირვანდელ ფუნქციის გაწარმოება ანუ ახალ ძირებიდან ზღვარის მოძებნა. განუწყვეტელ ფუნქციის წარმოებულთა გაშლა ტერორის მწკრივში შეიძლება უსაზღვროთ. აქ გათვალისწინებულია ლოგიურ მსჯელობის, მტკიცების შესაძლებლობა, პრაქტიკულათ შეუძლებელი და გამოუყენებელი.

ველემირ ხლებნიკოვი სიტყვას ანვითარებს პირველყოფილ საზღვრებიდან. ახალ სიტყვების შემოქმედება, საგნობრივ თუ ნივთობრივ შინაარსს გამოკლილი, ადამიანის ფსიქიურ ველში უადგილო, როგორც უვარგისი მასალა, გრძობად სიტყვების გარეშეა, რომელსაც ფილოლოგი თუ გაარკვევს. აქ მასიურ გაგებას მოკლებულია პოეტი. ან უკეთ მასსას ვერ იგებს. აქედან მისი პოეზიის არისტოკრატიული ფუფუნება. ხლებნიკოვს ასამდე მკითხველი თუ ყავს. მის ნაწერებს მხოლოდ რამოდენიმე მეგობარი იგებს ჯგუფ „ИДИОТ“-იდან.

კრუჩინინის წამკითხველი თითზე ჩამოითვლება. აქ უარყოფილია პრინციპი მასხების. განცდა რჩება მასიურ მოხმარების გარეშე.

მსოფლიო ომმა ძირიანად შეანძრია ლიტერატურულ სკოლების ფსიქოლოგიური ხსნილები. თანდათან განწყობიდა ომის უარყოფითი გავლენა ხელოვნებაზე. სამხედრო პოზიციების კორიანტელი, საშინელების დაღს ასვამდა ევროპის ბურჟუაზიულ კულტურას. ვიწრო ნაციონალიზმით გამოწვეული არმია, კრუპის სამხედრო ქარხნები, ოკეანის კრეისერები, წყალქვეშა ნავი, ქიმიური ომი, განანადგურებელ ხანძარივით მოედო მსოფლიოს. ნაფოტივით დაცვენილი ინვალიდები, ამოთ უშვერდენ გულქვა კაპიტალს ტკივილის გრიმასებს.

აქედან იწყება მანქანებთან დაახლოება. ადამიანი და ნავთი უახლოეს შეხებაში მოვიდენ. ზავის მოლოდინში ნერვიულათ განწყობილი მეშჩანები, მისტიკაში გაიხიზნენ. ვერსალის ზავით დამცირებული გერმანიეთის წვრილი ბურჟუაზია, ექსპრესიონიზმით სულს დაუბრუნდა და წარსულის ზნეობრივ შინაარსს. კიდევ ზავამდე ნეიტრალურ შევიცარიიდან მოისმა დადას პროტესტი: „მივადურთხოთ კაცობრიობას“. ამას ქონდა მცირე სოციალური მნიშვნელობა ომის წინააღმდეგ. დადაიზში შემარცხენე ფრონტის უკიდურესობა შეიქნა ხელოვნებაში.

გერმანული დადა კომუნისტურ გარსში გახვეული უკავშირდება სპარტაკელების მოძრაობას. ამათთან იყო ცნობილი კონსტრუქტივისტი მხატვარი გეორგ გროსი. მისი პოლიტიკური სატირა საბოლოოვით ვერ უთავსდება დადას დეკადენტურ ვარიაციას. დადა უარყოფს სამოქალაქო ომსაც. დადა გარბის ბაროკადიდან. აქ იწყება დადას რეაქციონული მიმართება. ეს არის ღონედაცლილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ნიგილიზმი. ფრანგული დადა (პიკაბია, სუპო, ტცარა და სხ.) ბურჟუაზიულ პატრიოტულ ჰარმონიას, ანარქიულათ არყევს. ბურჟუაზიულ ცხოვრების დაყენებულ ფორმების არეგ-დარეგამ და აშლილობაშ



ომის მიზეზით, ავანტიურული ამსახველი მონახა დადაიზმში. დადას პოეტიკა მისივე განცხადებით ბლოკინი არის. აქედან მისი ნაკლები ფორმალური სიმკიბე და დადას ატარებენ ყველა ქვეყნის რევალუციური იდეოლოგია. მსოფლიო ომის პროცესში მოღლილ ინტელიგენტის განწყობილება არის, დადა. დადა მოვიდა ბავშვის ფსიხიკით. მას ამსახველები რუსეთის „ზაუნციკებს“. ყველა ეს კი არის აზროვნების პესიმიზმი. ბურჟუაზიულ სულის დეგენერაციის კლასიციური წერტილი.

მთელი მემარცხენე ხელოვნება თემატიურათ გამოდის ნივთის რაობიდან. ყველა ენერჯიათა კონცენტრაციამ ომის მიმართულებით, გამოიწვია ნივთების კრიზისი. ნივთის საჭიროებამ მოითხოვა შესწავლა ნივთის გეომეტრიის და ნივთის ცოდნა. აქედან კვალიფიკაციური წარმოება და ტექნიკურ ინტელიგენციის კადრი.

ბურჟუაზიული ხელოვნება ყოველთვის ცალმხრივობას იჩენს. ის გაიყინა ნივთების გეგმებში. სანიმუშოთ კუბისტური მხატვრობა. სახვითი ხელოვნების ზოგიერთი მოდელი. თუ იმპრესიონიზმი ფორმის სრულათ კარგავდა და მთელ ქვეყანას შთაბეჭდილების ფერად ლაქებში შლიდა—კუბიზმი სისწრაფის ყველაფერი გამოსახოს აპრიორულ ფორმებში. მას ცოცხალ ფორმების მრავალსახეობა გეომეტრიულ ხაზსა და კუთხემდე დაყავს. აქ იმპრესიონიზმის ნიციერი გული გამოიმამარა მატერია და ცილილ სქემის ხაზებში. გეგმა ინჟინერულ პერსპექტივას ცილდება. ამავე მხატვრობაში: სუპრემატიზმი, პუნტილიზმი, პურიზმი და სხვ.

კუბიზმის ფორმალურ მეთოდით და ნივთების კრიზისით დაიბადა კონსტრუქტივიზმი. აქ მასალის მიზანშეწონილი აშენება არის. ორგანიზაციულ კონსტრუქტიული მომენტი, ყოველ მასალის დამუშავებაში.

ბურჟუაზიულ კონსტრუქტივიზმს განმარტავენ მრავალი სათვალთ. ილია ერენბურგს უყვარს „Бетон“ (ქვანალი გამოსცა ბერლინი ამ სათაურით). ის ერთ ალაგას სწერს: „მე თვით ნივთები კი არ მაინტერესებენ, როგორც შემეცნება იმაზე რომ ნივთები არსებობენ“. ერენბურგის რომანები დაწერილია ნივთების კინემატოგრაფიით. აქედან მისი შიში, სკეპტიკური ნიგილიზმი, ინტელიგენტური თრთოლვა და ნივთებით გამოწვეული მეღანქოლია.

რუსულ ფუტურიზმში არის „წარმოებითი ფუტურიზმი“ იგივე კონსტრუქტივიზმი. სადაც რეალობის შენების პროცესში შედის ნივთების კონსტრუქცია. აქ (თეორიულად) საკმაოთ დაცულია უტილიტარული პრინციპი.

რევოლუციამ წამოაყენა ხელოვნების პრაქტიკული ამოცანები. საბჭოთა ქვეყნების ტექნიკური პროდუქცია ეკონომიის ხაზით მიდის. კინოს კონსტრუქტივიზმი. მეიერხოლდის თეატრი—მოძრაობის აპოლოგიით. მაგრამ კონსტრუქტიულ ბიო-მექანიკის თეატრმა, ბრძოლა გააჩაღა ფსიქოლოგიის წინააღმდეგ.

განის კონსტრუქტივიზმში სრულიად უარყოფილია ხელოვნება მთლიანათ, როგორც ბურჟუაზიული მოვლენა. სამაგიეროთ კომენისტურ კულტურის ინტელექტუალურ-მატერიალურ წარმოების საწყისი. აქ ხელოვნება წარმოებას ემთ-



ხვევა ყველა წერტილით. ეს შორეულ მომავლის საქმეა. ამ შემთხვევაში სადავო და შემცდარი.

მანქანების დაგროვება მსოფლიოში, ნივთების სიმრავლე ანუ ამერიკაში ნივთიულ ფსიხიკას ბადებს. აქ არის კონსტრუქტიული პოეზია.

პოეზიის დატვირთვაზე ლაპარაკობენ. სიტყვის როგორც მასალის ლაბორატორიული დაწესება. სიტყვაში აზრის ხეცდრითი წონის მომატებით, ზედმეტი სიტყვების ჩამოცილება, სიტყვის გამკვრივება, ადამიანზე ზედმოქმედების გაძლიერების მიზნით. თქმის ყველა კონსტრუქციულ შეკრულს ცენტრალურ თემის კონსტრუქციაში. ეს არის სიტყვის მოხმარება და გამოთქმის ეკონომია. აქ ყველა მხატვრულ საშუალებებს ხმარობენ: რიტმი, რითმა, ხმა სახე, ზაუმი და სხვ. სათანადო ცდები წარმოადგინეს პოეტებში. ჩიჩერინი ენის ფონეტიკას კონსტრუქტულად ამუშავებს. ხმის გეომეტრიზაციით ადგენს გრაფიკულ პოეზიას. იეროგლიფივით საკითხავი, ძვირფასი მხოლოდ ავტორი. სელვინსკი პირველ ხარისხით სახეს და რიტმს აყენებს. აქაც ფორმალური მეთოდის ზედმეტი განდევნება. ინტელიგენტური ტიხრი მასსასთან.

რუსული ფუტუროზში უფრო პოზა იყო, ვიდრე ეროვნულ შემოქმედების ორგანიული პროდუქტი. ფუტუროზში დაიწყო სევერიანინით. ეს იყო გამაძლარ მეშინურ სალონების და არისტოკრატის ქალბატონთა პარტიუპერიის პოეტი.

ეხლა ლაპარაკობენ „კომუნისტურ ფუტუროზზე“, თითქოს ბურჟუაზიულ ფუტუროზის კომუნისტური გადაბადება მოხდა.

ოქტომბრის რევოლიუციამ ქირურგივით გადაჭრა ძველი იდეოლოგია. ეხლა ყველა იხედება რევოლიუციის პრიზმაში გადატეხილ სხივებით, დიალექტიკა იხილავს მოვლენებს მოძრაობაში, როგორც წარმავალს. ფუტუროზში დარჩა. ფუტუროზში როგორც სოციალური ძალა ტყვეთ ჩაუვარდა რევოლიუციას. როგორ მოხდა რომ ტყვემ რევოლიუციის გავლენით, ბრძოლა გამოუცხადა თავისივე წარსულს და რევოლიუციის მიღმა ქვეყანას. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა და მოხდება, თუ ფუტუროზში არ იქნება ფუტუროზში და გადაეზრდება, პროლეტარიატის რევოლიუციონურ პოეზიას. თუ ფუტუროზის „გული“ გადავა „წითელ დროშათ“ და ფორმა წონასწორობაში მოვა ამ შინაარსთან.

კომუნისტურ რევოლიუციის გაყვა მაიაკოვსკი. მან დაწერა როსტის 3000 სტრიქონი. მაიაკოვსკის შემოქმედება დაიბადა ქალაქის ცხოვრების და ნივთების შთაგონებიდან. მან დაწერა: «Человек вещь».

რუსული ფუტუროზში წვრილბურჟუაზიულ ოჯახებიდან გამოსულ ლუმპენ-პროლეტარებმა შექმნეს. ტროცკიმ აღნიშნა დეკლასიურ ინტელიგენტის და მხატვრული ზოგემის ტიპი. ხლებნიკოვი 24 საათს ფიქრობდა პოეზიაზე და საკუთარი შარვალი არ ქონდა. ზოგემის ქუჩის ისტერიული განწყობილება, გადადის მყვირალა სახეებში. აქ იმაჟინიზმის დამლუპავ გავლენიდან მაიაკოვსკის იფარავს რევოლიუციონური შინაარსი.

რევოლიუციონური პროტესტი განსხვავდება ბოგემის ნიგილიზმიდან. აქედან გამოდინა რევოლიუციის „თანამგზავრები“. მაიაკოვსკი ძლიერია სიყვარუ-



ლის ლირიკაში. რევოლუციონურ შემოქმედების რკალში თემების ერთფეროვნება ეტყობა. აქ თათქოს რევოლუციასთან ნაძალადევი მისვლა აშკარადგება. მაიაკოვსკას ნიჭი სძლევენ ამ ნაკლს. აქ იპარჯეებს მისი ორატორული ხერხი, რომ ის არის რევოლუციის რუპორი და კიდევ გრძელდება „მარში მარცხნივ“.

რევოლუციის ყოფას ორგანიზულად უდგება ბეზიმენსკი. ის თვითონ არის მუშა და რევოლუციის დეტალების მიკროსკოპი.

იდეოლოგია იზრდება სინამდვილიდან. იდეოლოგიის ინტუიცია დამორჩილებულია ამ სინამდვილის რეალურ ფორმებთან. იდეოლოგიას არ შეუქლია ჩამოცილდეს საზოგადოების განსაზღვრულ ინტერესს. ცალკეულ ფორმით არ განისაზღვრება ხელოვნების ფუნქცია. მაღალი ხელოვნური შენაქმებიც მატერიალურ ყოფნით არიან ნაკარნახები. ფუტურიზმით მთელ შემარცხენე ხელოვნებას ნათლადვენ. ფუტურიზმი ბურჟუაზიულ ცხოვრების ანარქლია. ფუტურიზმის მხატვრული მოძრაობა, ორგანიულათ არ არის დაკავშირებული მუშათა კლასის პოლიტიკურ მოძრაობასთან.

**ფუტურიზმის ფორმალურ-იდეოლოგიური ქაოსი, სრულიათ არ ეგუება ინდუსტრიალურ პროლეტარიატის შინაარსის ფილტრში გატარებულ ფორმას.**

P. წ. ეს იყო ვაკვითი განაილვა ფუტურიზმის ევრაპიულ მსშტაბით. ეს იმიტომ რომ უფრო კონკრეტულათ დამტკიცდეს  $H_2SO_4$ -ის ეკლექტიური ნაშოვარი.

### III

1)  $H_2SO_4$ -ის უნიადაგობა ქართული ხელოვნების ორგანიულ განვითარების ორბიტში. 2) ცხოვრების კონსტრუქტივიზმი თუ აკრობატების? 3) ფუტურიზმის ბანდეროლში გახვეული წარსულის მეღექსებები.

ლიტერატურული თავხედობაა და ავანტურა, შეიძლება უსუსურობაც,  $H_2SO_4$  ის მიერ ქართულ ხელოვნებაზე ორგანიულ დაკავშირების პრეტენზიეი. ეს ხალხი ევრობის მუშარცხენე ხელოვნების ნალექების კომპილიაციით ფიქრობს საქართველოში „ხელოვნების ოქტომბერის“ მოწყობას.

ოქტომბრის რევოლუციამ მშრომელთა ფსიხიკა გენერალურათ გაწმინდა ახალ ცხოვრების განცდისა და შენებისთვის. სწრაფვას განსაზღვრავდა წითლათ დაწმინდილი მომავალის პერსპექტივა.

$H_2SO_4$ -ის თეორიულ-პრაქტიკული ანარქიული ფსიხიკა არსებითათ დაცილებულია პროლეტარულ მასისს შემეცნებას და ვაგებას. მით უმეტეს არ ჩაითვლება ქართული ხელოვნების ორგანიულ კავშირის აღმდგენლათ.

ვალაპარაკით ფაქტები: „ $H_2SO_4$ “ № 1. „ლიტერატურა და სხვა“ № 1.

ამ ჯგუფში მეტი თეორიული მტკიცების ფოკურა სიმონ ჩიქოვანი, მოუთავებელი ერუდიციის პრეტენზიებით წარმოადგენს იდეოლოგიურ დომხალს. ის „მეტყველების ახალი კოლუპში“ საქართველოში. „ფსიხიკის კონსტრუქტივიზმის“ პირველი აღმომჩენი მსოფლიოში. ვაგშინჯოთ „კონსტრუქტიულათ“ ჩაყენილი კბილები.



რაც შეიძლებოდა ამოკითხვა რუსულ ჟურნალების ქრონიკებიდან, მემარცხენე ხელოვნების ტექპერატურაზე, რომლის საბედისწერო გრადუსი, ბებერ ბურჟუაზიის კატასტროფას აღნიშნავს,  $H_2SO_4$ -ის თეორეტიკოსს საკმაოდ მოსწრებელი, აპოკრიფილი და „გაიმასქნებელი“ აქვს. საქართველოში „უნივეთო ქვეყანაში“ სადაც იატაკზე წვიბიან, ს. ჩიქოვანი მოვიდა „სრულიათ ახალი კონსტრუქტივიზმით“. დეკადენტურ „ნაფურთხს ნივთები“ ამოაყოლა. „სტრუქტურა იმ ფსიხიკის როკელიც ნივთების კინემატოგრაფიულ რხევასთან ექნება“ თავისივე თქმით ეკუთვნის ჩიქოვანს შემდეგ დეკლარაციიდან  $H_2SO_4$ . „რუსული ფუტურში სრულიად შორდება ორგანიზატორობას მყოფადერი რეალობის“.

ჩვენ თუმცა არ ვეთანხმებით, მაგრამ ვიცით რომ, რუსული ფუტურში (წარმოებითი) თეორეტიკოსი ჩუჟაკი, *Леп*-ის № 1. იძლევა ასეთ ფორმულას: „ხელოვნება ცხოვრების შემეცნებას კი არ წარმოადგენს, არამედ მომავლის შენების პროცესს ქმნის“ მაშასადამე რუსული ფუტურში პლაკატით და აგიტაციით არ დაკმაყოფილებულა, არამედ კიდევ აღმოუჩენია „მყოფადერი“ რეალობის შენების ორგანიზატორობა რაც  $H_2SO_4$ -ის საბჭომ მისააკუთრა.

ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.  $H_2SO_4$  ის საბჭო „აღმოჩენების ორგანიზაცია“ არის. მივიღოთ (ს. ჩ—ს უნდა რამენაირათ) ფუტურში ორი პერიოდი: მარინეტი და ხლებნიკოვი, ლედი, ჩაპლინის მოძრაობა, ბავშვის ფსიხიკას გატოლებული, იგივე დადა და გროსის გრაფიკა. ეს ყველა იყოს „მასალა-მეთოდი“ იმ „დიდი აღმოჩენის“ რომელსაც ს. ჩიქოვანმა „ფსიხიკის კონსტრუქტივიზმი“ დაარქვა. განა ეს „კომუნისტურ აღმშენებლობიდან გამოსვლას“ ამტკიცებს, თუ „ახალი ინდუსტრიალიზმის“ დეგენერატის ფსიხიკას. ჩვენ უწოდებთ ნივთების მისტიკა ანუ სკამზე კაცი იჯდეს და სკამი შეამჩნიო და კაცა არა. პოეზია—ნივთის ლოზუნგი და პროექტი, მეტათ ვულგარული და ცალმხრივი არის.

კონსტრუქტული მეთოდი სიტყვის, როგორც მასალის დამუშავებაში, ზომით მისაღებია. რაც შეეხება საგნების და ნივთების სიტყვებიდან განთავისუფლებას „მყოფადერი ფსიხიკის კონსტრუქტივიზმისთვის“, რასაც ჩიქოვანი, მეკობრეების და შერლოკ ჰოლმის ავანტიურისტულ ფსიხიკას უწოდებს, უარსაყოფი და სანაგვეა.

ბურჟუაზიული სუნი აღის  $H_2SO_4$ -ის კონსტრუქტივიზმს. საგანს ანსხავებენ ხივთიდან. საგანი—რელიგიური შინაარსით. ნივთი—დანიშნულებით.  $H_2SO_4$ -ის მონაცემში ნივთის ობიექტიური სოციალური აზრი იკარგება. არ მოჩანს ნივთის უტილიტარული ტექნიკური დანიშნულება. ნივთი ორმაგ მნიშვნელობას იღებს: მასალა და იდეალური ფორმა. ან მოძრაობა. ნივთს ეკარგება დანიშნულება. ნივთი როგორც პირვანდელი საგანი ესთეტიურ შინაარსს იკეთებს. ეს არის ახალი ღვთაებრიობა და საკრალობა. ნივთების რომანტიკა.

შენიშვნა: პროლეტარულ საზოგადოებამ არ იცის ნივთის დუალიზმი. კოლექტიური კავშირი ნივთთან მონისტურ ფსიხიკას ბადებს.

იდეალურ ფორმამ ნივთებს სარგებლობის თვისება წაართვა. ანარქიული და შემთხვევითი სახე ნივთების, კოლექტიურ მოხმარების გარეშე დგანან.



ნივთი როგორც სათამაშო და აკრობატის სენსაციურ მაიმუნობის ობიექტი. აქედან ნივთის სარგებლიან დანიშნულების გარეშე, მოძრაობის აგება აკრობატი თოკზე დაიარება, როდესაც კონკრეტულ ლუკმა-პურის საკითხი გადაუწყვეტი რჩება.

$H_2SO_4$  ექსტრემიზმის (სისწრაფის ხელოვნება) წაბაძვით, ამოძრავებულ ნივთების სისწრაფის გაშალვას (ускорение) ითხოვს.

„საჭიროა ნივთების საჭიროებასთან (ნივთების აკრობატიკას გულისხმობს დ. რ.) მათი სწრაფი ცვალებადობა და სწრაფი გადალაგება რომ დინამიზმით დაიკარგოს სხეულის სიმძიმე“ ს. ჩიქოვანი. „ახალი ხელოვნების ფაქტები“.

ფიზიკის კანონით არის ნავარაუდევია, რომ დედა-მიწა 15-ჯერ უფრო ჩქარა დატრიალდეს თავის ღერძის გარშემო, ნივთებს სიმძიმე წაერთმევათ, უწონადი შეიქნებიან, როგორც უჰაერო სივრცეში. ეს ხომ მატერიის სიკვდილია. ხელოვნება—მატერიის განცდაა. აქ ბურჟუაზიულ კონსტრუქტივიზმის თეორია ყინულზე ტურდება.

მუშათა კლასის, ფსიხიკის ყველა კუთხეებით, გარე-მოვლენებთან და ნივთებთან წონასწორობას იკერს. მსოფლიო და სამოქალაქო ომის გადამტანი მშრომელი მასსა, უფრო დამზოგველია, ვიდრე ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ფონზე, ამოტივტივებული, კონსტრუქტორი-ფანტაზიორები, ბოგემურ და წვრილ ბურჟუაზიულ ფენიდან.

მასალის კონსტრუქციული განაწილების მეთოდი, მუშათა კლასის კუთვნილებაა. მოთხოვნილების მაქსიმალური დატვირთვა, დახარჯულ შრომის ერთეულზე. ამას ეწოდება ცხოვრების კონსტრუქტივიზმი. ამ შემთხვევაში ლენინი მეტრია. ლენინი ყველზე მეტი კონსტრუქტივისტი იყო. მისი აზროვნების და მოქმედების კონსტრუქციები პრაქტიკულ გამოყენებით საუკუნეებს აზიდავს.

ლენინი ხელოვნების შესახებ სწერდა:

„ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. ის თავისი ღრმა ძიებით, ფართო მშრომელ მასაში უნდა შეიჭრას. მან მასების გრძნობა, აზრი და ნებისყოფა უნდა გააერთიანოს“.

მუშათა კლასის დაკრისტალებული ფსიხიკა, კონსტრუქტიულ აღნაგობის არის,  $H_2SO_4$  ის ნივთების აკრობატობა ამჩატებული „ფსიხიკის კონსტრუქტივიზმი“ უფრო „არისტოკრატიული კომფორტი“.

ფუტურისმის ბანდერალში  $H_2SO_4$ -ის მელექსეები ბევრ არა-ფუტურისტულ „გმირობას“ ჩაღიან. რისთვისაც ფუტურისმის პაპა მარინეტი, მათ ყურს აუწევდა. უკანასკნელათ მარინეტიმ ნივთების გემრიელ მომენტს მიაგნო. მისი პორნოგრაფიული ტაქტილიზმი (შეხების ხელოვნება).

$H_2SO_4$ -ის სახტი ერთიანათ თანადროულ ყოფის დევერტირია. დაცემული კლასი ყოველთვის რომანტიკისკენ ისწრაფვის. ესენი ხომ პოლიტიკური რომანტიზმის მემკვიდრეები არიან. მათ თანადროულობასთან სოციალ-ფსიქოლოგიური მიდგომის ალლო არ აქვთ; არც პროლეტარების მომავლის გამზირზე დაყრდნობა.



მხატვარი გროსი ძლიერია და ფიზიოლოგიურათ მოქმედებს იმიტომ რომ, მხატვრობაზე უწინ ის პოლიტიკოსია.  $H_2SO_4$  ის აპოლიტიზმი, ყოველთვის ეძებს რომანტიულ ცას. ის სინამდვილის ზედაპირული გამგები არის, ნამღერს უფრო გადაიმღერებს. რუსული ფუტურისმის მეთოდების გაძარცვით, ხალხური შემოქმედების პროფანაციით, ეს ხალხი პასეიზმის (წარსულის რომანტიკა) რკალში მოემწყვდა-ფუტურისში ფეხებში გაუგორდათ. ბურჟუაზიულ „ცივილიზაციას“ მელანხოლია უმღერეს. ველურის როშვა პოეზიით განოაცხადეს.

„ფეოდალურ გაშლილ ეზოების და ცაცხვების რომანტიკამ, დაღუბა ბგერი ბგერა“ (ს. ჩიკოვანი.  $H_2SO_4$  № 1) ეს ხმები არალეგალურ მდგომარეობიდან უნდა გამოვიყვანოთ. მომავალი ქალაქი შექმნილ ხმებს გაუკეთებს საკუთარ ფორმას“ (ბ. გორდენიანი).

ნორდაუ ინდივიდუალისტი მოაზროვნე იყო. დეგენერაციის ნიშნები კარგათ განმარტა: რომანტიზმს და წარსულის რესტავრაციას, ტვინის აპარატი ადვილათ ახერხებს, ეს ახალ შრომის ენერჯის დახარჯვას არ საჭიროებს. რეალიზმი და სინამდვილეში დგომა, ტვინის უჯრედების ზედმეტ მუშაობას ითხოვს. რომანტიული ხმების ასოციაციური გახსენება, დეგენერაციის ნაწილს შეიცავს.  $H_2SO_4$  „მომავალ ქალაქს“ ხმების კომბინაციით ხსნის. თანაბდროვე ქალაქი ხმაურის დაკლებას ააშკარავებს. მაგ., რეზინის ქუჩები... ეს არის ბუ და სიბეცე.

$H_2SO_4$  რუსულ ფუტურისმთან დემარკაციული ხაზიც არ აქვს. საკუთარი ორიგინალობის მტკიცებით ძიძიფა დეკლარაცია, აქ პროვინციელის დილეთანტობით: მოხმარებულა, ლიტერატურის ფორმალური ანალიზი.

ხლებნიკოვისთვის „პირველათ იყო სიტყვა“ პოეზია ექსპერიმენტალური ლაბორატორია სიტყვის ქმნადობის. აქედან მისი პრიმიტიული განწყობილება და არქაიზმი.

ინდუსტრიალურ მისტიციზმით „პრიმიტივისკენ“ დაბრუნებული  $H_2SO_4$ -ის მელექსენი, ხალხურ შემოქმედების ღირებულების გარეშე, კუთხური პროვინციალიზმის ეარგონით მოდიან.

„ზაუმის“ თავწატეხილ დაკრილულ სიტყვების და ბგერების ხელოვნური შერჩევა, კრუჩინიხის, კამენსკის თავგაპოჩენას შეადგენს. სიტყვის ავტონომიური ბუნების მტკიცება და Мир с конца-ს პრაქტიკა, უბრუნდება თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისთვის“.  $H_2SO_4$  ამ თეორიის ბანალური გაგრძელება არის. „აღმოჩენების საბჭომ“, ფიზიოლოგიურათ მომქმედი ბგერები შექმნა, კამენსკის „Зувама“-ს შემდეგ.

$H_2SO_4$  „პრიმიტივის“ გვარება. ის პირველყოფილ მუსიკით „ფაბულარულათ განიცდის დადას დრამატიზმს“. აქ ბავშვის ფსიხიკის უმანკოებით და გულუბრყვილობით მოცემულია სინამდვილის შიში. წვრილბურჟუაზიული და წვრილ არისტოკრატიული მელექსენი, „შეგნებულათ“ ტოვებენ თანადროულობის დარბაზს. მესტიერის გატაცებით და ჯამბაზის ტრიალით, წინ და უკან გაასწრეს თანადროულ ცხოვრების მოძრაობას.

### სინამდვილიდან გაქცევის თეორიული მტკიცება:

„თანამედროვეობის გასაბჭოებულ დგამის აღწერა, არ არის სწორი ხაზი, ის არის ყოფითი გადმოცემა რეალის, დასვლა სტატიურობამდე და დინამიზმის წინააღმდეგობა“ (ს. ჩიქოვანი. „ლიტერატურა და სხვა“).

„ხელოვნება რომელიც ცდილობს ასახოს „ამ წუთური“ რეალობა, იჩეხება პასეიზმში. თქვენ ვერც კი მოასწრებთ დაამთავროთ შტრიხიული ნახაზი „აწმყოსი“, რომ მისი შესაფარდი დრო უკვე გაიქროლებს და ხელთ გრჩებათ „განვლილის“ სურათი... ამით აიხსნება, რომ „ყოფა-ცხოვრების“ ხელოვნება (Бытовое искусство) ყოველთვის ჩამორჩენილობის ტრადედიაში იღრჩობა... რაც მყოფადღური არაა — ის წარსულისეულია“ (ბესარიონ ჟღენტი „თვით პოეტი“).

ეს ციტატები ამჟღავნებენ, მარკსიზმის „წერაკითხვის უცოდინარობას“.

დიალექტიური მატერიალიზმი მოვლენათა კავშირს დინამიური თვალსაზრისით იხილავს. პროცესის მოძრაობა დიალექტიკის სინათლეზე კონკრეტულათ გვიჩვენებს მოვლენის ცვალებადობაში საყრდნობ წერტილს. აწმყო-რეალობაში დინამიურობის გარდა, არის სტატიურობის ფაქტი, ახალ დინამიურ ელემენტისთვის, აუცილებელი.

ჩიქოვანი და ჟღენტი დინამიურ პროცესს ახლოს ვერ უკვირდებიან. „დრო უკვე გაიქროლებს“ და ხელთ გრჩებათ „განვლილის“ სურათი, მოუთავებელი სინამდვილე, ნეგატივი. ჟღენტი და ჩიქოვანი „გასაბჭოებულ დგამზე“ „მყოფადერის“ მოლოდინში, ინტელიგენტურ უნიადაგობის „სტატიურობამდე დასული“ დამთავრებული ტიპების ფაქტი. „დრო კიდევ გაიქროლებს“, მაგრამ იდეალისტურ ჩამორჩენილობის ტრადი-კომედია ფაქტათ რჩება, რაც „ყოფა-ცხოვრების“ ხელოვნებამ უნდა ასახოს.

მათ არ აქვთ დიალექტიური მისვლა აწმყოსთან. ეს არის ყალბათ გაკებული მიმდინარეობა, რომლის ქვეშ, მეტაფიზიკის მკვდარი ლოლიკის „კარდონის ხმალი“ იკეცება.

დიალექტიკის მოძრაობის გარდა, მოძრაობის განუწყვეტლობა ახასიათებს „მყოფადერის“ აწმყოდან განკერძობით წარმოდგენა, ბურჟუაზიულ მეტაფიზიკის საქმეა და უსაქმობა.

ის ვინც სინამდვილიდან გარბის, ყოფა-ცხოვრების ხელოვნებასაც უარყოფს. ხელოვნება-სინამდვილის სარკეა. სარკეს ზურგს აშვერენ. კუზი გამოჩნდა.

აქ რმარჯვებს რეალის მკვიდრ საფუძველზე მდგარი ხელოვნება. იმპრესიონისტულ ობიექტიურობით არის შესაძლებლობა, ცხოვრების რელიეფურ განცდის მოცემის. ვინ იტყვის რომ, ზოლას, გოგოლის, ილია ჭავჭავაძის, ნინო-შვილის ყოფა-ცხოვრების ხელოვნება ჩამორჩენილობით ხასიათდება. დავით კლდიაშვილის „შემოდგომის ახნაურები“ ყოფა-ცხოვრების ხელოვნებით არიან ასახულნი. აქ ხელოვნების სიმძიმის ცენტრი სინამდვილეშია, რომლის მოძებნა გაუჭირდებათ, „ჟამთა სიავით“ მოკეცილ რომანტიზმის დებიუტანტებს.





შემდეგ. ჟღენტის „თვით პოტიკაზე“.

1) ფორმა და შინაარსი. „ახალი ფორმა გულისხმობს, ახალ იდეას და პირიქით“. იქვე ამ რიგით ფორმის და იდეის საკითხს ჩვენ ვსჯებით მონისტური თვალსაზრისით“.

ეს ამტკიცებს: თვით ჟღენტის ლოდიკურ წინააღმდეგობით გამორიცხულ აზროვნების, პირწავარდნილ დუალიზმს. შეიძლება მონიზმს, ციტატის ავტორში ერთი ლამეც არ გაუთევიან. ფორმის პრიმატი შინაარსზე, ფორმალურ შვილის, ჩვეულებრივი შეცდომა არის. ფორმა და შინაარსის სინტეზის თეორია, თეორიათვე რჩება. ფორმა მონისტური საწყისის და საზრდოს შინაარსიდან იღებს და არასდროს პირიქით. შინაარსს ძირი მოენახება, საწარმოო ძალთა განვითარების რიტმში. ფორმა არის ამ რიტმის ძიების დასრულება და შეფარდების მეორე წევრი.

2) პროლეტარული პოეზია.

„არსებობა პრობლემატურია“ „შეიძლება შერჩეს გარდამავალ პერიოდს“. საქართველოში პროლეტარული პოეზია არ არსებობს“. ქართულ პროლეტარულ პოეზიაში, იგრძნობა სოფელი და პრიმატივი“. „საწარმო პროლეტარიატი კი ქალაქის პირმშოა და მისი ფსიხიკა ურბანული“. „პრიმიტიული განწყობილება შორდება პროლეტარიატის ფსიხიკას“...

პროლეტარულ პოეზიის პრობლემატურობის ჩარჩოში ჩასმა აბსურდი არის. ერთი იმიტომ, რომ სოციალურ სტრუქტურის კლასიური დანაწილება და ფსიქოლოგია ფაქტია. მეორე: კლასიური კულტურის უნივერსალურ კულტურაში გარდამავალი პერიოდი, როდის დაასრულებს თავისთავს და რამდენათ ხანგრძლივი იქნება ეს დრო, ამის თქმა ძნელია. ჯერ უნდა განმტკიცდეს პროლეტარული კულტურა. აქ არის პროლეტარულ პოეზიის რეჟონ დეტრ.

შენი შვნა: ტროცკის ავტორიტეტით სარგებლობა ჟღენტს, უმართებულო აზრებს ალაპარაკებს. მას ავიწყდება მეორე ადგილას ტროცკის გარჩევა პროლეტარულ პოეზიის. (იხ. „Литература и революция“ Л. Троцкий).

ამოღებულ ცატატების მოხმარება შეიძლება, ძველ პროლეტარულ მწერალთა კავშირის და  $H_2SO_4$ -ის პოზიციების წინააღმდეგ.

თუ ქართული პროლეტარული პოეზიით, სოფელი და პრიმატივი იგრძნობა, მაშინ ეს პოეზია უნდა დაემთხვეს  $H_2SO_4$ -ის პრიმიტივს. თუ პრიმიტიული განწყობილება შორდება პროლეტარიატის ფსიხიკას, მაშინ ნება გვიბოძეთ, ორივე ერთათ „ხელოვნების ოქტომბერის“ გარეშე გამოვაცხადოთ.

#### IV.

### ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა .

1)  $H_2SO_4$ -ის „ც. ყანწების“ გაგრძელება. 2) დადა 3) წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია. 4) „პლაბიატების გწამდეთ ხალამი, ლიტერატურის ქურდების სექტა“. 5) მაფალუს ხელოვნება. 6) რომანი. 7) ჯამბაზები ბოჭკაზე. 8) ტერორი-რევოლიუცია და ცრუპენტელა. 9) ბალანსი—დეკადანსი. 10) ცოტა რამ პროლემათის შესახებ.



$H_2SO_4$  (როზარები), „ცისფერ ყანწელებზე“ გაიზარდნენ. ამას ამტკიცებს მათ შემოქმედებაში, „ყანწური“ ინსტინქტების ინერცია. თუ კოწია გამსახურდია და მისი სექტა ქართული პოეზიის კორექტურული შეცდომა არის;  $H_2SO_4$ -ს მეტათ საეჭვო ფუტურისმს, „ყანწების“ ლიტერატურულ მემკვიდრეობით, დეკადენტური ბალამი სდის. ბურჟუაზიულ დეგენერაციის ავთომყოფური პროცესი, საქართველოში, ევროპის არაპირდაპირი პარალელით ტარდება. ეს იმიტომ რომ, აღმოსავლეთის გადასავალზე, ევროპის ნახმარი ლიტერატურა მეტათ იგვიანებს. ტიციან ტაბიძე „მემარცხენეობას“ ყოველთვის ლოკავდა. დადას დეგენერატიულ ხმის პიონერობა მას ეკუთვნის. გრ. რომაქიძეს ერთი ბეწო დააკლდა, თორემ დადასტი შეიქმნებოდა. ამ დროს ფიზიოლოგიურათ დავაყვაცებულ  $H_2SO_4$  დადას მანიფესტებს ეძებდა დედანში—რუსული ენის უცოდინარობით, დადა, ტ. ტაბიძის თარგმანებით და გრ. ცეცხლაძის პრაქტიკით გაიცვენს.  $N_2SO_4$  დადას „რეგლამენტს“ იმუშავენს, მაშინ როცა ზოგი უცხო ენაში გაერკვა. ერთმა ფრანგი ავტორის რუსულ თარგმანიდან, ლაზღანდარობის ფორმალური მეთოდი შეითვისა. ლიტერატურის ბირეაზე ცრუ-სახელის გაყიდვა დაიწყო. ( $H_2SO_4$ —მეტათ დავალბებულია ჟურნალ «современный запад-ით») დახელოვდნენ--

**პოეზიის მართი მხი.**

ლიანდაგიდან გადავარდნილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გაძარცვაში. (აქ მემკვიდრეობის კანონი იმარჯვებს. „ყანწელები“ მოხერხებული პლაგიატები იყენენ. ვ. ვაფრინდაშვილმა ედგარ პოს მოთხრობა „ვილიამ ვილსონ“ კლასიკურათ გაღეჟსა „დუელი ორეულთან“ დოსტოვესკის ეპილეპსიური სტრიქონების რითმაში მოწყობა კ. ნადირაძეს აჩენდა ახალგაზრდობაში. მრავალ სხვაზე იქნება ნათქვამი სხვა წერილში... რა ეშველებოდა ამ ხალხს, რომ რემი-დე-გურმონის „ნილაბთა წიგნი“-ს რუსული თარგმანი არ ყოფილიყო, ან გეორგ ბრანდესს ტომები არ დაეწყო მათ და მოსახმარათ. ეხლა ამ წიგნებს თავსაფარში გაკრული, ბალიშებში ინახვენ. აქ არის პოეზიის სიყვარული და ორიგინალობის. „აღმოჩენების საბჭო“  $H_2SO_4$  ამ ფრონტზე ღირსეულათ მუშაობს..)  $H_2SO_4$ -ი „ყანწების“ „დაბეგებულ გზებს“ მიყობა.

ფრანგული დადა პატრიოტიზმს ამასხარავენს. პავლო ნოზაძეც პატრიოტიზმს უმიზნებს. მაგრამ აქ, გეოგრაფიულ ნათესაობის გარდა, ზედმეტი პატრიოტიზმის კონტრბანდა იყიდება. ტიც. ტაბიძის „ცხენი ანგელოსით“ მოტივს, ნოზაძე, შინაურულათ აგრძელებს. „გრძელ უღვაშიანი ქონდრის კაცები, სიონში ზღერიან არშინ-მალ-ალანს“ (ტ. ტ.). ნოზაძეც ცოტნე დადიანივით „დაკიდებულა პატრიოტიზმის ეშაფოტზე“, „გაკაეებულ პატრიოტს“... „არ შეშვენის ე მაგრე შენისთანაო“. (პ. ნ.).

დადაიზმი, ბურჟუაზიულ ინტელიგენციის, ომის გამანადგურებელ გავლენით, სამუდამოთ დაშლილი ფსიხიკის გამოფენა არი. საქართველოში ეს ინტელიგენტურ ბოგემის ნავთსაყუდელი შეიქნა. დადას რევოლიუციონურ შემოქმედე-



ბაზე ლაბარაკი არ შეიძლება. ტერორს, მიზანი აქვს და დანიშნულება. დადა—  
უმიზნია და ხაწნადი. ეს პატარა ერის კულტურულ დონეს ჩირქს ცხებს. ს. ჩი-  
ქოვანს „პროექტი ახალ კრეისერში“ დადას რევოლუციონერობა უნდა დაამტ-  
კიცოს, იმისთვის რომ საქართველოში მუშა და გლეხი მართავენ სახელმწიფოს.

დადა და რევოლუცია; ეს უფსკრული და მწვევრავალია. ბურჟუაზიულ დე-  
გენერაციის და პროლეტარულ შენების პოლიუსები. მათ შორის ხიღია ჩატეხილი.

$H_2SO_4$  სინტეზს აკეთებს. გამოვას მექანიკური შენარევი. ქიმიურ შესხე-  
ვულების ფალსიფიკაცია. დეკადენტური ყანყალი ორიგეს სერის, ტიულენის და  
შამპანხეს ჯღუს. ტიკ. ტაბიძის ლაქორგიდან აღებული ირონია,  $H_2SO_4$  ის ცი-  
ნიზში გადადის.

საბჭოთა კავშირში დაღაიზში კონტრ-რევოლიაციას უდრის. „ნიჩევოკების“,  
რუსულ დადას, კრუჩეოში გასავალი არ ქონდა.

**დადა აუცილებლათ უნდა მოკვდეს.**

„ყანწელების“ შემოქმედების სიშინის ქვეშ  $H_2SO_4$ -ის პრაქტიკა, ბევრ ხა-  
ზებში იშლება. დაწყებული ერთმანეთის ქებით, ინტიმურ აღერსით და ყალბი  
პატენტების გაცემით. (ს. ჩაქოვანი „ლიტერატურა და სხვ.“ კრუხის შუმბრუნვე-  
ლობით, თავს უყრის, ლიტერატურაში დაბნეულ წიწილებს. შემდეგ, „ბიბლიო-  
გრაფი“ ბ. აბულაძეს  $H_2SO_4$ -იდან ყველა ზუმბერაზი და ბაყათარი გამოყავს)  
გათავებული შარვალ გამოკერებულ ბოგემიელის სენტიმენტალური გადმოღვრით.

არგუმენტი: „არ მშორდება მეღანაოლია მე“  
„და სარდაფებში სულს ლაფავენ ფიროსმანები  
წმინდაო მარიამ გრიალ ზარბაზნებს სად დაემიღეთ.“  
„თუ კი სისოვლემ მიწაზე ბევრი იცადა  
ლოკულობენ რომ დადგეს ყვითელი სიცხე“,  
„თქვენი პოზა მოქმედი კარდონის ხმალი.  
თქვენ ეწლა გცივათ და გამაფრუბსთ დეკემბრის სუსხი“  
იყო კიოსკი—ბალერინა, გაბრწყინებული ტრაპეზივით“  
„გადია მტკვარი მეტეხიდან, მოტეხილ ბელტათ  
და მტკვარზე უფრო ამღვრეული ტფილისის ღამე“.

„პრიმიტიული სიმღერის მასალა“ „ცირა“—შალვა ამირეჯიბის „ცირა“-ს  
და სხვა „ყანწელების“ შემკვიდრებობათ იმას ამტკიცებს, რომ ეს ხალხი იდეო-  
ლოგიურათ გამოსულია იმ საზოგადოებრივ ფენიდან, საიდანაც „ყანწები“ გა-  
ჩნდა. ეს არის საქართველოს ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ელენენტების სახეცვლი-  
ლება, სადაც ფეოდალის თუ ბურჟუას შვილი შვილი, წვრილ-ბურჟუაზიულ ფსი-  
ხიკას გამოამჟღავნებს.

არგუმენტი: „ყველაფერი ფირმის ბრალია“  
„დააკვირდი მაღაზიის უუშებს.  
„შანკო ფიქრობს თავისთვის  
„ამ მოკლე ხანში მან უნდა გახსნას  
„საპნის ქარხანა. უღვება საქმეს.  
„ამიერიდან მისი მოვალეობაა, გახსნას ტრესტები.  
„ერთ მაღაზიის მინას მან დ აწერა  
„არისტოკრატიული სათვალე“ და სხვ. (წ. ლოლობერიძე)

- „სალამი ჩიკაგოს ტრესტებს
- „ზორცის კონსერვებს“ (შ. ალხაზიშვილი.)
- „მუდამ ვოცნებობ, ამერიკაში გამგზავრებაზე
- სადაც შემემღება, ბევრი ისეთი რამ
- „რასაც ჩვიო სენსაცია დო აკრობატიკა“ (ა. ბელიაშვილი.)
- „საქართველო-ამერიკაში“.. (ნ. ჩ. ჩაია)
- „ავტირდი როგორც ბანკირის ბაეში
- „მელახლია...ხო“ (ბ. აბულაძე)
- „არ მშორდება მელანოლია მე
- „ამერიკულ პრესკურანტზე“ (პ. ნოზაძე.) და ბევრი სხვა.

ყველა ერთი მეორეზე ამერიკაზე ოცნებობს. ამერიკის კაპიტალისტურ სტომაქში, დაგროვილ ნივთების სიყვარულით, წვრილ ბურჟუაზიული ფსინიკა აშკარადება. საბჭოთა კავშირის და მუშათა კლასის, რევოლუციონური ტაქტიკა, ამათთვის უდრის „გატეკნილ ტავტოლოგიას“. შეგნებული ჯამბაზობა უკეთესია, აქ იწყება ლიტერატურული კონტრ-რევოლუციაც და ცრუ პატრიოტობა.

არგუმენტი: ს. ჩიქოვანის პოემა „მყინვარი“, „დიდებულ მყინვარს გასაბჭოებულს“, რაც სიმბოლიურათ საქართველოს თავად-აზნაურთა „ბედს“ ემთხვევა ბეს. ულენტის ნეკროლოგიით. წარსულის იდეალიზაცია იდეოლოგიურ ჩამორჩენილობას ამტკიცებს. ჩვენ ბევრს არაფერს ვიტყვი, ნხოლოთ სად იყო მთავლიტი..

როდესაც ორიგინალურ შემოქმედებაზე ლაპარაკობენ, მაშინ პლაგიატის საშიშროება ზურგს უკან, მოხსნილი უნდა იყოს. ბურჟუაზიული მოაზროვნე თუ ხელოვანი, ნიჭის, შემოქმედების და ცოდნის კერძო საკუთრებაში გადაკეტილი მოქმედობს.

ეგოცენტრიულ სახელის და „თავმოყვარეობის“ პროპაგანდა საშუალებებს არ ერიდება. თუ გინდ სხვისი შემოქმედების მისაკუთრებით.

H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის დეკლარაცია... „ქართული ხელოვნება ისტორიულათ პლაგიატი იყო“. ეს H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის მიმართ თანმდროულათაც მართლდება. ხალტურას და პლაგიატს ვამტკიცებთ.

არგუმენტი: ლექსის კომპოზიციური პლაგიატი:

- „იყვირე. იყვირე. იყვირე.
  - იყვირე. იყვირე, იყვირე.
  - .....
  - იყვირე . . . . . იყვირე.—
  - აი ეს ძალიან სიმპატიურია!“
- } ტრისტან ტყარა.
- 
- „სულ დღეს, სულ ხვალ, სულ ზეგ, სულ შარშანწინ
  - .....
  - (ასე წინ და უკან დროში) . . . . .
  - .....
  - სულ შარშანწინისწინ.
  - უთხარი რომ მე მეოცნებე ვარ.“
- } პ. ნოზაძე



სახეების შენების კლექტომანია:

„მე რომ თერთმეტი სუ მომცა, საერთო სახლში წავიდლოდი,  
(ფრანის პიკაბია.)

ამის წაკითხვის შემდეგ აუცილებლათ დასწერდა:

„ჟანგოს რომ ერთი ჭიქა ყავა მისცა, ის თვითონ გაიცინებს, როგორც  
ოპერის მახიობი“ (ჟ. დოლობერიძე).

იხ. „Лакированное трико“ А. Кручёных.

„потому что прищмы из глаз лапают“

„თავალებიდან გამორბოდა ხე-ტყის მასალა, (ჟ. დ.)

იხ. ვენამინ პერეს მემუარი:

„დათვა შეჭამა დივანი

„ძოდუებიდან გამოვიდა ძროხა

„ძროხას ეყოლა კატები

„კატამ აავო კიბე“ და სხვ.

სავარძელში წვალეებით ჩაჯდება ძროხა“.

„კვამლი ყოფ ლა კატა

„ჩაძვრება სულში“ და სხვ. (ჟ. დ.)

იხ. „мена всех“. სელონსკის „цыганская рапсодия“

„ой—и мор’ы буде—уде

„Ай—ди дуди дыди „дуди—дуди“;

„უღე ბუღე

„უღევს ბაღე

„და ბაიდებს, ობადები აბადია“ (ს. ჩიქოვანი „ცირა“). და სხვ.

ეს ჯერჯერობით. H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-თანადროულ მემარცხენე ხელოვნების, მთლიანი პლა-  
გიატით ავსებულნი არის. გადმოღება ლექსის წერის მეთოდის და მასალების კომ-  
ბინაციის. ამაზე მეტი დამტკიცებითი წერილი, „კონტრაბანდა და ჩეკა“ გაზეთში.

ნიოგოლ ჩაჩავას ხალხური ხმების ჩარჩვა (Шлифовка) ცული გამოუღდის  
ზაუმის კორიანტელი, მოშლილი დელეჟანის შთაბეჭდილებას ტოვებს- სიტყვე-  
ბის და ხმების ნების მიერ კომბინაცია, ხალხის ორგანიულ შემოქმედებას  
შორდება. ხალხურ პრიმიტივის შრომის რიტმში აქვს საწყისი, ნ. ჩაჩავას „ბგერე-  
ბის ორენტაცია“ ბლავვი კუთხით იშლება. ეს არის ტერორი საკუთარ ნიჭის და  
ხალხური შემოქმედების. ხალხური შელოცვები კარაბადინებში უკეთესი ტონით  
არის დაწერილი. შელოცვების მომგროვებელის როლი, თანადროულ ლობის თვალ  
საზრისით მეტად უმიზნო და უნიჭო ხელობას წარმოადგენს. რევოლიუციონურ  
ჯანის უქონლობა ენერჯიას ჩიხში აქცევს. ნ. ჩაჩავა ამ ჩიხში ოფლს იწურავს.  
კრუჩინინის წაბადვა უკულტურობაც არის. ვის რათ უნდა ეს ჯახრიკი!;

„როდენდარ“

„რანგავო გილდიარ

„უკემელი შალუა

„დაიჯერეთ რევოლიუციაა“

„კმარისო რაო ლესტები

ესტაილორ ხაილოხა, ახალოხი მაგარი“

„ხეალი უტირალუ

„ინგი. მონალინგი.

„არჩა. ხაბალარჩა“. და სხვ.

ს. ჩიქოვანი, პრიმიტივის დაწმენდილ ფსიხიკის მოცემას ცდილობს. მაგრამ ჩიქოვანის და ნ. ჩაჩავას „ზრომებში“, „მაფალუს“ ხელოვნება გამოდის. პროვინციალურ ბგერების კომბინაციით აშენებულია მეგრული პეიზაჟი. ეს მიგნება არის „მაფალუს“ პატრიოტულ ლირიკის. ხლებნიკოვის მეთოდით, მეგრული სიტყვის ძირების დამუშავება, ხმების კომბინაციით, საქართველოს ცენტრში ვერ მიგვიყვანს. პრიმიტივის ბუნება, მხოლოდ პროვინციალურ ბგერების კომბინაციით არ იშლება.

პრიმიტივი ცნაურდება ხალხურ გამოთქმაში (მეტყველება), სადაც საგნები და მოვლენები, რელიგიურ შინაარსით, ზღაპრის და ლეგენდის ხასიათს იღებენ. რამდენათ ხალხის ფსიხიკაში, საგნების რელიგიური შინაარსი მოკვდა და თანდროულ პრიმიტივში რევოლიუციონური შინაარსი შეიქრა, იმდენათ პრიმიტივის რომანტიკა უფარგისია.

„მეკამეჩეების ზრმელის“ იდილიური და „ცირა“-ს რომანტიული პათოსი, ჩიქოვანის პროექციაა ფეოდალურ ფონზე. შეიძლება მსგავსი ჰანგები, მალარიით გაყვითლებულ ღამეებში, რომელიმე მემამულის მოჯამაგირეს ამოქარავებდა. შემდეგ ეს ჩაიკეტა ისტორიის გარდერობში. ჩიქოვანი პოეტის გულუბრყვილობით თანამედროვეობაში ალაგებს, ამ გახუნებულ ჰანგებს.

ჩვენი თვალსაზრისით მიუღებელია, განცილებ საუკუნეთა დღიანებში რომანტიული ქავილის პოეზია. მოჯამაგირე ეხლა ინტერნაციონალს მღერის. ცირა შეიძლება აქტივისტია ქალთა მოძრაობის.

დემნა შენგელაიას(?)! მოუვიდა  $H_2SO_4$  გადარიცხვა.  $H_2SO_4$ -ის. ზევიდან გაკეთებულ პრიმიტივს (ნ. ჩაჩავას ზეინკალობით) ხალხის ბუნებაში ძირი არ აქვს. დროვის რახრახით და ბგერების კომბინაციით არ ამოიწურება საგნების შინაარსი. დემნა შენგელაიას იმპრესიონისტული უფნებობა, საგნებს ვნებით ალაპარაკებს. აქ ხალხის პროვინციალური გამოთქმა, პრიმიტივს ემთხვევა. ხალხურ ფსიხიკის უშუალო ჩაწვდომა ამ გზით შეიძლება. ჩვენ ეხლა არ ვიტყვით რომელი ხარისხის მწერალი არის და დადგება დემნა შენგელაია, მხოლოდ  $H_2SO_4$ -ის ასევედო-საბჭოში ნას ნაკლები ასპარეზი აქვს.

დრო კი დადგა, ყოფა-ცხოვრების რომანის დასაწერათ. რევოლიუციის სიუჟეტის სიმდიდრე, ოსტატური დამუშავებას ითხოვს. ამას გარდა ცნობილია ქართული რომანის კრიზისი. ქართული ეროვნული შემოქმედება პერსონალიზმის ქვაბში იხარშება. საჭიროა ყოფის სინთეტიური ასახვა და ფსიქოლოგიური რომანი.

პავლე ნოზაძის ცდა „დღე და ღამე რევოლიუციის“ რამოდენიმე მიღწევით ჩაითვლებოდა, რომ ფორმის გაბერილ მტყელს, მეტი საგნობრივის სიმძიმე ქონდეს. ავტორის სუბიექტიური რევერანსებით დაჩრდილულია სიუჟეტის ობიექტიური მხერა. შეკვეთილი თემა „დღე და ღამე რევოლიუციის“ სათაურს აქვით არ მოდის. ავტორი მეორე მხარეზე დადაისტობს. ეს რომ არა და მეტი სერიოზული ტონი, რომანი იქნებოდა ფაქტი.



აკაკი ბელიაშვილის „ცხრა ცენტრი“ საპნის ბუშტივით უცენტროა და გამქრალი დრო და სივრცეში, კინემატოგრაფში სისტემატიური სიარულით, განსაკუთრებით როცა ტილოზე, მეტი მოძრაობა სანახაობაა და ავანტიურა, ასეთ რამეს მსურველი შეადგენდა. ჯერჯერობით სიუჟეტი საქართველოშიც მოინახება. მერე შეიძლება ექსკურსია უცხოეთში.

დადას მეორე ეკზემპლარი—ჟანგო ღოღობერიძე. ჟანგო დადას გემოვნებას უტოვებს. ცირკი არის გასართობი, აკრობატიკა—უსარგებლო მოძრაობის კომბინაცია. აკრობატის სალტო-მორტალე ცირკის პროგრამაში უმთავრესათ შედის. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჯამბაზები და კლოუნადა ბოგების ობიექტი არის კინოში ამ ღირებულებით თამაშობს ჩარლ ჩაპლინ. საფრანგეთში მოძრაობის სიჩქარის ხელოვნებაც არსებობს. ე. ღოღობერიძე დადას ტრადიციულ გაოხრების ინსტიქტს, ასტრალურ მოძრაობით ცვლის. ეს გამოდის ე.ნ კოკტოს ფსიხიკის კინემატოგრაფიის ირიგინალიდან. მოძრაობის და სიტყვის აკრობატიკა ერთმანეთს ემთხვევა. კინო-ლენტის წუთის სისწრაფით იკარგება ნივთიერი მასსა-იზადება მოძრაობის მისტიკა.

მაგ. „ჟანგო დაიბადა კვამლის წელი

„არ უყვარს ბუხარი, რადგან მთელი სივრცე აქ დაწვა“

„გამოჩნდა ფოთლების საკუთარი თვისება და სხ.

ირრაციონალური მოძრაობა, ირრაციონალურ გამოსახვას პოულობს, დადაისტების მეთოდით შექმნილ პლასტიურ სახეებში.

შენიშვნა: ამას უპირისპირდება, მოძრაობის რაციონალური ორგანიზაცია და კონკრეტული სახე.

აკრობატებს პარტერიდან ტაშს უკრავენ. სიტყვის და ფსიხიკის აკრობატების, ინდივიდუალურ გაგებით გადაკეტილ ცირკში ადგილები ცარიელია. აქ არის სოციალური მიზეზი, არისტოკრატიულ მემჩანობის ფაქტი. პოეზია—კერძო საკუთრება, ფართო მასებისთვის გაუგებარი და არც საჭიროა დადას ქაოტიური ფსიხიკის დემონსტრაცია.

$H_2SO_4$ -ის მხატვრებში, ირაკლი გამრეკელი გამოირჩევა. მის მხატვრობის საგანს ცირკი წარმოადგენს. ნახატის შუაგულში გამრეკელი დგას. ეს რტალიელ ფუტურისტ მხატვრების დამახასიათებელი იყო. სივრცეში აკრობატიულათ მოძრაე ნივთის, სიბტყეში მოქცევა (tableau dinamique) გამრეკელს ეხერხება. ეს უსარგებლო კონსტრუქტივიზმია და გამიზნულ გრაფიკის დანიშნულების გარეშე არის. moment extafique არის ექსპრესიონიზმი: სხვა ნახატებში არის დეგენერაციის ნიმუშები. მის დეკორატიულ მხატვრობას არ შეეხებოდა.

ბენო გორდენიანი—მნიშვნელოვანი არაფერი. მიხეილ გოცირიძე საერთო ხაზს აგრძელებს.

$H_2SO_4$ -ით არის ყალბი ცდა, რევოლიუციის მხატვრულათ მიღების. ჩიქოვანი, ოქტომბრის რევოლიუციის განვლილ ეტაპების, რომანტიულ ფორმულით მოკვებას ცდილობს. ეს გამოდის ასევე და პასტერნაკის რევოლიუციის რომანტიკიდან. პასტერნაკის პოეზია—არის ნივთების რომანტიკა. ს. ჩიქოვანი ლექსის სტრუქტურას მისგან იღებს ს. ჩიქოვანის ლექსი „წინა დღეები მოსკოვში“—ლეგალურათ მოემწყვედა პასტერნაკის ლექსის „მოსკოვის გავლენის“ ქვეშ. რევოლიუცია ნივთების აჯანყება გონიათ, როდესაც რევოლიუცია ადამიანებმა მოახდინეს. აქ პსიხოლოგიურ მომენტს ნივთი ჩრდილავს. ეს რევოლიუციის სურროგატს ამტკიცებს.

ნიკოლოზ შენგელაია, მაიაკოვსკის გამხდარ გასტროლით, რევოლიუციის ცრუ პათოსს ამჟღავნებს. მის ლექსებში არის ტემპერამენტი და შეამჩნევ რომ ბევრს არ ფიქრობს პოეზიაზე. შეიძლება დაწეროს უფრო გულწრფელათ, თუ უფრო დაწმენდილ ატმოსფერაში მოხვდა, ვიდრე  $H_2SO_4$ .

ამათ ემატება შ. ალხაზიშვილის ჩალასავით მშრალი სტრიქონები. უცხო სიტყვების და გვარების პრეისკურანტი, დაბრეყებულ ერუდიციის „პოეზიას“ დეგენერატიულ განწყობილებით, არავითარი საერთო არ აქვს რევოლიუციასთან.

$H_2SO_4$  ქართულ ხელოვნებაში ბურჟუაზიულ დეგენერაციის გეზი აიღო. საფრანგეთის მემარცხენე ხელოვნების (აპოლინერიდან—კოკტო) ბურჟუაზიული თეორეტიკოსი ჟან ეპშტეინი, ევროპის პსიხიკის დეკადანსს თვით აღიარებს. ბურჟუაზიის ფიზიკური და გონებრივი დაღლილობა, სიგიჟეში გადადის. ბურჟუაზიული ხელოვნება, კლინიკათ გადაიქცა. გიჟები იმიტომ არიან გიჟება, რომ უმრავლესობისთვის გაუგებარ კონსტრუქტულ აზრის და განცდის არიან.

ხელოვნება ფუნქციონალ დამოკიდებულებაშია, ევროპის ბურჟუაზიულ კულტურის დაღუპვასთან. ეპშტეინ აღნიშნავს ბურჟუაზიულ ხელოვნების განაკვეთზე, სიგიჟის აპოთეოზს.

გადაშენების ყველა ატრიბუტები: საშინელი ინდივიდუალიზმი. ცინიკური სევდა. კოკანის მისტიკა. ფანტასტიურ სახეების გალიუცინაცია. ნივთების ფორმის და სიტყვის ბგერის ფეტიშიზმი. აკრობატიული მოძრაობა. ფორმალისმის აპოგეი და სხვ. იდეოლოგიის სიღატაკე. ეს არის ხელოვნება, ბურჟუაზიულ კულტურის სიკვდილის წინამორბედი.

ოქტომბრის რევოლიუციამ სრული ანტიარული განწყობილება შექმნა. ხელოვნებამ სოციალური ფუნქცია აიღო. საბჭოთა საქართველოს მშრომელი მასსა, მუშა და გლეხი, ხელოვნებას ამ დანიშნულებით ითხოვს.  $H_2O$ -ის უნიადგობა აშკარადდება. ეს ქართული ხელოვნების ორგანიულ მოთხოვნის არ უპასუხებს. საჭიროა ლიკვიდაცია.  $H_2SO_4$ -ს დაშლის პროცესში კირს დავასხამთ.



## ცოტა რამ პროლემაზის შესახებ

პროლემაზის გამოსვლა იდეოლოგიურ ფრონტზე, ქართულ ლიტერატურაში პროგრესიული ფაქტი არის.

ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია  $H_2SO_4$ -ით თავის თავს ასრულებს. ახალი პროლეტარული მწერლობა პროლეტარულ ცხოვრებიდან მოდის. აქ არის პროლეტარულ ინტელიგენციის ყალიბობა. ის ყველაზე უფრო ორგანიულათ და წონასწორათ გრძნობს თავს მუშათა კლასთან.

დაიშლება ჰამლეტის და დონკიხოტის მოდემის, უნიადაგო ლიტერატურული კონტრ-რევოლიუცია. პროლემაფიდან იწყება, ქართული ხელოვნების ოქტომბერი. პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრების და აღმშენებლობის მხატვრული ასახვა. მოვლენების დიალექტიური მზერით, ყოფა-ცხოვრების ხელოვნების ფაქტი, უდიდესი მიღწევა იქნება ამ ფრონტზე.

საქართველო არ არის აკუსტიური ფენოქენი „საქარართველო“. ეს არის მუშა და გლეხის კულტურის მთლიანობა.

საგნიდან ნივთამდე არის წარმოების პროცესი. ამ შუალედში—შრომის რიტმის ფსიქოლოგიაა. აქვეა ტენიკა,  $a+b$ , და ხელოვნება, მასიურ მოხმარების ფუნქციებით. აქვეა ტენორი—ლირიკა, ორგანიული ტონი პროლეტარიატის, როგორც მშრომელთ ფსიქიურ მექანიზმის აწყობა.

ბენიტო ბუაჩიძე.

## „ცისფერი ყანწლები“

უკანასკნელი ათი წლის, ქართული ლიტერატურის სინამდვილეში, მთავარი ადგილი ეჭირა „ცისფერ ყანწლების“ შემოქმედებას, ანუ ქართულ სიმბოლიზმს. ამ მიმართულების წარმოშობას და განვითარებას ქონდა ნიადაგი, თვით ჩვენი ცხოვრების მსვლელობაში. ამ დროის სოციალური სახე საკმაო სიმწვავეით დასერილი და კლასობრივი დიფერენციაციით ჩამოყალიბებული იყო. ბურჟუაზია გრძნობდა თავს მეთაურ ფენად და ამიტომ ლიტერატურაც გადაიქცა მისი სულისკვეთების გამომჟღავნებელ სახედ. მაგრამ ეს მიზეზი საბოლოოდ ვერ საზღვრავს სიმბოლიზმის წარმოშობას, რადგან მაშინ არც ბურჟუაზია იყო განვითარების იმ წერტილზე, როდესაც მის წრიდან გამოსულ ხელოვანებს იპყრობს მოდუნების დამთხვეული გალიუცინაციები და ავადმყოფი ქვრეტა სივრცის და არც ქალაქები იყო საქართველოში, მთელი თავის უკიდურესობათა საშინელებებით, რომელიც უმთავრესი სტიმული და გამომწვევი მიზეზია სიმბოლისტურ მიმართულებისა. ერთ-ერთი მიზეზი „ცისფერ ყანწლების“ დიდი პრეტენზიებით და პოეზიის რევოლიუციონურ ნილაბებით გამოსვლისა, იყო არსებული ლიტერატურის რაობა, სადაც არსებობდა მხოლოდ; პოეზია—ლიტერატურულ-ქალიშვილების, „ვარდ-ბუღბულიანის“ დანამულ სინაზის, ფეოდალურ კოშკების ჩარჩენილ მეჩონგურების, „სამშობლო საყვარელო“-ზე სანტიმენტალურ კენისის, მუზის ზემთაგონებული იდილიის პრიმიტიული მესტეგირეები და პოეტების სახელები როგორც კრიალოსნის მძივები. ქართული პოეზია ითხოვდა, თავის შინაგან რაობით, შედარებით მაღალ საფეხურს განვითარების გზაზე და ამ მხრივ სიმბოლისტებს საფუძველი ქონდათ გამოსვლისა. ეს მიზეზები კიდევ ვერ სწურავს იმ მიმართებას, რომლითაც წავიდა, წვრილბურჟუაზიის, ყანწებით-მოქეიფე აზნაურების და ღმერთის კალთების ქვეშ, შეფარებულ წარმოშადგენლების „ცისფერი ყანწები“. ვერც ქუთაისის იდილიური და პრიმიტიულ უცოდველობის სახე იქნებოდა განმსაზღვრელი და მთავარი იმპულსი „ყანწლების“ შემოქმედებისა. აქ ადგილი აქვს უცხოელთა, მაგრამ კლასიურად მონათესავე ფსიქოლოგიით ზედმეტად გაბრჯნას და წამბაძველობას, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ხშირად დადის ეპიგონობამდის. არ იყო შემთხვევითი რომ „ყანწლების მანიფესტი“, პ. იაშვილის ავტორობით რამოდენადმე გამოდიოდა ძუტურიზმის, მარინეტის მანიფესტებიდან და პირველ ხანებში მათ დაკრავდა.



პირველ-ყოფილ ქუთუთიაშვილის იერი, მაგრამ ქართულ ლიტერატურას არ ქონდა ვაგვალა სიმბოლიზმის სტადია და „ყანწილები“ შემოქმედებას უფრო ეგუებოდა, მათი დასაყრდნობ კლასის სულის-კვეთების და არსებულ პირობების გამო მსენებულ მიმართულების ჩარჩოები. მაშასადამე „ცისფერი ყანწილები“ წარმოშობის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ ევროპის ხელოვნებაში, რომელიც არის განსახეება ეპოქისა და ამ ეპოქის ტონის მიმკემ გადაშენების გზაზე მდგარ კლასის სულის-კვეთებისა. მთავარი წყარო ამ მიმართულებისა არის ფრანგული სიმბოლიზმი, რომლის მამა-მთავარმა ბოდლერმა, მისი ყველა დამახასიათებელი თვისებანი გამოაფინა თავის წიგნში—„ბოროტი ყვავილები“—არა ნაკლები მძაფრი მატარებელია სულის სიმახინჯის, ხელოვნური და არა ბუნებრივი გრძნობებით დატვირთული ვერლენი, რომელიც გაიძახის:

„მთვრალი სიმღერა არის ძვირფასი  
ნათელ ბოდვაში მიქიანება“.

ეს „ნათელი ბოდვა“ კიდევ მეტი სიბნელით, კომმარულ აბურდულობით და ხელოვნურად დამაგრებულ ნიღბებით ახასიათებს, ბოდლერ-ვერლენის, თანმიმდევრო მალლარმეს. აქვეა ბელგიელი მორის მეტერლინიკი და სხვა მრავალრიცხოვანი მწერლები და პოეტები, რომელთაც დაიწყეს და დაასრულეს სიმბოლიზმი. ამ მიმართულების დასაყრდნობი ფუძე არის, ნიცემეს უაღრესად ინდივიდუალიზმი გაბრჯნილი, —ზე-კაცობის—ფილოსოფია, უკანასკნელი რწმენა ბურჟუაზიის თავის არსებობის გასამართლებლათ; სინამდვილის დასაფარავად მოშველებულია ეგზოტიურ-მისტიციზმის ნარკოტიული ნისლი, რომელიც ასე ესაჭიროება ბურჟუაზიის არსებობის უკანასკნელ ხანებში, საკუთარ თავის გასაბრუებლად. სიმბოლიზმ-დეკადენტიზმი მთელი თავის უფსკრულების სიღრმით აღსასრულის საზღვართან მდგომი კლასის სულის-კვეთებაა. რით აიხსნება თუ არა ამ მიზეზით, რომ პოეტ ლაფორგს, საკუთარი ფენის აღსასრულის მოახლოების დროს, იპყრობს ფიქრი მიწის დაღუპვაზე და სწერს „სამგლოვიარო მარშს, მიწის გარდაცვალებაზე“.

„მიწა მკვდარია და შესრულდენ ყველა დროები.  
შენ უკანასკნელ დაიკვნესე ავი ხროტინით

დაეხეტები როგორც კუბო და ძორი შავი“.

ამ სიკვდილის განცდას, რომელიც მძაფრად შეიგრძნო ლაფორგმა, ატარებს მხოლოდ ხორც-მეტი კლასი; მთლიანად კი, იმ მიწისათვის, რომელიც წარსულში დაითვლის მხოლოდ „ავ პოემის“ ფურცლებს, ნაადრევია, მიწა ჯერ ახალგაზრდა და მასში კვდება მხოლოდ ბებერი ფენა, რომელმაც დალია თავის არსებობის ხანა და ეხლა ბოდვის მირაჟებში ესიზმრება აღსასრულის საშინელება. ამიტომია რომ, სიმბოლიზმი, სქემატიურ სიმბოლოების ძიებით გაურბის ცხოვრების სინამდვილეს, რომელიც ბადებს მასში მხოლოდ აღსასრულის განცდას. ამასვე აღიარებს და ადასტურებს რუსი სიმბოლისტი პოეტი ბალმონტი, როგორც უმთავრესად თავის პირვანდელ შემოქმედებით ისე თეორიულ ნაწერებითაც:

„როგორც გვიჩვენებს თვითონ სიტყვა—გვაუწყებს ავტორი— დეკადენტები წარმოადგენენ დაცემის ხანის წარმომადგენლებს, ეს ის ხალხია რომელიც აზროვნობს და გრძნობს ორი ხანის საზღვარზე, ერთის დასრულებულისა, მეორეს ჯერ კიდევ დაუბადებლისა. ისენი ხედავენ რომ დღის სხივები დაიფერულა, მაგრამ განთიადს სძინავს სადღაც დეკადენტთა ათვისების ორიზონტს იქეთ. ამიტომაც რომ დეკადენტების სიმღერები—სიმღერებია დაისების და ლამების“.

ამ განთიადის შეგრძნობა,—იმ კლასისათვის და მის წარმომადგენლებისათვის, რომელთათვისაც ის ნიშნავს სიკვდილს—შეუძლებელია.

ყველა ეს მიზეზები, ევროპის ლიტერატურის რაობასთან ერთად, ფარგლავს, ქართულ ლიტერატურის სინამდვილეში, სიმბოლიზმის წარმოშობას, „ცისფერი ყანწების“ სახით.

**პარიზის შანტაჟები. უკანასკნელი ცნობა, ცდები გარდაქმნის შესახებ, ფილოსოფია სიმბოლოების. სახელების მაგია და „შავ-ანაფორის“ ასოციაციები.**

საქართველოს ლიტერატურა, სათანადო კულტურული განსხვავებით მისდევდა უმეტეს შემთხვევაში ევროპის ლიტერატურას. სიმბოლიზმმა ჰპოვა ნიჟარევი საქართველოშიც. საუკუნის პირველ მეოთხედის მეორე ნახევარში განოდის ლიტერატურული სკოლა. სკოლა ეწოდება იმდენად, რამდენადაც ასეთი გარკვეული სკოლა, იმ უახლოეს დროში არ არსებობდა: თუმცა ახალი სკოლის „გარკვეულობაც“ საჭეო იყო. ესენი იყვნენ „ცისფერი ყანწლები“ ფაქტიურად დაგვიანებული გამოძახილი ფრანგული სიმბოლიზმისა. მიმართულება ბურჟუაზიულ სკლის-კვეთების ამსახველი, ხოლო მათი ნაგვიანევი გამოსვლა აიხსნება ამავე ბურჟუაზიის საქართველოში თავისებური განვითარებით. პირველ ხანად „ყანწლების“ გამოსვლა წარმოადგენდა ერთგვარ რევოლუციონურ აქტს. ეს იყო ახალი ნაკადი, უძარღვო და სისხლ-ნაკლებ ლიტერატურულ სინამდვილეში. გარდა სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელ, გაურკვეველობისა და განზრახ ბუნდოვანობისა, სქემატიურ და ხელოვნურ სიმბოლოების უთავბოლო შეჯგუფებისა, მათ ფორმალურ ძიებას, შემოქმედების ფორმალურ მხარეს, დაუთმეს უპირატესი ადგილი. „ყანწლებმა“ სიმბოლიზმი გადმოიტანეს არა მარტო როგორც მეთოდი, არამედ როგორც მიმართულება, მთელი თავის სიმახინჯის ესთეტიკით, ლანდებით, ორგულებით, ჯანსაღობის სიძულვილით, უფსკრულებით, ქალაქის ჭუჭყის აპოლოგიით, თვით-მკვლელობის კულტით, ბოგემის და დაუსრულებელ ვაქანალიის სიყვარულით. ყველა ამით ისენი არიან ამსახველი მთელი კლასის სულიერ ყოფის, მდგომარეობის და მიდრეკილებისა და ამავე კლასის აღსასრულის მათუწყებელი. „ყანწლები“ იყვნენ მიწის სინედლეს მოცილებული და მისტიურ ნისლის მაგიურ რკალში მომწყვდეული. უკანასკნელ ხანადღის მათ ქონდათ დაუქრობელი სურვილი ყოფილიყვნენ, ქართულ პოეზიის



ავან-გარდი, მისი გეზის მიმცემი და ამ მიზნით ეპოტინებოდენ დროისა და სივრცის გარეშე აღებულ მემარცხენეობას.

ამის მისახვევით მათ იხმარეს გარეგნული ხერხები, რაც გამოიხატებოდა თეორიულ წერილების ნაწყვეტებში სხვა და სხვა უახლოეს მიმართულებების სახელებთან არსებობაში. ტიციან ტაბიძე მუდამ ოცნებობდა „სეზონის ფალავანობას“. მაგრამ შეუძლებელი იყო მისთვის გასცილებოდა საკუთარ თავს.

„მე მეჩვენება ჩემი თავი მეფის პორფირში  
სოველი ჭინკა თავ მდაბლობით მეუბნება ზარს  
მე თვითონ მივსდევ ყოველ წასულ დღეს“

პოეტს, რომელსაც ელანდება „მეფის პორფირი“ და „მისდევს ყოველ წასულ დღეს“, ვერ უშველიდა ვერავითარი სალტო-მორტალები, რომ გაეგრძელებინა თავის არსებობა, უახლოეს მომავლის ან აწმყოს ლიტერატურის ფურცლებში მაინც; ამიტომ რამდენიც არ უნდა ეწერა ამის შესახებ რუსულ თუ ქართულ ჟურნალებში მაინც ამაო იქნებოდა:

„ამ ოთხი წლის განმავლობაში, ახალმა სკოლამ უკვე მოასწრო გამოეჩინა თავის შემოქმედებითი გზა და ის გარკვეულად იხრება ფუტურისზმისაკენ. ეხლა მზადდება გამოცემა მესამე ჟურნალის, რომელშიდაც მოთავსებული იქნება ახალი სკოლის დეკლარაცია და „მანიფესტი აზიისადმი“.

(ტ. ტაბ. „Куранты“ № 2. 1919).

უკანასკნელ წლებში, როდესაც რუსეთის ჟურნალებით საქართველოში მოვიდა ცნობა დადაიზმის შესახებ ტ. ტაბიძემ მოიკრიბა ენერგია, ერთ-ერთ ჩვეულებრივ თავის ლექსს დააწერა სათაურათ „დადაისტური მადრიგალი“ და საჩქაროთ შეუდგა „ცისფერ ყანწილების“ ისტორიის წერას. სანტიმენტალურ დანანებით იწყებს ამბავს, თუ როგორ რუს ფუტურისტების საღამოზე გრ. რობაქიძე სიტყვის პათოსში უკიდურესობამდე მისული იცავდა და ამართლებდა ფუტურისტებს, რაც ნიშნავდა, რობაქიძის „გაფუტურისტებასო“, რითაც

„შეიძლებოდა ეს ღამე ყოფილიყო ქართული ფუტურისზმის დეკლარაცია“-ო. მაგრამ ამავე დროს დადაიზმი ფაქტი იყო პარიზში, ცნობა ამის შესახებ საქართველოში უკვე არსებობდა და

„რომ იმ ღამეს გრ. რობაქიძე დარჩენილიყო თავის თავის მიმდევარი, დადაიზმი უკვე ფაქტი იყო საქართველოში“.

ე. ი. ჩვეულებრივი რობაქიძე რომ ისეთი იყოს, როგორიც იყო ერთ-ღამეს, სიტყვის პათოსში, და როდესაც დამშვიდებულია არ ამტკიცებდეს რომ

„დადაიზმი და ფუტურისზმი არის ეშმაკის საქმე, რომ ა. კრუჩონიხი ჭინკაა“ მაშინ რობაქიძე, „ყანწების“ დამსახურებული მესვეური დართავდა დასტურს და ტიციანი გადადაისტლებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და მიუხედავად ყველაფრისა, „ცისფერი ყანწები“ არის მხოლოდ „ცისფერი ყანწები“ რომელიც ვერ გასცილდა ფრანგულ სიმბოლიზმიდან გადმოტვირთულ რკალს. ბოლოს და ბოლოს სხვა და სხვა მოსაზრებითა განსხვავების გარდა—სიმბროლიზმის—ფუტურისზმის—დადაიზმის ღირებულება თანაბარია. მათ შორის უფსკრუ-

ლები არ არსებობს. ყველა ეს მიმართულებანი გამომსახველი არიან ბურჟუაზიულ სულის-კვეთების სხვადასა და საფეხურზე ყოფნის დროს. ზემოდ-აღნიშნული თვისება დაპაზასიათებელია უკანასკნელი წლების ქართული ლიტერატურისათვის; თვითეული მიმართულება იჩენს მიდრეკილებას ყველა მიმართულებისადმი (როგორც „ცისფერი ყანწლები“) და სურს დაითიოს ასენი თავის თავში (როგორც ქართული ქუთურბუღი, H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>). ეს მოვლენა აიხსნება წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის სულის-კვეთების ანარქიულობით, მასში გარკვეულ უკიდურესობით არ მქლავდება არც ერთის ხაზი და ამ მიზეზით ხან ერთს აწყდება და ხან მეორეს. ესევეა მიზეზი იმისა რომ „ყანწლები“ რევოლიუციასაც ეტმასნებოდენ, თავი მოქონდათ და დიდ პრეტენზიებს აცხადებდენ რევოლიუციონერობაზე. რამდენიც არ უნდა ამტკიცოს ტ. ტაბიძემ რომ „ყველა პოლიტიკურ რევოლიუციებს, წინ უსწრებდა რევოლიუციები პოეზიაში“.

(„შვილდოსანი“ № 1. ტ. ტ.)

მანც, მსუხედავთ ყველა გიპერბოლებისა და რევოლიუციაზე გაბნეულ სოფისტურ აზრთა უსიცოცხლო ქარაგმებისა „ცისფერ-ყანწლების“ შემოქმედება, სდგას რევოლიუციონერობის გარეშე. ეს არის მხოლოდ საკუთარი კლასის, თავის წარმომშობ წრის, სოციალურ დაჯგუფებათა, სულის-კვეთების, განცდათა და გრძნობების მძაფრი გამოსახვა პოეზიაში და საერთოდ ლიტერატურაში. რევოლიუციის მოხდენის პრეტენზიებიც ფორმის მხრივ მოკლებულია საფუძველს. აქაც შეიძლება იგივეს გამეორება. ფორმის ის სახეები, რომელიც დაამაგრეს და შემოიტანეს „ყანწლებმა“, განვითარება არსებული ფორმების, რომლის დასრულებულ სახეს ითხოვდა სათანადო შინაარსი.

ის ამბავი რომ:

„ყანწლები ომებს იძლეოდენ მართალი სონეტის წერისთვის“.

(ტ. ტაბ, „მეოცნებე ნიაშორები № 10)

აუცილებელი და ჩვეულებრივი ამბავია ლიტერატურის თან მიმდევრობითი განვითარებისათვის. სათანადო ხაზზე მსროლავე ფორმა, უნდა დასრულდეს და საკუთარ შინაარსთან ერთად ამოიწუროს, რომ მაშინ, როდესაც ლიტერატურასაც მისწვდება ნამდვილი რევოლიუცია, დაიშალოს და გადატყდეს შინაარსთან ერთად.

„ცისფერი ყანწლები“-ს მსოფლმხედველობა, თეორიული მრწამსი, ისეა დაცილებული თანადროულ მოვლენათა და რეალურ სამყაროს საღ შეგრძნებას, როგორც მთვარეს ტემპერატურა მზისას ქაოსისა სულში, ქაოსისა გონებაშიც და გადარეხების დათენთილობით დაავადებული წარმოდგენა, აითვისებს გარე-სკნელს გალიუცინაციურ ისტერიკით. გრ. რობაქიძე სწერს:

„პირველ ყოვლისა მე სიმბოლიზმს ვიხილავ, როგორც ფილოსოფიურ მსოფლიო გზნებას. მე მას ვიღებ“.

(გრ. რობ. „რუბიკონი“ № 15)

როგორია სიმბოლიზმის ფილოსოფიური გზნება?



ეს არის იდეალიზმის ამოუვსებელი, უაზრო უფუკრულების სიცალიერე. მისნურ რწმენაზე დაყრდნობილი აბდა-უბდა. სქოლასტიური ქსელე. მონასტრის საკანში დაბერებულ ბერის დაჯერება. დულაიზმის ორჭოფი გზები. რაც ჩვენ გარშემოა, რასაც ვხედავთ, შევიგრძნობთ, ავითვისებთ და ვსწვდებით გონებით, ის ის არ არის, მას აქვს მეორე გამოხატულება; ეს არის მისი ასტრალური სახე. ჩვენი გრძნობებისათვის მისაწვდენი ვარემო, მხოლოდ სიმბოლოა იმ „მეორის“ წარმოსადგენათ. ადამიანსაც აქვს თავის ასტრალური განსხეულება და ასე მთლიანად სამყარო ეს მისტიური ფენომენია, რომლის სალი გონებთათვისება შეუძლებელია და ამიტომ საჭიროა მისტიკის დაუბოლოვებელ სივრცეში, აშვებულ სადავეები.

აქედან მოდის მთელი ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია, ორეულების და ფანტასმაგორიულ მისტიფიკაციის. აქ სჩანს პირველ-ყოველ ოკულტიზმის ბოდეა და შავი მაგიის ნიშნები. „ყანწელები“ ყველა ქრისტიანებია და ხშირად ახსენებენ აპოკალიპსის.

რალა გასაკვირია რომ ამ ხალხის პოეზია:

„იწვის თავის საკირეში და არაფერს არ სესხულობს ცხოვრებიდან“.

(ვალ. გაფრინდაშვილი. „მეოცნებე ნიამორები“ № 6).

არც ის რომ რობაქიძე-გაფრინდაშვილი ქმნიდეს მითებს და უკანასკნელი მთელ ლექსებს აშენებდებს, ისტორიის ფურცლებში ჩარჩენილ, ან და ავტორს დაზმანებულ და მის წარმოდგენაში გამაგიურებელ სახელებით. ეს გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ხსენებულ ჯგუფს, ცხოვრების სინამდვილე, უცლიდა ნიადაგს და მათ წარსულის ვაცოცხლებისა, და სახელების მისტიკის მეტი აღარაფერი რჩებოდათ. საყდარში, საკმეველის სუნით და ლოცვებით გაბრუებულ ტ. ტაბიძეს ეზმანება ქალდეას ქალაქები და გულმოდგინეთ ამზეურებს დამარხულ ფერფლს. მამა-მისის წირვას ასოციაციით მიყავს ქალდეას ქალაქებში მის წინაპარ მოგვის სიმღერასთან.

„ლოცულობს მამა, მწეხრის ლოცვას მუნჯად ვუცქერი

ფსალმუნი სულში შეფრინდება და იმარხება

შავ ანაფორას მეწამული გადაკრაფს ფერი

და ვხვდები ახლა, თუ ქალდეა, რად მენატრება“.

პოეტის სული ავსებულია წარსულის კოშმარებით, ის მისტირის და ისწრავის მისკენ.

„წინაპართ ჩრდილნო! არ დავწყვეტავთ გულს ჩამომავალზე

და თუ ველარ ვთქვი ლიტურღია მე თავის-თავზე

ქვეყანას მაინც გადაუხდი ერთხელ პანაშვიდს“.

დამახასიათებელია: ის ხალხი, რომელთაც წარსულში რჩებათ ყველაფერი და თვითონაც აუცილებლობის ძალით უნდა გადაყვენ ამ წარსულს, საერთოდ უკიდურეს ინდივიდუალისტებს—ამ შემთხვევაში ენანებათ პიროვნული დაღუპვა და მსჯელობენ საერთოდ „ქვეყნის პანაშვიდზე“. ლაფორგმაც ხომ გამოიტირა მიწა „ტრაურულ მარშით“, რომლის გარდაცვალება ხდება მხოლოდ მისი კლასისათვის.

## სოფლის დედაბერი, ლანდების ჯირითი და პოეტი მისტიკოსი.

სიმბოლიზმის რაობის წარმოსადგენათ, საუკეთესო ილიუსტრაციათ გამოდგება. ვ. გაფრინდაშვილის პოეზია. ამ პოეტის შემოქმედების რეპერტუარი დაზღურულია უკიდურესად გამძაფრებულ მისტიციზმის ნისლით. მარტო ლექსების სათაურები უკვე წინასწარ—საზღვრავს იმ არეს სადაც ტრიალებს პოეტი: „დაისები“. „დუელი ორეულთან“. „სალამო ლორნეტით“. „სალამოს მასკები“. „ქიმერების მარულა“. „მისტიური მარულა“. „ორეულები“ და სხვა მრავალი. მის ავად-მყოფ წარმოდგენას შეუქმნია საკუთარი სამყარო დასახლებული ლანდებით, ქიმერებით, მოჩვენებებით და ორეულებით. სპირიტის გულმოდგინებით ტრიალებს გაცოცხლებულ და შექმნილ სახელების ირგვლივ: აქ არის ჰამლეტი, ოფელია, კალიოსტრო პაგანინი, აშორდია და სხვა დაუბოლოვებული ქარავანი ფანტასტიურ მოჩვენებებისა. პოეტი არსებობს ამ მისტიურ სამყაროში, სხვა-გვარი ყოფა მის ბუნებას ეწოთირება.

„სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება“

შეუძლებელია მისტიკოს პოეტისათვის სინამდვილეში დაბრუნება, რადგან სინამდვილე მისთვის, როგორც ასეთი არ არსებობს. ყველაფერი ის რაც არის რეალობაში „რადღაც“ სხვა არის. გაფრინდაშვილი დაისის პოეტია, მისი პოეზია ერთი ფენისათვის სამუდამოდ ჩასვენებულ მზის გამოტირილია; მთელი სერია ლექსებისა მაუწყებელია ამ დაისის, რომელიც ემთხვევა ღამის კოშმარს, ქაოტიურად აშლილ, მოჩვენებების ქარავანთან ერთად. ამ დაისის ტრაგედია მასშია—რომ დეკადენტ პოეტისათვის და მის წარმომშობ კლასისათვის—მას არ მოსდევს განთიადი „მაგრამ დაისი დაიფერფლა გაუთენარი“.

ამიტომაც რომ პოეტს აღარა აქვს გონება, სრულებით მოკლებულია ნების-ყოფას, შეპყრობილია ბნელიან აგონიით და შეუძლია მხოლოდ ქვრეტა „იქითური“ სამყაროსი.

„იწვის დაისი, ვით ფრინველი, ვით ფრთა-ჯავარი, და იკაზმება სიკვდილის წინ რაგინდრაფერად“—შალვა აფხაიძე სწერდა

„არც ერთი არ ეგუება თანამედროვე ფსიხიკას ისე, როგორც გაფრინდაშვილი მისი „შუა გაპობილ სულით“ შემოქმედ გალიუციინაციებით, (შ. ა. შვილდოსანი № 1)

სრული სიმართლეა—მხოლოდ მაშინ, როდესაც გავასწორებთ ძირეულათ ამყარავებელ კორექტურას: გაფრინდაშვილი არა მარტო ეგუება, არამედ სრული გამომხატველია დეკადანსის, დაშლის და სიკვდილის პროცესში მყოფ თანადროულ ბურჟუაზიის სულის-კვეთებისა, ის საზომია ამ კლასის გონებრივი და სულიერი ავლა-დიდებისა და იმ ჯგუფისა, ე. ი. „ცისფერი ყანწები“-სა, რომელიც მთლიანად ამავე სულის-კვეთების მატარებელია. თანადროულობის აღმშენებელ კლასს პროლეტარიატს და იმ მასსას, რომელიც შეადგენს აწმყოს შინაარსს, არაფერი საერთო არა აქვთ, ამ განწირულ ვიწრო ფენის ფსიხიკასთან პოეტმა იცის ეს ამბავი, ცხადი და ნათელი აგრეთვე ის თუ რას წარმოადგენს ამ მასის ქარიშხალი:



„სალამო გრიგალს, დაისებით ეხაბარდება.

ახვეტს გრიგალი აჩრდილებს მშვენაერ ნაგავს“.

ეს ალბათ სიმბოლოების სიმრავლეებში თუ წამოცდა, მაგრამ ამ საფურცლის შეგნება, წინამორბედი „ვაუთენარ დაისის“ შეგრძნებისა. არ არის უბრალოდ ენი ეს მიდრეკილება:

„მწყურია მუდამ მიცვალეულთ ვიყო გამყოლად“ — გაფრინდაშვილის პოეზიაში მთელი სიმძიმითაა მოცემული სიმახინჯის ესთეტიკა

„მახინჯი სახლი და წარწერა: ყანწელთა მორგია“.

მთლიანად „ყანწელთა“ პოეზიას „მორგის“ სუნი უდის, და ეს ცხადია, რადგან ეს პოეზია სრული გადაშენების მოლოდინით, გახრწნილ უჯრედების გამოფენაა.

გარდა ამ კლასიურ ბუნებიდან გამომდინარე ტენდენციებისა გაფრინდაშვილის დამახასიათებელია კულტურულ ცრუ-მორწმუნეობის უკიდურესობა. ერთხელ შევადარე და ძალაუნებურად შეედარება — სოფლის 80 წლის დედა-ბერს და სოფლისავე პატარაობიდან დაშინებულ ბავშვის წარმოდგენას; რადგან ერთი და იგივეა (მათი წარმოდგენის) ნაძრახი ადგილი, შუალამისის დელის-პირი, ღამე წისქვილებთან და პოეტის წარმოდგენის გასულიერებული სივრცე.

იქ ქაჯი, ტყის-კაცი, ჭინკა . . . . .

. . . . . აქ ლანი, ორეული, აჩრდილი მოჩვენება. ამ შემთხვევაში მხოლოდ სიტყვების და თქმის გაარისტოკრატებაა და სხვა არაფერი. გაფრინდაშვილი გაყინულია თავის შინაარსში და მისი შემოქმედება მისტიფიკატორების ქვაბში ჩხარშება. ნერონ — კალიგულას (პედერასტ მეფეების) პოეტობიდან გადადის ანარქისტების სახელების გამოფენაზე. ამ ბოლო ხანს ჭვარტიან ბუხრის ჩვარს სიძველის ნახრეშებიდან ამოაყოლა ჩატერტონი. ამით ის „ყანწელთა“ შორის ყველაზე მეტი დეკადენტური სისწორით დაშლილი „ყანწელია“. „ყანწელები“ და კერძოდ გაფრინდაშვილი ამოაყოფს ახალი მითოლოგიის შექმნით ქართულ პოეზიაში. ჟაზრო ზღაპარია და კიდევ მეტად ამტკიცებს, რომ ეს ხალხი იმყოფება არა ნოციერ მიწაზე, არამედ მუშვიდე ცაზე.

**გადაშენების პოეზია.**

„ცისფერ ყანწების“ პოეზია დასერილია განწირულ სევდის იარებით. წარმოდგენა დაფენილია რღვევა დაშლის, შავი აჩრდილებით; სივრცე გასულიერებულ საშინელებებით ავსილი. ხელოვნურად შექმნილ მანეკენებით დატვირთულ გრძნობას ბურავს ეროტომანიული ნისლი:

„მხურვალე კოცნით ამოგიშრობ ოფლიან ღლიავს და შენს ღრმა თვალებს. რომ გავს ორ შავ ქლიავს“.

სურვილის ეროტომანიული ენი, მეორე წაშში განწლებულ სევდათ იღვრება:

„ვიცი ჩემს სურვილს შიში აბრუშებს მათხოვრის ჯოხით დიდხანს ვიარ მე საცოდავად



და ჩემს სიცოცხლეს, გაუხარელს, ცოდვილს, ნამრუშებს გაუთხრი საფლავს, მე თვითონ თავად“. (რატუნ გვეტაძე) საკუთარ დაავადებულ წარმოდგენის ჩიხში მომწყვეტულ კოლაუ ნადირაძეს, სასოწარკვეთილების დამპყრობი შიში იფლობს და გაბრუებულს ეზმანება საკუთარი ლანდი.

„როდესაც დაღლილს აღარსად მაქვს გზა წასასვლელი და ველარ შევძლებ გამოუცნობ შიშის ატანას გაერაივარ შენგან მეჩვენები, ჯალათი, მკვლეელი და თრთოლვით ველი რომ დამარტყამ ქურდულად დანას“.

ეს შეშლილის უსაფუძვლო ტყვიელებია, და მოწმობს მას რომ, ტენის ნაწილებში ყველაფერი რიგზე არ არის, ხერხემლის სინედლეში რაღაც გადაბრუნებულია, რაც იწვევს ნერვიულ სისტემის უმაზეზო თრთოლვას და ბადებს ასეთ განცდას. როგორც ვხედავთ აქ წმინდა ფიზიოლოგიურა მიზეზებია, რაც ცხადია ასე უნდა იყოს, რადგან გადაშენება მით არის გადაშენება, რომ ძირულად ანცდარია სიჯანსაღეს, და მოკლებულაა ფიზიოლოგიურ და სულიერ წონასწორობას. ეს ნიშნული თვისებაა უსაქმური, პარაზიტული წრის, რომლის არსებობა, უკანასკნელ ხანში,—ყველა მონაცემ, ისტორიულ და თვით მის ბუნებაში ჩამარხულ პირობების გამო,—გადაექანა გადაშენების უფსკრულისკენ. ეს კლასიური ავადმყოფობაა, და არაერთარა განაკუთრებული მიზეზობრივი კავშირი არა აქვს საუკუნის გარეგნულ სახესთან; მუშა, სცხოვრობს, იზრდება და შედლებულია ქალაქის ცხოვრებასთან. უზარმაზარი სახლები მისგვარ ათასების აშენებულია, მაგრამ მასში ეს სახლები და ქალაქი არასოდეს არ დაბადებს ასეთ წარმოდგენას და განცდას:

„შავი სახლები დასაჭერად მიწვიდან ხელებს ავ მოჩვენებათ ეს ქალაქი გადაიქცევა“ (კ. ნადირაძე)

დეკადენტის ამღვრეული გონება უთანაბრდება ჰაში მით გაბრუებულ ტენის გალიუკინაციებს. სიმახინჯისა და სნეულების მძიმე ბარგის ქვეშ მოხრილი, დეკადანსის პოეტი, შეყვარებულია, ქალაქის „მრუშ და მკრალ სახეებზე“.

„ხარბათ დავეძებ მახინჯ სახეებს

მკლავებში მახრჩობს მე ვიწრო კვალი, ავზნიანი და ცოდვებით მთვრალი ავადმყოფ სახლებს, ათაშანგით პირდაკმულ ქუჩებს“.

და ასე დაუბოლოვებლათ პოეტი მთვარეულავით დაეძებს რღვევით—დაშლილ სახეებს.

„ყანწელების“ პოეზია ავადმყოფ სულის, იარების გამოფენაა. ავ-მოჩვენებებით ზმანება დასნეულ, დახსნილ ტენის შეშინებული როშვა. ნების-ყოფა განადგურებულია და უჯრედები მალიარით მოწხამული. მოცემულია სივრცეში ატივტივებულ მთვარეულების განცდა; მთვარეც თავის მხრივ სნეულია.

„ეწყება მთვარეს ხაშმიანი ცხელების სრესა“. (ტ. ტ.).

სიმბოლისტიების წარმოდგენაში დედა-მიწა იღუპება, ყველა მოწხამულია, „ლუესის წვეთებით“ გაბრუნული მოხარული მალიარიის ხაშში, კლექის ბაცილებით გამოხრული.



„ძარღვებში რომ უჩვეულო სიცივეა

მზათა ვართ ყველა თავის მოსაკლავად“ (ლ. მაქავარიანი).

ამ მათთვის „ცივ პლანეტაზე“ ჯიშ-ამოვარდნილი გვარი მთვარეულა და სიკვდილი აუცილებელია რადგან:

„მთვარეს ელოდება მმარხველი ბიურო“. (გრ. რობაქიძე).

რობაქიძის სწორი დიაგნოზით, მთვარე სასაფლაოს ამოსავსები მასალაა. კოლაუ ნადირაძე თავის ჯგუფის და ბურჟუაზიულ ინტელიგენციის მძაფრი გამომსახველი, — ქორწილით უკავშირდება მთვარეს და ამრიგად განწირული მთვარეული მოგზაურობს მთვარესთან ერთად.

„ჩვენ დიდი გზებით მოსული ვართ და წავალთ მალე  
როგორც კუკლები დავატარებთ არშინ კაბებს“

მანკენათ ქცეული ლამის სიბნელეში ეძიებს ხსნას.

„და ისევ ღამე შეგვაერთებს მგზავრებს სნეულებს  
და ისევ ღამე იქნება მხსნელი“

გრ. რობაქიძე სონეტებს უძღვნის ფრანგ პოეტებს, რომელთაც დაპატარავებული ეგზემპლიარებია „ყანწელები“

„თეთრად ათენებ: თავს გესხმიან ავი ბოდვები  
ბნედა გერევა, მიწის წყლულის ხილვით გაოსილს  
დამხრჩვალ კატებში გაგონდება მთვარის ცოდვები.  
პირზე გაშრება ცოფიანი ღუფი ქაოსის“

ეს კლინიკის ნაგავი, ქაოსის კოშმარი, მთვარეულების განცდა, გამნადგურებელ სნეულებათა ტვირთი, რკალავს სიმბოლისტების ბუნებას. გარდა ამისა, რომ ეს გამომზეურებაა „ყანწელების“ კლასიურ და პიროვნულ ბუნებისა, ქუჭყი გადმოტვირთულია სხვა წყაროებიდანაც. პაოლო იაშვილი აცხადებს:

„ჩვენ აფთიაქმა მძინარ დაბიდან  
გამოგვატანა ბოდღერის ბალი“.

დეგენერატ ბოდღერის ბალის მყრალი ყვავილების, არა-ბუნებრივი საზე, სიმახინჯე და მათი შხამის სურნელება, ათრობს და აბრუებს „ყანწელებს“. ბოდღერი სიმბოლისტ-დეკადენტთა შემოქმედების სათავეა თავის სნეულ სკეპტიციზმით და გამოუალ მელანქოლიის ტალღებით; ის ოპიუმის მსხვერპლია, და ამ ქვეყნად სიკვდილის მეტი არაფერი დარჩენია.

„ერთი მუჭა სულელებისა, რომელიც შეიყვარა სიგიჟემ, გარბიან ზედისგან დაწყველილ გიგანტიურ ბრბოდან და შველას პოულობენ ოპიუმის სურნელებაში. ასეთია დღე ჩვენი მიწის ბურთისა... ო! სიკვდილო... ძველო სარდალო დროა! აუშვათ ღუზა! ეს ქვეყანა შიშის ზარს გვრის. ო სიკვდილო, გადავსეროთ ზღვის ტალღები ჩვენ შეგვიძლია ჩავძიროთ უფსკრულში: ჯოჯოხეთში ან ზეცაში. რაც არ უნდა იყოს იქ, გადავსტყორცნოთ თავი უცნობის კორიანტელში: ჩვენ იქ ახალს მაინც რამეს ვნახავთ“.

ასე განწირული მოთქმით რკალავს ბოდღერი თავის ოპიუმის ბნელით და-  
ნისნულ წრის არსებობის ფარგალს,—საიდანაც არ არის გამოსავალი გარდა  
სიკვდილისა. ეს სასოწარკვეთილი სევდა, ბოგემის სულის ავ-ზნიანი თრთოლვა  
და სიმახინჯე, მთავარი ძარღვია „ყანწელების“ შემოქმედებაში.

„უნაგ მოდებული გულის სარკინე.

უნდო ორჭოფი ღიმილი მკვდარი“ (გ. რ. ო. ბ. ა. ქ. ი. ძ. ე.).

ვ. გაფრინდაშვილი, მთლად თვით-მკვლელების კავალერია და საიქიოს  
მცხოვრებთა „ყოფის“ ამსახველი. ის არ არის ამ ქვეყნის:

„შეგსცქერი ქვეყანას როგორც იდიოტი

ირიბი საშუარო მთლად გადამაშენებს“

ამ ქვეყნიდან გადაშენებულს რჩება:

„გამოვკვეთე თრთოლვა, იქითური

პაოლო იაშვილი განწირული ხმით გაიძახის.

„და თავს დავიხრჩობ სამიკიტნოს მყრალ დარაბაზე“.

ტ. ტაბიძე რესტორანში სწავს ორპირის მალიაჩით დასველებულ ღღეებს  
და აპირებს ბალაგანის მეფეთ სიკვდილს. რამდენიც არ უნდა ვშალოთ „ცისფერ  
ყანწელების“ შემოქმედების ფურცლები ერთი და იმავე სულის-კვეთების გამომ-  
ჟღავნებაა. კარმელის თვითეული ტაეპი ჭლექის ბაცილების შეგრძნობითაა და-  
ტვირთული; ამას ფიზიოლოგიური მიზეზი ჰქონდა, მაგრამ საერთო ტენდენციის  
გავლენაც.

უნებისყოფობა, დათენთილობა, და სევდის ტალღები მძაფრად სჩანს ნი-  
კოლო მიწიშვილში, მიზეზი:

„და ჩემი სისხლიც მოიწამლა გადაშენებით“

„უცნაურ ფიქრმა ხერხემალი სულ დამიდაშპლა.

თავის ქალასაც ეს ფიქრები მალე გაარღვევს

და მეშინია, მეშინია, ო მეშინია.

ცივდება ტვინიც სისხლის ჩქეფაც მალე მისწყდება“.

ასეთი გამოუვალი სევდა და გადაშენების სიპტომები, ჩვენ ვიცით ახასია-  
თებს, ბურჟუაზიას ცხადი მიზეზების გამო. ნიკოლო მიწიშვილი კი „წელმაგარ  
გლეხების გვარიდანაა“

„მე საწყალი კაცი ვარ და მეტად შესაბრალისი

მამა-ჩემი ქალაშნით იხდიდა დრამას“

ეს აიხსნება უცხო კლასის, სულის-კვეთებით და ფსიქოლოგიის გახრწნით,  
რაც წარმოადგენს პიროვნულ გამოანაკლისს, რის გამოც ის ემწყვდევა გამოუვალ  
სევდის ფარგალში და სოციალურად დაპირდაპირებულ კლასთან ერთად მოთქვამს:

„მე წარსულ ღლეებს გადავტირი დაღონებული“

პოეტი ისე მძლავრად შებოჭილია ამ წარსულის არტახებით, რომ მომა-  
ვალზე ფიქრიც აღარ შეუძლიან, იმ მომავალზე რომელიც ეკუთვნის გლეხთა ჯან-  
სალ მოდგმას, მაგრამ ის „გაინტელიგენტებულია“ და ამ მხრივ უნიადაგობის  
თვისება დასჩემებია.

„ჩემით თავდება წელმაგარი გლეხების გვარი“





უსათუოდ ეს გვარია მიზეზი, რომ მიწიშვილს აქვს სიგულწრფელე განცხადის გადმოცემაში და არ არის ხელოვნურ მანიაკობით შეპყრობილი; თუმცა ვინაიდან სოფლიდან მოსულია—დატვირთულია სოფლურ ცრუ-მორწმუნეობით. „ყანწელებს“ საერთოდ ახასიათებთ ცრუ-მორწმუნეობა ანუ გონებას ამცდარი დაჯერება, რწმენა. მათ სწამთ ღმერთი, მისტიური სულიერები, ქიმერები, ორეჟლები, კუდიანები და სხვა გულუბრყვილო აბდა-უბდა. ხშირად ეს აიხსნება ნილაბის რაინდობით, რაც კიდევ უფრო მძლავრი დამამტიციებელია იმისა რომ ისინი ბურჟუაზიული სულის გამომსახველი არიან. ბურჟუაზიასაც ხომ უყვარს ნილაბი და ათასგვარ ქარაგმებში დამალვა ნამდვილი სახისა. „ყანწელები“ ფეტიშიურ მოწიწებით ეპყრობიან საფრანგეთის ბურჟუაზიის სულიერ დეკადანსის, უკიდურეს გამომხატველ ბოდლერ-ვერლენის სახელებს. სტეფან მალლარმეს კი—უდიდეს მასწავლებლათ რაცხავენ. მალლარმე მით იყო თურმე გენიოსი, რომ ძალზე ცოტას სწერდა და იყო კარგი მოსაუბრე.

ამ თვალსაზრისით სულელი სიმონ ჯღამაძეც გენიაა, არაფერს არ სწერს და კარგად ქადაგობს, თუმცა ამას თავის მხრივ ამტკიცებს, ბელეტრისტი დიაჩიანელი „ყანწელების“ მრწამსთან ახლოს მდგომი, რომელმაც სრული დაჯერებით დაიწყო შეგნებულ სიგიჟის აპოლოგია.

„სიგიჟე—ეს წარსულის საუკუნოების ნანგრევთა მხრებზე შეწყობაა და მომავლის წინ გასწრება“

და „უკანასკნელი საუკუნე, დიდამიწაზე არის სამეფო გიჟი ადამიანის“.

ჩიანელი ახდენს, არსებულ გიჟების იდეალიზაციას და საკუთარი „ჰკვიანი“ აზროვნების ინტუიციით „ავიეებს“ უკანასკნელ საუკუნეს. „ყანწელები“ და ზოგადი მასშტაბით სიმბოლიზმ-დეკადენტიზმი, დიდ სიყვარულს იჩენს სიგიჟე და შეშლილობისადმი და ხშირად ნათესაობრივი მიდრეკილებით უთანაბრდება მას; ეს საუკუნე მათთვის უკანასკნელია და უსათუოდ აქ მართლდება ჩიანელის თეორია. ქართული სიმბოლიზმის პროზაში გამომსხველი იყო ს. ცირეკიძე, რომლის თავისებურ მინიატურის გზებში, თავისუფლად გაიშალა მისტიკა; მთვარეულების დღე-მთვარეული მზერა, სიგიჟე და სხვა დამახასიათებელი ხაზები სიმბოლიზმისა.

ასეთია საერთო სურათი, „ცისფერ ყანწელების“ შემოქმედებითი ბუნებისა. ამ სურათში არაფერს არ ცვლის გრ. რომაქიძის და პაოლო იაშვილის ექსკურსია მზისკენ; მით უმეტეს რომ იაშვილის მზე,—იგივე მთვარეულისავით—მიწიდან გადაშენებულის მზეა,—მისი მზე სიკვდილს ნიშნავს დედა-მიწისთვის:

„ყველა მზისკენ, ყველა მზეში, მიწა ველარ გაგვანარებს“.

ის მიწის აღსასრულის ნიშანია.

„ქვეყნის ცეცხლი რკალში სახლობს

ის რაც ცოცხლობს შავად ახმობს

რაც ტყეების დასანგრევად

ცხელ ზაფხულში ჩვენსკენ ილტვის

სანადიმოდ მოსაწვევათ

ჩვენ გვიგზავნის წითელ სიკვდილს“.

აგრეთვე არაფერი არ შეუცვლია საერთოდ „ცისფერ ყანწილებს“ უკანასკნელ ექსკურსიას ე. წ.—ლი.

### დაბრუნება მიწასთან.

შინაარსით ეს გრ. რობაქიძის გამოგონილი ზღაპარი, არაფერს ახალს და განსაკუთრებულს არ შეიცავს. კოლაუ ნადირაძეს გაახსენდა ოცნების დროს ძველი ნანგრევები:

„შავი კედლები დიდ-ციხეების  
ჩვენი დიდება მოსაგონები

შედიხარ ჩუმად, გრილი ტაძარი  
მოთაფლისფერო ს.ხე მამების  
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი  
და შავი ხატი წმინდა მამების“.

რა შუაშია ამ წარსულის ფერფლის გახსენებასთან მიწა, რომელიც გულისხმობს სიცოცხლეს და თანადროულობას; ან იქნებ ნამდვილი დაბრუნება—

პაოლო იაშვილის დაბრუნება იყოს. თითონ რობაქიძე მიწას უბრუნდება ეროტომანით.

გ. ლეონიძის „მიწა“ როგორც არსებული ისე დაბრუნებული მიაგავს ქალაქის ბაზარში, სოფლის ნედლ-სასურსათო მარაგის საწყობებს.

გრ. რობაქიძემ შალვა აფხაიძეც რომ გამოიყვანოს მიწასთან დაბრუნებულად მიმართავს პარადოქსებს.

აფხაიძე—მთვარის პოეტია—როგორც ასეთი შორსაა მიწიდან. ეს მაშინ „თუ მთვარეს მივიღებთ უბრალოთ“, მაგრამ

„მთვარე კოსმიურად სხვა არის, არის იდუმალი კავშირი მიწასა და მთვარეს შორის, მიწა, როგორც დედა, როგორც ქალი, რომელიც კოსმიურად გრძნობს მთვარეს“ (გრ. რობაქიძე რუბიკ № 4)

ე. ი. მთვარე მიწის შვილია. მიწა—მთვარეა. მთვარე—მიწაა. აქედან შ. აფხაიძე რადგან მთვარე მიწაა, მიწასთან ყოფილა დაბრუნებული.

რა გასაოცრად ყოვლის შემძლეა ეს მისტიურ-კოსმიურობა, ყველგან ნახულობს გამოსავალ წერტილს. ალბად ესევე—მისტიურ-კოსმიური მსოფლ გაგებაა—იმ სალი გონებით წარმოუდგენილი სასწაულის მომხდენი, რომელზედაც მიგვითითებს რობაქიძე. თურმე საკმარისია ცირეკიძე-კლდიაშვილმა სხვა ფორმით დაიწყონ წერა, რომ ისინი ჩაითვალონ მიწასთან დაბრუნებულად:

„თუ ჩემ მიერ აღნიშნული გზით გადაიხარა, მათი (ე. ი. ცირეკიძე-კლდიაშვილის. ბ. ბ.)—შემოქმედება კი არა—ფორმაში სხვა, იმ შემთხვევაში, უფრო ადვილი იქნება ლაპარაკი მათ მიწასთან დაბრუნებაზე“ (გრ. რობაქიძე. რუბიკონი № 4).

ეს ააშკარავებს „ყანწილების“ ფორმალიზმს და ამ მორიგ ყალბ, ცუდათ



დამაგრებულ ნიღაბის რაობას.

პორნოგრაფიით და სევდით დამძიმებულმა რაჟღერ გვეტაძემ გაიჩინა საქმე:

„მოქალაქენო ეხლა სიკვდილს აღარ ვაპირებთ.

გამიჩნდა საქმე საარაკო. . . . .“

ეს საქმეა—„მთვარის სინებზე“ დაქნილი ფიქრი,—ვირის ყურებზე შეცვლილი. გვეტაძე უნიადაგობისა და უსაქმობის გამო აპირებდა სიკვდილს, მაგრამ ისევ მიემაგრა მიწას, რადგან უკანასკნელს დაუბრუნდა ვირები და ამ უწყინარ მოქალაქეებთან ერთად სჭვრეტს ცხოვრებას. ადვილად წარმოსადგენია თუ რამდენად ვრცელი და შინაარსიანი უნდა იყვეს გვეტაძის „მიწა“, რომელსაც განსაზღვრავს ვირები. უკანასკნელად პოეტი ჩივის, რომ ის რვა საათი მუშაობს სტამბაში და ბოლო დროს პოეტებს კნავილით ბარიკადებისკენაც კი მოუწოდა— მაგრამ მაინც არ სჯერათ მისი რევოლიუციონერობა,

ვისი რა ბრალია რომ, —მიუხედავად სტამბაში მუშაობისა—ის მატარებელი იყოს წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტის სულისკვეთებისა, რომელმაც 1921 წელში, მოხდენილ სიმბოლოებში გამოტენევით, დააწერინა:

„მოსჩანს მთვარეზე განწირული მამაცი ჯარი“.

რისთვისაც შალვა აფხაიძედან მიიღო „წინასწარმეტყველური“ დაპირება.

ამრიგად „ყანწელების“ დაბრუნება მიწასთან იყო უშინაარსო ფორმალისმი, მორიგი ნიღაბი, რომელსაც არ შეუშლია ხელი დარჩენილიყვენ ისევ „ყანწელებათ“ ე. ი. საკუთარი თავის გადაშენების მაუწყებელ ჯგუფათ.

### „ყანწელების“ გავლენის არა.

„ყანწელებს“ ქონდათ გავლენა ახალგაზრდა პოეტებზე, რომელთა ნაწილიც მათ შეუერთდა. ზოგი დარჩა მიმდევრებათ და ამზეურებდენ სიმბოლიზმის ხარჩენებს.

ლადო მაჭავარიანი—რომლითაც სიმახინჯის პოეზია დაწურულია მისი უნებო ჭვრეტით, ლუესის, კლექის და ალკოგოლიზმის აპოლოგიით. გ. საგანელი, რომელმაც პრაქტიკულად განახორციელა „ყანწელების“ იდეალი—თავი მოიკლა, და რომლის დეკადენტური ბუნება, გარდა იმისა რომ თავი მოიკლა (რაც მთავარია) მტლავნდებდა მასში, რომ თავის ლექსების წიგნს დრუმო (ე. ი. ბალამი) დაარქვა. ი. ჟორდანი (ინ. რე ჟან), რომელიც დაიკარგა (სიცოცხლითაც ეხლახან გარდაიცვალა) ფურცლებში.

გრ. ცეცხლაძე პირველ ხანებში „ყანწელების“ გავლენის ქვეშ იყო. ის დეკადენტის შეგნებული კუთხეებით გამეორებდა.

„ოცდაოთხ საათს მოვანდომებ სარკესთან ბრუნვას“.

გადაჭრილი და ნათელია, მისი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება:

მოქალაქენო!

ნუ მიცქერით ასე მკაცრათ

რომ არც ვხნავ და არცა ვკაფავ

თქვენთან საქმე არა მაქვს რა  
მე ჰაერს ვყვალავ.

ის ფენები, რომელთაც ახალ ცხოვრებიდან ვერ მიიღეს შინაარსი ეძებენ თემებს პოეზიისთვის. გვეტაძემ მიაგნო ჩოჩრებს. ამ ბოლო დროს შაპრაუხ ჩარკვიანმა გამოსძებნა სპეციალი თემა ქვემძრომები და ზოოლოგიის სითამამით გაატარა გველების და ჭიალუების პარადი:

„მიწის ნახეთქში—სული პოეტის  
დაიწყებს რონინს ქვემძრომთ პარადით.“ (შ. ჩარკვიანი).

მარტო ლექსების სათაურები საზღვრავს პოეტის შემოქმედების რაობას: გველები. ხვლიკები. Scorpion. მახრა. ბაყაყები. ძლოკვები. გველი Roa. კუხვითო და სხვა ამის მსგავსი.

ამ ხალხს სცალია ჭია-ლუა-გველებისათვის და სხვა პარალერული სათამაშოებისთვის; მომწყვდეულნი სხვადასხვა გვარ ტიკინებში ისინი ერთობიან და არიან თავისთვის.

გარდა უშუალოდ თანამიმდევარ პოეტებისა „ყანწილებს“ ქონდათ გავლენა ფართო ახალგაზრდაობაზე, რომელთაც ლიტერატურული გემოვნება ვითარდებოდა, მათი დეკადენტური აბდა-უბდის შხამიან ნიმუშებით.

### დ ღ ე ს.

დღევანდელ სინამდვილეში „ცისფერი ყანწები“ როგორც ლიტერატურული მომართულება აღარ არსებობს. არის მხოლოდ თანამგზავრული ხაზი რომელიც პიროვნულ იერს უფრო ატარებს, ვინემ ჯგუფურს. ეს დალუპვის და საბოლოო განადგურების პროცესი ვერ შეაჩერა, უცხოეთიდან მოშველებულ, გასახალგაზრდავებელ რეცეპტებმა; რაც იყო ექსპრესიონიზმით მორიგი გატაცება და რღვევის ბაცილებით გამოხრულ იმაჟინიზმის მონური გავლენა, თვით-მიხრურ სახეების, აგონიის მიმოქცევით. ამ გადაშენების სიპტომების ტრიალიდან და სასიკვდილო გაბრძოლებებიდან დარჩა ლიტერატურული ნაშთების „ნაგავი“, რომლის შეუბრალებლად „ახვეტა“ აუცილებელია, რათა ძირეულად ამოგდებულ იქნეს დეკადანსის ტრადიციებით გაბრჯნილი კლასიურ-ლიტერატურული დეგენერაცია და აქედან რევოლიუციონურ ყოფის ფსიხიკა განთავისუფლდეს ამ კოშმარულ ატმოსფეროს ოღნავი დაწოლიდანაც კი.

შეუსაბამო და არა ორგანიულია დღეს ცხოვრებისათვის, უცხო წარმავალ კლასის სულიერი ნალექი. უაზრო და შეუფერებელია, ქრისტიანულ ორდენის, ეროტომანიული ნისლით და დეკადენტური ერთგულებით შექმნილი პოეზია და სხვა მსგავსი ხარა ხურა. ჩვეულებრივი საალმშენებლო დღეების სიღრმეს სცილდება და ეთიშება, ზედა-ფენების გასართობი კომფორტი და ქრისტიანულ-მისტიურ, — „გრონობიერი“, რომაქიძისეული თაობის სულის კვეთება. საჭიროა ამ თაობიდან დატოვებული და უახლოეს აწმყოში შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობის, ნამდვილი რაობის გამაოშკარავება და მისი თანადროულ სინამდვილეში არსებობისა და გავლენის ახკვეთით გადაბარება ისტორიას. პროლემადის შეტევით საბოლოოთ აიხვეტება ეს აჩრდილების და გადაშენების დაგროვილი ნაგავი, რომ ჭაობის დაწყაყებული შმორით აღარ მოიწამლოს თანადროულ ცხოვრების ჯანსალია ერი.



## კლატონ ჭიჭოძე.

# ქარხნის პოეზიები, როგორც ვერ ნახეს ქარხანა.

### 1. ან—ბა—ნი.

პროლეტარული პოეზია—პოეზიაა რევოლუციონურ ბრძოლის, ქარხნის, ქუჩის... ასეთია (ტრაფარეტი) განმარტება პოეზიის ამ ახალ ტიპის.

პროლეტარული პოეზია მეტია!! იგი არ არის მხოლოდ რევოლუციონურ ბრძოლის პოეზია, მაშინ გვექნებოდა: პოეზია მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციის შესახებ. მოდის იგი პროლეტარულ ყოფიდან, პროლეტარულ ცხოვრებიდან, იგი პოეზიაა პროლეტარულ ყოფის. ბრძოლა, რევოლუცია—ერთი ყველაზე უფრო საგრძნობი (ეფექტიური) ეპიზოდიაგანია ამ თვალ უწყვეტელი ცხოვრების, (რევოლუცია ისახება, რევოლუცია ვითარდება, ხდება, იმარჯვებს და მტკიცდება არა ერთ პოეტურ წუთში). ქარხანა სათავეა პროლეტარიატის, მაგრამ კლასი ჩასახული აქ არ სცხოვრობს მარტო დინამოს ცხოვრებით. რკინასთან იშვება ეს ახალი ადამიანი, მაგრამ თვით არ არის უსულო რკინა, უმღერო რკინას, ადიდო რკინა—ვით მეფე კარის მგოსანმა—არ ნიშნავს უმღერო პროლეტარიატს. უმღერო ქუჩას, რომელზედაც აღზდგა იარაღით ხელში ახალი ადამიანი არ ნიშნავს უმღერო მასზე მებრძოლ ადამიანს.

და ბოლოს: უმღერო ამ ბრძოლას, მებრძოლ პროლეტარს—(ქების დოგმათ გაიხადო) არც ეს ნიშნავს სიმღერას „ქარხნის ჰანგებით“.

ცნობილია: ტოლერი მომღერალია პროლეტარულ რევოლუციის, მაგრამ მას პროლეტარულ მწერლათ ვერ გამოვაცხადებთ. იგი ტიპია პროლეტარულ რევოლუციის ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ მეხოტბის.

### 2. ან—ბა—ნი პროლეტარულ პოეზიის საგანზე.

პოეზიის საგანი (ობიექტი) სრულიად არ არის პოეზიის შინაგანი რაობა (სუბიექტი). შემოქმედების საგანი არ არის ნიშანდობლივი დამახასიათებელი პოეტისათვის. არ არსებობს მიმართულებისათვის სხვადასხვა თემები. მიმართულება თემსთან მიდგომაა. თემა ყოველთვის ერთია: ცხოვრება. ცხოვრების დაუსრულებელ ცვალებადობაში დაუსრულებლად იცვლის თემა სახეს. მიმართულება არ უნდა გახდეს გრიმად, რომ მწერალმა უარი სთქვას ცხოვრების ამა თუ იმ მხარეებთან მისვლაზე. პოეტს რა მიმართულებისაც არ უნდა იყვეს იგი, აქვს უფლება ილაპარაკოს რაზეც უნდა. თუ გინდ დევზე—ღმერთზე. მაგრამ როგორ ილაპარაკოს? აქაა მნიშვნელობა მიდგომის.

ყოველ მოვლენას შეგიძლია მიუღვე ასახსნელად ისტორიულ მატერიალიზმით. თუ გაქვს მარქსისტული მეთოდი შეგიძლია იმსჯელო ყოველივეზე, რითაც არ გადაუხვევ მარქსისტულ მართლმორწმუნეობას (ორტოდოქსალობას) ასეა პოეზიაშიც.

პროლეტარული შემომქმედი ვერ გაექცევა ცხოვრების ვერც ერთ მხარეებს, იგი შემომქმედებითი ამსახველია პროლეტარულ ყოფის.

პოეტი ერთ ერთ ეპიზოდის, შემთხვევითი, არა სრული, განცვიფრებული გამვლელია.

### 3. ყველას სჭირდება ანბანი.

ქართველ პროლეტარულ პოეტებს ყველაზე უფრო ესაჭიროება ამ ანბანის სწავლება. (ესაჭიროება იგი ყველა ქართველ ლიტერატორებსაც: მაშინ როცა დამღეროიან მხოლოდ და მხოლოდ ქალის ფეხებს (გრიშაშვილი) ან ვირის ჩოჩორის ქოჩორს (გვეტაძე) თავი პოეტებათ მოაქვთ. უსაყვედურებენ ჩვენ პროლეტარულ პოეტებს სულ ჩაქუჩზე და ნამგალზე წერას, მაგრამ ასეთივე—თემის სიგიწროვის მდგომარეობაშია ყველა. ამიტომაც: დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში არ არის დასრულებული შემომქმედი.

რა არის ქართველ პროლეტარულ პოეტის შემომქმედების საგანი (ობიექტი)? ბრძოლა-რევოლიუცია, ქარხანა, რკინა, ქუჩა... მაგრამ ნათქვამია: პოეტი რომელიც ჩასწვდება და უმღერებს ცხოვრების მხოლოდ რომელიმე მხარეს, არ არის სრული.

წვდებიან კი პროლეტარული პოეტები ცხოვრების—ისიც მხოლოდ პროლეტარულ ცხოვრების, ამ მხოლოდ ზოგ ეპიზოდურ—მხარეებს. აქ აშკარადდება მეორე და მთავარი ნაკლი.

### 4. პოეტები, რომლებსაც იტაცებს ბჭყვრიალა გარეგნობა.

პროლეტარული პოეტები ობივატელის (ჩვეულებრივი მცხოვრებლის) მდგომარეობაში არიან. ჩეიყვანეთ ობივატელი მდიდარ სასახლეში: მის ყურადღებას მიიპყრობს სასახლის მორთულობის გარეგნული ბჭყვრიალა მხარეები. გიჟივით დაეწაფება სასახლის მორთულობის არა შინაგან სილამაზეს, არამედ ამ გარეგნულ მყვრალობას, და ეს ობივატელი რომ პოეტი იყვეს უმღერებდა ამ ბჭყვრიალა გარეგნობას. ასეთივე მდგომარეობაშია გლეხი მოულოდნელად მომხდარი გიგანტიურ ქალაქში.

პოეტი ობივატელია, რომელიც რევოლიუციის მხოლოდ გარეგან, მყვრალა მხარეებს ხედავს, რომელიც პროლეტარულ ცხოვრების იმ ალაგს ამჩნევს სადაც დამყარებული ხმაურია და დინამო ჰქმნიავს.

### 5. რეალობას ვერ სძლევენ.

პროლეტარულმა პოეტმა უნდა დაიმორჩილოს სინამდვილე, არ უნდა მიაფურთხოს მას; როგორც ამას სჩადიან ყველა ქართველი ლიტერატორები და მათ შორის პროლეტ. პოეტები. მას უნდა ჰქონდეს შინაგანი კლასობრივი შე-



გრძნობითი რეფლექსია<sup>1)</sup> და არ უნდა ემორჩილებოდეს მატერიალურ რეალობის მისთვის შეუგნებელ დაწოლას. დამორჩილება წუთიერ შთაბეჭდილებებისადმი იმპრესიონისტის<sup>2)</sup> ტიპს ძალუძს. ეს ველური პოეტობა (ველური ხომ ემორჩილება ყოველივე ძლიერ შემთხვევით გარეგნულ შთაბეჭდილებებს).

ჩვენი პროლეტარული პოეტი დამორჩილებული ჰყავს რეალობის უარყოფით და არა დადებით მხარეებს. იგი ხედავს ქარხანას მთელი მისი გარეგნული გრანდიოზობით, ისმენს და იმორჩილებს მას-დინამოს მძლე გუგუნს (უხეში ლირიკა წუთიერ შთაბეჭდილებიდან), იგი ხედავს წარმტაც მუშურ დემონსტრაციას და არამც თუ ხედავს, კიდევ მოსულა ამ დემონსტრაციასთან (და უბედურებაც იმაშია რომ მხოლოდ მისულა), გატაცებული მათი სადემონსტრაციო მძლე ინტერნაციონალით იგი მონაა ამ ხმის.

და ასე ყველგან: სადაც გრანდიოზულია მოვარდნა პროლეტარულ ბრძოლის, იქაა ჩვენი პროლეტარული პოეტები, მას უმღერიან ისინი.

### 6. ახადეთ ქარხანას სახურავი?

მაგრამ შეუძლია პოეტს ახადოს სახურავი ქარხანას, რომელმაც ავი ასე დაიმონა; შეიხედოს შიგ, დაინახოს მუშის არა მარტო შავი ხელები, არამედ შინაგანი სულიც, მისი მიზეზი და სარჩული-ყოფა. ვინ თქვა რომ მუშას არ აქვს სინაზე, თუ გინდ საკმაო სანტიმენტალობა, თითქოს იგი მხოლოდ რკინის ნაქები, იმიტომ რომ ბრძოლის წუთებში იგი მართლაც რკინას ჰგავდა, თავისი ნებისყოფით. მონახეთ თქვენ თუ გინდ მხოლოდ ამ ნების ყოფის სარჩული?

შეგიძლიათ თქვენ პოეტებო, გაჰყვეთ მუშას სახლში. შევილთან, ცოლთან, სადილზე, შეგიძლიათ გამოჰყვეთ დილას ქარხანაში. პარასკეობით პარტკრებაზე, სადამოს კლუბში, ან რესტორანში (სადაც კლუბიდან თავისი პოეტის უყოლობის განო სათრობად მიდის ხოლმე) გამოყვეთ (და არა დაათვალიეროთ) დემონსტრაცია (ზე).

თქვენთვის უთქვამს კომსომოლის პოეტს ბეზიმენსკის:

А вы попробовали  
В отделений милиций  
Революцию мировую нанти.

ეს თითქოს უდრის ძველ თქმას: შემომქმედმა უნდა დაინახოს ის რაც უბრალო თვალთ არ მოსჩანს (რა თქმა უნდა შემომქმედმა მარტო დანახვაში არ მდგომარეობს; დანახვით შეიძლება ბევრი სხვაც ხედავდეს, მაგრამ მისი შემომქმედების პროცესში—ხელოვნებათ ქცევა უკვე შემომქმედის ნიჭის საქმეა).

და მართლაც: ბოლოს და ბოლოს გრანდიოზულ მოვლენას უსუსური ბავშიც ამჩნევს და მიჰყავს იგი განცვიფრებით ამეტყველებამდე. ასეთია არსებითად პროლეტარულ პოეტების მეტყველება:

Только тот на нашей пути  
Кто умеет за каждой мелочью  
Революцию мировую нанти.

1) უშუალო-გაღიზიანება.  
2) ბურჟუაზიულ ხელოვნების ერთ ერთი შტოა.



**7. სულ ქარი... ქარი...**

პეტრე სამსონიძე (და თითქმის ყველა პროლეტპოეტები) რაღაც მაგიურ, საიდუმლო ძლიერებით, შემოსილ რკინებზე მღერიან. იგი ხედავს გრანდიოზულ ოქტომბერს. მისთვის იგი ქარიშხალია და მეტი არაფერი:

ქარო ოქტომბრის ღამეს დაგმარნეთ  
ჩვენ ძლიერება ძველი რუსეთის  
ზღვა ავაღელვებთ გაბედვით და მხნით  
მიწა დავანათო ცეცხლის ბურთებით.

პეტრესთვის ოქტომბერი ქარიშხალია და მეტი არაფერი. იგი სანტიმენტალურ ქალივით შეყვარებულია მასში და რომ პოეტი მართლაც ყოფილიყო შემომქმედი იმ ზღვის ღელვისა—რომელზედაც იგი ასე გაჰკვივის—მაშინ იგი ასე არ დაახასიათებდა მას (ასეთია დასკვნა პოეზიით და რა თქმა უნდა არა პარტისტაყით ე. ი. ბაოგრაფიულად).

და რაა ყოველივე ეს თუ არ ბავშური განცვიფრება.

**8. ტაბიძე—ბლოკის ქარი და პროლეტ. პოეტების ქარვები.**

ქარის საკითხზე უნებლიეთ მაგონდება გ. ტაბიძე და ბლოკი (რომელთა ვავლენა პროლეტპოეტებს ეტყობათ), ქარის საკითხში განთქმული პოეტებია (ტაბიძის პოემა „ქარი“ პარალელია ბლოკის „თორმეტის“, რომელშიაც ქრის... და ქრის...), მათვისაც და სამსონიძეებისათვისაც ოქტომბერი ქალიშხალია (უკაცრავად: ქარიშხალი. ერთს ასოშია შეცდომა). ასეთია რევოლიუციის ინტელიგენტურ—ობივატელური ვაგება.

**9. დამ—და—დინამო სულ დინამო.**

რას ხედავს ვაკელი ქარხანაში როცა მან საზაფხულო ექსკურსიის დროს შემთხვევით შეიარა ელექტრო სადგურში:

მანქანა ღვედებით სდგას როგორც ქაღარი,  
და ჰაერს აგრილებს ტრიალით ქარულა  
ღუმელში ცეცხლია მწველი და დადარი  
გამდნარი მადანი ძირს ჩამოღვარულა.

რა თქმა უნდა პოეტმა უნდა შეამჩნიოს ეს, მაგრამ მთავარია: უნდა დაინახოს ადამიანი. თუ ჩვენ უსაყვედურებთ გვეტაძეს, რომ იგი ხედავს ქუჩაში ვირს და ვერ ხედავს მასთან მიმავალ გლეხს, აგრეთვე აქაც უნდა ვუთხრათ: თუ კი პოეტო, დაინახე ღვედები, ქაღები, რისთვის ვერ დაინახე ადამიანი არა ისე როგორც უსულო მღერება მანქანის.

ვაკელი ხედავს დინამოს და არა დინამოსთან მყოფ ცოცხალ მუშას, ისე როგორც გვეტაძე ჩოჩორს და არა მასთან მყოფ გლეხს. მუშისთვის დინამო და გლეხისთვის ჩოჩორი მხოლოდ საშვალებანია. უნდა გავიგოთ ეს.

და თუ ვაკელი მხოლოდ მქშინავ დინამოს ხედავს ეული—პროლეტპოეზიის ეს უერდგულესი ჟანდარმი—ქარხნის კონცერტს ისმენს (უკეთ: უნდა მოისმინოს).



### 10. ტრამვაი... ეტლი... რა გვინდა მეტი.

ო, ტრამვაები ეტლთა თარეში...  
აქ ტელეგრაფიც გველივითა წივის;  
თვრება ათას გვარ სიმხურვალეში  
ქალაქი მზიმე, ქალაქი ცივი (??)

(ი. ვაკელი).

ნუ თუ პოეტო, სხვა არაფერი გვინდა? ტრამვაების, ეტლების დანახვის მეტი არ გვინდა რა.

რისთვის ვერ დანახეთ ამ ტრამვაიზე ცოცხალი კონდუქტორი, ეტლზე მვეტლე, ტელეგრაფზე ტელეგრაფისტა და რაც მთავარია: რევოლიუცია მათში. პოვნა რევოლიუციისა კონდუქტორში, მეეტლეში, ტელეგრაფისტას პულდრით მომურაულ სახეზე. ეს იქნებოდა პროლეტარული მიდგომა.

### 11. სადა პროლეტპოეზია ცოცხალი ადამიანი.

ფაქტია: საქართველოში არის დაუსრულებული პოეზია მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის შესახებ.

ამხ. მ. ორახელაშვილი ამბობდა: ჩვენი (საქართველოს) კომპარტია მდიდარია წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციით. სწორედ ასეთ პროლეტარულ რევოლიუციასთან სხვაზე უფრო ცუდათ ნისულთა—და არა მისგან გამოსულთა—წყებას ეკუთვნიან ჩვენი პროლეტპოეტები. რევოლიუციამ მისცა მათ პროლეტარული შეგნება, მაგრამ ვერ ჩაუდგათ მუშათა გულები. აქედან: ნამდვილი პროლეტარული პოეზია საქართველოში მომავალის საკითხია. ლენინელთა კომკავშირი როგორც უახლესი ძალა იწყებს ამ ფრონტზე ბრძოლას. შეგნება ბევრად უფრო ადვილი აღმოჩნდა ვიდრე განცდა (პროლეტარიატის) აქედანვე იყო: ყალბი პათოსი პროლეტპოეტების შემოქმედებაში, მაგრამ ამასაც დასძლევს საქართველოს პროლეტპოეზია თუ იგი შეასრულებს ბეზიმენსკის სახით წამოყენებულ მოთხოვნებს:

მოგვეცი თიწა  
და ცოცხალი ადამიანი.

### 12. ვინ ქმნიდა სკოლას?

დემიან ბედნის არ შეუქმნია და არც შექმნის სკოლას—ამბობს ტროცკი—იგი თვით არის შექმნილი, დიდ ეპოქათა საჭიროებისთვის რომელიც არ მეორდება, სკოლის მიერ რომელსაც ჰქვია რ. კ. პ.

ჩვენი პროლეტპოეტები კი ჰქმნიდნენ რაღაც სკოლას. რა თქმა უნდა პროლეტარული პოეტების იმ სკოლიდან შექმნა, რომელსაც ქვია: ქარხანა და ქარხნის კედლის გაზეთი ჯერ შეუძლო იყო, მაგრამ ისინი დემიანივით ვერ გამოვიდნენ კ. პ.—დან.

პროლეტარული ხელოვნება არ შეიქმნება კლასის ზურგს უკან (ტროცკი) ინტელიგენტ პოეტთა კაბინეტში. იგი იქ იწყება სადაც თავდება ინტელიგენტურ პოეზიის საზღვრები. ახალგაზრდა მუშა გლეხი, კომკავშირელი, გრიშაშვი-

ლის ქალის ფეხთა ქებით დაუქმყოფილებელი დაჯდება და ქალადის ჩხაპნით იწყებს ხატვას, მისთვის ძვირფას ცხოვრებისას.

### 13. მონახეთ აუდიტორია?

ჰყავს თუ არა პროლეტპოეტს აუდიტორია. აი კიდევ მტკივნეული კითხვა-თანამად შეიძლება ითქვას, რომ მომხოვნი პროლეტპოეტაას საქართველოში არსებულ ყველა ლიტერატურულ სკოლებზე მეტი ჰყავს, ჰყავს ის „პროფანი“ ხელოვნების საკითხებში, რომელიც უდიდესი ავტორიტეტული მსაჯულია პროლეტპოეტის და პოეტისათვისაც ყველაზე უფრო ავტორიტეტული უნდა იყვე ასეთ მასსის პასუხი შემოქმედებაზე, იმ მასსის რომელსაც—კოჯანის თქმით არ უსმენია ოპერა „კარმენ“ არ უკითხავს მსხვილტანიანი შრომები, რომანები და სხვა.

დიახ! ეს ახალი ამთვისებელი ითხოვს თავისას და იგი თვით იწყებს თავის ხელოვნების შექმნას, რადგან ვერაფერი მიიღო ინტელიგენციისაგან. მკითხველი ჰქმნის მწერალს, მწერალი კი მკითხველს (ტროცკი), ამიტომ არ შეიძლება ამ მკითხველის ლაბორატორიული გზით შექმნა, ის რაც მისთვის საჭიროა ორგანიზულად უნდა ეთვისებოდეს, მაგრამ მანამ მას არ გააჩნია თავისი თავის ხელით შექმნილი, უნდა **ესმინა** მათვის ვისაც უნდოდა შეექმნა პროლეტარული ხელოვნება.

საქართველოში ასეთებათ გამოვიდენ პროლეტპოეტები, მაგრამ ერთი მტკივნეულ ადგილთაგანი სწორედ ამთვისებელთან მისვლაშია.

არის მომთხოვნი, არ არის მიმწოდებელი. არის ამთვისებელი, არ არის ნიჭი. არ კმარა იყო თუ გინდ კარგი მწერალი.

კარგი—ცოტას ნიშნავს.

მთავარია შექმნილის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი ათვისებითი ღირებულება.

ხშირად ისტორიაში საქმე უკუღმაც ტრიალდება. კარგად წერა ჰკარგავს მნიშვნელობას, და იმარჯვებს „გრძნობათა განსაზოგადოებრიობის“ ათვისებითი სოციალურად მნიშვნელოვანი—მხარე.

მაგრამ **ეს ხიდი** ვერ გადავს ჩვენმა პროლეტპოეტებმა. შეიძლება ნიჭი ბუნებრივი იყვეს, მაგრამ არ არის: ნიჭი მისვლისა, ჩვენ სინამდვილეში, არ არის ჰარმონია მოთხოვნის და მიწოდების.

მომთხოვნი, ამთვისებელი შიმშილობს ჩვენმა პოეტებმა:

### 14. ვერ ნახეს.

რატომ?

კაბინეტური ხედვა, ეკლექტიზმი, დამორჩილება ათასგვარ „მოდერნიზმის“ სტილისადმი, არ აძლევთ საშვალებას საერთო ენის გამოძებნისას, იმ იდეურ (მათვის იდეალურ) მასსასთან, რომელზედაც ასე ლოცულობენ ჩვენი პოეტები.

არ არის **ენა ნათესაობისა**, ენა თქმის, ენა სახეების—არ არის არც ეს ჰარმონია მოთხოვნისა და მიწოდების შორის, აქ ტყდება კუნძი ძლიერების, და



პროლეტარული პოეზია კაბინეტის, თავის თავში ჩაქეტილი. კაბინეტიდან ქარ-  
ნის ხედვა იკვირვ აღმოჩნდა რაც რობაქიძის სექსუალური ტელესკოპი.

### 15. სოფელიც.

საქართველო უმთავრესად გლეხური ქვეყანაა. პროლეტპოეზიაში კი არ  
იყო საჭირო გადახრა სოფლისკენ, (ზომლეთელის გამოკლებით) მენშევიკურად,  
მათ თითქოს იგი მტრად აღიარეს და მიაფურთხეს.

უდაოა: მომავალ კულტურის მთავარი ძალა ქალაქია. მშობელი ახალი კულ-  
ტურის. აქედან იყო ყალბი კვანძი: პროლეტარული პოეზია ქალაქის პოეზია  
უნდა იყოს. დღესაც.

დღევანდელი სოფელი (რა თქმა უნდა მისი ღარიბი გლეხობის სახით) მო-  
კავშირე პროლეტარულ რევოლუციის მიერ დაწყებულ საქმის. პროლეტარია-  
ტის ჰეგემონია არ ნიშნავს გლეხობის უარყოფას (ლენინიზმით), და რისთვის:  
პროლეტარული პოეტი უნდა იყოს პოეტი სხოლოდ ქალაქის, ან მარტო პრო-  
ლეტარიატის. პროლეტარულმა პოეტმა სოფელი უნდა შეიზაოდოს და დასძლიოს.

ვერჰარნის ბურჟუაზიული ქალაქი ანადგურებდა სოფელს, მაგრამ ჩვენ  
პროლეტარული ქალაქი ასე არ სჩადის. აქ ვერჰართან დანათესავება ლალატია  
ლენინიზმის და პოეტები რომლებიც ქალაქს უყურებენ როგორც მტრის სოფ-  
ლისას, იგივე მენშევიზმია ან პერმანენტიზმი.

ჩვენ პოეტებს ერთგულება ქაზიონურ ოპორტიუნიზმით და ქებათა ქებათ  
გადაეცათ. განა ჩვენ ცხოვრებაში არ არის ტრადიციული მომენტები, მომენტე-  
ბი შეურიგებელ წინააღმდეგობათა სოფლად. ამას დაფარვა არ შევლის. ამ მო-  
მენტს სხვა მწერალი რეაქციონურად გამოიყენებს. ჩვენმა პოეტმა, იგი თავისებუ-  
რად უნდა ახსნას.

### 16. ზომლეთელი ს. ზომლეთიდან.

ამ მხრივ მდიდარია ზომლეთელი. იგი მოვიდა სოფელ ზომლეთიდან, სო-  
ფლათ ნამდერია, იქ დასრულდა და იგი როცა იყვის პოეტური ობივატელიზმით  
დატვირთული ეპატებოდა, მაგრამ მისი ლირიკა ჰფარავს ყოველივეს. სოფლის  
ქალაქათ ზრდასთან ერთად იზრდებოდა. იგი არ წერს ვაკელივით განკენებულ  
პოემებს „ვეროპის“ შესახებ. მკვიდრი შვილი რევოლუციონურ გლეხობის, რე-  
ვოლუციონურ გლეხობას მოჰყვა ქალაქში. რა ვუყოთ რომ საქართველოს დე-  
მიან ბუნდნი—ისე როგორც დემიანი რუსეთში პრიმიტივი—მოშარეა. არავინ  
უარყოფს რომ ლექსი მისი მოდის აკაკიდან, ისე როგორც დემიანის პუშკინი-  
დან. მაგრამ იგი პოეტია, პოეტი პირველად ყოვლისა, რომელსაც არ უჭირს  
შინაგანი განცდის სათქმელად ლექსის თავისუფალი წერა.

ლირიკის უარყოფა პოეზიის უარყოფაა. მყვირალა (напищенный) გადაჭარ-  
ბებული სენტიმენტალური ლირიზმი მოკვდა. მაგრამ ლირიკის მიზანშეწონილ-  
შენება ეხლაც აუცილებელია. მოკლებულნი არიან ამ ლირიზმს პროლეტპოეტე-  
ბი. რკინის გამაგიფრება და ლექსის რკინის „ფუტლიარში“ ჩაქედვა ავადმყო-  
ფობათ გადაეცადა. კოლექტივიზმის (ბოგდანოვის არსენალიდან) შეუერთებელი  
ათვისება უკარგავთ ინდივიდუალურ ლირიზმის გაგებას (რით წააგო ბეზიმენ-  
სკიმი?), ამიტომაც: ამ რკინის ჩარჩოებში შეპარული ლირიზმი ველურად მოიყუ-  
რება (ეული). ზომლეთელი ასცილდა ყოველივე ამას და ლირიკოსად გვევლი-

ნება. აკაკის ლირიზმი მასში არ ჩამკვდარა. და მართლაც თანამედროვეობას სჭიროდა კიდევ თავისი აკაკი.

დაიზებირეს: შინაარსი მნიშვნელოვანია ფორმაზე. აქედან: დაურიდებელი მიბაძვები, მაგრამ სტყუიან თითქოს აზრიც ესესხებად დემოსის პოეტებიდან. მათ არასდროს არ უტირიათ ვარდოშვილური დედაბრის ცრემლებით. რაც შეეხება ზომლეთელს: იგი დემოსის პოეტებს არაფით არ უნათესავდება გარდა ხრონოლოგიურ აღრიცხვაში (ერთად და იმავე დროს მუშაობდენ).

### 17. კარნავალების რომანტიკა.

ჩვენი პროლეტპოეზია დარჩა ერთგული რევოლიუციის კატასტროფიულ დღეების. ნაპასტოველების ბრალდება უნდა გავიმეოროთ: ვაეხვიენ პროლეტარულ უქმეების რომანტიულ კარნავალებში, ვერ შესძლეს ვაეგოთ აზრი დამდგარ წყნარ რევოლიუციონურ ყოფასა. პოეტურ ბოიკოტს უცხადებენ ჩვენ დღევანდელ დღეს, რადგან ეს დღეები ხაკლებ თავბრუ დაძსხმელია ოქტომბრის დღეებთან შედარებით, არ სურთ ჩამოეშვან გმირულ ოლიმპიიდან. რომ წავიდენ ცხოვრების მიერ მითითებულ „წვრილმანებისკენ“.

ამიტომ ვამბობთ: პროლეტარული პოეზია, როგორც სხვა ქართული ლიტერატურული სკოლები არ არის ლიტერატურა დღევანდელი დღის. რუსეთის „კუზნიცის“ პოეტებისგან გამოდინარე მისტიციზმა („კოსმიზმი“) სხვა სახე მიიღო ჩვენთან: „ნების“ პერიოდმა გაანადგურა რბილ ხერხემლიანი პროლეტპოეტები, დაიწყო თემების კრიზისით. ეულმა ყველა საკალენდრო უქმეების გალექსვას მიმართა. ამას ქვია ქუჩებში საბრძოლველ დღეების გათავების გამო გამოწვეული „დინამიურ“ თემთა კრიზისი.

კრიზისი რკინების გამაგიურებაში გადავიდა და ეს პარალელია რაც კუზნიცის კოსმიზმი, თუმცა პლანეტებზე ფრენით ჩვენმა პოეტებმაც საკამოთ გაიძღეს გული (იხ. წერილი შ. რადიანის „ახალგაზრდა ლენინელში „პროლეტარული ლიტერატურა და ყოფა-ცხოვრება“).

რუსეთში მისტიკა პლანეტების, აქ მისტიკა რკინების.

### 18. მაგრამ მაინც რისთვის ვაფასებთ.

უმიზნოთ და უმიზეზოთ არაფერს ჰქმნის ცხოვრება.

მაგონდება ტრალედიით საევე გმირული ისტორია რუსეთის ხალხოსნებისა („ნაროდნიკები“). არსებობს რალაც შორეული ანალოგია—მსგავსება ხალხოსნებსა და ჩვენ პროლეტპოეტთა შორის. ჩვენი პოეტები სწორედ როგორც ხალხოსნები სკდილობდენ მისულიყვენ მასსებთან. ორივენი გულწრფელად მიდიოდენ, მაგრამ უბედურებაც მისვლაშია. რომ მიდიხარ უნდა იცოდე ვისთან ან ვისკენ მიდიხარ, როგორ უნდა მიხვიდე. (ლენინი ინტელიგენტი იყო მაგრამ კონფლიქტი არ მომხდარა).

მაგრამ: ხალხოსნები მაინც იყვენ პირველი რევოლიუციონერები. ასეა აქაც: პროლეტპოეტები მაინც არიან პირველი რევოლიუციონერები. საქართველოს კულტურის ისტორიაში, და მომავალ კულტურაში მაინც შევლენ როგორც საფეხური წინ.





# ღაფოსის კოეტიები.

კატასტროფები ყოველთვის გამოცდაა

ლ. ცოცკი.

Так жалок я и так ничтожен  
Судите виноват кругом,  
Не внимал ножа из ножен,  
Врага не называл врагом.  
Еще одно есть преступленье  
Судя вины мои умножь:  
Писал пустые сочиненья,  
Где все мечты, мечты и лож.

*В. Кириллов.*

## 1. პოეზია და მასსა.

საუკუნეთა მანძილზე მასსას არ ჰყოლია პოეტი, ინდივიდუალიზმის ტრიუმფმა ზამოაცილა ესთეტი მასსას. ახალი კლასის ჩასახვას უნდა მოჰყოლოდა პოეტი. ყველაზე უფრო ახლოა მასსასთან, ის ვინც შეიგნებს ისტორიულ აუცილებლობას, ახალი ამოცანებით. ამიტომაც, შეიძლება ემსახურო პროლეტარიატს მაშინაც, როცა არ ხარ გამოსული მისგან. ასეთი იყვენ ბელადები. მუშათა კლასს დროებით სჭირდება—თუ გინდ სხვა სოციალურ ფენებიდან მოსულ—ტრუბადური, ტრიბუნი. პოეზიაში მას სჭირდება მისი კოლექტიური სულის გამგები და შემთავისებელი პოეტი.

ეკონომიურ პირობების გამო მშრომელი მასსა შორს იდგა კულტურისგან, რის გამო პირველ ხანებში ინტელიგენციის მორევოლიუციონერო ნაწილი უნდა გაძლოლოდა კულტურისკენ.

## 2. ბებია—ქალობით და თვითური სამსახური.

ინტელიგენცია მთლიანად, არას დროს არ ყოფილა ერთი რომელიმე კლასის ნაწილი, არც დამოუკიდებელი სოციალური ერთეული. იგი სხვადასხვა ძალებს თანამგზავრობდა, ხშირად მიუძღვებოდა კიდევ. შეგნებული ნაწილი სძლებდა მომავლის და ახალ ისტორიულ ძალის განჭვრეტასაც. ასეთი ნაწილი ბებია—ქალის როლშიაც გამოდიოდა.

არის წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ნაწილი კმაყოფილი თავის უმნიშვნელო ეკონომიური მიღწევითაც. ასეთებს ობოგატელურის შიშით ეშინიათ სოციალურ კატასტროფების. შეშინებულნი რაღაც წინაგრძობით—ახალ ძალის მოსალოდნელ გამარჯვებით, ქაოტიურ შიშით და ქიმერიულ ბოდვით მიდიან

მა ახალ ძალასთან, მხოლოდ იმიტომ, რომ აიცილოს თავიდან კატასტროფის სიმწვავე, რომ გარდაქნას ეს ახალი ძალა, მისთვის ხელსაყრელ ფანტასტიურ სამყაროს მშენებლად, რომლისთვის ის მზათა რამოდენიმე წვეთი სისხლიც დაღვაროს, რა თქმა უნდა პაციფისტურ ფარგლებში, ოპორტიუნიზმის რეცეპტით.

### 3. მიწა სდევნიო და ცაზე კი არ უწევდებათ ხელი.

კატასტროფის შიშით ამოქმედებული ინტელიგენტი პოეტი იძულებულია— (შიშით) „მივიდეს“ (მუცლით იხოხოს) მშრომელ მასსებთან, ჯიღეროს და ემსახუროს მას, უკეთ: ემსახუროს იმ უტოპიას, რომელსაც ეს პოეტი მისტიურ სამოსში გახვევით რევოლუციას უწოდებს.

ასეთია საქართველოს „დემოსის პიეზა“ ჩვენი მენშევიზმის ანარქელი, და ამიტომ იმავე ისტორიულ ბედის მსხვერპლი, როგორისაც მენშევიზმი. ეს „ხომალდელებია“, თავიანთი გაცვეთილი ხომალდებით, არ არსებულ კუნძულებისკენ მიმკურავენი, ზღვა-ცხოვრების ტალღების მიერ შეშინებულნი „ბედის“ ამბარა „შიშით მოცულ უაფრო ნავით“ (აბაშელი) მოხეტიალენი. მათზე უთქვამთ; არც ცისა და აღარც მიწის.

ფაროხლოზ, ვიწვი ვცდილობ აფრენას,  
ძირს ვენარცხები მემსხრევა ფრთები,  
სისხლი თქრიალით მიმატებს დენას.  
ფრინველი ცისა მიწას ვაკვდები.

ასეთი ფასი დასდო ქუჩიშვილმა თავის თავს.

მიწა მდევნის და ზეცაზე არ მიწვდება ხელი.

მიწა საძულველია, რადგან პოეტმა იგი ვერ გარდაქმნა ფანტასტიურ ზეცად. სინამდვილე საძულველია, მაგრამ არის შეგნება, რომ ამ სინამდვილეს ვერ წაუხვალ, რომ ვერ გაექცევი იმ მიწას, რომელიც სდევნის, ანიტომ სწყურია ზეცა, ანიტომ ჰკიდებს ხელს „რევოლუციონერობასა“, რაიც ზეცის განსახორციელებლათ არის საჭიროა. ამ პოეტის ტრალედიაც აქ არის: იცის რომ პრიმატი ამ სინამდვილისაა, მაგრამ არ იცნობს თვით სინამდვილეს, მას სტეპყავს იგი, და არ აქვს რაიმე კონცეპცია ყველა სოციალურ საკითხებში ორიენტაციისათვის, და იქ სადაც საჭიროა ფოლაქები აკერო და რევოლუცია აკეთო (ტროცკი), ეთერში დაჰყრინავს და მშრომელ მასსასაც ეძახის ამ ეთერისკენ.

### 4. ღმერთი მიწაზე.

ამის შემდეგ ამ მენშევიკ პოეტისთვის რევოლუცია სასტიკი სინამდვილე და ისტორიული სინამდვილე აღარ არის, მას დაავიწყდა რომ იგი ასეთია, და გადაიქცა მის მიერ შექმნილ პოეზიათ, პოეტურ ქიმერად. რეალობა იმდენად უცხო ხდება მისთვის, რომ მხოლოდ ცისკენ და იხედება, იმდენად უძლურია, რევოლუციის პრაქტიკულ შენებაში, რომ ზეცისკენ წასულნი მიწაზედაც ღმერთს მოუხმობენ რევოლუციის მოსახდენათ, ეძებს ამ ღმერთს და ლექსის სტრიქონებიდან მიწაზე მოუხმობს:

სად არის ღმერთი, სად არის ქრისტე  
რომელ მხარეში, რომელ ცის იქით.  
(ვარდოშვილი).



თავ. ძე კი დარწმუნებულია მის მოვლინებაში:

და რწმენის სხივით გაშუქებული  
გადმოვა ქვეყნად ღმერთი მაღალი.  
და უნაზესი ლოცვით ქებული  
ღაწურება აღოქმა ახალი.

სასწაულის მოლოდინი ახასიათებს მენშევიზმს და განსაკუთრებით კი მის პოეზიას.

მაგრამ უტყდება გული, გრძნობს: მისი გეგმები უძღურია აქ ბოროტ მიწაზე. გრძნობს მდგომარეობა მაინც კატასტროფიულია მისთვის, ამიტომ აღარ ერიდება. მიწიდან სრულიად მოცილებას, და თუ იაშვილი მოუწოდებდა მზისკენ, რუხადე ვარსკლავებისკენ მოუწოდებს:

მაშ ვარსკლავისკენ ვისაც გინდათ, სიცოცხლე შველა  
მაშ ვარსკლავისკენ ვისაც გინდათ დასტკბეთ ნეტარით,  
თორემ გაგვსრისავს სინამდვილის ცხრა თავი მღვრი,  
და ამ ჭიობში ჩაეიხრჩობით, ვერ ადვალთ ზევით.

აი ასეთი ადამიანები, რომლებიც როცა დღე არის ხალხს ემალებიან (ვარდოშვილი) პრეტენზიას აცხადებდენ რევოლუციონარეობაზე. მაგრამ ისინი ხომ ესთეტიები იყვენ მხოლოდ ღამის მხატვრობის (საყვარელი თემა აბაშელის) ამიტომ დღევანდელ ცხოვრებას და პრაქტიკას ისინი ვერ შეურიგდებიან. ცხოვრებით ესთეტიკას მოკლებულნი ოთახურ ესთეტიკით სცხოვრობენ, და არამც თუ ჩვენ, ჯერ კიდევ—ჩვენი დემოსის პოეტების პროტოტიპი—ტურგენევის ნეჟდანოვი დარწმუნდა ასეთ ესთეტიკას უნიადაგობაში:

Ох! трудно, трудно эстетике  
соприкосаться с действительной жизнью.

## 5. დაკეტილი ყუთი.

მართლაც: ჩვენ დემოკრატებს რევოლუცია ესთეტიური კაბინეტებიდან უნდოდათ შეექმნათ, ესთეტიკით რომელიც ოთახის „დაკეტილ ყუთში“ შექმნილი, ამიტომ იყო აბაშელმა „მზის სიცილი“ მაღალ თაროდან დაკეტილ ყუთში და არა მიწაზე—გადმოიტანა (ლექსი „ხაფერფლე ურნა“). და მთელი გზა დემოსის პოეტებისა, გზაა დაკეტილ ყუთიდან—წვრილ ბურჯუაზიულ ინტელიგენციის ობივატელურ ყოფიდან—ქაოტიურ—ბოდვით ცამდე, ფანტასტიურ-ბავშურ ცამდე. ეს დროთა საზღვარზე მდგომ ადამიანთა ერთი წამის დახამხამებაა. უკანასკნელ კარებთან მათ შემოაღამდათ სწორეთ იქ იმ საზღვარზე სადაც პროლეტარულ რევოლუციას უთენდება.

## 6. არ კმარა იწამო.

დემოსის პოეტებს ჰქონდათ წინასწარი შეგრძნობა რევოლუციის—მათვის ჭიოსისა. მონახეს რევოლუციის ნასახები, შეეცადენ გაჰყოლოდენ დენას, მხოლოდ იმიტომ რომ არ შეეძლოთ დენის წინააღმდეგ სვლა, მხოლოდ იმიტომ რომ დენის გაყოლებით გადარჩენილიყვნენ. ამიტომ იწამეს, მაგრამ...

вся суть не в убеждениях—а в характере.

დემოსის პოეტებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ ეს საჭირო „ხასიათი“-ბუნებით. შიში კი ყოველთვის ვერ შეიქმს გულწრფელ სიყვარულს, და მარტო თუ გინდ გულწრფელი სიყვარული საქმეს არ შევლის. საჭიროა ნება და შეგნება— შინაგან ბუნებიდან გამომდინარე. მოკლებულნი ამას პარაზიტებია და არა შემომქმედნი.

## 7. ძველი ძმობილი ბერდიავეცი.

რევოლიუცია არა ეფემერული ნამდვილი—საბედისწერო გამოცდა იყო დემოსის პოეტათვის. კატასტროფები ხომ გამოცდაა. რევოლიუციის დასახვედრათ, დემოსის პოეტები თავის კაბინეტურ ფანტასტიურ ესთეტიკით ემზადებოდნენ. მაგრამ ცხოვრებას კაბინეტის რეცეპტები არას დროს არ მიუღია, იგი თავისი განვითარების დიალექტიური გზით წავიდა. დიალექტიკის გასაყოლად კი დიალექტიურად მომქმედი თავი უნდოდა, და სწორეთ აქ, დიალექტიკის გაყოლის მომენტში დემოსის პოეტებმა უკანასკნელი კრაზი განიცადეს, აქ იყო უკანასკნელი სამარე, როგორც ქართველი მენშევიზმის ისე მის პარალელ პოეზიის, აქ ჩაკვდა უკანასკნელი იმედი ბოგემურ-მიკიტნურ\*) ფანტაზიისა, აქ შეიცვალა მისტიურ-ქაოტიური ოპტიმიზმი. რელიგიურ პესიმიზმად და ოდესღაც თითქოს მშრომელი ხალხის რევოლიუციონურ პოეზიის აპოლოგეტები სამუდამოთ მივიდნენ ძველ ძმობილ ბერდიავეთან. სურათი დაემსგავსა 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ ლიკვიდატორულ და პესიმიისტურ სულიერ დაცემას. შიში და პანიკა, რელიგია და მისტიკა, ტირილი და სინანული „ბავშურ გატაცებისთვის“.

ყალბათ-წიგნობრივად გაგებულ რევოლიუციონურ მარქსიზმიდან ქრისტიანობამდე ბერდიავეის გზით. რევოლიუციამ ახსნა მენშევიზმს და მის პოეზიას უკანასკნელი ტატუროვკა სახისა. გაანადგურა რევოლიუციით შეშინებული ინტელიგენცია. მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო.

## 8. მენშევიზმის სანჩო-პანჩოები.

არ ყოფილა არც ერთი ლიტერატურული სკოლა, უშუალოდ ისე დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიასთან როგორც მენშევიზმის პოეზია, მენშევიზმთან. ეს იყო მენშევიზმის პირდაპირი გარიტორიკება. ამიტომ გაჰყვა იგი საბოლოოდ მენშევიზმის ვაკოტრების გზას. ვერ იხსნა ვერავითარმა ფარმა. ესთეტიურობისა, დაიწყო შეუწყვეტელი ცრემლთა დენა, თითქოს მათ პოლიტიკურ მდგომარეობიდან დამოუკიდებლად: ესთეტიურის თრთოლვით პოეტურ და „ფილოსოფიურ სევდის“ (გომართელი) პერიოდი, და ოდესღაც სიტყვებით მაინც (სიტყვებში ხომ მარჯვე იყო მენშევიზმი!) მებრძოლი ეხლა ფარხმალს ყრიან. აღსრულდა პოეტის წინასარმეტყველობა:

Они расквоятся когда народ, встав,  
Застанет их в объ'ях праздной неги  
И в буйном мятеже ища свободных прав  
В них не найдут ни Брута ни Рейги.

\*) რუხადე ხომ მიკიტნით მოვიდა.



გამართლდა ნეჟდანოვიც, რომელმაც თავის თავზე სთქვა ის, რაც თავის „მოღვაწეობის“ დასაწყისში უნდა ეთქვა მენშევიზმს და მით უმეტეს მის პოეზიას.

Да наш народ стоит. Но мне сдается, если что его разбудит, это будет не то что мы думаем...

არ გამართლდა რაც უნდოდათ ამ რეალიზმის რომანტიკოსებს, რადგან მოვიდა სხვა ქართველი (თავაძე), ქართველი რომელიც შექმნა ნამდვილ რევოლუციონერის ხელგემა აქ მათ მიერ შეძლებულ მიწაზე:

მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით,  
დასწყვიტა ცაში ყველა სიმები.  
გარდაიცვალა ძველი ზღაპარი  
და გადაფრინდა სერაფიმები,  
სივრცე დაეთმო შავ-ფრთოსან გველებს  
ცაში ავარდა რკინის აფრები.

(აბაშელი).

რა შესანკობი ეპიტეტები არ არის ნახმარი აქ ნამდვილ რევოლუციის საქებრად.

რა საშინელებაა! მიწა დაეთმოთ მიწაზე მოსიარულე გველებს და არა რუხადის ვარსკვლავებისკენ აბაშელის სერაფიმებით მომფრინავთ.

ცეცხლში უეცრად გადასხვადებდა  
ძველი ფიქრები და იმედები  
დაიღწევა ბორკილთან ერთად,  
წარსულ დიდების თეთრი სვეტები  
და ერის ტანჯვის გამომხატველი  
იზრდება გულში ერთი ნაღველის ორი მწვერვალი:  
კრწანისის ველი და თებერვალი.


ექვი არავის შეეპარება, რომ მემიკიტნეთა ერის გულში იზრდებოდა ერთი ნაღველის ორი მწვერვალი, იმ ნაღველის რომელსაც ჰქვია მეფის და მენშევიზმის დამარცხება.

**9. რევოლუცია დანახული ყოვლად პოეტური თვალეებით.**

ვნახოთ რევოლუცია თავის თავზე შემოიღო მუდამ სულის სათხოვრებით ღმერთის წინაშე დაჩოქილ—ვარდოშვილის ყოვლად პოეტურ თვალეებით დანახული:

ნუ გახვალ გარეთ, დღეს ქარია გადარეული  
ზანზარებს ქუჩა და ხეები ტოტებს ტოტს ახლის.  
ქარმა არ იცის შინაური არც გარეული  
დღეს დაანგრია მან ბჭეები ძვირფასი სასახლის.

ამასაც მუშათა კლასის წინამძღვრობა ჰქვია. რევოლუციის შემომქმედს მოუწოდებს არ გამოვიდეს გარეთ, რადგან ამ რევოლუციამ არ იცის მათებრ შინაური და დაანგრია მათვის თურმე (!) მდიდარი ძვირფასი და საყვარელი სასახლის ბჭეები.



ეხლა კი... ეხლა გათავდა ყოველივე...  
 ბოროტი ზმალით გულ-გაჩნბილი  
 სისხლში ვასველებ, ლექსის სტრიქონებს-ო.  
 სტირის თავაძე.

**10. მოწოდება ცის ასულის**

წინათ თავის ფანტასტიურ ადევით გატაცებული დემოსის პოეტები ქადაგებდნენ ბრძოლას. და ჯერ კიდევ მაშინ, როცა მართლაც შეიძლებოდა პოეტს გასტეხოდა გული-შავ რეაქციის დროს აბაშელი თავის ცის ასულის ენით მოუწოდებდა:

ხელთ აიღე ბრძოლის ჩანგი  
 კმუნვა ქვითინს განერიდე.

მაშინ პოეტს ჰქონდა იმედი, ნამდვილ რევოლუციის დროს კი, როცა უფრო მწვავე და გადამწყვეტია ბრძოლა, იგივე აბაშელი ხედავს რა აღსასრულს თავისი ბოდვისას, მოუწოდებს:

ჩაავთ ხმალი! გათავდა ბრძოლა!  
 დავუტრე წიგნი, ფუტკმა ზმანებამ  
 სინამდვილეში გადამისროლა.

რა სასტიკია სინამდვილე! მან ვერ შეიფერა კეთილშობილ პოეტის ფუტკი ზმანება და დაახურვია ზღაპართა წიგნი. რა საცოდავია პოეტის მდგომარეობა: წარღვნას ჟამს შველას (ელის) ნურავინ!

(თავაძე)

აღარ შეიძლება რაიმეს მოლოდინი, მას, შემდეგ რაც „მძიმე ფოლადის მოვარდა მდევია“.

**11. რაინდული კოშკი ქვიშიდან.**

ობოლი მუშისთანა (თავაძე) ოპტიმიზმი ბევრს არ ახასიათებდა. მენშევიზმის დროს წითელ გვარდიისადმი, იმედებით აღსავსე, წიგნიც კი გამოაუშვა. აღფრთოვანება და ბრძოლისკენ სვლა ახასიათებდა, მაგრამ მენშევიზმის დამარცხებასთან ატირდა ბავშვით. იგრძნო რომ ეს სიკვდილია. მენშევიზმის პოეზიამ ვერ შესძლო ქვიშიდან რაინდულ კოშკის აგება. წინათ მას დამარცხება არარად მიაჩნდა არ სტყუებოდა:

თუმცა უსწორო ბრძოლაში  
 ბევრი სისხლი დაუნთხევია  
 მაგრამ გირით ამ წინ სრბოლაში  
 ლაჩრობა არა სჩვევია.

სწერდა გვარდიელებს მენშევიზმის დროს. ეხლა კი აღარ მიაჩნია ლაჩრობათ ხმლის ჩაგება, გათავდა ბრძოლა, ურიკდება დამარცხებას?

ჩვენ არ ვიცოდით თუ ბედს ცვალებადს  
 გზების დატეხა ისევ მწადა,  
 და ცივ რკალებში მძიმე წვალება  
 ხელახლა უნდა გამოგვეცადა.



## შ ი ნ ა ე რ ს ი:

გვერ.

1. კროლემავ — პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი . . . 3

### პირველი განყოფილება:

2. კარლო კალაძე (კაკი ეწრელი) — სოფელი დილამდე . . . 11
3. კონსტანტინე ლორთქიფანიძე — 1. თემა მეორე . . . 15  
2. ნეკემან . . . 18  
3. არსენა . . . 20
4. კალე ფაოდოსიშვილი — ელექტროფიკაცია . . . 26
5. ბენიტო ბუაჩიძე (ნიაგარელი) — სადელეგატო ბარათი . . . 28
6. ვ. ბანოსიშვილი — მქსოველი ქალი . . . 33
7. ელიზბარ გუგუნიანი (პოლუმორფინოვი) — კედლების ში-  
გნი . . . 34
8. შ. მდივანი — სადარაჯო . . . 36
9. თამარ ჩხარაიული — სოფლის პიონერი . . . 39
10. დავით რონდელი — 1. ჭიათურა . . . 41  
2. ქალაქის და სოფლის შესახებ . . . 43

### მეორე განყოფილება:

11. კარლო კალაძე — ჩვენ . . . 49
12. ელიზბარ გუგუნიანი — სიცოცხლე ცეცხლში . . . 62

### მესამე განყოფილება:

13. კარლო კალაძე — ტრადედა ოხ . . . 69

### მეოთხე განყოფილება:

14. შალვა რადიანი (შეწირული) მკვდრების საუბარი . . . 131
15. დავით რონდელი — დეკადანსის საზღვრებთან . . . 143
16. ბენიტო ბუაჩიძე — ცისფერი ყანწები . . . 164
17. ვლადიმერ შიშოძე — 1. ქარხნის პოეტები, რომლებმაც ვერ  
ნახეს ქარხანა . . . 179  
2. დემოსის პოეტები . . . 186

რედაქტორი: კროლემავის კოლექტივი.

გამომცემელი: სახელგამი.

კორექტურული შეცდომები:

| ა რ ი ს   | უ ნ დ ა ი შ ო ს  |
|---|--|
| გვ. 19 ზევიდან 5 სტრ.<br>და აქციები   | და აქციების  |
| გვ. 19 ზევიდან 11 სტრ.<br>და იმედების                                       | და იმედები   |
| გვ. 19 ზევიდან 14 სტრ.<br>დაბმული   | დაბმულია   |
| გვ. 23 სტრიქ. 1<br>მაგრამ ხშირია  | მაგრამ ხშირია  |
| გვ. 38 ზევიდან 12<br>ორი ზღუდის   | ორი ზღუდის   |
| გვ. 60 ქვევიდან 10<br>სავანი  | საკანი   |
| გვ. 84 ზევიდან 7<br>ტურა მიმყავს  | ტურა მიმაქვს   |
| გვ. 106 ქვევიდან 13<br>ჯარი გაშლილი   | ჯარი გაშლილიყო   |
| გვ. 107 ზევიდან 11<br>სახელ კარი  | სახლ-კარი  |
| გვ. 107 ქვევიდან 9<br>შევებები  | შევებმები  |
| გვ. 108 ზევიდან 11<br>უცებ გასძახებს  | ■ უცებ გასძახებს                                       |
| ■ გვ. 108 ქვევიდან 16<br>სიღრმეში საი ლანდი ჩურჩულით<br>უახლოვდებიან ცენტრს | ■ სიღრმიდან სამი ლანდი ჩურჩუ-<br>ლით უახლოვდება ცენტრს |
| გვ. 127 ზევიდან 14<br>ნავიან ლექსები  | ქნავიან ლექსები  |
| გვ. 143 ზევიდან 2<br>ს ო მ  | რ ო მ  |
| გვ. 155 ქვევიდან 3<br>მაფალუს   | მაფალუს  |



რალა მებრძოლი პოეტია, როცა მძიმე წვალების ხელახლა გამოსაცდელათ არ არის მზათ, თუ იდეა კიდევ წინ გიდეს.

მაგრამ ცოტათი მაინც შეჩენიათ ჭეშმარიტების გაგების უნარი, და ხედავენ, რომ მათი ხმლები ჩალის, მათი ტყვიები ბამბის აღმოჩნდა... რომ ამალა ბრძოლა რომ მიზანი მიუღწეველი ყოფილა.

წინეთ აბაშელისთვის მიზნის მიღწევა შესადლო გმირობა იყო:

მაგრამ მოუსწრობს ღამის ზხატვარს დღის გათენება  
და ბროლის ქალაქს უცებ ცეცხლი წაეკიდება.

(ცისარტყელიდან).

ეხლა კი ყოველგვარ იდეის მიღწევა შეუძლო ყოვილა, ბრძოლას და სიცოცხლეს აღარ ჰქონია არავითარი ფასი და მიზანი:

რა მიზანი აქვს სიცოცხლის ჯირითს  
თუ არ ხელების გულზე დაკრფვა,  
მოჩვენება მიზნის მიღწევა  
სახეთა მუდმივ ფერიცვალეებით.

ტყუილი იდეა ყოფილა თვით რევოლიუციაც, ისინი ბავშობდენ. მაგრამ გაეხსენოთ ისევ ნეჟდანოვი:

*Ложь была во мне, а не в том чему ты веришь.*

ეუბნებოდა ნეჟდანოვი ამხანაგ ხალხოსანს. ნეჟდანოვით უნდა ეთქვათ მენ-შევიკ პოეტებს: ტყუილი იყო ჩვენში და არა იმ იდეაში რომელსაც აღიარებდით თქვენ რევოლიუციონერებო.

## 12. ერთხელ გმირები განთქმულ ბრძოლების.

რევოლიუციონური ბრძოლა დემოსის პოეტების დონკიხოტურ გმირობათ გადაიქცა, ამიტომ ისინი აღარ უმღერიან მას და მქედლიშვილის სიტყვებით აღსარება უნდა ეთქვათ:

დღეს კი, დღეს—კუნძი სუსტ აბოლების—  
ვსდუმ როგორც მუნჯი, როგორც მკყიმ მღერო  
და ერთხელ გმირმა განთქმულ ბრძოლების,  
დღეს უნდა მხოლოდ კოცნა ვიმღერო.

უკანასკნელად მართლაც მათ ყოველივეს უმღერეს ბრძოლისა და სიცოცხლის გარდა: კუბოებს, კოცნას, სიკვდილს, საფლავებს, წარსულის ნაშთებს.

ყველა დემოსის პოეტმა განიცადა ასეთი გარდატეხა სიკვდილისაკენ.

ქუჩიშვილი წინეთ უხმობდა ბრძოლაში და ამაცობდა:

ჩემს რეკაზე ირაზმება  
შრომის შვილთა ჯარი-ო

გასაბჭოების შემდეგ აღარ რეკს ზარებს, რეკს მაგრამ სამგლოვიაროთ:

ზღვაო სულის ნათესაო  
შენი შენვე დაგიბრუნდი  
თუ ხმელეთმა რა დამმართა  
თუ იქ როგორ გავნადგურდი.

ან და:

ზღვაო ზღვაო ამოვარდი  
დედა მიწის წარღვნის დროა.

ხმელეთმა ქუჩიშვილი გაანადგურა, გაუცრუა ოცნება და ამიტომ იგი უკრავს ახლად ზარებს, ზარებს წარღვნისას. ხალხს აღარ მოუწოდებენ დასახმარებლად, სწამთ უკვე ბედი რაღაც სასწაულთ მოქმედებისა:

(თურმე აბაშელსაც ხშირად მოაგონდება ბიბლიური ამბავი წარღვნისა. ადამიანი წარსულში მხოლოდ იმას აითვისებს რაც მისთვის ფსიქოლოგიურად ახლოა. დღეს მათთვის მიწაზე წარღვნა და პოეზია კი ნოეს კიდობანი).

იასამანმაც ასეთი გზა განვლო: სწერდა:

დაჰკრა საათმა ამ ოტივტივდეს  
დილის მედროშე პირსხივოსანი.

შეიცვალა:

მე ტანჯვა მრჩება აქ საუკუნო  
აქ საფლავისთვის კლდეა საბარი.

სხვა პოზიციაზე სდგას ვ. რუხაძე. მის გარდა, მისი თანამომძე პოეტები შეიძლება ითქვას მგრძნობიარენი არიან, შერჩენიათ—თუმცა მახინჯი რეალობის პოეტური შეგრძნობის უნარი და შეიგნეს მომენტი ატირებისა. ვ. რუხაძემ პირველ ხანებში ვერ შეიგრძნო ესეც და ჯიუტი ცხოველივით, იტანს სინამდვილისგან დარტყმას დარტყმაზე. იგი ისეთივე ჯიუტია როგორც საზღვარგარეთელი ქართველი ემიგრანტები, ფატალურად დარწმუნებული რაღაცაში, რაში თვითონაც არ იცის. და როგორც ერთგული ფანატიკოსი სწირავს ერთგულად:

მე ვერ მაშინებს მძაფრი გრიგალი  
მოულოდნელად ამოვარდნილი.

ეს სიტყვები ერთხელ კიდევ ამტკიცებენ, რომ რუხაძე არ არის პოეტი. მაგრამ... რუხაძეს, თვით რუხაძეც 23 წელში მოდის თანამოაზრეთა ატირების გზაზე:

დაჰკეტე მაგრად ყველა კარები  
სიკვდილი მოდის ცულით ურჯულო.

#### 14. რამოდენიმე კენჭი კენტი ცრემლიდან.

ყველგან უიმედობა ყველგან ტირილი, კუბო, სიკვდილი, სასაფლაოზე ნუგეში, ატირება ყოველ წგრილმანზე აი რით ცხოვრობდა უკანასკნელ ხანებში დემოსის პოეზია:

აი რამოდენიმე კენჭი კენტი ცრემლებიდან:

კენჭი № 1. ხელი მომხვიე, უფსკრული გვიცქერს  
რას დაგყრდნობი? არ ენღო ტალღათ:  
მატყუარაა ზღვის სწორი ველი  
სახიფათოა ლტოლვა ამ გზითა  
ფრთხილად მომეკარ მომხვიე ხელი.

კენჭი № 2. დედაო ლეთისაე! აგვიყურა შენსკენ ხელები,  
ტანჯვის წუთებში დაკბენილ მტკივან ხელებით  
ბნელი მღვიმეა სული სავსე გაველწით.  
დაგვემსხვრა სკივრი დაგვებნა მარგალიტები.

წინ არაფერია ამიტომ რომანტიკა იდეალურ წარსულის, რუხაძე იგონებს წარსულს „სიზმრად გაფრენილს“. აბაშელი იგონებს დღეებს როცა იგი სასახლის ბაღში სეირნობდა (რა უბედურებაა, ეხლა არ უშვებენ პოეტს ბაღში!



რა კარგი იყო პოეტური განცდები მაშინ როცა ნებადართულად დასეირნობდა!) ამიტომ უნდა „დაიბრუნოს დრო გაქცეული“ ის დრო „როცა ყოველ წუთს უხაროდა“ მასთან გათევა.

უკანასკნელ „კავკასიონის“ ფურცლებზე კიდევ ატირდა რუხაძე და თავაძე. თავაძის წარსულის შორი ნათელის აპოლოგია, ჰკარგავს უკანასკნელ ხომალდის იმედსაც.

გადავწყვიტე ყველა ზღვის ხომალდები... ყოფილ კუნძულებს არ ძალუძს შეველა და აღარც ველით განვლილ ნაპირებს.

აქედან: აბაშელის უკანასკნელი „მოლა“ კოსმიზმი ლოდიკური შედეგია ხომალდების მიტოვების. ისინი მიჰტრინავენ ცისკენ „ახალი სისტემით“, მაგრამ იქაც გაიხრწნებიან. მიწაზე გახრწნილი მენშევიზმი „სხვა სისტემაში“ გადასვლას ლამობს: მოგვებურდა მიწა... ამიტომ მოუწოდებს: მზეს მოეხსნათ მიწა და შევიდეთ სხვა პლანეტაში-ო.

მაგრამ ყოველგან დანიარცხება: პოეზია უკანასკნელი თავშესაფარია:

ავანთებთ საწთლებს... და პოეზია  
ააქმაურებს ზარებს სიონის  
ვინ უწინამძღვრებს ჩვენ პროცესიას  
რომ აყვავებ მწვერვალს კავკასიონით.

სანთლები სიონში და პოეზია ესაა უკანასკნელი იმედი ნენშევიზმის უკანასკნელ ნარჩენების დემოსის პოეტების.



